



ISSN-0132-6058

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

მშენ

675-0/2
2012

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოლოგიისა და
ხელოვნების
ისტორიის
სერია

1

2012

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოლოგიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

Series
of History,
Archeology,
Ethnology
and
Art History

94



თბილისი
Tbilisi

1. 2012

სარედაქციო კოლეგია:

ზურაბ აბაშიძე, ზაზა ალექსიძე, მარიამ დიდებულიძე, სერგო ვარდოსანიძე, ალექსანდრე თვარაძე, ბუბა კუდავა, გიორგი ლორთქიფანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), გურამ ლორთქიფანიძე, დავით ლორთქიფანიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ლია მელიქიშვილი, როინ მეტრეველი (რედაქტორი), დავით მუსხელიშვილი, ოთარ ჟორდანია, კიაზო ფიცხელაური, კახა შენგელია, ოთარ ჯაფარიძე.

Editorial Board:

Zurab Abashidze, Zaza Aleksidze, Mariam Didebulidze, Sergo Vardosanidze, Buba Kudava, David Lordkipanidze, Georgi Lordkipanidze (Editorial Manager), Guram Lordkipanidze, Mariam Lordkipanidze, Lia Melikishvili, Roin Metreveli (Editor), David Muskhelishvili, Otar Zhordania, Kiaz Pitskhelauri, Kakha Shengelia, Alexander Tvaradze, Otar Japaridze.

ტექსტის რედაქტორ-კორექტორი:	ირმა რუხაძე
Text corrector-editor:	Irma Rukhadze
კომპიუტერული უზრუნველყოფა:	პაატა ქორქია
Computer design:	Paata Korkia

„მაცნე“-ს ეს ნომერი დაიბეჭდა კავკასიის უნივერსიტეტის თანადგომით

This issue of Proceedings is published under the support of Caucasus University

შინაარსი

საქართველოს ისტორია

გურამ ლორთქიფანიძე, მილუტი და ფასისი ძვ.წ. VI-V სს. (მეტროპოლია და აპოკოია).....	5
ბესო გაფრინდაშვილი, ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს ისტორიიდან.....	18
ოთარ ჟორდანია, სოხუმის ქართული სკოლის ისტორიის საკითხისათვის (1910-1917 წწ.) ნიკო ჯანაშიას დაბადების 140 წლისთავის გამო	28
გვანცა ბურდული, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წ.).....	37
არქეოლოგია	
კიაზო ფიცხელაური, ერთი მითითება სახელმწიფო ინსტიტუტის ჩამოყალიბების საფუძვლების შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში.....	45
თამაზ ჭელიძე, დავით ოდილაძე, კიაზო ფიცხელაური, არქეოგეოფიზიკა – ახალი პერსპექტივები.....	50
კოტე ფიცხელაური, იორ-ალაზნის აუზის ძვ. წ. II-I ათასწლეულთა სატაძრო კომპლექსებზე დადასტურებული ერთი ტრადიციის შესახებ	61
ეთნოლოგია	
ლია მელიქიშვილი, კონფლიქტოლოგიის ეთნოსოციოლოგიურ სათავეებთან....	65
ხალხმების ისტორია	
მარიამ დიდებულიძე, თამარის დროის კედლის მხატვრობის პროგრამების ერთი იკონოგრაფიული თავისებურება.....	77
კავკასიის ისტორია	
ვაჟა ლორთქიფანიძე, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები კავკასიაში (კონფლიქტების ანატომია)	89
წყაროთმცოდნეობა	
როინ მეტრეველი, იოჰან გიულდენშტედტი რაჭის შესახებ	97
ცნობები და შენიშვნები	
ზურაბ აბაშიძე, ქართული ენციკლოპედია.....	110
კუპალიანთა	
ვახტანგ გურული, ლევან ჯიქია, აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ნაშრომი „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობით“	118
ჩვენი იუბილარი	
ირმა რუხაძე, მისი ნიჭი, მოქალაქეობრივი გამბედაობა ყველაფერს ეყო, ყველაფერს გასწავდა (აკად. მ. ლორთქიფანიძის 90 წლისთავი).....	127
ინტერვიუ	
კახა შენგელია, კავკასიის უნივერსიტეტი.....	136
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	
ალექსანდრე დაუშვილი, საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორების წინააღმდეგ	137
ძროწია და ინფორმაცია	
სამეცნიერო კონფერენციები	149
ახალი წიგნები	151
მეცნიერის ბახსენება	
ბუბა კუდავა, აკადემიკოსი ილია აბულაძე	152
გონელი არახაშია, პროფესორი თამაზ ბერაძე	158

TABLE OF CONTENTS

GEORGIAN HISTORY

Guram Lordkipanidze , Milet and Phasis in VI-V B.C. (Metropolis and Apoikia).....	16
Beso Gaprindashvili , From the history of the Nikortsminda Eparchy.....	26
Otar Zhordania , For the History of Georgian School of Sokhumi 1910–1917 (For the 140 th birth anniversary of Nikoloz Janashia).....	36
Gvantsa Burduli , Struggling for restoring the Georgian Church autocephaly at the 1906 session of the pre-meeting of the Russian Church Assembly.....	44

ARCHAEOLOGY

Konstantine (Kiaso) Pitskhelauri , A Notion on Formation of the State Institution in the East Georgia	49
Tamaz Chelidze , David Odilavadze , Kiaso Pitskhelauri , Archaeogeophysics – new perspectives	60
Konstantine (Kote) Pitskhelauri , On a Tradition Corroborated at the Temple Complexes of the 2 nd -1 st Millenia B.C. in the Iori-Alazani Basin.....	64

ETHNOLOGY

Lia Melikishvili , Ethno-Sociological Roots of Conflictology	74
---	----

ART HISTORY

Mariam Didebulidze , Iconographic peculiarities of the wall painting programs in the reign of Queen Tamar	87
---	----

HISTORY OF CAUCASUS

Vazha Lordkipanidze , Ethno-political conflicts in the Caucasus (Anatomy of conflicts)	96
--	----

SOURCE STUDY

Roin Metreveli , Johann Güldenstädt about Racha	108
--	-----

REFERENCES AND COMMENTS

Zurab Abashidze , Georgian Encyclopedia.....	116
---	-----

PUBLICATIONS

Vakhtang Guruli , Levan Jikia , Works of academician Aleksander Javakhishvili – “South West Georgia by discriptions of Vakhushti Bagrationi”.....	126
--	-----

THE JUBILAR

Irma Rukhadze , For the 90 th birthday of an academician Mariam Lordkipanidze	127
---	-----

OUR INTERVIEW

Kakha Shengelia , The Caucasus University	136
--	-----

CRITICISM AND BYBLIOGRAPHY

Alexander Daushvili , Against Falsification of Georgian History	147
--	-----

CURRENT EVENTS AND SCIENTIFIC INFORMATIONS

Scientific conferences	149
New books	151

FOR THE MEMORY OF THE SCIENTIST


Buba Kudava , Academician Ilia Abuladze.....	156
Goneli Arakhamia , Professor Tamaz Beradze	158

გურამ ლორთქიფანიძე

მილეტი და ფასისი ძვ.წ. VI-V სს.
(მეტროპოლია და აპოლინია)

ძვ. წ. VII-V სს. მილეტი (Μίλητος) ანტიკური სამყაროს ერთ-ერთ უმდიდრეს, პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მძლავრ ქალაქ-სახელმწიფოს, პოლისს წარმოადგენდა. მისი ეკონომიკურ-კულტურული აღმავლობა ძვ.წ. VII-V სს-დან მოდის. ის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა არამარტო თავად ბერძნული ცივილიზაციის განვითარების საქმეში, არამედ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მეზობელი ანატოლიის, მცირე აზიის ქვეყნებზე, მათ შორის ლიდიაზე, კარიაზე თუ მიდია-ირანზე. გახლდათ რა იონიის პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი, ის აკონტროლებდა საზღვაო კომუნიკაციებს. განსაკუთრებით გაიზარდა მისი მნიშვნელობა „დიდი ბერძნული კოლონიზაციის“ მეორე ეტაპზე ძვ.წ. VII-VI სს-ში, ამ დროისათვის მილეტელებმა შავიზღვისპირეთის სანაპიროზე დააარსეს 90-მდე ახალშენი. მათ შორის აღსანიშნავია: სინოპე, ისტრია, ტომი, ოლბია, პანტიკაპეი, ფასისი (დღ. ფოთი), დიოსკურია (დღ. სოხუმი), ჰერაკლეა (ანაკლია) და სხვ. მათ მჭიდრო პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ მეტროპოლიასთან (Roebuck C., 1985, pp. 20-148; Кобилина М.Н., 1965 сс. 12-47. DNP, 8, 2000, s.v. Milet., pp.165-180). თავისი კოლონიების მეშვეობით და მძლავრი ფლოტის წყალობით მილეტი საზღვაო იმპერიად გადაიქცა. მისი ესოდენ შთამბეჭდავი დანიშაურება მეტად ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა. ის განლაგებული იყო აზიისა და ევროპის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის საზღვაო-სახმელეთო გზების თავშესაყარზე; ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში, მდ. მეანდრის შესართავთან, ნაყოფიერ ხეობაში (სურ. 1). ნიშანდობლივია, რომ „ისტორიის მამა“ – ჰეროდოტე (ძვ.წ. 484-425 წწ.) მას „იონიის მარგალიტი“-ს სახელით მოიხსენიებდა (Herod.; I, 142; V, 28). ჩრდილოეთიდან მას ჰერაკლიის ყურე ესაზღვრებოდა, ხოლო დასავლეთი მხრიდან წყალუხვი მდინარე მეანდრის (თურქ. მენდერესი) შესართავი. მილეტის სავაჭრო-ეკონომიკურ პოტენციალზე მეტყველებს არქეოლოგიური მონაცემები. ნახევარკუნძულზე განლაგებულ ხალხმრავალ ქალაქს, ბუნებრივად კარგად დაცული ხუთი ნავსადგური ემსახურებოდა. აქ იდგა ქალაქის მფარველის აპოლონის სიმბოლო – მწოლიარე ლომის სკულპტურული გამოსახულება (სურ. 2). მილეტს ასევე კარგად დაგეგმარებული ურთიერთგადაამკვეთი ქუჩები, მოედნები, საცხოვრებელი

295



სურ. 1. მილეტი (იონია) და ფასისი (კოლხეთი), მეტროპოლია და აიპოკია.


სახლები, ქულბაქები სახელოსნოები და გემსაშენი ქონდა. მთავარი სალოცავი აპოლონ დელფონელის (ἌΠὸλλων Δελφῶν) სახელზეა აგებული, რომლის დელფოს სამისნოს რჩევით მილეტელებს ფოთი – ფასისი (ῥῥῥῥ) უნდა დაეარსებინათ (დანვ. 2 გვ. 7-21). აპოლონი მილეტ – იონიაში ქალაქის მცველად, კოლონისტების, მეზღვაურებისა და ვაჭარ-მოგზაურთა მფარველ ღვთაებად მიაჩნდათ. შესაბამისად მას ახლადდაარსებულ სავაჭრო ფაქტორიებში, მათ შორის ფასისშიც (36 pp. 65-66) სათანადო პატივს მიაგებდნენ. ჩრდილომავიზღვისპირეთში, კერძოდ ჩერქეზეთში (ყუბანში) XIX ს-ის მიწურულში, I საუკუნის სარმატულ ე.წ. „ზუბოვის ყორღანში“, აღმოჩნდა უთუოდ ფასისიდან, აპოლონის ტაძრიდან გატაცებული ფილა (სურ. 4). 20 სმ დიამეტრისა და 3 სმ სიმაღლის ე.წ. ჭიპიანი (ომფალოსიანი) ვერცხლის საწესო თასი, შემკული პითონისა და 13 ირმის თავის გამოსახულებებით (31. c. 114. τ. XXI). კიდეს,



სურ. 2. მნოლიარე ლომი. მარმარილო; მილეტი; ძვ.წ. VI ს. მილეტის სახელმწიფო ემბლემა; აპოლონის, ქალაქის მფარველის ატრიბუტი.

თასის ქობას შემოუყვება ამოჭრილი, ბერძნული ენის იონურ დიალექტზე შესრულებული წარწერა: „აპოლონ ნინამძლოლის („ჰეგემონის“) ვარ, რომელიც ფასისშია“ (25 გვ. 10). თასი ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებით თარიღდება (45 pp. 75, 76, pl. 14b). ფასისი, რომლის ზუსტი ადგილმდებარეობა ჯერაც არ არის დადგენილი (22; გვ. 197; 23; გვ. 188, 192; 7 გვ. 20, 27, 33). ძველი ავტორების თანახმად, ის ფასისის (რიონის) შესართავსა და პა-

ლიასტომის ტბას შორის მდებარეობდა (სურ. 3), დღევანდელი ფოთის აღმოსავლეთით. ჰიდროარქეოლოგიურმა კვლევამ ბიზანტიური ხანის ფასისთან დაკავშირებული არტიფაქტები პალიასტომის ტბაში დააფიქსირა (5; გვ. 75 -79). გეოგრაფიის მამა სტრაბონი, ძველი და ახალი საუკუნეების მიჯნაზე აღნიშნავდა: “მდინარე ფასისზე მდებარეობს მისი მოსახლე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი (ბერძ. “ემპორიონი”) გარშემორტყმული მდინარით, ტბითა და ზღვით” (Strabo, Georg. XI, 2, 16-17, 3-4). ასეთივე განლაგება ჰქონდა მის მეტროპოლიასაც – მილეტს, რომელიც ეგეოსის ზღვის მიერ ხმელეთში ღრმადშემოჭრილ ჰერაკლეს ყურესა და მდინარე მენადრის შესართავს შორის მდებარეობდა. ასეთი ყურე რომ ფასისთან არსებული პალიასტომის ტბის სახელწოდებაც (ბერძ. παλῆστος ἄρκυς) ანუ „ძველი ყურე, შესართავი“ მონიშნავს.



სურ. 3. თანამედროვე ფოთის და პალიასტომის ტბის ტოპოგრაფიული გეგმა.

არ არის გამორიცხული, რომ აქ მდებარეობდა მილეტელთა ფასისი. გეომორფოლოგიური მონაცემებით, დღევანდელი ტბის ადგილას ყურე არსებულა. ყოველ შემთხვევაში, ამასთან დაკავშირებით აგათია სქოლასტიკოსთან (ახ.წ. VI ს) პირდაპირი მინიშნებაა: „იქ ხომ ერთი ტბა არის, რომელსაც პატარა ზღვას ეძახიან და რომელიც ევქსინის პონტოს უერთდება“ (Agath. III, 21). ამას პალიასტომის ტბის დიდი მლაშეანობაც და ზღვის ფაუნაც მონიშნავს (33. გვ. 57. 4 გვ. 30. 6, გვ. 24). მილეტურ-კოლხურ კულტურულ-ეკონომიკურ კონტაქტებს იმდენად ინტენსიური ხასიათი ჰქონია, რომ აისახა კიდევ ქართულ სალიტერატურო ენაზე. დღემდე გამოიყენება ხატოვანი გამოთქმა – იდიომა „მილეთის ხალხი“ (27; გვ. 660), როგორც მოსახლეობის სიჭრელისა და მრავალრიცხოვნო-



APDAAA NGHIF MONGE IHT ON GALL

სურ. 4. ვერცხლის ფასისური თასი. ბერძნული წარწერითა და აპოლონის სიმბოლიკით (ირმის თავები, პითონი) შემკული. ძვ.წ. V ს შუა წლები.


ბის მაჩვენებელი. თავის მხრივ ბერძნულ ენაშიც დამკვიდრდა სიტყვა Φῦσις ἢ ἄφωξ ანუ ფასისური ჩიტი, ფრინველი, ხობობი (Liddel, Scott's. 1953. p.752). „ლეოგორეს ფასიანურები“, „ფასანური ჩიტები“ არისტოფანესთან სიმდიდრის, ფუფუნების მაჩვენებელი გახლდათ (Kroll M. Der Fasa. 1957. pp. 10,11) ძვ.წ. V-IV სს ათენში, იმ ქალაქში, სადაც არისტოტელეს თანახმად, ათენელი სახალხო ორატორები ფასისელებთან ლაყბობაში ატარებდნენ დროს (Arist., Fr. 83). ამ დროისათვის ფასისი თავისი მეტროპოლიის მილეტის საერთაშორისო საზღვაო ვაჭრობის მნიშველოვან პორტს წარმოადგენდა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში. ჩანს, რომ ბერძნების დიდ დაინტერესებას იწვევდა ადგილობრივი იაფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები, ნედლეული – ლითონი, გემთსაშენი ხე-ტყე და სხვ. (23. გვ. 103-110). თუ როგორი იყო ფასისის სახელმწიფო მონყობა და სტატუსი დავის საგანია (34 გვ. 41-44; 17; გვ. 24,25). ეჭვს აღარ იწვევს ფასისის მიერ მილეტური სტანდარტების შესაბამისად, ფასისში, ძვ.წ. VI ს ბოლოსა და V ს მოჭრილი ვერცხლის მონეტების (10. გვ. 15; 8. გვ. 30) გამოშვება, სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია! ბერძენ-რომაულმა „ხსოვნის ხელოვნებამ“ – მნემონიკამ, კერძოდ პომპონიუს მელას (ახ.წ. I ს) „ქვეყნიერების აღწერამ“ ერთი ასეთი ცნობა შემოგვინახა: „იქ, სადაც მთავრდება ბოსფორიდან დაწყებული სანაპირო, ნაპირის მოხრილობა, ცხოვრობენ კოლხები, აქ მოედინება მდინარე ფასისი და მდებარეობს ამავე სახელწოდების ქალაქი, დაარსებული თემისტაგორა მილეტელის (Themistagora Milesio) მიერ (Pomp. Mela. De chrogar. I, 108). ფასისის აღწერისას ის არ მოიხსენიებს აპოლონის ტაძარს ფრიქსეს „templum et lucus“-თან ერთად. როგორც ჩანს, ის ამ დროისათვის ფიზიკურად აღარ არსებობდა (სარმატული, I საუკუნის ყორღანულ სამარხში ნაპოვნი თასი, აპოლონის ტაძრის ხელყოფის მაჩვენებელია).

გარდა ამისა, ფასისთან მილეტელთა მიერ ახალშენის დაარსების ფაქტი არაერთხელ არის მოხსენიებული წერილობით წყაროებში (23. გვ. 189-192; 5. გვ. 72,73). ჩანს ფასისის მჭიდრო კონტაქტები მეტროპოლიასთან, მილეტსა და იონიას შორის. არისტოტელედან მომდინარე ინფორმაცია, მიუხედავად მისი ფრაგმენტულობისა, საყურადღებო ცნობებს შეიცავს. მან 158 ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოს წყობილების განხილვისას ყურადღება მიაქცია „ფასისის პოლიტია“-ს (დანერ. იხ. 25. გვ. 189-195; 13. გვ. 28; 22. გვ. 142-147; 23. გვ. 188, 189). მართალია, ეს ფრაგმენტი მხოლოდ ძვ.წ. I ს-ის ავტორთან პერაკლიდესთან კომპილაციებში შემოინახა, მაგრამ ის იმდენად უტყუარია, რომ საჭიროა კიდევ ერთხელ გახსენება. მიუთმეტეს, რომ ფსევდო-სკილაქს კორიანდელთან (ძვ.წ. IV ს), რომლის ნაშრომი პრაქტიკული დანიშნულებისაა (განკუთვნილია ვაჭარ-მეზღვეურთათვის), ნათქვამია: „კოლხების ქვეყანაშია მდინარე ფასისი და ელინური პოლისი ფასისი“ (Ps. Sc. As. 81). შესაბამისად, სავსებით რეალურია, რომ ამ ბერძნულ ახალშენს – ქალაქ ფასისს თავისი „პოლიტია“, საქალაქო მართვის სახელმწიფოებრივი ორგანოების ჩამოყალიბებული სისტემა გააჩნდა, მათ შორის საქალაქო ხაზინა.

არისტოტელეს „პოლიტიკას“ განხილვისას მისი კომპილატორი ჰერაკლიდეს ლემბოსი (ძვ.წ. II ს) ფასისის სახელმწიფო მოწყობის მხოლოდ იმ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც თანამედროვეთა ყურადღებას მიიპყრობდა. კერძოდ, ის მიგვანიშნებს: „თავდაპირველად მილეტელების დასახლებაში ფასისის შესართავში, სულ სხვები, პენიოხების „არასტუმართმოყვარე“ ველური, კაციჭამია – „ადამიანების მჭამელი ტომი“ ცხოვრობდა (Heraclidis Lembii; XVIII; Braund D., 1994, pp. 75,76). ამ პენიოხების ქვეშ, რომლებიც ფასისის შესართავთან ცხოვრობდნენ, უპირაინა ლაზები ვიგულისხმობთ. კლავდიოს პტოლემეისი (ახ.წ. II ს) გვამცნობს: კოლხეთის შავიზღვისპირეთში ლაზები ცხოვრობენ, ხოლო მათ ზემოთ მეგრულ-ეგრისელებია. „მანრალები (Μέγρλοι) და (εγκρητικηϋ Χάρειϋ) ეგრუკტიკების ქვეყანა (Ptol. Geogr. IX, 5). აბორიგენების საპირწონედ, მილეტელები იმდენად „სტუმართმოყვარენი“ არიან, რომ ზღვაზე მომხდარ უბედურ შემთხვევაში მოხვედრილ ადამიანებს, მათ ვისაც გემი ჩაეძირა ფასისის აკვატორიაში, შემწეობას უჩვენენ, აძლევენ საჭირო ნივთებს, ფულს (სამ მნას) და უკან სახლში აბრუნებენ. ცხადია ასეთ დანმარებას ფასისელები, მხოლოდ თავისი მეტროპოლის, მილეტის მოქალაქეებს თუ გაუნევედნენ პოლისებისათვის დამახასიათებელი „საზოგადოებრივი სტუმართმოყვარეობის“ ფონდიდან. როგორც ჩანს, მილეტსა და ფასისს შორის ასეთი ურთიერთობები საკანონმდებლო აქტებით რეგულირდებოდა (დანვრ. იხ. 19. გვ. 141-145). ფასისელების მიერ მილეტის მოქალაქეებისათვის გამოიყოფოდა „სამი მნა“ ანუ სამასი დრაქმა.

ამგვარად, ფასისი თითოეულ გადარჩენილ მილეტელს 300 დრაქმას აძლევდა. თუ გავიხსენებთ, რომ ამ ფასად შეიძლებოდა რამოდენიმე მონის ყიდვა, ხოლო მეზღვაურის დღიური გასამრჯელო 1 დრაქმას (4,3 გრ. ვერცხლი) შეადგენდა, გასაგები გახდება ქალაქ ფასისის ფინანსური შესაძლებლობები, რაც ხაზინის შემოსავლებით განისაზღვრებოდა.

ძვ.წ. VI ს. არქეოლოგიური მასალები საქართველოს ზღვისპირეთიდან ადასტურებენ მილეტელების, იონიის სხვა ქალაქ-სახელმწიფოების სავაჭრო-ეკონომიკურ აქტივობას, რეგიონში მილეტური სასაქონლო პროდუქციის კოლხეთში გავრცელებას (22. გვ. 195-201). აღსანიშნავია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ღვინო, ზეთი) გადასატანი ტარა (ამფორები), სუფრის ჭურჭელი, ჭრაქები, სამკაული და სხვ. (15. გვ. 61-63; 24. გვ. 118. 164. 165). ჩანს, საქართველოს ზღვისპირეთში, ფასისში ძვ.წ. VII-VI სს-ის განვითარებულმა სასაქონლო წარმოებამ, რასაც „დიდმა ბერძნულმა კოლონიზაციამ“ შეუწყო ხელი, გამოიწვია ალბ-მიცემაში მონეტის, გასაყიდი საქონლის საყოველთაო ექვივალენტების გამოყენება. თუ თავდაპირველად ისინი მილეტის მონეტებით, კიზიკინებით, ინტერლოკალური ელექტრუმის და ვერცხლის მონეტებით იყვნენ წარმოდგენილი, შემდგომ ძვ.წ. VI ს-ის მინურულიდან ფასისმა თავად დაიწყო საქალაქო მონეტების მოჭრა. ისინი, ე.წ. კოლხური თეთრები, სულ მალე გახდა ყიდვა-გაყიდვის, ნამატი პროდუქტის, სიმდიდრის დაგროვების საშუალება (20. გვ. 18-19). ამაზე ნათლად მეტყველებს 1910 წელს ფასი-




სურ. 5. კოლხური ვერცხლის მონეტები (ფასისი) აპოლონისა და მისი სიმბოლოების გამოსახულებით; ძვ.წ. VI-V სს (ლომები, სავათები)

მილეტური იერის მონეტები. აქ მრავალწლიანი გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნუმიზმატიკური ძეგლები, მათ შორის სამონეტო განძები, უთუოდ ასახავენ გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ფასისის უახლოეს რეგიონში. ფიჭვნარის ნეკროპოლზე აღმოჩენილია ძვ.წ. V-IV სს-ის სირაკუზში, კიზიკში, პანტიკაპეონში, ნიმფეში, თეოდოსიაში, სინოპეში მოჭრილი მონეტები. ნიშანდობლივია, რომ რაოდენობის მიხედვით მათ შორის პირველ ადგილზე კოლხური თეთრებია. მანამდე ცნობილ „კოლხური თეთრის“ ნახევარდრაქმიან ნომინალებს დაემატა ძვ.წ. V სს-ის კოლხურ სამაროვანზე აღმოჩენილი ზუთი უკინესი საფასი, „კოლხური თეთრის“ – დრაქმის 1/48 ნაწილი – ჰემიტეტრატემირიონი (11 გვ. 125-129), რომელთა წონა 0,150 გრამსა და 0,110 გრამს შორის მერყეობს. მათ უეჭველად წვრილი, ხურდა ფულის დანიშნულება ჰქონდა, რაც მართლაც საქალაქო განვითარებული ფულად-სასაქონლო ურთიერთობების მაჩვენებელია. მონეტების შუბლზე კოლხურებისათვის დამახასიათებელი აპოლონის თავის, მარჯვენა პროფილის გამოსახულებაა. ზურგზე ამოჭრილია მარჯვნივ მიმართული გრძელფეხა ფრინველის გამოსახულება (სურ. 5, 8). უნდა ვიფიქროთ, რომ ის ქალაქ ფასისის მფარველი ღვათაების საკულტო ფრინველია. ზუსტად ასეთი ფრინველის გამოსახულებაა ამოკვეთილი მილეტის ძვ.წ. 525-500 წლებით დათარიღებულ 0,28 გრ – 0,16 გრ ვერცხლის მცირე მონეტებზე (სურ. 6).

სის მიდამოებში აღმოჩენილი ე.წ. „ფოთის განძი“, რომელიც ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდება (10, გვ. 157). გადმოცემით, მასში I და II ტიპის კოლხური დიდრაქმებიც შედიოდა. ფასისში მოჭრილი ეს ვერცხლის საფასეები იმეორებენ ძვ.წ. VI ს მილეტის, საქალაქო მონეტების სიმბოლიკას, კერძოდ, მის სახელმწიფო გერბს (Πρῖστρυς) – თავემობრუნებული მწოლიარე პირდაღრენილი ლომი (სურ. 5). როგორც აღნიშნავენ ნუმიზმატები (8; გვ. 37), კოლხური თეთრებისათვის დამახასიათებელია ნომინალთა დიფერენცირებული სისტემა და ახლახან აღმოჩენილი უკინესი ერთეულების ემისია, მხოლოდ საქალაქო, პოლისური მიმოქცევისათვის დამახასიათებელი. ამ ასპექტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფიჭვნარი (ქობულეთი). საქართველოს ზღვისპირეთში, ფასისის მახლობლად გამოვლენილ ბერძენ კოლონისტთა ჯერ-ჯერობით ერთადერთ ძვ.წ. V-IV სს სამაროვანზე (14; 15; 16) აღმოჩენილია

ანალოგიურია, ფრინველის ზურგთან და მკერდთან განლაგებული რელიეფური წერტილები (ჯერადობის მანიშნებელი?), რადგან ჩვენში ამ ტიპის ფიჭვ-



სურ. 6. მილეტური ვერცხლის მონეტების უმცირესი ნომინალები, ფრაქციები; ლომისა და ფრინველის (სავათი) გამოსახულებებით; ძვ.წ. 525-500წლები; სტატერის 1/48 და 1/96 ნაწილები



სურ. 7. ბეჭედ-საბეჭდავები ვანის №24 სამარხიდან ფრინველების გამოსახულებით (სხვებზე ლომები და ხარის თავია ამოტიფრული. ძვ.წ. IV ს მესამე მეოთხედი (კაჭარავა დ., კვირკველია გ.).

სათვის, დღეს გადაშენების გზაზეა და წითელ წიგნშია შეტანილი. როგორც ჩანს, მილეტსა და ფასისში ისინი საკულტო ფრინველებად ითვლებოდნენ. სავათის გამოსახულება უნდა იყოს ვანის №24 სამარხში აღმოჩენილ ერთ-ერთ ბეჭედ-საბეჭდავებზე (სურ. 7), რომლის მაგვარი გამოსახულებებია კოლხური თეთრების, ნახევარდრაქმების მასიურ ემისიაზე. №24 სამარხში დაკრძალულია უმაღლესი რანგის, მმართველთა წრის წარმომადგენელი. ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. IV ს-ის მიწურულს გარდაცვლილი კოლხი დიდებულის (კაჭარავა დ. ხარაბაძეს. 2011; გვ. 25) სოციალური, მათ შორის რელიგიური პოზიციები, ქურუმის ფუნქციები ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მას ხელზე ოქროს, ვერცხლის და რკინის 6 ბეჭედი-საბეჭდავი ეკეთა (ფრინველების, ლომების და ხარისთავების გამოსახულებით), რითაც მფლობელი თავისი უზენაესი ნების დაფიქსირებას ახდენდა დოკუმენტებზე. იერარქიის უმაღლეს საფეხურზე,



სურ. 8. სავათი.

დიდ სოციალურ მდგომარეობაზე უნდა მეტყველებდეს №24 სამარხშივე აღმოჩენილი უნატიფესი აჟურული ოქროს თავსამკაული (სურ. 9), რომელზედაც ირმებთან ერთად გამოხატულია ლომები, ჩიტები, ბროწეულები და სხვა დაკავშირებული მზისა და ნაყოფიერების სიმბოლოები (21, გვ. 39).

ინგლისელმა მეცლევარმა მ. ვიკერსმა აღნიშნა ფიჭვნარის სამაროვანზე, ჯერ კიდევ 1969 წ. №12 სამარხში აღმოჩენილ მონეტების,

ნარული მონეტების ანალოგიები მანამდე არ ყოფილა ცნობილი, საჭიროდ ჩავთვალეთ შევჩერდეთ უახლეს სპეციალურ ლიტერატურაში არსებულ მათ აღწერაზე. ისინი იმდენად მცირე ზომისა არიან, რომ ექსპერტების აზრით, ძნელად ექვემდებარებიან განსაზღვრას. დგინდება მათი ზუსტი წონა. ისინი მიეკუთვნებიან მილეტური მონეტების უკნინეს ფრაქციას: სტატერის 1/48 და 1/96 (O'Nara, riohara@post.harvard.edu). Av. პირდაღებული ლომი, Rv. გრძელ ფეხებზე მდგარი ფრინველი – სავათი (oris tarda; ინგლ. Great Bustard; გერ. Trappe). ამ ფრინველის (სურ. 8) აღწერას იოანე ბაგრატიონიც იძლევა: „ის იქნების სიდიდით ინდაურის მამლისოდენ“ (1; გვ. 61), დამახასიათებელი ყოფილა ევრაზიის სასოფლო-სამეურნეო პეიზაჟების

ჰემიტეტრატუმორიონების რევერსის გამოსახულების სიახლოვე, ვანის №24 სამარხის ბეჭედ-საბეჭდავებთან. ცხადია, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ კოლხურ სახელმწიფოებრივ რელიგიურ სიმბოლიკასთან გვაქვს საქმე, რომელიც ბერძნულ-იონურ მილეტურ სამყაროსთან ამფლავნებს კავშირს.

ამ ტიპის მონეტები, მკვლევართა უმეტესობის აზრით, მილეტის ზარაფხანაშია მოჭრილი ძვ.წ. 525-500 წლებში. ისინი სტატერის 1/48 და 1/96 ნაწილს შედაგენენ. ნუმიზმატიკისათვის ასეთი ტიპის 20-მდე მონეტაა ცნობილი (სურ. 6). ძვ.წ. V ს-ის ბოლომდე, სანამ სპილენძის მონეტები მოიჭრებოდა, წვრილი ზურდა ფულის როლს ყოველდღიურობაში ეს ვერცხლის ნომინალები ასრულებდნენ. ისინი უმაღლესი სინჯის ვერცხლისაგან არიან მოჭრილი. ბერძნულ მითოლოგიაში ფრინველები ზესკნელისა და ქვესკნელის დამაკავშირებლების როლში გვევლინებიან (35, p. 199). არისტოფანეს ცნობილ კომედიაში – „ფრინველები“, რომელიც პირველად ათენში ძვ.წ. 414 წელს დაიდგა (ბერძენიშვილი ლ. 2007 გვ. 93-200), მათ დელფოს აპოლონის სამისნოს დამახასიათებელ ატრიბუტებად წარმოადგენდნენ. დიდი იყო მათი მნიშვნელობა მკითხაობის დროს, როგორც „წინასწარმეტყველი ფრინველებისა“. ასეთი საკულტო დატვირთვა უნდა ქონდეს მილეტისა და ფასისის მონეტებზე გამოსახულ სავათებს. ისინი შესაძლებელია აპოლონ-არტემის-ჰეკატას დავუკავშირო (შეად. 38., გვ. 860-862).



სურ. 9. ოქროს აფურული თავსაძკაული ვანის №24 სამარხიდან ძვ.წ. IVს.

მეცნიერები ფასისის ზარაფხანაში გამოშვებულ მონეტებში სულ რვა ტიპს გამოყოფენ. თავდაპირველად ფასისი ფულს მილეტური სანონი სისტემის შესაბამისად ჭრიდა, რომელშიც სტატერი 13 გრამს იწონიდა. მილეტის, ძვ.წ. 594 წელს სპარსელების მიერ განადგურების შემდეგ სპარსულზე და ბოლოს ძვ.წ. V-IV სს-ის ათენურ სამონეტო სისტემაზე გადადიან (9, გვ. 15-17). როგორც ჩანს, სამონეტო სისტემების ასეთი ცვლა საერთაშორისო ვაჭრობის კონიუნქტურაზე იყო დაფუძნებული.

ძვ.წ. VI-IV სს ქალაქი ფასისი და კოლხეთი აქტიურად არიან ჩართული (36; pp. 118-121) სასაქონლო-ფულად ურთიერთობებში ანტიკურ სამყაროსთან. მისი მეშვეობით ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოში მილეტური სასაქონლო პროდუქცია და კოლხური ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი. ამ თვალსაზრისით მილეტი იონიაში, ხოლო ფასისი კოლხეთში, ტიპიურ „თალასურ“ ზღვიურ, საკომუნიკაციო ცენტრებს წარმოადგენდნენ.

ბიბლიოგრაფია:

1. იონანე ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და ა. კიკნაძემ. გამ. „მეცნიერება“. თბ., 1986.
2. მ. ბერძნიშვილი, ფასისის ისტორიისათვის. გამ. „მეცნიერება“. თბ., 1969.
3. დ. ბრაუნი, ინდოელი ვაჭრები ფასისში. კრ. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში; ჟურ. ძიებანი, დამ. I, თბ., 1999.
4. გ. გამყრელიძე, ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი. „მეცნიერება“. თბ., 1993.
5. გ. გამყრელიძე, კოლხეთი კულტურულ-ისტორიული ნარკვევები. გამ. „ლოგოსი“, თბ., 2000.
6. გ. გამყრელიძე, ნყალქეშა არქეოლოგია და ფასისის საიდუმლო. აია საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმანახი, 1. 2008, გვ. 24; 26-28.
7. გ. გრიგოლია, ქალაქ ფასისის ლოკალიზაციისათვის. კრ. „სამეცნიერო სესია მიძღვნილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაციის პრობლემებისადმი“ მოხსენებები. გამ. „მეცნიერება“. თბ., 1973.
8. გ. დუნდუა, თ. დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა I. თბ., 2006.
9. თ. დუნდუა, კოლხეთი ძვ.წ. VI-IV სს; ბერძნული ახალშენები დასავლეთ საქართველოში. გამ. „უნივერსალი“. თბ., 2009.
10. გ. დუნდუა, ი. ჯალალანია, ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბ., 2009.
11. მ. ვიკერსი, ა. კახიძე, ი. ვარშალომიძე, კოლხური თეთრის ახალი ნომინალები; კრ. მიძღვნილი გ. ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი. თსუ გამომცემლობა. თბ., 2011.
12. მ. ვიკერსი, ქარონის ობოლი, კოლხური მონეტები და კოლხები. აკადემიკოს ო. ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები. საქართველოს არქეოლოგია საუკუნეთა მიჯნაზე. თბ., 2010.
13. მ. ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება. გამ. „მეცნიერება“. თბ., 1994.
14. ა. კახიძე, მ. ვიკერსი, საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია 1998-2002. ფიჭვნარი I. ბათუმი-ოქსფორდი, 2004.
15. ა. კახიძე, ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში. ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი. ფიჭვნარი II. ბათუმი-ოქსფორდი 2007.
16. ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე, ელინიზმი და კოლხეთი. ფიჭვნარი III. ბათუმი-ოქსფორდი 2010.
17. გ. კვიციანი ბერძნული ვაჭრობა ჩრდილო და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთსა და ადგილობრივ საზოგადოებას შორის. კრ. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში. თბილისი 1999.
18. ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1962.
19. გ. ლორთქიფანიძე, სტუმართმოყვარე ფასისელები; კრებული ეძღვნება ალ. ალექსიძის ხსენებას. ლოგოსი. თბ., 2000.
20. გ. ლორთქიფანიძე, გ. გერაძე, კოლხური თეთრი (კულტუროლოგიური ასპექტები). თბ., 2005.
21. დ. ლორთქიფანიძე, ოქრომრავალი კოლხეთი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2006, გვ. 59.

22. ო. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თსუ გამომცემლობა. თბ., 2002.
23. ო. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველო სტრატონის გეოგრაფიაში ახალი კომენტარები. თბ., 2010.
24. მ. ლორთქიფანიძე, არქაული და არქაიზირებული საბეჭდავი ბეჭდები ვანიდან. ვანი II. გამ. „მეცნიერება“, თბ., 1976.
25. თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნულ წარწერების კორპუსი. გამ. „ლოგოსი“, თბ., 2004.
26. კ. შმიდტი, ხმელეთი და ზღვა. მსოფლიო ისტორიული გააზრება. „ნეკერი“, თბილისი 2010; გერმანულიდან თარგმნა გიორგი თავაძემ.
27. ა. ჩიქობავა, ქაბაშვილი. ქართული განმარტებითი ლექსიკონი. თბ.
28. Р. Л. Беме, Р. Г. Жордания, Кузнецов. Птицы Грузии. Полевой определитель. «Сабчота Сакартвело». Тб., 1987.
29. М.М. Кобылина. Милет. «Наука», М., 1965.
30. М. П. Инадзе, Причерноморские города древней Колхиды., «Мещиереба». Тб., 1968.
31. Г.А. Лордкипанидзе, К истории древней Колхиды. «Ганатлеба». Тб., 1970.
32. Г.А. Лордкипанидзе, Греко-Колхидские взаимоотношения В VI-IV вв. до н. э. жур. Вестник древней истории №2. М., 1982.
33. Н. Шафранов, Образование Палиастома и его истока Капарча. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. вып. 2 Тифлис 1882.
34. В. П. Яйленко, Греческая колонизация VII-III вв. до н.э. «Наука». М., 1982.
35. J.C. Belfiore, Croyances et Symboles de E' Antiquite. Larousse, 2010.
36. D. Braund, Georgia in Antiquity. Clarendom Press, Oxford, 1994.
37. T. Cooke, The new cultural Atlas of the Greek world. London, 2009.
38. H. Cossen Trappe, Palys Realencyclopadie der classischen Altertums wissainschaft. Supplementband, VII. Stuttgart, Weimar 1956.
39. DNP. Der Neue Pauly. Enzyklopadie der Antike. Verlag J.H. metzler. Stuttgart. Weimar 2000.
40. D. Kacharava, G. Kvirkvelia, Recant Archaeological rings on the upper Terrace of the vani Site. BRILL; Ancient Civilization from Scytia to Siberia; 2009.
41. J.O'Hara Robert, Ancient Greel coins of Minetus. the Smallest Lion/Bird coins (Ancient Coinage of Miletos) (rjohara@post.harvard.edu).
42. C. Roebueck, Jonian trade and Colonisation. N-Y 1959.
43. C. Roeburck, Jonian trade and Colonisation., Chicago, 1985.
44. Seltman. Greek coins. Methuen coltd. London 1965.
45. D.E. Strong, Greek and Roman; Gold and Silver plate. Methuen, London, 1979.

GURAM LORDKIPANIDZE

**MILET AND PHASIS IN VI-V B.C.
 (METROPOLIS AND APOLIKIA)**

Summary

The most important colony (apoikis in Greek) of a town-state Milet, located at the East of the Black sea coast (Kolkhida) was Phasis, which nowadays is a Georgian town Poti (figures 1,3). Political and economical interests of the Metropolis, Milet and its colony Phasis are manifested the most evident way in archeological materials found in Phasis vicinity (ceramic bottles and jars, amphoras intended for wine, olive oil, cereals, etc.), dating back to the very beginning of VI century B. C. To deal successful trade bargains with the Metropolis it was started minting of various nominal silver coins in Phasis at the end of VI–V centuries B. C. The coins were minted by the Ionic Milet weight system, with usage of “the city arms” (paracemon in Greek), which were related with Apollo Hegemon cult, which was considered protector of the colonists (figures 4,5,6).

Analogical images were close to local inhabitants. Lions, sacred birds were represented at seal-rings from rich funeral of Vani ancient settlement, dating back to IV century B. C. (figure 7). By written sources (Aristotle and others) inhabitants of Milet being citizens of Metropolis enjoyed special privileges in Phasis. For example, if they suffered a shipwreck within the town water areas they were given three hundred silver drachmas and carried home.

It is most likeable that such “a public hospitality”, which was so inherent for Greek towns was regulated by “politia facians» (Arist. XVIII). The coins minted in Kolkhida had been main payment instrument in the Western Georgia for a number of centuries.

ГУРАМ ЛОРДКИПАНИДЗЕ

**МИЛЕТ И ФАСИС В VI-V В.В. ДО Н. Э.
 (МЕТРОПОЛИЯ И АПОИКИЯ)**

Резюме

Наиболее важной колонией (греч. – апоикас) города-государства Милета в Восточном Причерноморье (Колхида) являлся Фасис, современный город-порт Поти (рис. 1,3). Политико-экономические интересы метрополии, Милета и ее колонии Фасиса наиболее четко проявились в археологических материалах из близлежащих окрестностей Фасиса (керамическая тара, амфоры для перевозки вина, оливкового масла, зерновых и др.), восходящие к самому началу VI века до

ნ. ზ. Для ведения успешных торговых операций с метрополией, в Фасисе в конце VI-V в.в. начали чеканить по ионической-милетской весовой системе серебряные монеты различных номиналов, с использованием символов «городского герба» (греч. парасемон), связанных с культом Аполлона Гегемона, покровителя колонистов (рис. 4,5,6).

Аналогичные образы отнюдь не были чужды местному населению. Львы, священные птицы изображены на перстнях-печатках из богатого погребения Ванского городища IV в. до н. э. (рис. 7). По свидетельству письменных источников (Аристотель и другие) граждане метрополии, милетяне в Фасисе пользовались особыми привилегиями. Так, при кораблекрушении в акватории города им выдавали по триста драхм серебром и отправляли домой.

Вполне вероятно, что «общественное гостеприимство», столь характерное для греческих полисов, регулировалось «политией фасианов» (Arist. XVIII). «Колхидки», отчеканенные в Фасисе, на протяжении веков оставались главным платежным средством в Западной Грузии.

29053

განმარტებული

ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს ისტორიიდან

საქართველოს სამოციქულო ეკლესიას და მის დაქვემდებარებაში მყოფ საეპისკოპოსოებს, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. თითოეულ საეპისკოპოსოსს ჰქონდა თავისი საზღვრები და ცენტრალური ტაძარი (საყდარი), სადაც ეპისკოპოსის რეზიდენცია იყო განთავსებული. საეპისკოპოსოს საზღვრებში მცხოვრები მოსახლეობა მის სამწყსოს წარმოადგენდა. დრო და უამის ვითარებიდან გამომდინარე ზოგიერთი საეპისკოპოსო კათედრა უქმდებოდა და მათ ნაცვლად ჩნდებოდა ახალი საეპისკოპოსოები, ან გარკვეული პერიოდის შემდეგ ხდებოდა გაუქმებული საეპისკოპოსოების აღდგენა. საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების განვითარების პარალელურად, იცვლებოდა საეპისკოპოსოების სისტემური მოწყობაც. ადრექრისტიანულ ხანაში დაარსებული საეპისკოპოსო კათედრები, სტრუქტურულად განსხვავდებოდა განვითარებულ და გვიანფეოდალურ ხანაში შექმნილი საეპისკოპოსოებისგან.

გაძლიერებული მთავრებისა და თავადების წინააღმდეგ ბრძოლაში იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის მოკავშირე ეკლესია იყო (1510-1565 წწ). ეკლესიას დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში. ამიტომ ძლიერი მონარქები ყოველთვის ცდილობდნენ ეკლესია თავისი კონტროლის ქვეშ მოექციათ. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრები ქვეყნის ერთიანობის პრინციპს იცავდნენ და პოლიტიკური დაქუცმაცებულობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ამ მხრივ მეფისა და ეკლესიის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. მაღალი სასულიერო პირები „ღვთივ-გვირგვინოსანი“ მეფის გვერდით დგებოდნენ სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს სამეფო – სამთავროებად დაშლის შემდეგ, ეკლესიამ მეტნაკლებად ერთიანობა შეინარჩუნა (თუ არ ჩავთვლით აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოყოფას ერთიანი ქართული ეკლესიისგან XV ს-ის 70-იანი წლებში), ეკლესიის ერთიანობა კი საფუძველს ქმნიდა და იმედს უსახავდა საქართველოს გაერთიანების მოსურნეთ.

ეკლესია დიდი ყმა-მამულის მფლობელი იყო. საერო ფეოდალებს მისი მამულის დატაცებაზე ეჭირათ თვალი, მეფე კი ეკლესიის მიწებს იცავდა (12, გვ: 45).

XVI საუკუნის პირველ ნახევარში იმერეთის მხარეში, მხოლოდ ქუთაისის საეპისკოპოსო არსებობდა. ჩანს, ქუთათელი ეპისკოპოსი უამთა ვითარების გამო ვეღარ ახერხებდა მომძლავრებული ფეოდალებისაგან საქუთათლო ყმა-

მამულის დაცვას. ფეოდალების მიერ საეკლესიო მიწების მიტაცება და სამემკვიდრეოდ დასაკუთრება, სამეფო ხელისუფლების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. მეფე ბაგრატმა ეკლესიის მფლობელობაში არსებული მიწების გადარჩენისა და თავისთვის პოლიტიკური დასაყრდენის გაჩენის მიზნით, აფხაზეთის კათალიკოს მალაქია აბაშიძესთან (დაახლოებით 1519-1540-იანი წწ.) შეთანხმების შემდეგ, გადაწყვიტა, იმერეთში ახალი საეპისკოპოსო კათედრები დაეარსებინა.

ეპისკოპოსი, როგორც ბერ-მონაზონი, უმეტეს შემთხვევაში, მიწების მიტაცებასა და მის სამემკვიდრეოდ დასაკუთრებაზე არ ზრუნავდა. ამ მხრივ ის სამეფო ხელისუფლებას პრობლემებს არ უქმნიდა. პირიქით, როგორც აღვნიშნეთ, ეპისკოპოსები ძირითადად მეფის ერთგულნი იყვნენ და მხარში ედგნენ სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეპისკოპოსის პატივს ფეოდალურ საქართველოში დიდგვაროვანი წრიდან გამოსული სამღვდელი პირები იღებდნენ, ამიტომ საეპისკოპოსოების დაარსებით მეფე თავის ერთგულ ფეოდალთა დასს ქმნიდა (12, გვ: 45).

ნიშანდობლივია, რომ XVI საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოს რამდენიმე საეპისკოპოსო კათედრაზე (დაახლოებით ზუთზე), ერთდროულად ერთი და იგივე გვარის წარმომადგენლები – ჩხეტიძეები ისხდნენ. (11, გვ: 206) ჩანს იმ ხანად ჩხეტიძეების საგვარეულო მეფე ბაგრატ III-ისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა.

1529 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-ემ ქუთაისის საეპისკოპოსო სამად გაყო. საქუთათლოს გამოეყო გელათისა და ხონის საეპისკოპოსო კათედრები. გელათის პირველი ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე გახდა, ხოლო ხონელის პატივი მანოელ ჩხეტიძეს ერგო (1, გვ: 493).

მეფე ბაგრატმა გელათის და ხონის საეპისკოპოსოების დაარსების და იმერეთში პოზიციების განმტკიცების შემდეგ, ყურადღება რაჭაზე გადაიტანა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1534 წელს: „ბაგრატ მეფემან დასუა ერისთავად რაჭას ჩხეიძე შოშიტა და მისცნა რომელნიმე სახასო დაბანი და ციხე მიწა, რამეთუ აქამომდე იყო რაჭა სამეფო და კუალად ჰყო საერისთოდ“ (2, გვ: 811).

რაჭის საერისთავო X-XI საუკუნეების ზღვარზე უნდა დაეარსებინა ერთიანი საქართველოს პირველ მეფეს ბაგრატ III-ეს. მანამ კი: „რაჭა შესაძლებელია შორაპნის (არგვეთის) საერისთავოს ნაწილი იყო“ (5, გვ: 46). რაჭის პირველი ერისთავი ბალვაშთა სახლის წარმომადგენელი – რატი ლიპარიტის ძე იყო.

კაცხის მონასტერში XX ს-ის 20-იან წლებამდე ინახებოდა ერთი ჯვარი, რომლის წარწერაში „რატი რაჭისა ერისთავი ძითურთ“ ღმერთს შეწყალებასა და დახმარებას თხოვს. ეს ჯვარი და მისი წარწერა აკად. გ. ჩუბინაშვილმა X ს-ის დასასრულითა და XI ს-ის დასაწყისით დაათარილა. ეს არის რაჭის საერისთავოსი და თვით რაჭის უძველესი წერილობითი მოხსენიება. თვით რატი კი რაჭის პირველი ერისთავი რატი ლიპარიტის ძეა.

1021 წელს ბიზანტია-საქართველოს ომში სოფელ შირიმთან, რაჭის პირველი ერისთავის რატი ლიპარიტის ძის დაღუპვის შემდეგ, საქართველოს მეფემ გიორგი I-მა (1014–1027) რაჭის ერისთავობა მის ძეს კახაბერს უბოძა, რომელიც 10 წლის შემდეგ ბერად აღიკვეცა კირილეს სახელით. გიორგი I-ის მემკვიდრემ, საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ემ (1027 – 1072) რაჭის საერისთავო კახაბერის ვაჟს – რატი კახაბერის ძეს გადასცა. აქედან მოკიდებული კახაბერისძე მამის სახელიდან გვარსახელად გადაიქცა, რომელსაც ბალღაშთა სახლის ის შტო ატარებდა, რომელიც რაჭაში იყო დამკვიდრებული.

XI ს-ის ბოლო პერიოდით დათარიღებულ ნიკორწმინდის მაცხოვრის ხატის წარწერაში ვკითხულობთ: „მე კახაბერ ყოფილმა კირილე... მოვქედე ხატი ესე სადღეგრძელებლად ძისა ჩემისა ერისთავთ-ერისთავისა რაჭის ერისთავისა რატისად“ (5, გვ: 46). წარწერაში მოხსენიებული რატი, რაჭის ერისთავი რატი კახაბერისძეა.

კახაბერისძეები რაჭის საერისთავოს XI საუკუნიდან მოყოლებული XIII საუკუნის 70-იან წლებამდე განაგებდნენ. ძველი რაჭის საერისთავოს უკანასკნელმა ერისთავმა კახაბერ კახაბერისძემ, რამდენჯერმე უღალატა ლიხთ-იმერეთის მეფე დავით ნარინს (1246–1259 წწ.) ერთიანი საქართველოს მეფე დავით ულუსთან ერთად (1259-1293 წწ. ლიხთ-იმერეთის მეფე) და მონღოლებს მიემხრო. გამოუსწორებელი შინაგამცემი კახაბერ კახაბერის ძე გახიზრებით დაისაჯა, მისი მემკვიდრეები კი საქართველოდან კონსტანტინოპოლში გადაასახლეს (9, გვ: 602). რაჭის საერისთავო გაუქმებულ იქნა.

XIV-XV-საუკუნეების მიჯნაზე რაჭის საერისთავო აღდგა და რაჭის ერისთავობა გარკვეული პერიოდით ჭარელიძეთა გვარის წარმომადგენლებს ეჭირათ. XV ს-ის ბოლოს საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. რაჭის საერისთავო იმერეთში შევიდა და მეფეს დაემორჩილა.

1534 წლიდან ბაგრატ III-ემ რაჭის საერისთავო აღადგინა და ერისთავობა ჩხეტიძეებს უწყალობა. რაჭის საერისთავოს ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო.

როგორც აღვნიშნეთ, ჩხეტიძეთა (შემდგომში ჩხეიძეთა) საგვარეულო, XVI ს-ის პირველ ნახევარში მეფისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა. ამით იყო განპირობებული იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მიერ ჩხეტიძეების დანიშნაურება და მათი წარმომადგენლების მაღალ საერო თუ საეკლესიო თანამდებობებზე ხელდასხმა.

რაჭაში ჩხეტიძეების გაერისთავების პარალელურად, ბაგრატ III-ემ აქ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა დააარსა.

როგორც ჩანს, რაჭის მხარე ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსებამდე, ქუთაისის საეპისკოპოსოს საზღვრებში შედიოდა. (15, გვ: 11)

საფიქრებელია, რომ არგვეთსა და რაჭაში ქრისტიანობა ქართლიდან გავრცელდა, რასაც მონიშნავს სოფელ ჯოისუბანში არსებული VIII-IX საუკუნეებით დათარიღებული ეკლესიის სახელწოდება – მცხეთის წმინდა გიორგის ეკლესია. სოფელი მცხეთა არსებობდა ლეჩხუმშიც. „ორივე ეს გარემოება, ე.

ი. „მცხეთის“ არსებობა რაჭაში და ლეჩხუმში ცხადყოფს, რომ ქრისტიანობა ამ კუთხეებში აღმოსავლეთიდან, მცხეთიდან შესულა“ (5, გვ: 53). არ არის გამორიცხული რაჭა-არგვეთზე ნანილობრივ ქართლის საკათალიკოსოს გაღვლენა ერთიანი ქართული ეკლესიისგან აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოყოფის შემდეგაც შენარჩუნებულიყო. ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების შემდეგ კი ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი აფხაზეთის კათალიკოსს დაექვემდებარა.

ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ ცნობები შემონახულია ჩვენს ხელთ არსებულ ორ დოკუმენტში. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ნიკორწმინდის სიგელი, რომელიც წარმოადგენს ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვრის ანგარიშს, ნიკორწმინდისთვის შექმნილი ქონებისა და გაღებული შენირულებების შესახებ. მ. ბერძნიშვილის ვარაუდით, აღნიშნული სიგელი ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვრის მიერაა შედგენილი და ის უნდა დაენერათ 1071-1080 წლებს შორის (6, გვ: 32). სიგელი ტყავის ეტრატზეა შესრულებული, რომლის მეორე გვერდზე XVI ს-ის ნუსხურით, მანოელ ნიკორწმინდელის დავალებით, დეკანოზ მღვდელ-მონაზონ მარკოზს დაუნერია ცნობა, ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი თ. ჟორდანიამ შემოკლებული სახით შეიტანა „ქრონიკების“ II ტომში, ხოლო ს. კაკაბაძემ შეძლებისდაგვარად სრულად გამოაქვეყნა. მოვიყვანო ს. კაკაბაძისეულ ვარიანტს: „ღვთით გვირგვინოსანმან მეფემან ბაგრატ განაახლა და კ~დ (კიდით) აღაშენა ეკლესია წმიდის მღვდელთ მოძღვრის ნჭვის (ნიკოლოზის) მისდა სადღეგრძელოთ და გასამარჯვებლად... იგულისმოდგინა თვით მპყრობელმან მეფემან... მონასტერი ესე ეკლესიად და დამადგინა მე განმგედ და ეფისკოპოსად უღირსი და ცოდვილი მღვდელ მთავარი მანოელ და განუჩინეს რაჭის შესავალი და სასჯლო და საკურთხი ადგილნი დაბანი მათის სამართლიანის მზღვრითა რომელიც ამ ეკლესიის შემავალი არის საყანე და სანადირო და სათევზე სანისკვილო საჯოგე სათიბი ტყითა და ველითა მთითა და ბართა არას კაცის ძალით წანაღები და ნაუსამართლოველი არა არის მეფის იყო და მან დაიკლო წ~ის (წმიდის) ნიკოლოზის საყდარს შემოსწირა სარაჭოს... დაიწერა ქორონიკონსა ს ლ ვ: (236) ხელითა ფრიად ცოდვილისა... დეკანოზისა მღვდელ მონაზვნისა მარკოზისათა... ამის ყოველთა კიდეთა ქვეყნისათა პყრობელსა მეფისა ჩვენისა კურაპალატისა და მღვდელთ მთავარ ეფისკოპოზისა ჩვენისა მანოელ ნიკოლოზწმინდელისათა“ (4, გვ: 6).

ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ თარიღის აღმნიშვნელი ს და ლ (230) ცუდად იკითხება, ხოლო ვ (6) გარკვევით ჩანს. აქიდან გამომდინარე, მან აღნიშნული ქორონიკონი საეჭვოდ მიიჩნია.

მეორე დოკუმენტი გახლავთ ბაგრატ III-ის მიერ ნიკორწმინდისთვის ბოძებული სიგელი, რომელიც აგრეთვე ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს აღდგენას ეხება. სიგელი თ. ჟორდანიამ ნიკორწმინდის გუჯრებში იპოვა. დოკუმენტში გრძელი ღვთისმეტყველური წინასიტყვაობის შემდეგ ვკითხულობთ: „...ჩვენ ნებითა ღვთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა და შანშე

და შარვანშა მეფეთ მეფემან... ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ელენე ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და ხელეშყავით აღშენებადა დაკინებულისა მონასტრისა ნიკოლწმიდისა და შვექემენ საყდრად და და საეპისკოპოზოდა დავადგინე და წმიდა და ღმერთ შემოსილი მანოელ და... განუჩინეთ სამწყსონი და საკურთხნი თოთენდაურს მთას აქადა, ოკრიბის მთას აქადა, ნაკალოებსა აქადა, მუხურის მთას აქადა, კვეშელვას ერწოს საჯვარეს აქადა, მთა დვალეთისა, ღები, გლოლა, ყისონ გამომდინარე რიონი და სრულადა რაჭა ასკისწყალსა გამოღმა... რაც ამა სოფელსა და დაბასა გამოსავალი და ბეგარა გამოვიდოდეს ესენი სრულად წმიდასა მდელთმთავარ ეპისკოპაზასა ნიკოლწმიდელსა მიეზარებოდეს და არას კაცის ხელი არა მიხვდებოდეს... ვინცა მშელად და მაქცეველად გამოჩნდეს... კრულ.. (იყოს, ბ. გ.) აფხაზეთის კ-ზ პარიაქთა მადლითა და ქართლის კ-ზმ-ქთა მადლითა და მათთა მიმდგომთა მიტროპოლიტთა მთ-ეპისკოპოზთა და სხვათა ეპისკოპოზთა მადლითა... დაინერა ბრძანება და სიგელი ესე ჩვენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისა მეოთხესა ქს ს (ქორონიკონსა) ს კ ი ბ (1544) თვესა აგვისტოსა თ (9), ხელითა გიგი აბაშიძისათა ნებითა ღთისათა. ხეულად ბაგრატ. (4, გვ: 8)

ს. კაკაბაძემ ამ ორი დოკუმენტის შეჯერებით დაასკვნა, რომ ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს აღმდგენელი ბაგრატ მეფე, კურაპალატად წოდებული, არ არის იმერეთის მეფე ბაგრატ III, რომელიც მეფობდა 1510-1565 წლებში. 1544 წლით დათარიღებულ დოკუმენტში მათე ბაგრატიის მიერ აღნიშნულია: „ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისა მეოთხესა ქს ს. კ. ი. ბ (1544).“ აქედან გამომდინარე ს. კაკაბაძეს მიაჩნდა, რომ ბაგრატ კურაპალატი გამეფებულა 1541 წელს და უმოღვაწია 1548 წლის ჩათვლით. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომელიც 1548 წელს იმერთა მეფის ბაგრატ III-ის გარდაცვალებას ეხება, შეცდომად ჩათვალა, რადგან 1565 წლამდე არსებულ საბუთებში ბაგრატ III ცოცხალი ჩანს. ს. კაკაბაძის აზრით, ვახუშტი ბატონიშვილს უპოვნია 1548 წლის ცნობა, რომელიც ბაგრატ მეფის, კურაპალატად წოდებულის გარდაცვალებას ეხება და შეცდომით მიუჩნევია ბაგრატ III-ის გარდაცვალების თარიღად. ს. კაკაბაძის ვარაუდით, ბაგრატ მეფე კურაპალატად წოდებული უნდა ყოფილიყო რაჭა-არგვეთის მფლობელი, რომელსაც ქართლის დასავლეთი ნაწილიც ემორჩილებოდა 1541-1548 წლებში და რომლის მიერაც იქნა დაარსებული ნიკორწმინდის საეპისკოპოსო (გვ: 12-13).

ს. კაკაბაძის ვარაუდი სამეცნიერო წრეებში არ იქნა გაზიარებული. ძნელი დასაჯერებელია იმერეთის მეფე ბაგრატ III-ეს, რომლის გავლენა იმ პერიოდის დასავლეთ საქართველოსა და სამცხე-საათაბაგოზე ვრცელდებოდა, დაემუა ვინმეს გაბატონება რაჭა-არგვეთში. მოყვანილ დოკუმენტებში მოხსენიებული მეფე ბაგრატი, იგივე კურაპალატად წოდებული, იმერეთის მეფე ბაგრატ III უნდა იყოს.

თ. ჟორდანიამ მეფე ბაგრატიის მიერ ნიკორწმინდისათვის ბოძებული სიგელი, ს. კაკაბაძისგან განსხვავებით, 1534 წელს შედგენილად მიიჩნია. დოკუმენტში, სადაც საუბარია „ინდიკტიონსა მეფობისა ჩწნისა მეოთხესა“, თ. ჟორდანიას ვარაუდით უნდა იგულისხმებოდეს „ოცდამეოთხესა“ (თ. ჟორ-

დანია 1897 ; 379). ბაგრატ III-ის გამეფებიდან თუ მიუვმატებთ 24 წელს, მივიღებთ 1534 წელს (1510+24=1534). „... ჩ“ნ მეფეთ მეფემან ბაგრატ და თ“ა მეცხედრემან ჩ“ნმან დედოფალთ დედოფალმან ელენე... ხელვყავით აღ-შენებად დაკინებულისა მონასტრისა ნიკოლოზ წ“ისა და შეექმენ საყდრად და საეპისკოპოსოდ და დავადგინე... მეუფე მანოელ... და შემოგწირეთ... შე-ვაძკე... და შევსწირე დაბანი და სოფელნი... დაიწერა... ინდიკტიონსა მეფო-ბისა ჩ“ნისა მეოთხესა (ოცდამეოთხესა?) ქ“კს : ს კ ბ : (1534) თ“ა აგვისტოსა ცხრასა, ხელითა გ“ი აბაშიძისათა (იქვე; 380).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თ. ჟორდანიას ვარაუდი უფრო მი-საღებია. ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა იმერეთის მეფე ბაგრატ III-ეს, რაჭის საერისთავოს აღდგენის პარალელურად, გამეფებიდან ოცდამეოთ-ხე წელს – „ქ“კსა : ს კ ბ: ანუ 1534 წელს უნდა დაეარსებინა.

ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრას 1534 წელს დაარსებულად თვლის მამისა ბერძნიშვილიც (მ. ბერძნიშვილი 1979 ; 21), ხოლო თ. ბერაძეს 1544 წელი მიაჩნია ნიკორწმინდაში საეპისკოპოსო კათედრის შექმნის თა-რილად.

თ. ჟორდანიას აზრით, პირველი ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი მანუე-ლი, შეიძლება იგივე მანუელ ჩხეტიძე იყოს, რომელიც 1529 წელს ხონელად დასვეს.

ჩვენ აღვნიშნეთ ჩხეტიძეების საგვარეულოს სიახლოვე მეფე ბაგრატ III-ეს-თან. არ არის გამორიცხული, რომ მეფე ბაგრატს თავისი ერთგული ხონელი ეპისკოპოსი მანოელ ჩხეტიძე, ნიკორწმინდაში გადაეყვანა. მანოელის შემდეგ ხონელი ეპისკოპოსის პატივი კიდევ ერთმა ჩხეტიძემ – ზაქარიამ მიიღო. ამგვარად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველ ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად 1534 წელს ყოფილი ხონელი მანოელ ჩხეტიძე იქნა ხელდასხმული.

ყოფილი ხონელი მანოელი პირველ ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად მიიჩ-ნია მ. მურუსიძემაც. ეს უკანასკნელი მანოელ ჩხეტიძის ნიკორწმინდაში გა-დაყვანის ფაქტს 1544 წლით ათარიღებს (ქ. ი. მ. შრომები 2008; 51).

როგორც ირკვევა, ბაგრატ III-ემ თავისი ერთგული ეპისკოპოსი მანოელ ჩხეტიძე, ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზეც არ გააჩერა დიდხანს და ის აწყურში გადაიყვანა. ამას მონაშობს ნიკორწმინდის ერთ-ერთი ხელ-ნაწერი: „ჩხეტიძესა მანოელსა მანუეურელსა დღევრძელობით ცოდვანი მათნი შეუნდნეს ღ“ნ“ (იქვე).

საფიქრებელია, რომ ბაგრატ III-ემ მანოელ ჩხეტიძე ქართლის კათა-ლიკოსთან შეთანხმებით აწყურის ეპისკოპოსად მას შემდეგ გადაიყვანა (მანუ-ვერელი ეპისკოპოსი ქართლის კათალიკოსს ემორჩილებოდა), როდესაც 1535 წელს მურჯახეთთან ბრძოლაში დაამარცხა სამცხის ათაბაგი ყვარყვარე, ეს უკანასკნელი დაატყვევა და სამცხე იმერეთს შემოუერთა. სამცხეზე გავლენა ბაგრატმა 10 წლის განმავლობაში შეინარჩუნა. მან, რაჭისა და იმერეთის მსგავსად, სამცხეში პოზიციების განსამტკიცებლად ეკლესიის მხარდაჭერა სცადა. აწყურის ეპარქიაში, რომელიც უპირატესი იყო სამცხის ეპარქიათა შორის, ეპისკოპოსად თავისი ერთგული მანოელ ჩხეტიძე დასვა. ბაგრატის

ერთგული და ნდობით აღჭურვილი პირი უნდა ყოფილიყო ანტონ მანყვერელიც, რომელსაც ანყურის ეპისკოპოსის პატივი, საეარაუდოდ, მანოელის შემდეგ ეკავა. ანტონი მოგვიანებით იმერეთში გადავიდა და გელათის ეპისკოპოსი გახდა. საფიქრებელია, რომ 1545 წლის შემდეგ სოხოისტას ბრძოლაში ბაგრატ III-ემ მარცხი განიცადა ოსმალებთან და სამცხე დაკარგა.

ნიკორწმინდის საეპისკოპოსომ მთელი ისტორიული რაჭა მოიცვა. მისი სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი: „ოკრიბის მთას აქათ, ნაკალოებსა და მუხურის მთას გადმოღმა“ გავიდა. ჩრდილო და ჩრდილო აღმოსავლეთით „კვეშელვას ერწოს საჯვარეს, დვალეთის მთის გადმოღმა, ასევე ლებსა და გლოლას“ საღვრებში შემოიფარგლა. დასავლეთიდან ასკისწყალს გამოღმა სრულიად რაჭა მოიცვა. როგორც მანოელ ნიკორწმინდელის შედგენილი დოკუმენტიდან ჩანს, ნიკორწმინდას: „ადგილნი და დაბანი მათის სამართლიანის მზღვრითა რომელიც ამ ეკლესიის შემავალი არის საყანე და სანადირო და სათევზე სანისკვილო საჯოგე სათიბი ტყითა და ველთა მთითა და ბართა... მეფის იყო და მან დაიკლო წ“ის ნიკოლოსის საყდარს შემოსწორა“ (4, გვ: 6). ამ დოკუმენტის მიხედვით, ბაგრატ III-ეს თავისი კუთვნილი მამული შეუწირავს ნიკორწმინდის საეპისკოპოსოსთვის.

ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს საზღვრები უცვლელი ყოფილა XVIII საუკუნეშიც. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „ხოტეცს ზეით, ამის წყალსვე, ერთვის აგარის ხევი. ამ ხეზედ არს ნიკოლანმიდა, ეკლესია გუმბათიანი, კეთილ-დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი გლოლას ქუეითის რაჭისა“ (2, გვ: 764).

ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს თავისი სამწყსოს საზღვრებს გარეთაც ჰქონდა კუთვნილი სოფლები. ერთ-ერთი მათგანი იყო მეფე ბაგრატ III-ის მიერ შეწირული სოფელი რცხილათი არგვეთში, სამი მოსახლე გვართ: გაბისაძეებით, ჩაფიძეებით და გამეზარდაშვილებით (4, გვ: 10).

ნიკორწმინდა, როგორც ზემოთ მოყვანილი დოკუმენტებიდან ირკვევა, საეპისკოპოსოს დაარსებამდე მონასტერი იყო. „მეფეთ მეფემან ბაგრატ და დედოფალთ დედოფალმან ელენე ვიგულისმოდგინეთ და ხელეყავით აღშენებადა დაკნინებულისა მონასტრისა ნიკოლწმინდისა და შევქმენ საყდრად და საეპისკოპოზოდ“ (იქვე, გვ: 8).

ნიკორწმინდის გუმბათოვანი ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუშია. მისი აგება ერთიანი საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ის (975–1014) სახელთან არის დაკავშირებული. ტაძრის დასავლეთი კარის ტიმპანზე მოთავსებულია წარწერა: ქ ძეო ღთისაო ადიდე სიმრთელით და დღეგრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი და გაზარდე ძე მათი გიორგი ნებასა შენსა მეოხებითა წმიდისა მღდელთმოძღვრისა ნიკოლაოზისათა“ 6, გვ: 21, 22).

გ. ბოჭორიძის ვარაუდით, ნიკორწმინდის ტაძარი ბაგრატ III-ის მეფობის ბოლო წლებში უნდა იყოს აგებული. ამავე აზრს იზიარებს მ. ბერძინიშვილი და დასძენს: „რადგან ზემოდ მოყვანილ წარწერაში ბაგრატის მოხსენიებულია აფხაზთა და რანთა მეფედ, ხოლო როგორც წყაროებიდან ვიცით ბაგრატმა

რანი 1010 წელს შემოიერთა, ნიკორწმინდის ტაძარი 1010- 1014 წლებში უნდა აგებულიყო" (იქვე ; 22).

ნიკორწმინდის საეპისკოპოსო დიდი ყმა-მამულის მფლობელი იყო, რაც დასტურდება XI საუკუნეში ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვრის მიერ შედგენილი სიგელით.

ნიკორწმინდაში მრავალი ძვირფასი საეკლესიო ნივთები და ხელნაწერები ინახებოდა. „XIX ს-ის 20-იან წლებში აქ ჯერ კიდევ იყო ქართული ჭედური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები და ხელნაწერები, რომელთა უმეტესობა დღეს მუზეუმებს აქვთ ჩაბარებული" (10, გვ: 14).

იმერეთის მეფე ბაგრატ III-ემ რაჭაში თავისი ერთგული ჩხეტიძეთა საგვარეულოს გაერისთავებით და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს შექმნით, რაჭაში მდგომარეობა განიმტკიცა. მან გელათში, ხონსა და ნიკორწმინდაში საეპისკოპოსო კათედრების დაარსებით, ეკლესია წინა პლანზე წამოსწია და მისი სახით ძლიერი მოკავშირე გაიჩინა.

ბაგრატ III-ის თაოსნობით დაარსებულმა გელათის, ხონის და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოებმა სამი საუკუნე იარსებეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქვეყნის საერო თუ სასულიერო ცხოვრებაში. XIX საუკუნის 20-იან წლებში რუსი ეგზარხოსის თეოფილაქტე რუსანოვის მიერ დასავლეთ საქართველოში გატარებული საეკლესიო რეფორმის შედეგად, არსებობა შეწყვიტა აფხაზეთის საკათალიკოსომ და მის დაქვემდებარებაში მყოფმა საეპისკოპოსოებმა. შეიქმნა იმერეთის სინოდალური კანტორა. გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოები ახლადშექმნილ იმერეთის ეპარქიაში გაერთიანდა და მას უკანასკნელი ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი სოფრონიოს წულუკიძე ჩაუდგა სათავეში, რომელიც რუსეთის ხელისუფლები-სადმი ერთგულებით გამოირჩეოდა.

დამონებული ლიტერატურა

1. ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959.
2. ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ქართლის ცხოვრება ტ. IV. თბ., 1973.
3. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ფორდანიას მიერ ნ. 2, ტფ. 1897.
4. ს. კაკაბაძე, „სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი“, ტფ., 1912.
5. გ. ბოჭორიძე, „რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები“. თბ., 1994.
6. მ. ბერძენიშვილი, „XI საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ – ნიკორწმინდის დაწერილი“. თბ., 1979.
7. ო. სოსელია, „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სო-

- ციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან" (სათავადღები) ტ. II. თბ., 1981.
8. ო. სოსელია, „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან" (სათავადღები) ტ. III. თბ., 1990.
 9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები – „მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40 – XIV ს. 10-იან წლებში. ბ. ლომინაძე) ტ. III. თბ., 1979.
 10. თ. ბერაძე, „რაჭა". თბ., 2004.
 11. ბ. ლომინაძე, „ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან ტ. I. თბ., 1966.
 12. მ. რეხვიაშვილი, „იმერეთის სამეფო" (1462–1810), თბ., 1989.
 13. გ. კალანდია, „ოდიშის საეპისკოპოსოები", თბ., 2004.
 14. მ. მურუსიძე, „ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები – ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი", ქუთაისი, 2008.
 15. პ. გაბისონია, „ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია" ავტორეფერატი. თბ., 2006.

BESO GAPRINDASHVILI

FROM THE HISTORY OF THE NIKORTSMINDA EPARCHY

Summary

In 1534 the King Bagrat III of Imereti (1510-1565) founded the Nikortsminda Episcopal Cathedra, the first bishop of which was Manoel Chkheidze. The Residence of Nikortsminda was located in the Nikortsminda Cathedral, which was erected at the beginning of the IXth century and was a brilliant sample of the Georgian architecture.

Before the foundation of the Nikortsminda Episcopacy, Nikortsminda had been a monastery. After its foundation, the Nikortsminda Eparchy included all Racha region of Georgia. In the document, written according to the order of the first bishop of Nikortsminda Manoel, it is given, that the King Bagrat III of Imereti «deprived himself» of his own patrimony and presented it to the Nikortsminda Episcopacy.

Bagrat III cared about the strength of the church. He had founded the Gelati and Khoni Episcopal Cathedras 5 years ago before the foundation of the Nikortsminda Episcopacy. He saw his political support in such foundations, as the bishops of the newly created episcopacies were his reliable figures.

The Nikortsminda Episcopal Cathedra, founded by Bagrat III, existed for three centuries. In 20 years of the XIXth century as the result of the Church Reform in West Georgia, carried out by the Russian exarch Theophylact Rusanov, the Catholicate of Abkhazia ceased to exist as well as the other Episcopacies under its subordination, among them the Nikortsminda Episcopacy. There was created the Synod Kontor of Imereti. The Nikortsminda Episcopacy joined the newly created Nikortsminda Eparchy headed by the last bishop of Nikortsminda Sophronios Tsulukidze, a faithful servant of the Russian government.

БЕСО ГАБРИНДАШВИЛИ

ИЗ ИСТОРИИ НИКОРЦМИНДСКОГО ЕПИСКОПСТВО

Резюме

В 1534 году царь Имерети Баграт III (1510-1565) основал Епископскую кафедру Никорцминда, первым епископом которой утвердили Манозля Чхеидзе. Резиденция Никорцминда располагалась в соборе Никорцминда, который был воздвигнут в начале XI века и представлял собой блестящий образец грузинского зодчества.

До основания епископства Никорцминда был монастырём. После же его основания Епархия Никорцминда распростёрлась на всю Рачу. В документе, составленном по поручению первого епископа Никорцминда Манозля, указано, что царь Имерети Баграт III «лишил себя» поместья и передал его Епископству Никорцминда.

Баграт III заботился об укреплении церкви. За 5 лет до основания епископства Никорцминда он основал Гелатскую и Хонскую епископские кафедры. В образовании епископств царь Баграт видел политическую опору, так как епископы новообразованных епископств были ему верны.

Епископская кафедра Никорцминда, основанная Багратом III, просуществовала три столетия. В 20-ые годы XIX века в результате церковной реформы в Западной Грузии, проведённой русским экзархом Феофилактом Русановым, прекратил существование Абхазский католикосат и другие подчиняющиеся ему епископства, среди них и епископство Никорцминда. Была создана Синодская контора Имерети. Епископство Никорцминда присоединилось к новообразованной Епархии Имерети, и её возглавил последний епископ Никорцминда Софроний Цулукидзе, верно служащий Российскому государству.

ოთარ შორაანიძე

სოხუმის ქართული სკოლის ისტორიის საკითხისათვის (1910-1917 წწ.)

ნიკო ჯანაშიას დაბადების 140 წლისთავის გამო

სოხუმის ქართული სკოლა 1910 წლის 8 სექტემბერს გაიხსნა. მისი ისტორია დაკავშირებულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა (შემდგომში: წერა-კითხვის საზოგადოება) და მისი სოხუმის განყოფილების საქმიანობასთან. აფხაზეთში, სადაც ათეული წლების მანძილზე მიზანმიმართულად იღვენებოდა ქართული ენა და კულტურა, ქართული ეროვნული კერის გახსნა დემოკრატიული ძალების მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენდა. აფხაზეთის საზოგადოებრიობა აღფრთოვანებით მიესალმა ამ მოვლენას და აქტიური თანადგომით უზრუნველყო სასწავლებლის ფუნქციონირება. სოხუმის ქართული სკოლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი გაშუქებულია ა. ხუნდაძის [13], ნ. ვეკუას [7], ტ. ხუნდაძის [14], ქ. კვიციანის [9], ლ. გოდერიძის [6], ა. ჭოჭუას [17], ხ. ბლაჭუას [15], ბ. კვარაცხელიას [8], ი. გელენავასა [5] და სხვათა შრომებში. სკოლის ისტორიის ამსახველი დოკუმენტური მასალა ნაწილობრივ გამოქვეყნდა ჟურნალ „განათლების“ ფურცლებზე. მიუხედავად ამისა, სოხუმის ქართული სკოლის ისტორიის რიგი საკითხი დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შესაძლებლობის ფარგლებში, შეავსოს არსებული ხარვეზი.

სოხუმის ქართული სკოლა იყო დაწყებითი ერთკლასიანი სასწავლებელი ოთხნობიანი სასწავლო პროგრამით. სწავლა მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. სკოლაში ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, ქართულ ენას, ქართულ ლიტერატურას, რუსულ ენას, ანგარიშს (არითმეტიკას), ბუნებისმეტყველებას, ისტორიას, გეოგრაფიას, გალობას და სხვ. საგნებს. სასწავლო პროცესი ეფუძნებოდა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ პრინციპებს იმდროინდელი პედაგოგიკის მიღწევათა გათვალისწინებით. სწავლება მიმდინარეობდა იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“, „ბუნების კარის“, „რუსსკოე სლოვოს“, ასევე სხვა ავტორთა სახელმძღვანელოებით. სწავლა იყო უფასო.

სკოლის უმთავრესი ამოცანა იყო შეგირდების აღზრდა ეროვნული სულისკვეთებით, მათში მშობლიური ენისა და კულტურისადმი სიყვარულის, სხვა ხალხების კულტურისადმი პატივისცემის გაღვივება. სოხუმის ქართული სკოლის დაარსებაში, სასწავლო პროცესის გამართვაში, პედაგოგიურ კადრებთან მუშაობაში, სასკოლო შენობის აგებაში, სკოლისა და აფხაზეთის

საზოგადოების ურთიერთდაახლოებასა და მათი მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის გამოჩენილ პედაგოგს, საზოგადო მოღვაწეს, პუბლიცისტს, საქართველოს ისტორიისა და კულტურის მკვლევარს ნიკოლოზ (ნიკო) ჯანაშიას (1872-1918).

ნიკო ჯანაშია იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი. 1910 წლიდან 1917 წლის 9 თებერვლამდე ის სათავეში ედგა სოხუმის ქართულ სკოლას. ნიკო ჯანაშია იზიარებდა იაკობ გოგებაშვილის უმთავრეს პედაგოგიკურ პრინციპებს, რომელიც ერის ინტერესების შესაბამის სახალხო განათლებას, ეროვნული კულტურის აღორძინებასა და მშობლიურ ენაზე სწავლებას გულისხმობდა. ამავდროულად ნიკო ჯანაშია ზოგიერთ საკითხში არ ეთანხმებოდა იაკობ გოგებაშვილს, რომელთა გამო მას პაექრობა ჰქონდა დიდ პედაგოგთან „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე.

ნიკო ჯანაშიას მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებდა აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. მან დიდი დახმარება და თანადგომა გაუწია სახადის მძიმე სენით დაავადებულ გორის სასულიერო სემინარიის მონაფეს, შემდგომში აფხაზური მხატვრული ლიტერატურის გამოჩენილ წარმომადგენელს დიმიტრი გულიას. ნიკო ჯანაშია წარმატებით სწავლობდა აფხაზი ხალხის ისტორიულ წარსულს, ფოლკლორს, ჩვეულებით სამართალს; დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზი ხალხის ეთნოლოგიის კარდინალური საკითხების შესწავლაში [15]. ამ სფეროში მის პუბლიკაციებს დღემდე არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება. ნიკო ჯანაშიას აქტიური მონაწილეობით 1915 წელს სოხუმში დაარსდა განათლებისა და კულტურის კიდევ ერთი ახალი კერა – სოხუმის საოსტატო სემინარია.

ნიკო ჯანაშიას მალაღმა ავტორიტეტმა აფხაზეთის საზოგადოებრიობაში იმთავითვე განსაზღვრა სოხუმის ქართული სკოლის წარმატება. ქართულ ენაზე განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა ახლადდაარსებული სკოლის მატერიალურ რესურსებს.

სკოლა დროებით ნაჭირავებ შენობაში განთავსდა, თავდაპირველად მან იოსელიანის სახლში დაიდო ბინა, მოგვიანებით კი ეგნატე გეგენავას სახლში გადავიდა [5]. 1910 წელს სკოლამ მხოლოდ 48 მონაფე მიიღო [4; გვ. 1, 3]. 1911/1912 სასწავლო წლის დამდეგს სკოლაში უკვე 108 მოსწავლე სწავლობდა [10; საქმე 1208, გვ. 3]. მასალის სიმცირის მიუხედავად, შევეცდებით წარმოვაჩინოთ მოსწავლეთა დინამიკა ასაკის, სოციალური წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, აკადემიური მოსწრების მიხედვით სკოლის არსებობის პირველ წლებში. 1910 წელს მიღებული 48 მოსწავლიდან 39 გადასულა მეორე განყოფილებაში, ხოლო 8 მოსწავლე მიზეზთა გამო ჩამოშორდა სკოლას. 1911/1912 სასწავლო წელს მხოლოდ სამმა მათგანმა განაახლა განმეორებითი სწავლა პირველ განყოფილებაში.

1911/1912 სასწავლო წელს 108 მოსწავლიდან სკოლას სხვადასხვა მიზეზთა გამო ჩამოშორდა 20-ზე მეტი: 4 გარდაიცვალა, 18 მშობლებთან ერთად სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად და ა. შ. სასწავლო წლის ბოლოსათვის სკოლაში სწავლობდა 87 მოსწავლე; I განყოფილებაში – 52 (ქალი –

29, ვაჟი - 33), II - 35 (ქალი - 18, ვაჟი - 17). როგორც ვხედავთ, სკოლაში გოგონების რიცხვი აღემატებოდა ვაჟთა რაოდენობას. ასაკობრივი მანქვინების მიხედვით სკოლაში 68 მოსწავლე იყო 10 წლამდე, ხოლო 19-15 წლამდე. სოციალური წარმომავლობის მიხედვით მოსწავლეთა უმრავლესობა არაპრივილეგირებული წოდების ოჯახის შვილები იყვნენ. მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელი იყო. სკოლაში ქართველებთან ერთად აფხაზები სწავლობდნენ.

სასწავლო პროცესი კარგად იყო ორგანიზებული და საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს უყენებდა მოსწავლეებს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1911/1912 სასწავლო წელს I განყოფილების 52 მოსწავლიდან განმეორებითი სწავლებისათვის დატოვებულ იქნა 17, II განყოფილების 35 მოსწავლიდან - 7 [10; საქმე 1208, ფურც. 3].

აანალიზებდნენ რა 1911/1912 სასწავლო წლის სკოლის მუშაობის შედეგებს, წერა-კითხვის საზოგადოების სოხუმის განყოფილების თავმჯდომარე მარიამ დადიანი-ანჩაბაძე და ნიკო ჯანაშია აღნიშნავენ, რომ ქართულ სკოლაში „დღითი-დღე იზრდებოდა საოცარ სისწრაფით ბავშვების რიცხვი“. ამ ფაქტს ისინი დადებითად აფასებდნენ, ვინაიდან, მათი ღრმა რწმენით, ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებულ აღზრდას შეეძლო მამულისათვის მიეცა „სალი ადამიანები“ [1; 1913, №8, გვ. 125].

წერა-კითხვის საზოგადოების სოხუმის განყოფილების მესვეურთა უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა სკოლისათვის სასწავლო კორპუსის აშენება. 1911 წელს, როდესაც სოხუმის განყოფილებამ მიიღო გადაწყვეტილება სკოლის შენობის აგების შესახებ, 350-მდე სოხუმელმა ხელმოწერით დაადასტურა თავისი სურვილი ფინანსური დახმარება გაეწია სკოლის სამშენებლო ფონდისათვის. მოკლე დროში მოხერხდა სათანადო სახსრების მოზიდვა და სამშენებლო სამუშაოების დაწყება. მნიშვნელოვანი იყო ამ საქმეში სოხუმის საქალაქო სათათბიროს წვლილი, რომელმაც სკოლას უფასოდ გამოუყო 2800 კვ. მ. მიწის ნაკვეთი (1296 საყენი). მშენებლობა სწრაფი ტემპით წარიმართა. 1912 წელს სოხუმის ქართულმა სკოლამ მეცადინეობები მშენებარე კორპუსის ოთხ საკლასო ოთახში განაახლა.

1912/1913 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში 127 მოსწავლე ირიცხებოდა (I განყოფილებაში - 52); 1913-1914 სასწავლო წლის დასაწყისში - 195 (II განყოფილებაში - 65). მათ შორის 163 მოსწავლის ასაკი იყო 10 წლამდე. მოსწავლეთა დენადობამ 1912/1913 სასწავლო წელს შეადგინა 7, ხოლო 1913/1914 სასწავლო წელს - 38. აკადემიური ჩამორჩენილობისათვის განმეორებითი სწავლისათვის დატოვებულ იქნა 30 მოსწავლე, ხოლო 1913/1914 სასწავლო წელს - 27. სკოლაში გაიხსნა III განყოფილება, სადაც 30 მოსწავლე სწავლობდა, ხოლო 1913/1914 სასწავლო წელს - IV განყოფილება 24 მოსწავლით [10; საქმე 1208, ფურც. 2, 27].

სკოლაში ჩამოყალიბდა პედაგოგთა ბირთვი, რომელთა საქმიანობას დიდი ტაქტიკითა და უნარით უძღვებოდა ნიკო ჯანაშია. სკოლაში სხვადასხვა

დროს მუშაობდნენ ნოე ქურიძე (ლიტერატურული ფსევდონიმი „ზომლეთელი“), თამარ თაყაიშვილი, ოლღა ჯუღელი და სხვ.

წერა-კითხვის საზოგადოების სკოლათა მეთვალყურე მგრიგოლ ბურჭულაძემ, რომელმაც 1914 წლის 21-22 მარტს სკოლას ინსპექტირება ჩაუტარა, შემდეგი სიტყვებით დაახასიათა მასწავლებელთა მუშაობა: „მასწავლებლები თანხმობით მუშაობენ და ამიტომაც სკოლაში სწავლა-აღზრდის საკითხი კარგად არის დაყენებული“. გ. ბურჭულაძე ხაზგასმით აღნიშნავდა სკოლის პედაგოგებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებას. „განწყობილება მასწავლებლებსა, მოწაფეებსა და იმათ მშობლებს შორის ჩინებულია; განსაკუთრებით მაღლობელნი არიან ნიკო ჯანაშიასი“, – წერდა ის [2; №7, გვ. 101-103].

სკოლის პედაგოგები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წერა-კითხვის საზოგადოების ღონისძიებებში. აფხაზეთის მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად ისინი საქართველოს ინტერესებით ცხოვრობდნენ, იზიარებდნენ მამულის სიხარულსა და განსაცდელს. სოხუმის ინტელიგენცია მწუხარებით გამოეხმაურა ქართველი პედაგოგის მამამთავრის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებას. მათ რიცხვში იყვნენ თავადი ნიკო თავდგირიძე, სოხუმის ქართული სკოლის ხელმძღვანელი ნიკო ჯანაშია, წერა-კითხვის საზოგადოების სოხუმის განყოფილების გამგეობის წევრები. უკანასკნელთა გადაწყვეტილებით გადაიხადეს განსვენებულის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, სოხუმის ქართულ სკოლაში განზრხული იყო იაკობ გოგებაშვილის სახელობის სტიპენდიის დაწესება.

სოხუმის ქართულ სკოლაში აკადემიური წელი ყოველ სასწავლო წელს სხვადასხვა დროს იწყებოდა და მთავრდებოდა. 1910 წელს სასწავლო პროცესი დაიწყო 8 სექტემბერს (სწავლის დასრულების თარიღი უცნობია). 1911/1912 სასწავლო წელს მეცადინეოები 172 დღე მიმდინარეობდა (11. 09. 1911 – 2. 06. 1912), 1912/1913 სასწავლო წელს – 182 (17. 09. 1912 – 5. 06. 1913), ხოლო 1913/1914 სასწავლო წელს – 189 დღის გამწავლობაში (3. 09. 1913 – 1. 06. 1914). მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოხუმის ქართულ სკოლაში აკადემიური წელი საშუალოდ შეადგენდა არანაკლებ 180 დღეს, ანუ 25 კვირას [10; საქმე 1208, ფურც. 2, 3, 18].

1913/1914 სასწავლო წლისათვის სოხუმის სკოლის ბიბლიოთეკაში წინა წლებთან შედარებით წიგნადი ფონდი მნიშვნელოვნად გაიზარდა და წიგნების საერთო რაოდენობამ 469 ერთეული შეადგინა. თუმცა, სკოლა სახელმძღვანელოების ნაკლებობას განიცდიდა.

დაარსების დღიდან I მსოფლიო ომის დაწყებამდე სოხუმის ქართულმა სკოლამ მოსახლეობაში გაზარდა ინტერესი ეროვნული განათლებისადმი. სკოლაში დიდი რაოდენობით მოიზიდა 10 წლამდე ბავშვი, გამართა სასწავლო-აღზრდელობითი პროცესი, გააძლიერა სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაზარდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი და დააბალანსა სკოლის ბიუჯეტი. 1914 წლისათვის სკოლას ჰქონდა საკუთარი 9 ოთახი-

ნი კაპიტალური შენობა, რომლის ღირებულება, იმდროინდელი ფასებით 25 ათას მანეთს შეადგენდა. სკოლის წინაშე ახალი პერსპექტივები იშლებოდა. სამწუხაროდ, I მსოფლიო ომმა რადიკალურად შეცვალა სკოლის ცხოვრება. ომმა იმთავითვე მძიმე დალი დაასვა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. დაირღვა დაწესებულებების, მათ შორის ბანკების ნორმალური ფუნქციონირება. სოხუმის სახელმწიფო ბანკის განყოფილება თბილისში გადავიდა, რამაც გაართულა საბანკო ოპერაციების წარმოება. ახალი სასწავლო წლისათვის სოხუმის ქართული სკოლა უსახსროდ დარჩა. წერა-კითხვის საზოგადოების მიერ გამოყოფილი თანხებით რამდენადმე მოხერხდა მდგომარეობის სტაბილიზაცია და 1914/1915 სასწავლო წლის დაწყება. მალე ვითარება მკვეთრად შეიცვალა. შავ ზღვაში გერმანული კრეისერების „ბრესლაუს“ და „გებენის“ გამოჩენამ მდგომარეობა დაძაბა. 1914 წლის 25 ოქტომბერს კრეისერ „გებენის“ მიერ სოხუმის აკვატორიაში ლუზის ჩაშვებამ ქალაქში პანიკა გამოიწვია. ქალაქის დაბომბვისა და დესანტის გადმოსხმის შიშით მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ქალაქი დატოვა, მათ შორის ქართული სკოლის მასწავლებლებმა თამარ თაყაიშვილმა და ნოე ქურიძემ. ქართული სკოლა დახურვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ამ ურთულეს პირობებში განსაკუთრებული სიმტკიცე და ნებისყოფა გამოიჩინა ნიკო ჯანაშიამ. მისი ძალისხმევის შედეგად სოხუმის ქართულმა სკოლამ 1914 წლის 20 ნოემბერს განაახლა მეცადინეობები, უფრო ადრე, ვიდრე ქალაქის სხვა სკოლებმა. სკოლაში სულ 22 მოსწავლე გამოცხადდა (I განყოფილებაში – 5, II – 7, III – 7, IV – 3). მასწავლებლების ადგილზე არ ყოფნის გამო, ნიკო ჯანაშიამ მიზანშეწონილად ჩათვალა დროებით დაეთხოვა I განყოფილების მოსწავლეები, ხოლო სხვა განყოფილების მოსწავლეებთან თავად ემუშავა. წერა-კითხვის საზოგადოების მთავარი გამგეობა სრულიად იზიარებდა ნიკო ჯანაშიას პოზიციას არ დაეშვათ სოხუმის ქართული სკოლის საქმიანობის შეწყვეტა და მადლობას უხდოდა მას თავისი პროფესიული მოვალეობის ღირსეულად აღსრულებისათვის [10; საქმე 1390, ფურც. 4].

ნიკო ჯანაშიამ არამარტო დახურვისაგან იხსნა სკოლა, არამედ, შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნა პირობები 1915 წლის დასაწყისისათვის სკოლის შეუფერხებელი საქმიანობისათვის. მისი უშუალო მეცადინეობით სკოლას დაუბრუნდა მასწავლებელი ნოე ქურიძე, ხოლო მერხებს – 48 მოსწავლე (I განყოფილება – 15, II – 16, III – 13, IV – 4. ნიკო ჯანაშიას ენერგიული ქმედებების შედეგად 1915 წლის ივლისში მოხერხდა სკოლის შენობიდან მასში დაბინავებული 120 ჯარისკაცის გაყვანა [10; საქმე 1390, ფურც. 25, 112].

1915 წელს სასწავლო წელი სკოლაში 16 აგვისტოს დაიწყო და 1916 წლის 31 მაისს დასრულდა. ის 195 დღე გრძელდებოდა. სკოლის I განყოფილებაში ჩაირიცხა 60 მოსწავლე, წლის დასაწყისისათვის სკოლაში სულ 93 მოსწავლე იყო (II განყოფილება – 0, III – 23, IV – 16). ასაკის მიხედვით მოსწავლეთა უმრავლესობას 10 წლამდე ბავშვები შეადგენდნენ (65 მოსწავლე). ატესტაციის შედეგების მიხედვით I განყოფილების 53 მოსწავლიდან მომდევნო განყოფილებაში გადავიდა 44. მესამე განყოფილების 23-ვე მოსწავლე დატოვებულ

იქნა გამეორებითი სწავლებისათვის. «ყველა დატოვებულ იქნა, რადგანაც ომიანობის გამო წინა წელს წესიერი მეცადინეობა არ სწარმოებდა», – ნათქვამია სკოლის დოკუმენტში.

ქართული სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებდნენ სწავლას სხვა სასწავლებლებში, რაც მათ მიერ მიღებულ ხარისხიან განათლებაზე მიუთითებს. ასე, მაგალითად, 1916 წლის 16 კურსდამთავრებულიდან რეალურ სასწავლებელში ჩაირიცხა 2, საქალაქო გიმნაზიაში – 2, პირველდანი ყებით უმაღლეს სასწავლებელში – 5, ორკლასიან სამრევლო სასწავლებელში – 5, პროფესიულ სასწავლებელში – 2 [10; საქმე 1208, ფურც. 21].

1916 წელს გადაწყდა სოხუმის ქართული სკოლის ბაზაზე დაეფუძნებინათ ომში დაღუპულ მეომართა შვილების თავშესაფარი. მათი ორგანიზება ითავა წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ, ხოლო ფინანსური უზრუნველყოფა – ომისაგან დაზარალებულთა დახმარების კავკასიის კომიტეტის მთავარმა გამგეობამ. ბავშვთა თავშესაფრის გახსნა ამიერკავკასიაში მხოლოდ სამ ქალაქში – ბაქოში, ბათუმსა და სოხუმში იყო ნავარაუდები [10; საქმე 1548, ფურც. 19, 35]. საკითხის ადგილზე შესწავლა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და მწერალს ნინო ნაკაშიძეს მიანდო, რომელიც 1916 წლის 12-13 აგვისტოს სოხუმს ეწვია. თავშესაფრის გახსნასთან ერთად დღის წესრიგში დაისვა სოხუმში პროფესიული განყოფილების დაარსების საკითხი, სადაც გოგონები დაეუფლებოდნენ ქრა-კერვას, ხოლო ვაჟები – კალათების წვნასა და ბამბუკის ავეჯის დამზადებას. სოხუმის განყოფილებამ მოიწონა ეს წინადადებები. 1916 წლის 20 ნოემბერს [10; საქმე 1600, ფურც. 1-11]. სოხუმის ქართულ სკოლასთან გაიხსნა 10 ადგილიანი ობოლ ბავშვთა თავშესაფარი. სკოლის შენობაში თავშესაფარს 7 ოთახი და მოწყობილი სამზარეულო. სკოლაში გაიყვანეს წყალსადენი, დაამონტაჟეს ელექტროგანათება. სკოლის პროფესიულ განყოფილებაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. თავშესაფრის გამგედ სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ნ. ტატიშვილი და ნ. ქურიძე. ქრა-კერვას ასწავლიდნენ სოფიო ჩიტაძე და ეკატერინე წულუკიძე [10; საქმე 1598, ფურც. 24, 40]. სამწუხაროდ, სპეციალისტების არ ყოლის გამო ვერ მოხერხდა ვაჟების პროფესიული მომზადება. პროფესიული განყოფილება სოხუმის ქართულ სკოლასთან 1918 წლის 1 სექტემბრამდე ფუნქციონირებდა [10; საქმე 1598, ფურც. 51].

აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაზე განათლების გავრცელების მიზნით ნიკო ჯანაშია ქართულენოვანი საკვირაო სკოლის გახსნასაც ცდილობდა, მაგრამ ეს საკითხი განათლების ჩინოვნიკებმა დაბლოკეს.

1914-1915 წლებში სოხუმის ქართული სკოლა, ძირითადად, წერა-კითხვის საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერით არსებობდა, მაგრამ 1916 წლიდან სურათი უკეთესობისკენ შეიცვალა. წერა-კითხვის საზოგადოების სოხუმის განყოფილებამ 1916 წლის მაისში კაფე «ფინჯანი ჩაი» გახსნა, რომელსაც საკმაოდ დიდი მოგება მოჰქონდა. 1916 წელს წერა-კითხვის საზოგადოების სოხუმის განყოფილების საერთო შემოსავალმა 11820, 68 მანეთი, 1917 წელს – 31120, 45 მანეთი, 1918 წელს – 104999, 78 მანეთი შეადგინა. სამი წლის

განმავლობაში სოხუმის განყოფილებამ სუფთა მოგების სახით 63 665, 3 მანეთი მიიღო [10; საქმე 1582, ფურც. 30-35]. იზრდებოდა წერა-კითხვის საზოგადოების სოხუმის განყოფილების წევრთა აქტიურობა და რიცხვი. 1916 წლის მაისში სოხუმის განყოფილების საერთო კრებას 204 წევრი დაესწრო. ამავე კრებაზე საზოგადოებაში 241 წევრი იქნა მიღებული. 1917 წლის 10 თებერვლისათვის სოხუმის განყოფილებას 724 ნამდვილი და საპატიო წევრი ჰყავდა [10; საქმე 1582, ფურც. 13-14; 22-25].

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად წერა-კითხვის საზოგადოების სოხუმის განყოფილება მეტ თანხებს გამოყოფდა სოხუმის ქართული სკოლისათვის. 1916 წელს სკოლის თანამშრომელთა ხელფასისათვის გამოიყო 4002, 8 მანეთი, ხოლო 1917 წელს – 10172, 45 მანეთი ფულადი დახმარება გაენია სკოლის პედაგოგებს, მათ შორის ნიკო ჯანაშიას [10; საქმე 1582, ფურც. 30-33]. იგეგმებოდა სკოლისათვის დამატებით 20 ახალი ოთახის და სანყოფის აშენება.

საარქივო დოკუმენტები მეტყველებენ, რომ 1916-1917 წლებში სოხუმის ქართული სკოლა, წერა-კითხვის საზოგადოების სოხუმის განყოფილება აგრძელებდნენ ზრუნვას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომ სრულყოფაზე, ობოლ ბავშვთა თავშესაფრისა და პროფესიული განყოფილების წინაშე არსებული პრობლემების დადებითად გადაწყვეტაზე [4; გვ. 23-24].

1916/1917 სასწავლო წელს სოხუმის ქართულ სკოლაში მეცადინეობა სამ განყოფილებაში მიმდინარეობდა. დავით კარიჭაშვილის ცნობით, სკოლაში 123 მოსწავლე ეუფლებოდა ცოდნას (I განყოფილებაში – 51, II – 50, III – 17). მოსწავლეთა შორის 50 გოგონა იყო. ქალაქში გავრცელებული ყვავილისა და ქუნთრუშას ინფექციის გამო, მოსწავლეები ხშირად ავადმყოფობდნენ, რამაც გავლენა იქონია სასწავლო პროცესზე.

მძიმე ბუნებრივი პირობებისა (სკოლა ჭაობიან ადგილას მდებარეობდა) და მრავალნიანი დამქანცველი შრომის შედეგად საგრძნობლად გაუარესდა ნიკო ჯანაშიას ჯანმრთელობა. ექიმების დაჟინებული მოთხოვნით, ის იძულებული გახდა შეენყვიტა პედაგოგიური საქმიანობა [4; №3, გვ. 23-24].

სოხუმის ქართული სკოლის გამართულმა მუშაობამ იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების მონიხავე წარმომადგენელთა ყურადღება. სკოლის მუშაობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ივანე გეგია, დიმიტრი გულია, ანდრია ჭოჭუა, დავით კარიჭაშვილი და სხვ. ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ პეტრე ქარაიამ შემდეგი სიტყვებით გამოხატა აღფრთოვანება სოხუმის ქართული სკოლის საქმიანობის გამო: „ვაშა, სოხუმელ ქართველობას, რომელმაც ასეთი მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ამ საშვილიშვილო საქმეს“ [12, 69].

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მძლავრი ზიძგი მისცა საზოგადოებრივ პოლიტიკურ მოძრაობას იმპერიაში. საქართველოში ფართო მასშტაბით გაჩაღდა ბრძოლა ეროვნული ინსტიტუტების აღსადგენად, რომლის საბოლოო ამოცანა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა იყო. ამ პროცესში თავისი წვლილი შეჰქონდა აფხაზეთის მოსახლეობას და მის ინტელიგენციას.

1917 წლის მაისში სოხუმში გაიმართა სახალხო სკოლების მასწავლებლების ყრილობა, რომლის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ნ. ჯანაშია, ვ. ჭირაქაძე, მ. ბუანია და სხვ. ყრილობამ დაადგინა ახალი სასწავლო წლიდან ყველა სახალხო სკოლა ეროვნულ სკოლად გარდაექმნათ. ქართველი მასწავლებლების სათანადო მომზადების მიზნით, ყრილობის გადამწყვეტილებით, სოხუმში უნდა გაეხსნათ ქართული ენის კურსები. ნიკო ჯანაშიამ, სხვებთან ერთად, დახმარებისათვის წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობას მიმართა [10; საქმე 1208, ფურც. 22]. მართალია, ნიკო ჯანაშია ვერ მოესწრო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ სკოლის გაეროვნულების ისტორიულ პროცესს (ის 1918 წლის 4 აპრილს გარდაიცვალა), მაგრამ ამ დიად საქმეში მას ლომის წილი მიუძღვის. სოხუმის ქართული სკოლა ნიკო ჯანაშიას ამ ღვაწლის ბრწყინვალე მაგალითია.

ლიტერატურა:

1. ჟურნალ „განათლების“ დამატება, 1913.
2. ჟურნალ „განათლების“ დამატება, 1914.
3. ჟურნალ „განათლების“ დამატება, 1916.
4. ჟურნალ „განათლების“ დამატება, 1917
5. ი. გელენავა, თავისუფალი-თვითმოქმედი საზოგადოებები აფხაზეთში 1900-1917 წწ. კრებულში: საისტორიო ძიებანი, VII, თბ., 2004.
6. ლ. გოდერიძე, კულტურულ-საგანამათლებლო მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში (ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები), თბ., 2005.
7. ნ. ვეკუა. სახალხო განათლების დაწყებითი სასწავლებლები რევოლუციამდე აფხაზეთში (1851-1917), სოხუმი, 1958.
8. ბ. კვარაცხელია, ნიკო ჯანაშიას კულტურულ-საგანამათლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, თბ., 2009.
9. ქ. კვიციანი, ნიკო ჯანაშია და სოხუმის ქართული სკოლა. ნიგნში: საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სერია, V, თბ., 1968.
10. საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 481, აღწ. 1.
11. ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1999.
12. პ. ჭ - ა, ქართული ენა სოხუმის ოლქის სკოლებში. ჟურნალი „განათლება“, №1, 1916.
13. ა. ხუნდაძე, ცნობილი ქართველი პედაგოგი ნიკო ჯანაშია, თბ., 1949.
14. ტ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, 1879-1927, თბ., 1960.
15. Бгажба Х.С. Труды. Книга I. Эпюды и исследования. Сухуми, 1987.
16. Джанашиа Н. С. Статьи по этнографии Абхазии, Сост. и предисловие Х.С. Бгажба, Сухуми, 1960.
17. Чочуа А.М. Избранные сочинения. Т., 1987.Тб., 1987..

OTAR ZHORDANIA

FOR THE HISTORY OF GEORGIAN SCHOOL OF SOKHUMI 1910–1917
(For the 140th birth anniversary of Nikoloz Janashia)

Summary

At the beginning of XX century, the participants of Abkhazian national-liberation movement were struggling for teaching in Georgian at regional schools, worship enforcement in Georgian, maintaining country's territorial integrity and raising national awareness among the population. The key issues from the history of Georgian School of Sokhumi (1910–1917) are highlighted in the article; Participation of Society for the Spreading of Literacy among Georgians and its Sokhumi branch in creation the Georgian School of Sokhumi, building the material technical base for it and quality maintenance of teaching; Nikoloz (Niko) Janashia's (1872–1918) great service to Georgian national school is discussed here.

О. К. ЖОРДАНИЯ

К ИСТОРИИ СУХУМСКОЙ ГРУЗИНСКОЙ ШКОЛЫ 1910-1917 ГГ.
 (По поводу 140 летия со дня рождения Н. С. Джанашиа)

Резюме

В статье освещены узловые вопросы истории Сухумской грузинской школы в 1910-1917 гг. Раскрыта роль Общества распространения грамотности среди грузинского населения и его Сухумского отдела в деле создания благоприятных условий для ее функционирования. Показан большой личный вклад Н. С. Джанашиа (1872-1918) в образований национальной школы.

გვანცა გურდული

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წ.)

რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ითვალისწინებდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) გაუქმებას. 1811 წელს გაუქმდა ერთ-ერთი უძველესი საპატრიარქო – მცხეთის საპატრიარქო, ხოლო 1814 წელს – ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საპატრიარქო.

1811 წლიდან საქართველოს ეკლესია რუსული ბიუროკრატიული სისტემის დანამატად აქციეს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა რუსეთის იმპერატორის და რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის გადანყვეტილებით, რაც უკანონო იყო. ამ ქმედებით დაირღვა წმინდა მსოფლიო კრებათა და მოციქულთა კანონები... (3: 1090-1091).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა ეკლესიის რბევა და ძარცვა. 1811-1906 წლებში რუსეთმა საქართველოში დახურა 800 ეკლესია და 15 მონასტერი, 29 ეპარქიის ნაცვლად მხოლოდ 5 ეპარქია დატოვეს. გაძარცვეს ეკლესიები და მონასტრები, გაიტანეს ხატები, ხელნაწერი წიგნები, ჯვრები, ბარძიშები და სხვა საეკლესიო ნივთები. გარდა ნაძარცვისა, რუსებმა საქართველოს ეკლესიას ოფიციალურად ჩამოართვეს 220 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება, ყოველივე ეს კი საქართველოში გამოგზავნილი ეგზარქოსების ნებართვით ხდებოდა.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მუშაობის პერიოდში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ქართველი მღვდელმთავრებისა (ეპისკოპოს კირიონის, ეპისკოპოსი ლეონიდის) და ქართველი მეცნიერების (ნიკო მარის, ალექსანდრე ცაგარელის, ალექსანდრე ხახანაშვილის) მცდელობას, კერძოდ, მათ პოლემიკას რუს სამღვდელეობასთან (ეპისკოპოსებთან, მღვდლებთან) და რუს მეცნიერებთან (ეკლესიის ისტორიისა და საეკლესიო სამართლის ცნობილ მკვლევარებთან). რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე ქართველი სამღვდელეობისა და მეცნიერების მოღვაწეობის შესწავლის გარეშე ვერ დაინერება საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკე-

ფალიის აღდგენის ბრძოლის ისტორია და საერთოდ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია.

XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობას და ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობას საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მოჰყვა (1811-1814 წწ.). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია სრულიად უკანონოდ გაუქმდა, ქართველ სამღვდელოებს მთელი XIX საუკუნის განმავლობაში არ მიეცა საშუალება დაეყენებინა საკითხი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის უკანონოდ გაუქმებისა და მისი აღდგენის თაობაზე. რუსეთის საერო და საეკლესიო ხელისუფლებისათვის ყოვლად მიუღებელი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის განხილვაც კი (1: 32-33).

XX საუკუნის დამდეგიდან რუსეთის იმპერიასა და კონკრეტულად რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში მიმდინარე პროცესებმა შესაძლებელი გახადა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის უკანონოდ გაუქმებისა და ავტოკეფალიის აღდგენის სამართლიანობის თაობაზე საკითხის ოფიციალურად დაყენება. მხედველობაში გვაქვს ის, რომ რუსეთის სამღვდელოების დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ეკლესიაში რეფორმების გატარებას. გამოითქვა აზრი იმის თაობაზე, რომ უნდა აღდგენილიყო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის თანამდებობა, ანუ უნდა გაუქმებულიყო პეტრე I-ის მიერ 1721 წლიდან შემოღებული სინოდალური მმართველობა. რუსეთის ეკლესიაში გასატარებელ რეფორმებზე აზრი უნდა გამოეთქვა და გადაწყვეტილება მიეღო რუსეთის საეკლესიო კრებას. ცხადი იყო, რომ საეკლესიო კრების წინაშე დაისმებოდა ბევრი ურთულესი საკითხი. რუსეთის საიმპერატორო კარმა, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა გადაწყვიტა: საეკლესიო კრების გამართვამდე მოეწვიათ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი. თათბირს უნდა ემსჯელა და მოემზადებინა ის პროექტები, რომელებიც რუსეთის საეკლესიო კრებას უნდა მიეღო. საეკლესიო კრების წინარე თათბირის დღის წესრიგში შევიდა საკითხი: კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობა. ამ პრობლემაზე უნდა ემსჯელა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე სექციას (განყოფილებას). მართალია, რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების მუშაობის დღის წესრიგში უშუალოდ არ ყოფილა შეტანილი საკითხი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობისა და მისი აღდგენის კანონიერების თაობაზე, მაგრამ ქართველმა მღვდელმთავრებმა შეძლეს ხსენებული საკითხის კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის პროექტის განხილვის პროცესში დაყენება. რუსი სამღვდელოება და მეცნიერები ნინვერ აღუდგენენ ქართველი მღვდელმთავრების მისწრაფებას, სურდათ თუ არ სურდათ რუსებს, საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებას მაინც უნდა ემსჯელა საქართველოში საეკლესიო მმართველობის თაობაზე (5: 117-120).

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი გაიხსნა 1906 წლის 8 მარტს პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ტაძარში. თათბირმა მუშაობა დაასრულა 1906 წლის 15 დეკემბერს. თათბირი გახსნა პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონმა (ვადკოვსკი). რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირს დიდი მისია დაეკისრა. მას ბიძგი უნდა მიეცა რუსეთის სულიერი ცხოვრების აღორძინებისათვის. საეკლესიო კრების წინარე თათბირის დასრულების შემდეგ მოწვეული იქნებოდა რუსეთის საეკლესიო კრება. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მონაწილეთა შორის იყო 10 ეპისკოპოსი და სასულიერო აკადემიებისა და უნივერსიტეტების 21 პროფესორი. თათბირის წევრი იყო უწმინდესი სინოდის ობერპროკურორი ა. დ. ობოლენსკი. როგორც ვხედავთ, რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი საკმაოდ ვიწრო შემადგენლობით შეუდგა მუშაობას. შემდეგში თათბირის შემადგენლობა გაიზარდა სასულიერო და საერო პირთა ხარჯზე (5: 117-120).

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებაში ცხარე პოლემიკა მიმდინარეობდა. ქართველი მღვდელმთავრებისა და მეცნიერების მწვავე გამოსვლებს არანაკლებ მწვავე გამოსვლებით პასუხობდნენ რუსი მღვდელმთავრები და მეცნიერები. ქართველმა მღვდელმთავრებმა, ეპისკოპოსმა კირიონმა (გიორგი საძაგლიშვილმა) და ეპისკოპოსმა ლეონიდმა (ლონგინოზ ოქროპირიძემ), ცნობილმა მეცნიერმა ქართველოლოგმა ნიკო მარმა, ალექსანდრე ცაგარელმა და ალექსანდრე ხახანაშვილმა როგორც კანონიკური, ისე ისტორიული თვალსაზრისით დაასაბუთეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერება და სამართლიანობა. რუსმა მეცნიერებმა და სამღვდელეობამ ვერაფერი დაუპირისპირეს ქართველთა ლოგიკურ მტკიცებულებებს.

ქართველი მღვდელმთავრები, ეპისკოპოსი კირიონი და ეპისკოპოსი ლეონიდი დიდი სიფრთხილითა და ტაქტით მიუდგნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის განხილვას. მათ უშუალოდ და პირდაპირ არ დაუყენებიათ საკითხი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე. ეპისკოპოსმა კირიონმა და ეპისკოპოსმა ლეონიდმა მთელი სიმწვავეით დააყენეს საკითხი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობის თაობაზე და რუსი სამღვდელოებისა და მეცნიერებისგან მოითხოვდნენ ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობის აღიარებას. თავისთავად ცხადია, თუ რუსები საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობას აღიარებდნენ, მაშინ დღის წესრიგში თავისთავად დგებოდა საკითხი უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე, ე. ი. ქართველმა მღვდელმთავრებმა ბრძოლის ორი ეტაპი დაგეგმეს: საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობის აღიარების მიღწევა და ავტოკეფალიის აღდგენის სამართლიანობის დასაბუთება. ეს იყო უაღრესად სწორი გადანყევტილება.

რუსი მღვდელმთავრები (ვოლინის ეპისკოპოსი ნიკანდრი, მოგილევის ეპისკოპოსი სტეფანე) და რუსეთის სამღვდელოების წარმომადგენლები (დეკანოზი ტ. ი. ბუტკევიჩი, დეკანოზი თ. ი. ტიტოვი, დეკანოზი ი. ი. ვოსტოროვი, დეკანოზი ა. პ. მალცევი, დეკანოზი ი. ი. კოიალოვიჩი), ეკლესიის ისტორიის და საეკლესიო სამართლის ცნობილი სპეციალისტები (პროფესორები: ნ. ნ. გლუბოკოვსკი, ი. ს. ბერდნიკოვი, ი. ს. პალმოვი, მ. ა. ოსტროუმოვი, ა. ი. აღმაზოვი, ვ. ზ. ზავიტინიჩი, ი. ი. სოკოლოვი, და სხვები), ცხადია, მიხვდნენ, თუ რატომ აყენებდნენ ქართველი მღვდელმთავრები საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობის საკითხს და ცხარე პოლემიკა გამართეს საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომებზე. ამ პოლემიკის მთავარი მიზანი იყო იმის დასაბუთება, რომ XVIII საუკუნის მინურულისათვის საქართველოს ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა და ავტოკეფალიის გაუქმება სრულიად კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა.

პოლემიკის დროს ცხადი გახდა, რომ რუსების არგუმენტები უსუსური იყო. სწორედ ამიტომ რუსმა სამღვდელოებამ და მეცნიერებმა ასევე ცხარე პოლემიკა გამართეს იმის თაობაზე, რომ თითქოს საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია უკანონოდ ჰქონდა მიღებული. ცხადია, თუ რუსები ამას დაამტკიცებდნენ, დღის წესრიგიდან თავისთავად იხსნებოდა საკითხი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის უკანონოდ გაუქმების თაობაზე. ქართველი მღვდელმთავრები და მეცნიერები ცდილობდნენ რუსების მიერ წამოყენებული ორივე არგუმენტის გაქარწყლებას. მათ ამ რთულ ამოცანას შესანაიშნავად გაართვეს თავი (6: 10-40).

ეპისკოპოს კირიონის ღვაწლი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე შეიძლება მოკლედ ასე წარმოვიდგინოთ: რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მსვლელობისას (1906 წლის მარტი-დეკემბერი) ეჭვქვეშ დადგა საქართველოს მოციქულთა მიერ გაქრისტიანების ფაქტი, რომელიც ეპისკოპოსმა კირიონმა უგულვებელყო ქართულ, ბერძნულ, სირიულ (ასურულ) და არაბულენოვან ისტორიულ საბუთებზე დაყრდნობით; ამასთანავე, ქართველმა მღვდელმთავარმა დაასაბუთა, რომ VIII საუკუნის შუახანებში (751 წელს) ანტიოქიის საპატრიარქოს კათედრის (საყდრის) კრების განწესებით, ცნობილი იქნა ივერიის ეკლესიის სრული ავტოკეფალია. ამ დროიდან აღიარებენ და მოიხსენებენ მცხეთის ეკლესიას ავტოკეფალურ და საკათოლიკოსო კათედრად, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ეკლესიები და საეკლესიო კანონისტები თუ ისტორიკოსები; და კიდევ, VIII საუკუნის შუახანებიდან 1811 წლამდე საქართველოს ეკლესია სრულიად თავისუფალი იყო. კათოლიკოსები განაგებდნენ ეკლესიას რომელიმე უცხო სახელმწიფოს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად, უფლის მცნების საფუძველზე, მოციქულთა კანონებითა და საეკლესიო კანონებით; საკუთარი ინიციატივით იწვევდნენ ადგილობრივ საეკლესიო კრებებს, სადაც ხდებოდა საეკლესიო გადაწყვეტილებების მიღება (6: 10-54).

ეპისკოპოს ლეონიდის ღვანლი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე მოკლედ შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ. ეპისკოპოსმა ლეონიდმა ნათლად დაადასტურა შემდეგი: საქართველოს ეკლესიას რუსი ეგზარქოსები მართავდნენ თავიანთი უღირსი ფავორიტების მეშვეობით; თრგუნავდნენ ყოველივე ქართულს, ეროვნულს, დევნიდნენ ყველაფერს: საქართველოს ეკლესიის წმიდა ტრადიციებს, რიტუალებს, რომლებსაც ეკლესია ინახავდა ქრისტიანობის გავრცელების პირველივე საუკუნეებიდან; სპობდნენ წმიდა ეკლესიის სიძველეებს; მათი ქმედებების გამო ეგზარქოსები ვერ სარგებლობდნენ ქართველი საზოგადოების ნდობით; რუსების უღირსი საქციელის გამო ქართველმა სამღვდელოებამაც დაკარგა მრევლის ნდობა; სასულიერო განათლება საქართველოში სავალალო მდგომარეობაში იყო; საქართველოში არსებული სასულიერო სემინარიები დასახულ მიზანს ვერ აღწევდნენ; სასულიერო სემინარიაში პედაგოგები მხოლოდ რუსები იყვნენ; სასულიერო სემინარიებში მკაცრი ფორმალიზმი იყო გაბატონებული; საქართველოს ეკლესია კეთილად ასრულებდა თავის მოვალეობას, სანამ ის რუსეთის საეგზარქოსოს მმართველობაში შევიდოდა; საქართველოს ეკლესია დაეცა საეგზარქოსოს მმართველობის პერიოდში; საქართველოს ეკლესიას თავისი პირვანდელი სახის დასაბრუნებლად ესაჭიროებოდა ავტოკეფალია.

ნიკო მარმა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე თავის გამოსვლებში წარმოადგინა საქართველოში ეგზარქოსების მმართველობის პერიოდში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის არსი, რომელიც გამოიხატა ქართული ენის დევნაში, უმდიდრესი ქართული საეკლესიო წერილობითი ძეგლებისა და საეკლესიო სწავლა-განათლების უგულებელყოფაში, საეკლესიო ტრადიციების დევნაში, ქართველ წმიდანთა ცხოვრების ამსახველი კრებულის გამოცემასა და სწავლებაზე უარის თქმაში. გარდა ამისა, ნიკო მარმა თავის დასკვნებში ყურადღება მიაქცია ისეთ მოვლენებს, როგორც იყო: საქართველოს საეგზარქოსომ, როგორც მმართველმა სისტემამ, არ შექმნა პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ განათლების, ცოდნის, ინტერესის გავრცელებას მშობლიური საეკლესიო სიძველეების შესასწავლად და ა. შ.; IX საუკუნეში მთელი საქართველოს ეკლესია და არა მისი რომელიმე ნაწილი გახდა თვითმმართველი, ე. ი. ავტოკეფალური. საქართველოს ეკლესია ყოველთვის მართლმადიდებლურ საფუძველზე იდგა, ხოლო საქართველოს ეკლესიის მმართველობა დიდი ხნის მანძილზე ქართველთა ხელში იყო. ეკლესიას სათავეები ჰყავდა არჩეული პირი, სახელდებით კათოლიკოსი (6: 53-80).

აღექსანდრე ცაგარელის ცხარე პოლემიკა რუს მეცნიერთან და სამღვდელოებასთან მნიშვნელოვანი იყო შემდეგი მიზეზების გამო: ქართველმა მეცნიერმა არგუმენტირებულად და შესაბამის წყაროებზე მითითებით დაასაბუთა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით და რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდის ამ არაკანონიერი განკარგულებით დარღვეული იქნა არა მარტო მსოფლიო და ადგილობრივი კრების კანონები, არამედ საქართველოს ეკლესიის განწინებები. შებღალული იქნა საქართველოს სამოქალაქო კანონები, რომლებიც მოქმედებდნენ საქართველოში რუსეთის სენატის და-

გენილებით, დამტკიცებულით უმაღლესი ხელისუფლების მიერ, სახელდობრ, ვახტანგ VI-ის სჯულდებებისა, რომელშიც მოცემული იყო „საკათოლიკოსო კანონების“ მთელი განყოფილება – ისინი დანერგვით განსაზღვრავდნენ საქართველოს ეკლესიისა და სამღვდელოების მდგომარეობას, უფლებებსა და უპირატესობებს; საქართველოს ავტოკეფალურ საეკლესიო ოლქს რუსეთის ეკლესია თავისი განკარგულებით ვერც დაიქვემდებარებდა და ვერც შეიერთებდა; მითუმეტეს, ამას ვერ განახორციელებდა სამოქალაქო ხელისუფლება. ამ შემთხვევაში, უსათუოდ აუცილებელი იყო სრულიად საქართველოს (ივერიის) ეკლესიისა და ხალხის ერთობლივი კრების გადაწყვეტილება, ანუ უმაღლესი სასულიერო პირის, სამღვდელო დასისა და საერო პირების თანხმობა, ამასთან ერთად აუცილებელი იყო მსოფლიო საეკლესიო კრების ნებართვა, რომლის ნევრიც ივერიის ეკლესია IV საუკუნიდან იყო (6: 53-90).

ალექსანდრე ხახანაშვილის ღვაწლი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ქართველმა მეცნიერმა დიდი ყურადღება დაუთმო კულტურული საკითხების მიმოხილვას და მის როლის განსაზღვრას ქართველი ერის განვითარებაში. ალექსანდრე ხახანაშვილმა ყურადღება გაამახვილა ეკლესიის როლზე და სამონასტრო კერებზე, სადაც აქტიურად მიმდინარეობდა საეკლესიო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ქართველმა მეცნიერმა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის სხდომაზე წარმოადგინა განათლების სფეროში პოლიტიკური ძნელბედობით გამოწვეული სირთულეებიც. სხდომაზე ალექსანდრე ხახანაშვილი შეეცადა, არც ერთი ქართველი კულტურული მოღვაწე არ დაეტოვებინა უყურადღებოდ. მან თითოეული მათგანის მოღვაწეობის თაობაზე და მათი ნაშრომების მნიშვნელობაზე ისაუბრა (7: 93-139).

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა მღვდელმთაერებმა და მეცნიერებმა შესანიშნავად დაასაბუთეს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობა და ავტოკეფალიის აღდგენის სამართლიანობა, მიუღებლად მიიჩნია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. მეორე განყოფილების მიერ შემუშავებული პროექტები არსებითად არ ცვლიდა რუსულ საეკლესიო მმართველობას საქართველოში, არამედ, პირიქით, გარკვეულწილად ამძიმებდა კიდევც – საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ის დაშლით ემუქრებოდა.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომების მსვლელობიდან ცხადი გახდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარს და რუსეთის მართლმადიდებელური ეკლესიის უწმიდეს სინოდს საეკლესიო კრების წინარე თათბირის დაწყებამდე უკვე მიღებული ჰქონდა პოლიტიკური გადაწყვეტილება – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ენიუნაღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს.

ლიტერატურა

1. ვ. გურული, ერთმორწმუნე რუსეთი. თბ., 2003.
2. ვ. გურული, საქართველო და რუსეთი. მფარველობიდან ანექსიამდე. თბ., 2010.
3. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბ., 2009.
4. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კრებები. წიგნი III. თბ., 2003.
5. С. Бычков, Русская Церковь и Императорская власть. Москва, 1998.
6. Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устройении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 17 ноября 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №51-52 за 1906 год.
7. Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устройении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 13 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №8 за 1907 год.

GVANTSA BURDULI

STRUGGLING FOR RESTORING THE GEORGIAN CHURCH AUTOCEPHALY AT THE 1906 SESSION OF THE PRE-MEETING OF THE RUSSIAN CHURCH ASSEMBLY

Summary

At the beginning of the XIX century Russia occupied Georgia and abolished statehood. In 1811-1814 the Georgian Church autocephaly was abolished. 1906 in Petersburg passed the pre-meeting of the Russian Church Assembly. On meeting Georgian clergymen (Bishop Kirion, Bishop Leonid) and notable representatives of the Georgian science (Nicko Mari, Alexander Tsagareli and Alexander Khakhanashvili) in polemic with Russian clergymen and scientists undoubtedly proved illegality of abolition of Georgian Church autocephaly and demanded the restoration Georgian Church autocephaly. Despite this fact the pre-meeting of the Russian Church Assembly made the decision against restoration of Georgian Church autocephaly.

ГВАНЦА БУРДУЛИ

**БОРЬБА ЗА ВОССТАНОВЛЕНИЕ АВТОКЕФАЛИИ ГРУЗИНСКОЙ
ЦЕРКВИ НА ПРЕДСОБОРНОМ СОВЕЩАНИИ РОССИИ (1906 Г.)**

Резюме

В начале XIX века Россия аннексировала Грузию и упразднила государственность. В 1811-1814 годах была упразднена автокефалия Грузинской церкви. 1906 году в Петербурге проходило Предсоборное совещание России. На совещание церковные деятели Грузии (Епископ Кирион, Епископ Леонид) и видные представители грузинской науки (Нико Мари, Александр Цагарели и Александр Хаханашвили) в полемике с русскими церковными деятелями и учеными бесспорно доказали незаконность упразднения автокефалии Грузинской церкви и потребовали восстановления автокефалии. Не смотря на это Предсоборное совещание России приняло решение против восстановления автокефалии Грузинской церкви.

კიაზო ზიცხელაური

ერთი მითითება სახელმწიფო ინსტიტუტის ჩამოყალიბების საფუძვლების შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში

„ეხევი“ (ხევი) ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ერთ-ერთი უძველესი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ქართული ერთეულია, რომელიც ქვეყნის გეოგრაფიულ თავისებურებებზეა დამყარებული (1:143). ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინს ახალი ინტერპრეტაცია მიეცა გასული საუკუნის შუა ხანებში, დიდი ქართველი ისტორიკოსის ნიკო ბერძენიშვილის თაოსნობით, როდესაც განსაკუთრებით გააქტიურდა კვლევა-ძიება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების – საისტორიო გეოგრაფიის ხაზით (2; 3; 4; 6; 7 და სხვა). დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, ამ მეცნიერების ახლადმოპოვებულ მონაცემთა ბაზის საფუძველზე ჩატარებულმა კვლევითმა სამუშაოებმა უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა. ამ საფუძველზე საქართველოს უძველესი წარსულის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების გასააზრებლად სრულიად ახალი პერსპექტივები დაისახა. კერძოდ, ბორცვებზე განლაგებული ბრინჯაო-რკინის ხანის სამოსახლოები სოციალურ ჭრილში იქნა განხილული, საგვარეულო დასახლებებად მიჩნეული და მათი სახელწოდება „გორა“ ამ შინაარსს დაუკავშირდა; ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში არსებული, უპირატესად მორწყვითი მინათმოქმედების საფუძველზე შექმნილი „გორათა“. ცალკეული ჯგუფები კი, ხეობებში იქნებოდა ეს თუ ვაკობი ადგილების ირგვლივ, უძველესი ქართული სამეურნეო-ადმინისტრაციული ერთეულის „ხევის“ წარმოქმნის საფუძველად იქნა ნავარაუდები (3:171; 4:423, 428; 6:110; 7:38,39 და სხვ.).

არქეოლოგიური ძეგლების ამგვარი ინტერპრეტაცია დიდი აღმოჩენის ტოლფასი იყო ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში, რადგან ამ საფუძველზე სრულიად ახლებურად იქნა გააზრებული ბრინჯაო-რკინის ხანის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მრავალი ასპექტი, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის იყო, რომ გაჩნდა რეალური შესაძლებლობა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები საზოგადოების მორწყვით მინათმოქმედებაზე დაფუძნებული უძველესი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გაერთიანებების ძიებისათვის, რაც საბოლოოდ სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების საფუძველად უნდა ქცეულიყო. თუმცა, დასაწყისშივე, ეს ჯერ კიდევ უფრო მეტად თეორიული მსჯელობის შედეგად მიღებული დასკვნები იყო და ამ უაღრესად სასიცოცხ-

ლო მეცნიერული პრობლემის შემდგომ კვლევას აშკარად დამატებითი, კარგად დოკუმენტირებული მასალით გამაგრება სჭირდებოდა.

ამგვარი შესაძლებლობა შეიქმნა ივრის ზეგანზე, ლანდშაფტური არქეოლოგიის სამეცნიერო პროგრამით ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების შედეგად დაგროვილ მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, როდესაც მოხერხდა გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ასზე მეტი ნამოსახლარის, სამლოცველოს, სახელოსნოს, სამარონის და ამ დროის სხვა დანიშნულების ძეგლების კარტოგრაფირება (5), რის შედეგადაც დადგინდა, რომ ამ ძეგლთა ტოპოგრაფია გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება და ერთ მყარად შემუშავებულ სისტემას წარმოადგენს.

დღეს, მსოფლიოში, არქეოლოგიური სამუშაოების დროს, სულ უფრო ხშირად მიმართავენ ინტერდისციპლინარული მეცნიერებების მიღწევებს, რაც განსაკუთრებით ეფექტურ შედეგს იძლევა. მიუხედავად ამისა, არქეოლოგიური და პალეოეკოლოგიური მეთოდებით ადამიანის წარსულის ამსახველი ძეგლების ერთობლივი შესწავლის პრინციპები, რაც საფუძველად უნდა დაედოს ამ მიმართულებით საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კვლევებს, ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ არ არის.

მყარი სამეცნიერო პროგრამის შემუშავება ამ მიმართულებით კვლევა-ძიების წარმართვისათვის დიდ პერსპექტივებს სახავს სიძველეთა კვლევის საქმეში და მნიშვნელოვანი სიახლე იქნება საერთაშორისო მასშტაბით.

პალეოეკოლოგიური სისტემა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმთავრესი საფუძველია და მისი რესტავრაცია მიზანმიმართული, სისტემური და თანამიმდევრული, ღრმად გააზრებული პროგრამის მიხედვით ყველა არქეოლოგიურ პროექტს წინ უნდა უძღოდეს, საჭიროების შემთხვევაში კი მის პარალელურადაც ხორციელდებოდეს. ამგვარად დაგეგმილი არქეოლოგიური სამუშაოები მის შედეგიანობას ერთიორად გაზრდის.

თავდაპირველად ჩვენი ყურადღება იმან მიიპყრო, რომ ივრის ზეგანზე ძვ.წ. XIV-IX საუკუნეების გრანდიოზული ტაძრები, ნოციერი ნადაგებით წარმოდგენილ ყველა დიდი სასოფლო-სამეურნეო ველის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ერთდროულად. დასახლებები განფენილი იყო ამ ველების ირგვლივ მდებარე მთაგორებზე. აღნიშნული სურათი დაფიქსირდა შირაქის ველზე, მელაანის, კაჭრეთის და საგარეჯოს მთისწინეთის სამხრეთით მდებარე ველებზე. ამას დამატა ისიც, რომ ოთხივე ამ დაბლობზე გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში, როგორც ჩანს, არსებობდა დღეს გაუქმებული საირიგაციო სისტემა, რომელიც სატელიტური და აეროფოტოგადაღებებით შეენიშნეთ.

შემდგომ, შირაქის ველზე მისი აღდგენა მოხერხდა სპეციალისტების მიერ არქეოგეორადიოლოკაციის მეთოდის გამოყენებითაც, რომლის საფუძველზეც ჩვენთვის საინტერესო პერიოდში შირაქის ველის გასარწყავება ეჭვგარეშეა დადგენილი. აღნიშნული ველების ცენტრში მდებარე სამლოცველოები აშკარად ირგვლივ მთა-გორებზე მდებარე დასახლებების ცენტრალური რელიგიური ცენტრებია, რაც ამ საზოგადოების სულიერი კულტურის ერთიანობაზე უნდა მიუთითებდეს. არ უნდა გამოირიცხოს, რომ ისინი ერთდროულად

ადმინისტრაციულ ფუნქციასაც ატარებდნენ. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული რელიგიური ცენტრების პარალელურად სამოსახლოებთანაც არსებობდა მათგან გამოყოფილი შესაძლო საგვარეულო სამლოცველოები, რაც სასულიერო ცხოვრებაში არსებულ იერარქიულ სისტემაზე აშკარა მითითებაა.

ივრის ზეგნის აღნიშნული ველების ირგვლივ ტაძრების თანადროული, ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეების ნამოსახლართა ტოპოგრაფიისა და მორფოლოგიის მიხედვითაც უკვე არაერთი მითითება გვაქვს იმაზე სასაუბროდ, რომ ამ დროიდან სამხრეთ კავკასიის მხარეში საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ სისტემაშიც მნიშვნელოვანი ცვლილებებია. ყოველ შემთხვევაში, რიგი მინიშნებების მიხედვით, თანადროულ საზოგადოებაში აშკარად შეიძლება თვალი გავადევნოთ გარკვეულ ცენტრალიზაციას, რაც ერთმანეთზე დამოკიდებული სოციალური ფენების არსებობას გვიდასტურებს და სახელმწიფოებრივი სტრუქტურის სანყის ნიშნებს ატარებს.

სრულიად განსაკუთრებული იერსახისაა თანადროული ძეგლები გარეჯის უდაბნოს მთიანეთში. ჯერ ერთი, აქ მათი ტოპოგრაფია, როგორც ჩანს, სრულიად სხვა პრინციპზეა აგებული, კერძოდ, ისინი ძირითადად რკინის ნედლეულისა და მის სანარმოო ცენტრების ირგვლივ ჩანს განლაგებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ თვალსაზრისით კვლევა-ძიება მხოლოდ დაწყებულია (8-14), სამუშაო ჰიმოთეზის სახით მაინც შეიძლება ამგვარი დასკვნების გაკეთება — ამაზე პირველ რიგში მიგვითითებს რკინის მთის ნედლეულის ბაზის ირგვლივ განლაგებული დასახლებები, რომელთა ტოპოგრაფიაში გარკვეული სისტემა შეიმჩნევა.

უდაბნოს მთიანეთის ძეგლების კვლევისას ყურადღებას იქცევს ის, რომ ისინი კულტურულოგიურად აბსოლუტურად იდენტურია ივრის ზეგნის ჩვენ მიერ წინ განხილულ ძეგლებთან და მათი თანადროულია.

ამგვარად, არქეოლოგიური და პალეოეკოლოგიური კვლევების სინთეზმა აშკარად მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა, რაც ამ მიმართულებით სამუშაოების გააქტიურების სტიმულატორი უნდა გახდეს.

ლიტერატურა

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, თბ., 1928.
2. ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. I, თბ., 1960ა.
3. ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. I, თბ., 1960ბ.
4. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, ისტორიული გეოგრაფია, თბ., 1964.
5. ვ. ვარაზაშვილი, კოტე ფიცხელაური, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები ივრის ზეგანზე, „ხორნაბუჯი“ I, თბ., 2011.

6. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ნ. ბერძენიშვილის შრომებში. „მაცნე“, №2, თბ., 1965.
7. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977.
8. J. Bertram und K. Picxelaury, Vorbericht zu den Ausgrabungsarbeiten in Udabno (Ost-Georgien) im Jahre 2005. Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, Band 37, Berlin, 2006.
9. M. Korfmann, K. Picxelaury, I. Bertram, G. Kastl, Vorbericht zu den Vermessungs und Ausgrabungsarbeiten in Udabno (Ost-Georgien) 2000-2004. Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, Band 35-36, Berlin, 2005.
10. K. Pizchelaury, Jungbronzezeitliche bis ältereisenzeitliche Heiligtümer in Ost-Georgien. Kommission für Allgemeine Vergleichende Archäologie des Deutschen archäologischen Institut, Bonn-München, 1984.
11. K. Pizchelaury, Die spätbronze und früheisenzeitliche Kulturen Ostgeorgiens. Unterwegs zum Goldenen Vlies, Saarbrücken, 1995.
12. K. Pizchelaury, Eine neue altorientalischer Kultur der Eisenzeit im innern des Kaukasus. Anadolu Arastirmalari, XIV, Istanbul, 1996.
13. K. Pitskhelaury, South Caucasian Ancient Civilisation in Gareji Desert (Udabno). Mauerschau. Festschrift für Manfred Korfmann, Band 2. Verlag Bernhard Albert Greiner, Remschalden-Grumbach, 2002.
14. K. N. Pizchelaury, K.K. Pizchelaury, Übersicht metallurgischer Entwicklungen von der Bronze – bis zur Eisenzeit in Ostgeorgien. Der Anschnitt Zeitschrift für Kunst und Kultur in Bergbau. Beiheft 15, Anatolian Metall II, Bochum, 2002.

KONSTANTINE (KIAZO) PITSKHELARI

**A NOTION ON FORMATION OF THE STATE INSTITUTION
IN THE EAST GEORGIA**

Summary

The study of archaeological monuments of the 2nd-1st millennia B.C. and reconstruction of the ancient hydronet system topography on the Iori plateau made it possible to restore ancient economic and administrative units, on the basis of which, probably, the state institution was formed in this part of the country.

КОНСТАНТИН (КИАЗО) ПИЦХЕЛАУРИ

**ОДНО УКАЗАНИЕ НА ИСТОКИ ОБРАЗОВАНИЯ
ГОСУДАРСТВЕННОГО ИНСТИТУТА В ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ**

Резюме

На основе восстановления топографии археологических памятников II-I тыс. до н.э. и древней гидросистемы Иорского плоскогорья, стало возможным восстановить древние хозяйственно-административные единицы местных племен.

Предположительно, это первые общественные объединения, которые стали основой образования государственного института в Восточной Грузии.

თაგავ ჟალიძე, ღვათო ოდილაშვილი, კინაზო ფიცხელაური

არქეოგეოფიზიკა – ახალი პერსპექტივები

შესავალი

გეოფიზიკური მეთოდები ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად გამოიყენება არქეოლოგიაში. პირველი ცდები ჯერ კიდევ 1946 ჩატარდა. ამჟამად ეს მეთოდები ძალზე ფართოდ გამოიყენება არქეოლოგიაში (3; 4; 7; 10). ყველაზე უფრო ხშირად იყენებენ გეორადარულ, ელექტრონიზაციის და მაგნიტურ მეთოდებს, ხოლო იშვიათად ბუნებრივ ელექტრულ ველებს, მიკროგრაფიომეტრიას, რადიომეტრიას, თერმულ ინფრანითელ და აკუსტიკურ ან სეისმურ მეთოდებს.

„არქეოგეოფიზიკის“ ანუ „არქეოლოგიური ძიების“ ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს ფიზიკური თვისებების კონტრასტი არქეოლოგიური ძეგლის შემადგენელი მასალისა და მის ირგვლივ არსებული გარემოს შორის. თუ რაღაც განსხვავებული ფიზიკური თვისებების (ელექტრონიზაციის, დამაგნიტების) მქონე სტრუქტურა დაფარულია ნიადაგის ფენით, ის ინვევს დღის ზედაპირზე გაზომილი ველის შეცვლას, ე.წ. გეოფიზიკურ ანომალიას. ანომალური ველის დამუშავება სპეციალური პროგრამების საშუალებით შესაძლებლობას იძლევა საკმაოდ ზუსტად დადგინდეს დაფარული ძეგლის ადგილმდებარეობა, მისი ჩანოლის სიღრმე, ზომები და სხვა დეტალები. არქეოლოგიური ძეგლები, როგორც წესი, ლოკალიზებულია, ანუ მათი ჰორიზონტული და ვერტიკალური ზომები შეზღუდულია. ამიტომ არქეოგეოფიზიკური ძიებისას ერთ-ერთი მოთხოვნაა მონაცემების მოპოვება ძალზე დიდი დეტალურობით – დაკვირვების წერტილების დაშორება მცირე უნდა იყოს. და ბოლოს, საძიებელი არქეოლოგიური ძეგლების ჩანოლის სიღრმე იშვიათად აღემატება 5 მ.

ბოლო წლების მიღწევებმა გეოფიზიკური მონაცემების დამუშავებასა და გრაფიკულ წარმოდგენაში ძალზე გაზარდეს მკვლევართა პოტენციალი ე.წ. „მაშველ არქეოლოგიაში“, როდესაც დიდი ინდუსტრიული ობიექტების სამშენებლო მოედნებზე წინასწარ, სასწრაფოდ და გარემოს დაუზიანებლად, უნდა ჩატარდეს კულტურული მემკვიდრეობის დაფარული ძეგლების კარტირება.

ნათქვამი სრულიად არ აუფასურებს სუფთა არქეოლოგიურ მეთოდებს – ადრე თუ გვიან არქეოლოგები მაინც მიაღწევენ საწინააღმდეგარ მიზანს. ჩვენ

მხოლოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ არქეოგეოფიზიკის გამოყენებით არქეოლოგების მიერ საკვლევე ფართის შესწავლა გაცილებით უფრო სწრაფად, იაფად და დეტალურად შეიძლება განხორციელდეს. ისეთი ისტორიის მქონე ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო, არქეოგეოფიზიკური კვლევის დიდი მნიშვნელობა უდავოა.

არქეოგეოფიზიკური კვლევები საქართველოში

საქართველოს ტერიტორია მსოფლიო ცივილიზაციისათვის ანტიკური დროიდან არის ცნობილი; საკმარისია გავიხსენოთ პრომეთესა და არგონაეტების მითები. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება სხვადასხვა ეპოქის მრავალი არქეოლოგიური ძეგლი. მრავალი მათგანი დაფარულია მეოთხეული ნალექებით და მათი აღმოჩენა გეოფიზიკის გამოყენების გარეშე გაძნელებულია და დიდ ხარჯებს მოითხოვს.

საქართველოში არქეოგეოფიზიკური ძიება დაიწყო ჯერ კიდევ 1964-1968 წლებში ანტიკური ქალაქის – ბიჭვინთის – ტერიტორიაზე (8). კვლევა იყო მრავალდარგობრივი: გამოყენებულ იქნა ელექტრული, მაგნიტური, გრავიმეტრული და რადიომეტრული მეთოდები და კარგი შედეგებით დასრულდა – დაფარული კედლების ადგილმდებარეობა დადგინდა იქნა მკვეთრი გეოფიზიკური ანომალიების აღმოჩენის საფუძველზე. შემდეგი მსგავსი კვლევები ჩატარდა მრავალ ობიექტზე (8;11): ვანის ანტიკურ ნაქალაქარში, თბილისის შემოგარენში, თეთრიწყაროს ძველი ირიგაციის სისტემაზე, კვლავ ბიჭვინთაში (1983), დავით-გარეჯის კომპლექსში, ბაგრატიის ტაძარში, აწყურის დედოფლის სასახლეზე (1991), კახეთში ნაქალაქარზე (1985-88), ნინოწმინდას მონასტერში (1997-98), არმაზციხე-ბაგინეთის ტერიტორიაზე (2000-2001).

იმის შემდეგ, რაც მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტმა (2007-2009) შეიძინა თანამედროვე ციფრული ხელსაწყოები – გეორადარი „ზონდი12“, ელექტროსაძიებო კომპლექსი „სარის“ და მაგნიტომეტრი „გეომეტრიკისი“ – არქეოგეოფიზიკური ძიების პოტენციალი მკვეთრად გაიზარდა, კერძოდ გაიზარდა სიზუსტე, დეტალურობა, საიმედოობა, შემცირდა გაზომვებისა და ინტერპრეტაციისათვის საჭირო დრო.

არქეოგეორადიოლოკაცია

ბოლო წლებში არქეოგეოფიზიკურ კვლევაში სულ უფრო პოპულარული ხდება გეორადიოლოკაციის ანუ გეორადარის მეთოდი (5). ამ მეთოდში, ისევე როგორც ჩვეულებრივ რადარში, გამოიყენება მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების გამოსხივება და მათი თვისება, აირეკლონ განსხვავებული თვისებების ობიექტებიდან, ოღონდ გეორადარის შემთხვევაში, გამოსხივება მიმართულია დედამიწის ქერქისაკენ. როგორც რადარული, ისე გეორადარული მეთოდით შესაძლოა ამრეკლი ზედაპირის დაშორების განსაზღვრა პირდაპირი და არეკვლილი სხივის გარბენის დროის გაზომვის

საშუალებით: გარბენის დრო გაყოფილი ტალღის სიჩქარეზე გვაძლევს მანძილს. ამ ორ მეთოდს შორის განსხვავება ის არის, რომ თუ ატმოსფეროსკენ მიმართული რადარის სხივი ძალზე დიდ მანძილზე ვრცელდება, დედამიწის შემადგენელი ქანების მაღალი გამტარობის გამო გეორადარული გამოსხივება ძლიერ შთანთქმავს განიცდის და ოპტიმალურ შემთხვევაში რამდენიმე ათეული მეტრის სიღრმეს აღწევს. გეორადარის სხივის არეკვლა ხდება განსხვავებული დიელექტრული თვისებების მქონე ობიექტებიდან, ანუ ამ მეთოდით სტრუქტურები იყოფა დიელექტრული მუდმივის მიხედვით.

გეორადარის გამოყენებით შესაძლებელია სახსრების არამარტო დაზოგვა, არამედ მათი უფრო ეფექტურად გამოყენება, რადგან გეორადარით გრუნტის სკანირებისას შესაძლებელი ხდება საკვლევი ტერიტორიის მეტი რაოდენობის დამუშავება დროის შედარებით მცირე მონაკვეთში. საძიებო ობიექტების ზედაპირიდან 10-20 მეტრის სიღრმემდე განლაგებისას თანამედროვე არქეოლოგიისათვის გეორადიოლოკაცია სრულიად უალტერნატივოა.

აეროფოტოგადაღებასა და ზედაპირულ ნიშნებზე დაფუძნებით არქეოლოგიაში ძნელია დეტალურად დადგინდეს ისეთი ობიექტების მდებარეობა, რომლებსაც შესაბამისი ნიშნები არ გააჩნიათ: მაგალითად, გრუნტში განთავსებული სამაროვნები და დასახლებების ნაშთები, ფუნდამენტების დაფარული ნარჩენები (ნ). გეორადარით გრუნტის სკანირებისას შესაძლებელია გადაწყდეს გრუნტოვან გარემოში განთავსებული განსხვავებული სიმკვრივის (ფოროვნობის გამო დიელექტრული განვლადობა იცვლება) მქონე ობიექტის მოძიების ამოცანაც. გეორადარით მოძიებადი საგანი შეიძლება იყოს გეოლოგიური ნარმონაქმნები, სიცარიელები, ქვაყუთები, აკლდამები, ქვევრები. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია მიღებული შედეგების სავსე პირობებში რეალურ დროში ნარმოჩენა-დაფიქსირება. ყორლანთა გამოკვლევისთვის გრუნტის სკანირებისას შესაძლებელია კარგად გამოიკვეთოს ისეთი კონსტრუქციული ელემენტები, როგორცაა ნაყარი ფენები, ცენტრალური კონსტრუქციები, ქვის საფარი და ა.შ. ასევე შესაძლებელია გრუნტულ სამაროვანთა (ანუ განსხვავებული დიელექტრიკული მასალით ამოვსებული და დაფარული ორმოების) გეორადიოლოკაციური გამოკვლევა, მაშინ როდესაც ზედაპირზე მათი განმასხვავებელი ნიშნები არ ფიქსირდება.

გეორადარის საშუალებით გრუნტის სკანირებისას მიიღება ინფორმაცია ზედაპირის ქვეშ განთავსებული საგები ფენების შესახებ. ფენების დიელექტრიკული განვლადობის კონტრასტულობით შესაძლებელია გამოიყოს გრუნტის ტიპი (თიხა, თიხნარი, ქვიშნარი, კლდოვანი), მისი სტრუქტურა (დაურღვეველი გრუნტი – მატერიკული და დარღვეული – კულტურული ფენა), გრუნტის მდგომარეობა (მშრალი, ტენიანი ან წყლით გაჯერებული) და ფიზიკური თვისებებით განსხვავებული ჩანარები, მათ შორის სხვადასხვა

სახის არქეოლოგიური ობიექტები (კედლები, საძირკვლები, სამარხები, სი-
ცარიელები, დიდი ზომის ნივთები).

გრუნტის სკანირების შედეგად მიიღება გრუნტის ფენების და კულ-
ტურული ფენების გავრცელების სიღრმე ანუ გეორადიოლოკაციური ჭრილი
და მათი საზღვრების კარტირება, რაც ინფორმატიულად ავსებს და ამდიდ-
რებს არქეოლოგიური სტრატეგრაფიის კლასიკურ მეთოდს.

არქეოლოგიური კლასიკური სტრატეგრაფიის მეთოდისგან განსხვავე-
ბით, გეორადიოლოკაციური სკანირებით მიღებული ჭრილი გაცილებით
სწრაფად აიგება შედეგის მონიტორის ეკრანზე გამოსახვით უშუალოდ პრო-
ფილირების დროს. გეორადრული მეთოდით მიღებული სტრატეგრაფიის
გარკვეული უპირატესობა კლასიკურთან მიმართებაში მდგომარეობს ჩატა-
რებული სამუშაოების შედეგად გარემოს დაუზიანებლობაში, რაც ასევე არ-
ქეოლოგიისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან დაუზიანებელი რჩე-
ბა თვით კვლევის ობიექტი.

ჩატარებული სამუშაოები და დაგროვილი გამოცდილება საშუალებას
იძლევა გამოიყოს არქეოლოგიაში გეორადრული გამოკვლევების ოთხი
ძირითადი დამოუკიდებელი მიმართულება. თვითოეულ მათგანს არქეოლო-
გიისათვის აქვს თავისი მნიშვნელობა, ვინაიდან წყვეტს არქეოლოგის შესა-
ბამის ამოცანას, რომელთა საბოლოოდ გადაწყვეტის ძირითად ინსტრუმენტს
კვლავ წარმოადგენს გათხრები.

ამ მიმართულებებიდან პირველს არქეოლოგიაში წარმოადგენს სა-
მუშაოთა გაშლის სავარაუდო ტერიტორიის მიმოხილვითი გეოლოგიური
გადაღება. გეორადრით შესრულდება დიდი პროფილები (1-2კმ.), რომელ-
იც მოიცავენ სავარაუდო არქეოლოგიური გათხრების ტერიტორიას. გეო-
რადიოლოკაციური გამოკვლევა საშუალებას იძლევა შეიქმნას ადგილმდებ-
არეობის ზოგადი გეოლოგიური სურათი, ამასთან დაიმზიროს რელიეფის
შესაძლო გეოლოგიური ევოლუცია და განისაზღვროს კულტურული ფენის
საზღვრები, დაფარული ველები, მდინარეთა დაფარული კალაპოტები, და
ა.შ. გეორადრული გამოკვლევის შედეგად მიღებული მიმოხილვითი გე-
ოლოგიური სურათის ანალიზი ემსახურება არქეოლოგიაში გათხრითი სა-
მუშაოების დაგეგმვას, აზუსტებს რა უძველესი ქალაქებისა და დასახლე-
ბული პუნქტების მდებარეობის საზღვრებს.

გეორადიოლოკაციური კვლევის მეორე მიმართულება არქეოლოგია-
ში არის კულტურული ფენის დეტალური გეორადრული გადაღება (გეო-
რადრული სტრატეგრაფია), გრუნტის დამუშავების (გათხრების წარმოების)
ადგილმდებარეობის დაზუსტების მიზნით. ის აფიქსირებს ცალკეული ნაგე-
ბობის ფუნდამენტის მდებარეობას.


არქეოლოგიაში გეორადიოლოკაციური კვლევის მესამე მიმართულებას
წარმოადგენს მოძიება, პოვნა და ცალკეულ შემთხვევებში არქეოლოგიური
საშუალო ზომის (მეტრის რიგის) ობიექტების იდენტიფიკაცია გრუნტის და-

მუშავეების გარეშე. არქეოლოგიურ ობიექტებს გააჩნიათ თავიანთი დამახასიათებელი რადიოსახე. ეს იძლევა საშუალებას განისაზღვროს ობიექტის რაობა (ზომა, ფორმა, თვისებები) გრუნტის მთლიანობის დარღვევის გარეშე.


გეორადიოლოკაციური კვლევის მეოთხე მიმართულებას არქეოლოგიაში წარმოადგენს კიდევ უფრო დეტალური ქვეზედაპირული გეორადარულო გადაღება და მასში განლაგებული შედარებით მცირე ზომის (ათეული სმ) არქეოლოგიური ობიექტების მოძიება.

საერთოდ, დაფარული ობიექტის ზღვრული ზომები, რომლის აღმოჩენა შესაძლოა გეორადარის მეშვეობით, რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. ერთ-ერთი მათგანი არის სიხშირე: მაღალი სიხშირეები საჭიროა მცირე ობიექტების აღმოსაჩენად, ამავე დროს ამ სიხშირეების ჩანვდომის სიღრმე მცირეა. შედარებით ღრმად განლაგებული ობიექტების დაფიქსირება მოითხოვს უფრო დაბალ სიხშირეებს. არქეოლოგიური ობიექტები, როგორც ნესი, 1-დან 5 მეტრ სიღრმემდე გვხვდება, შესაბამისად ცენტრალური სიხშირე ამ დროს უნდა იყოს 100-დან 1000 მეგაჰერცი. საძიებო ობიექტების გარჩევითობა აგრეთვე დამოკიდებულია დაკვირვების წერტილების დაშორებაზე d : კარგ შედეგებს ვაღწევთ, თუ პუნქტების დაშორება ნაკლებია გრუნტში ტალღის სიგრძის მეოთხედზე, უფრო ზუსტად, d უნდა იყოს ნაკლები დაახლოებით $[75/f(\text{m})]^2$ სიდიდისა, სადაც f სიხშირეა მეგაჰერცებში, ხოლო ε – გარემოს ფარდობითი დიელექტრული მუდმივა; დეტალური კვლევისათვის ამ სიდიდის $1/5$ არის რეკომენდებული.


ქვემოთ მოტანილია 2011 წლის შირაქის გაერთიანებული არქეოლოგიური და არქეოგეოფიზიკური ექსპედიციის წინასწარი შედეგები. გეორა-



ნახ. 1. რადაროგრამაზე ყორანის (სავარაუდოდ) წრიულად (ჭრილში) განლაგებული ლოდებია. რადარული სიგნალის ჩაღწევის სიღრმე - 10 მ. ნახატებზე 1-6 მოცემულია: ყ-ღერძზე სიღრმე მეტრებში, ხ-ღერძზე – მანძილი პროფილის გასწვრივ მეტრებში.




ნახ. 2. იგივე რადაროგრაფია რელიეფის შესწორების გათვალისწინებით. განიერი ისრით ნაჩვენებია შესაძლო სიღრუვის მდებარეობა (შემოკონტურულია), ისრებით გამოკვეთილია ლოდებით მდებარეობა (შემოფენა).



ნახ. 3. წარმოდგენილია ნახაზებზე 1, 2-ზე მოტანილი რადაროგრაფის მართობულ პროფილზე მიღებული რადაროგრაფია. ისრებით ნაჩვენებია წრიულად განლაგებული ყორღანული ლოდნარი.


დარული მეთოდით მიღებული შირაქის (გაუთხრელი) ყორღანის ურთიერთ-მართობული რადაროგრაფები. y-ღერძზე არის სიღრმე მეტრებში, x-ღერძზე – მანძილი პროფილის განვრივ მეტრებში. ეს წინასწარი შესწავლა მოწმობს, რომ გეორადარი ნათლად გამოყოფს ყორღანის საზღვრებს, მის შინაგან სტრუქტურას, შესაძლო სივარულიებს და განყლიანების ზონებს (ნახ. 1-4). სამწუხაროდ, აქ მოყვანილი რადაროგრაფების შავ-თეთრი ვარიანტი გაცილებით ნაკლები გარჩევითობა აქვს: ფერადი ვარიანტი გაცილებით უფრო ინფორმატიულია.




ნახ. 4. იგივე რადაროგრამა, რაც ნახ. 3 არის ნაჩვენები, რელიეფზე შესწორების შეტანის შემდეგ. ისრით მითითებულია და წრეებით შემოფარგლულია ყორღანში არსებული (სავარაუდო) სიღრუვეები.

ნახ. 5-6 წარმოდგენილია შირაქის ნაქალაქარზე მიღებული რადაროგრამები, სადაც დადგინდა სიღრმული ჭრილი 10 მ სიღრმემდე, გამოიყო განწყლიანებული ზონები და (სავარაუდოდ) ქვაფენილის ლოდები.

სამუშაო ჩატარდა გეოფიზიკის ინსტიტუტის მიერ შექმნილი სერტიფიცირებული გეორადარით „ზონდ12-ე“ გამოყენებით თავისი საშტატო



ნახ. 5. წარმოდგენილია შირაქის ნაქალაქარის 450-მეტრიანი მონაკვეთის გეორადარული ჭრილი. გამოიყო გეორადარული ფენები. ისინი მდებარეობენ: პირველი 1-1.5 მ, მეორე 2-2.5 მ. ჭრილის გასწვრივ გამოიყო გრუნტის წყლის დონე 1-1.5 მ. (მუქი შავი ზოლი) და განწყლოვანების უბანი რადაროგრამის ბოლოს 420-450 მ. ზედაპირთან ახლო ისრებით მინიშნებულ ადგილებზე (სავარაუდოდ) ფუნდამენტის ნარჩენებია.



ნახ. 6. წარმოდგენილ რადაროგრამაზე (სიგრზე - 25 მ.) გამოიკვეთა რეგულარული განლაგების ახლო ქვეზედაპირული (0.8-1 მ. სიღრმეზე) ობიექტები, შესაძლოა გზის საფენი ლოდები (დაახლოებით 30-35 სმ ზომის.), სავარაუდოდ გზა გადატარებულია ძველი ფუნდამენტის ნარჩენებზე.


2 გიგაჰერცის, 150 მეგაჰერცის და 75 მეგაჰერცის მიმღებ-გადამცემი ანტენების გამოყენებით, შედეგები დამუშავდა სერტიფიცირებული პროგრამული უზრუნველყოფით „პრიზმ 2.5“.

არქეომაგნიტური მეთოდი

მაგნიტურ მეთოდს ხშირად იყენებენ არქეოლოგიაში, როგორც სწრაფ და მალალი გარჩევითობის მქონე მეთოდს – ამჟამად ის არქეოციების ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია. მეთოდი გამოიყენება გარემოდან განსხვავებული მაგნიტური თვისებების მქონე ობიექტების აღმოსაჩენად, როგორცაა დამარხული მეტალური (რკინის) ჩანართები, ქვის კედლები და საძირკვლები, სადნობი ქურები, ცეცხლის კერები.



ნახ. 7. მაგნიტომეტრი GEOMETRICS – გეოფიზიკის ინსტიტუტის არსენალშია.



ნახ. 8. უძველესი სადნობი ქურების (მუქი წრეები) მაგნიტური გრადიომეტრის მეთოდით აგვეგვის შედეგები (გერმანია).


ქვემოთ (ნახ. 8) არის მოყვანილი გერმანიაში უძველესი სადნობი ქურების აგებვის შედეგები. წითელი ფერით აღნიშნულია ანომალური არეები, რომლებიც შეესაბამება ქურების ადგილმდებარეობას.

ელექტროძიების მეთოდები

ეს მეთოდი საშუალებას იძლევა გამოიყოს განსხვავებული გამტარობის მქონე ობიექტები ათეული მეტრების სიღრმეზე (კედლები, საძირკვლები, სამარხები, სიცარიელები). გეოფიზიკის ინსტიტუტს აქვს სათანადო თანამედროვე აპარატურა „სარის“ და მრავალწლიანი გამოცდილება ამ მეთოდის გამოყენებაში.

ქვემოთ ნახ. 9-ზე ნაჩვენებია გეოფიზიკის ინსტიტუტის მიერ არმაზციხე-ბაგინეთის კომპლექსზე (მცხეთის მახლობლად) ჩატარებული ელექტროძიებითი სამუშაოების შედეგები (1; 2), საიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორ აადვილებს არქეოლოგიურ კვლევას გეოფიზიკური მეთოდების გამოყენება.

ნახატზე (9) შავად შეფერილი ოთხკუთხედებით აღნიშნულია მიწის სამუშაოები. გეოფიზიკის გარეშე ჩატარებული გათხრები, გეოფიზიკური ელექტროსაძიებო მეთოდით გამოყოფილი ე.წ. ანომალური უბნები აღნიშნუ-



ნახ. 9. არმაზციხე-ბაგინეთის კომპლექსის ელექტრული ძიების შედეგები. შავი ოთხკუთხედებით სურათზე ნაჩვენებია გათხრები, რომლებიც გეოფიზიკის გამოყენების გარეშე გაკეთდა: პრაქტიკულად ისინი ყველა უშედეგო აღმოჩნდა. არეებში ნომრებით 1, 2, 3, 4 ჩატარდა ელექტროძიება მუდმივი დენის მეთოდით. ამ არეებში აღმოჩენილი ანომალიები გამოყოფილია ოთხკუთხედებით. ყველა ამ ანომალური ფართის გათხრებისას აღმოჩნდა, რომ იქ არსებობს დამარხული არქეოლოგიური ობიექტი - კედელი, საძირკველი, კულტურული ფენა.

ლია ციფრებით 1, 2, 3 4. ამ უბნებში ჩახაზული მართკუთხედებით აღნიშნულია გეოფიზიკური დასკვნების საფუძველზე გათხრილი შურფები. აღმოჩნდა, რომ გეოფიზიკის გარეშე გათხრილი შურფები ძირითადად უშედეგოა, ანუ მათ ვერ გახსნეს დამარხული არქეოლოგიური ობიექტები, ხოლო გეოფიზიკური ინფორმაციის საფუძველზე გათხრილი შურფების ეფექტიანობა პრაქტიკულად ასპროცენტია: ყველა ანომალური არის სასინჯ გათხრებისას იქ აღმოჩნდა რაღაც კულტურული ფენა (კედელი, იატაკი და ა.შ.). ჯამში ორი სეზონის გეოფიზიკური ექსპედიციების შედეგად მინიმალური ხარჯით (1400 ლარი) არმაზციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა 1700 კვ. მ. ფართის უცნობი არქეოლოგიური ობიექტები.

ლიტერატურა:

1. A. Apakidze, G. Tabagua, L. Chanturishvili, T. Chelidze, G. Kipiani, M. Jakhutashvili, Some Results of Archaeogeophysical Studies on the Territory of Ancient Urban Area Armaztsikhe-Bagineti. Bulletin of the Georgian Academy of Sciences. 2001, V. 163, 470-472.
2. L. Chanturishvili, T. Chelidze, G. Tabagua, M. Jakhutashvili, A. Tarkhishvili, T. Zardalishvili D., Odilavadze, New results of archaeogeophysical investigations of Armaztsikhe-Bagineti ancient urban area. Journal of the Georgian Geophysical Society. Issue A. Physics of Solid Earth. 2001, V.6, 112 – 117.
3. A. J. Clark, Seeing Beneath the Soil. Prospecting Methods in Archaeology. London, United Kingdom: B.T. Batsford Ltd. 1996.
4. J. Gater and C.F. Gaffney, Revealing the Buried Past: Geophysics for Archaeologists. Taylor&Francis, 2003.
5. A. Neal, Ground-penetrating radar and its use in sedimentology: principles, problems and progress. Earth-Science Reviews, 2004, 66, 261-330.
6. D.T. Odilavadze, T.L. Chelidze, A Preliminary GPR investigation of Metekhi Cathedral and the surrounding area. Journal of Georgian Geophysical Society, 2010, 14 A.32-38.
7. A. Schmidt, Geophysical Data in Archaeology: A Guide to Good Practice (AHDS Guides to Good Practice), 2001.
8. D. Tsitsishvili, G. Tabagua, G. Khvitia, Electrical prospecting in archaeological research: Bichvinta case history. Bulletins of Academy of Sciences of Georgian SSR, 1968, v.4. N 3 (in Russian).
9. D. Tsitsishvili, G. Tabagua, Results of investigation of Pitsunda ruins by geophysical methods. Proceedings of Institute of Geophysics, 1975, v. 34 (in Russian).
10. A. Witten, Handbook of Geophysics and Archaeology. London, United Kingdom: Equinox Publishing Ltd. 2006.
11. ლ. ქანტურიშვილი, მ. ჯახუტაშვილი, გ. ქუთელია, არქეოლოგიური ძეგლების ძიება უდაბნოს ტერიტორიაზე გეოფიზიკური მეთოდებით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, III სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 1993.

T. CHELIDZE, D. ODILAVADZE, K. PITSKHELARI

ARCHAEOGEOPHYSICS – NEW PERSPECTIVES

Summary

The basics of archaeogeophysics is a contrast of physical properties (electrical conductivity, dielectric constant or magnetic susceptibility) of the buried archaeological object and surrounding geological medium, which causes anomaly in the measured on the day surface physical field. Modern precise devices and special software allow fast and exact enough determination of location, size and depth of archaeological monument. A short review of the present state of archaeogeophysics in the world and in Georgia is presented. The basics of main archaeogeophysical methods: georadar, magnetic and electrical prospecting is given. Examples of archaeogeophysical surveys in Shiraki area (georadar) and Armaztsikhe-Bagineti (electrical prospecting) are analyzed.

T. ЧЕЛИДЗЕ, Д. ОДИЛАВДЗЕ, К. ПИЦХЕЛАУРИ

АРХЕОГЕОФИЗИКА – НОВЫЕ ПЕРСПЕКТИВЫ

Резюме

Основу археогеофизики составляет контраст физических свойств (электропроводности, диэлектрической или магнитной проницаемости) погребенного археологического объекта и вмещающей геологической среды, в результате чего физическое поле, измеренное на поверхности, проявляет аномалию. Современные точные приборы и специальные программы обработки позволяют быстро и достаточно точно установить местоположение, размеры и глубину залегания погребенного археологического объекта. Приводится краткий обзор современного состояния археогеофизики в мире и в Грузии. Изложены базовые положения основных археогеофизических методов: георадиолокационного (георадара), магнитного и электроразведочного. Проанализированы результаты археогеофизических исследований в районе Шираки (георадар) и Армазтихе-Багинети (электроразведка).

კობა ფიცხელაური

**იორ-ალაზნის აუზის კვ. ნ. II-ი ათასწლეულთა სატაძრო
კომპლექსებზე დადასტურებული ერთი ტრადიციის შესახებ**

საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლენილია ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და ძვ. წ. II-ი ათასწლეულთა მიჯნის, სამოსახლოთაგან გამოყოფილი დიდი ტაძრები [1, გვ. 7-98].

ეპოქალურად მათი აგებულება ერთიმეორისაგან ნაწილობრივ განსხვავებულია.

ძვ. წ. XIV-XIII სს-ის ტაძრები – ყათნალიხევი [2, გვ. 16-50, ტაბ. II-XXVII; 6, გვ. 8, ტაბ. II-V], შილდა [3, გვ. 3-114, ტაბ. I-LXXXV; 6, გვ. 24, ტაბ. XXIII-XXXVI], მელი-ლელე I [4, გვ. 112-122, ტაბ. XXIII-XLVII; 5, გვ. 50-58, ტაბ. I-XXXII; 6, გვ. 22-23, ტაბ. XVII-XXI] წარმოადგენს მრგვალი გეგმარების, თხრილით შემოსაზღვრულ და ქვის მშრალი წყობით შემოზღუდულ ფართობს, სადაც მცირე ორმოებში და მიწაში ჩადგმულ თიხის ჭურჭელში განთავსებულია დიდი რაოდენობით შეწირული ნივთები. ყათნალიხევისა და მელი-ლელე I-ის სამლოცველოების ცენტრალური ნაწილი, აღნიშნულის გარდა, მიწაში ამოჭრილი, ხის ნაცრითა და ცხვრის დამწვარი ძვლის ფრაგმენტებით შევსებული სხვადასხვა გამოსახულებითაა დაფარული [1, სურ. 4; 2, ტაბ. VI; 4, ტაბ. XXIII, XLV, XLVI; 6, ტაბ. XVIII].

ამავე კულტურის ფარგლებში და იმავე პერიოდში, შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციასთან დაკავშირებით, სხვა სახის სამლოცველოებიც ყალიბდება [7, გვ. 106-121].

კახეთში აღმოჩენილია ძვ. წ. II-ი ათასწლეულთა მიჯნის, სამოსახლოებიდან გამოყოფილი ტაძრებიც: ბაკურციხეში¹, მელაანში [9, გვ. 82-111, ტაბ. XVI-XXX; 4, გვ. 117-122; 1, გვ. 66-88] და მელი-ლელეში [4, გვ. 116-117, ტაბ. XXIII, XLVII-L], რომლებიც თავისი წინამორბედებისგან აგებულებით ნაწილობრივ განსხვავებულია. ორი პირველი ტაძარი მთლიანად განადგურებული დახვდა მკვლევარებს, რის გამოც მათი გეგმარების აღდგენა არ მოხერხდა. სანაცვლოდ მათზე მსჯელობისთვის მყარი საფუძველი შექმნა აქ მოპოვებულმა მრავალრიცხოვანმა შენაწირმა მასალამ, რომელზე დაყრდნობითაც განისაზღვრა ამ ძეგლების დანიშნულება და არსებობის ქრონოლოგიური ჩარჩოები. ორივე ტაძარზე უაღრესად დიდი ინფორმაციის შემცველი აღ-

1 მონაპოვარი მასალა დამუშავდა ა. აფაქიძის მიერ [8] და იგი განძის კატეგორიას მიეკუთვნა.

მოჩნდა ცეცხლისაგან დახეთქილი, რიყის ქვის მცირე ფრაგმენტების სიმრავლე, რომლებმაც მკვეთრად შემოსაზღვრა მათი განვრცობის ფარგლები [9, გვ. 90-97, ტაბ. XXIV-XXV; 1, სურ. 3; 4, ტაბ. XXIII]. ამ ფაქტმა განსაკუთრებული აზრობრივი დატვირთვა შეიძინა მას შემდეგ, როდესაც ჩვენ გავეცანით მელი-ლელე I ტაძრის გათხრების მასალებს. ყურადღება მიიქცია იმან, რომ მელი-ლელე I ტაძრის გათხრების დროს, უშუალოდ მის სიახლოვეს, აღმოჩნდა შედარებით მოგვიანო, თითქმის სრულად გადარჩენილი ტაძარი მელი-ლელე II, რომელიც ძვ. წ. II-I ათასწლეულთა მიჯნის ახლო ხანებით და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეებით დათარიღდა [1;4;5;6]. მას მრგვალი, 80-85 მეტრის დიამეტრის გეგმარება აქვს. ტაძრის მთელი ფართობი დაფარულია ცეცხლისაგან დახეთქილი რიყის ქვის მცირე ფრაგმენტების 0,30-0,40 მეტრი სისქის ფენით, რომელშიც შერეულია შენაწირი ნივთების მცირე ჯგუფებიც: რკინის საბრძოლო იარაღის, სამკაულების და ბრინჯაოს მცირე ქანდაკებების სახით [4, გვ. 116-117, ტაბ. XLVIII-L]. ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ რიყის ქვები ძლიერი ცეცხლისგან ტაძრის გარეთ არის დახეთქილი მცირე ფრაგმენტებად და ისეა სამლოცველოზე ცალკ-ცალკე მიტანილი.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, მელილელე I ტაძრის გათხრების დროს, გაიშინდა მელი-ლელე II ტაძრის მხოლოდ უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი მცირე მონაკვეთი [1, სურ. 3; 4, ტაბ. XLVII; 6, ტაბ. XVIII], რომლის მიხედვითაც ცხადი გახდა, რომ წვრილი დამწვარი ქვის ფრაგმენტების სქელი ფენის ქვეშ რიყის მოზრდილი ქვის ნეგებობებია [4, ტაბ. LXVIII]. მნიშვნელოვანია, რომ მელი-ლელე II ტაძრის თანადროულ მელაანის ტაძრის გადარჩენილი ნაწილის გათხრების დროსაც, რიყის ქვით ნაგები შენობების უმნიშვნელო ფრაგმენტები გამოვლინდა, რომლებიც ცეცხლზე დახეთქილი რიყის ქვის წვრილი ფრაგმენტებით იყო დაფარული [9, გვ. 90-97, ტაბ. XXIV, XXV]. მელი-ლელე II ტაძრის გათხრები აღარ გაგრძელებულა. გამოვლენილი ნაწილი დაკონსერვდა. მაშინ აუხსნელი დარჩა, როგორ წარმოიშვა მელილელე II ტაძრის მთელ ფართობზე ცეცხლზე დახეთქილი რიყის ქვების მცირე ფრაგმენტების სქელი ფენა, რომლებიც ცალკ-ცალკე, ერთეულებად უნდა იყოს აქ მოტანილი. არსებითია, რომ როგორც შევნიშნეთ, კახეთში აღმოჩენილ ყველა ტაძარზე ამგვარი ქვების დიდი რაოდენობა შეინიშნება. ამ კონტექსტში, ყურადღება მიიქცია იმანაც, რომ უფრო მოგვიანო, ძვ. წ. IV-III საუკუნეების ტაძარი უდაბნოში, „ნაომარი გორის“ ძვ. წ. XIV-IX საუკუნეების ნამოსახლარის ციტადელზე, მთლიანად აღმოჩნდა დაფარული ცეცხლზე დახეთქილი რიყის ქვის მცირე ფრაგმენტებით, რომლებიც სათითაოდ ჩანს შესანიშნავად მოტანილი [10, გვ. 175-224, ტაბ. 4-6, 15, 42, 43].

ამგვარად, ამ მხარეში წინაქრისტიანულ ტაძრებზე დამწვარი ქვის ნატეხების ტაძარზე შესანიშნავად მიტანას მყარი ტრადიცია აქვს ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და ძვ. წ. I ათასწლეულის მთელ პერიოდში. ამასთან დაკავშირებით ყურადღება მიიპყრო ერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტმა, კერძოდ იმან, რომ პროფ. პ. ბუხრაშვილის და პროფ. ზ. კიკნაძის სიტყვიერი ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, ქრისტიანულ სალოცავებზე, ხატებზე

დღესაც დადასტურებულია წეს-ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ხატს მცირე ზომის ქვებს წირავენ, ცხადია, ამჟამად სრულიად გაუთვითცნობიერებლად.

ვფიქრობ, ეს წარმართული პერიოდიდან შემორჩენილი წეს-ჩვეულება ქართველი ხალხის წარსულზე მსჯელობისათვის მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანი მითითებაა.

ლიტერატურა

1. K. Pischelaury, Jungbronzezeitliche bis ältereisenzeitliche Heiligtümer in Ost Georgien MAVA (Materialien zur Allgemeinen und Vergleichende Archäologie), Band 12, München, 1984, გვ. 7-121.
2. დ. ხაზუტაიშვილი, უფლისციხე (1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები) I, „მეცნიერება“, თბ., 1964, გვ. 5-117, ტაბ. I-LIV.
3. ბ. მაისურაძე, ლ. ფანცხავა, შილდის სამლოცველო (კატალოგი), კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები VII, „მეცნიერება“, თბ., 1984, გვ. 3-114, ტაბ. I-LXXXV.
4. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს), „მეცნიერება“, თბ., 1973, გვ. 5-219, ტაბ. LXVIII.
5. К. Ричхелаури, Восточная Грузия в конце бронзового века, “Мещиереба”, Тб., 1979, გვ. 5-158, ტაბ. I-XXX.
6. კ. ფიცხელაური, ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა ძვ. წ. XIV-XIII სს, „მეცნიერება“, თბ., 2005, გვ. 3-171, ტაბ. I-CCLIX.
7. კ. ფიცხელაური, ნაზარლების სამაროვნის მორფოლოგია, კრებული „ზორნაბუჯი I“, თბ., 2011, გვ. 106-121.
8. ა. აფაქიძე, ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი), თბ., 1940, ხელნაწერი დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის არქივში.
9. კ. ფიცხელაური, იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, „მეცნიერება“, თბ., 1965, გვ. 87-113.
10. M. Korfmann, K.Pitskhelauri, J. Bertram, G. Kastl, Erster Vorbericht zu den Vermessungs- und Ausgrabungsarbeiten in Udabno (Ostgeorgien) 2000-2004. Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, Band 35-36, Berlin 2003-2004, გვ. 175-224.

KONSTANTINE (KOTE) PITSKHELARI

**ON A TRADITION CORROBORATED AT THE TEMPLE COMPLEXES
OF THE 2ND -1ST MILLENNIA B.C. IN THE IORI-ALAZANI BASIN**

Summary

At the four temples of the 2nd -1st Millenia B.C. , discovered in the Iori-Alazani basin, a tradition of the ritual sacrifice of burnt cobble fragments was corroborated. Such a tradition, as a survival of paganism, is kept up to present days with some alterations in mountainous regions of the East Georgia.

КОНСТАНТИН (КОТЭ) ПИЦХЕЛАУРИ

**ОБ ОДНОЙ ТРАДИЦИИ, УСТАНОВЛЕННОЙ НА СВАТИЛИЩАХ
ИОРО-АЛАЗАНСКОГО БАСЕЙНА II-I ТЫС. ДО Н.Э.**

Резюме

В Иори-Алазанском бассейне, на четырех святилищах II-I тысячелетия до н.э., установлена традиция жертвоприношения каменных фрагментов обожженных на костре. Этот обычай сохранился до наших дней, в несколько видеизмененно, сохранилось в горной части Восточной Грузии.

ლია მელიქიძევილი

კონფლიქტოლოგიის ეთნოსოციოლოგიურ სათავეებთან

დღეს მეცნიერებაში სხვადასხვა ახალი დისციპლინა ყალიბდება. რა თქმა უნდა, ახალ სამეცნიერო დისციპლინას კვლევის თავისი საგანი და მეთოდი უნდა ჰქონდეს. ამ მხრივ გამონაკლისი არ არის ჩვენს თვალწინ ჩამოყალიბებული ახალი მიმდინარეობა – კონფლიქტოლოგია. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტოლოგიის მიმართულებაში მრავალი დისციპლინა ჩაერთო, თავისი წვლილი საფუძველშივე ეთნოლოგიამაც შეიტანა.

როგორც ცნობილია, კონფლიქტი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. საზოგადოებასა და მის წევრებს შორის სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა სახის დაპირისპირება იჩენს თავს – პიროვნული, ოჯახური, სოციალურ-კლასობრივი და ა. შ. ყოველი დაპირისპირება, იქნება ეს კულტურების, იდეების, მენტალიტეტების, ღირებულებების თუ სხვა სახის, არის კონფლიქტი. კონფლიქტი ადამიანური ყოფის იმდენად განუყოფელი, თანამდევია მოვლენაა, რომ იგი ჩვეულებრივად კულტურის ნაწილად აღიქმებოდა და სპეციალური კვლევის საგნად არც კი ქცეულა, ისევე, როგორც ეთნოლოგის შესწავლის ობიექტი ჯერ არ გამხდარა სიკეთე ან ბოროტება, რადგან ისინი ჩვენი ცხოვრების ჩვეული ფენომენებია. მაგრამ კაცობრიობის ისტორია იმდენ ომს, ძალადობას, რელიგიური თუ სხვა სახის დაპირისპირებას ითვლის, რომ მეცნიერებმა ამ პრობლემას, ბოლოს და ბოლოს, სათანადო ყურადღება მიაქციეს.

აგრესია ადამიანის ცხოვრების განუყოფელი თანამგზავრია უხსოვარი დროიდან. ის არსებობდა მომთაბარე მონადირეებშიც და შემგროვებლებშიც, მინათმოქმედებშიც და მესაქონლეებშიც, როგორც პრიმიტიულ, ისე განვითარებულ საზოგადოებაშიც. ძალადობრივი კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიის ენდემური მახასიათებელია. ომებმა უამრავი სიცოცხლე შეინირა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ფსიქოლოგებმა, პირველებმა მეცნიერთაგან, მიაქციეს ყურადღება ძალადობასა და კონფლიქტს. ამ ორ ფენომენს ისინი ხსნიდნენ ადამიანისათვის ნიშანდობლივი „ომისმოყვარეობის“ ინსტიქტით. ამ თვალსაზრისმა განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა ზ. ფროიდის ფსიქოანალიტიკურ მიმდინარეობაში, მაგრამ აგრესიის ინსტიქტის იდეასთან იგი უცებ არ მისულა. თავდაპირველად ზ. ფროიდი თავისი მონაფის, ავსტრიელი ფსიქოლოგის ა. ადლერისაგან განსხვავებით, აგრესიის თეორიის წინააღმდეგი იყო. ა. ადლერმა ჯერ კიდევ 1908 წელს ჩამოაყალიბა „აგრესიის ინსტიქტის“

თეორია. ეს ინსტიქტი, ა. ადლერის აზრით, ემსახურებოდა ადამიანის სწრაფვას განდიდებისა და ძალაუფლებისათვის, ანუ ბრძოლას, რომელიც ადამიანის ქცევის ძირითადი მოტივია. [1] უფრო მოგვიანებით, 1920 წლის დასაწყისში, ზ. ფროიდი დაუბრუნდა თავის პირვანდელ პოზიციას, კარგად გაანალიზა და შეიმუშავა თეორია „ადამიანის ორბუნებოვნების“ შესახებ, რომლის თანახმად განუწყვეტელი ბრძოლა არსებობს ორ ინსტიქტს – სიცოცხლის (სიყვარული) და სიკვდილის (ნგრევა) ინსტიქტებს შორის. სიკვდილის ინსტიქტის შედეგია როგორც თვითნგრევა, ასევე გარეგნული აგრესიის ფორმა. ამიტომ ომები კაცობრიობას მუდამ თან სდევს და ეს მკაცრი აუცილებლობაა. ამ მიგნებამ ზ. ფროიდი აიძულა ადამიანის აგრესიულობის შენელების გზების ძებნა დაეწყო.

აღნიშნული საკითხის ერთ-ერთი გადაწყვეტა უკავშირდებოდა ფროიდისავე თეორიას პიროვნების ცნობიერების სამსაფეხუროვანი სტრუქტურის შესახებ. ამ თეორიის მიხედვით, პიროვნების ცნობიერება შეიცავს ქვეცნობიერის ემოციურ იმპულსს („იდი“), საკუთრივ პიროვნების თვითშეგნებას („ეგო“) და კულტურით თავსმოხვეულ კომპონენტებს თვითშეგნებისა („სუპერეგო“). ამ ორ უკანასკნელ კომპონენტს („ეგო“ და „სუპერეგო“), ფროიდის აზრით, შეუძლიათ ორგანიზმის შინაგანი სურვილის, (ნდომის, სიამოვნების), („იდი“) გაკონტროლება და მოდიფიკაცია, კერძოდ, დააცხროს და ორიენტაცია შეუცვალოს აგრესიას [2].

ამ თეორიის ლოგიკური გაგრძელება იყო მოსაზრება ბავშვის აღზრდის შესახებ. ბავშვის აღზრდას შეეძლო ან დაემუხრუჭებინა, ან, პირიქით, განევითარებინა აგრესია. ამერიკულმა ფსიქოლოგიურმა სკოლამ ბავშვის აღზრდაში დიდი ყურადღება დაუთმო სოციალიზაციას. როგორც უკვე ავლინონეთ, ა. ადლერი ამტკიცებდა, რომ სოციალიზაციის პროცესში მშობლების „დისციპლინარული ზეგავლენის“ შედეგად ბავშვებს უვითარდებათ არასრულფასოვნების კომპლექსი, რომლის დაძლევაც ინვევს ადამიანის სწრაფვას ხელისუფლებისაკენ, რასაც აგრესიასთან მივყავართ. შემდგომ ამ იდეას ამა თუ იმ ფორმით ბევრი მეცნიერი იზიარებდა.

1930-40-იან წლებში ეს იდეა აიტაცეს ამერიკელმა ანთროპოლოგებმა, რომლებმაც არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს პიროვნებისა და კულტურის შესწავლას. მათი იდეის მიხედვით, სოციალიზაციის გარკვეული ტიპის დროს ადამიანში გროვდება რისხვა და სიძულელი, რომლებიც ეძებენ გამოსავალს და არც თუ იშვიათად მას ომში პოულობენ [3]. განავითარეს აგრეთვე „მასკულინური პროტესტის“ თეორია, რომელიც არსებობდა ისეთ საზოგადოებებში, სადაც ვაჟის ძირითადი აღმზრდელი იყო დედა და მოზარდის გარე სამყაროში შესვლა ნაუცბათევად ხდებოდა. მოზარდი ვაჟებიც, რადაც უნდა დაჯდომოდათ, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მათ აქვთ მამაკაცური თვისებები, რაც თავისთავად ინვევდა მათში აგრესიისა და ომისმოყვარულობის ზრდას.

ფრუსტრაციის თეორიის საფუძველი გახდა ზიგმუნდ ფროიდის კიდევ ერთი იდეა, რომლის მიხედვითაც სურვილების შეუსრულებლობით გამოწვეუ-

ლი გალიზიანება და სასონარკვეთილება ბავშვში აყალიბებს აგრესიას. საერთოდ, რაიმე მიზეზის გამო განუზოროციელებელი გეგმები ან მისწრაფებები იწვევს ადამიანის მრისხანებას, რომელიც, როდესაც გარკვეულ ზღვარს მიაღწევს, გარეგნული აგრესიით ვლინდება [4]. ზოგი მეცნიერის აზრით, ერთ-ერთი ასეთი მოვლენა, რომელიც ბავშვს დისკომფორტს უქმნის, არის მისი ძუძუდან ნაადრევი მოწყვეტა.

აგრესიის ფსიქოანალიტიკური თვალსაზრისით კვლევამ ფართო მასშტაბები მიიღო დასავლეთის მეცნიერთა შორის. 1930-40-იანი წლებიდან კი ამერიკელ და ინგლისელ ფსიქოლოგებს შორის აგრესიამ, როგორც ბიოლოგიური ხასიათის მოვლენამ, უკვე დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. მეტი ყურადღება მიაქციეს კულტურის ფაქტორებს, განსაკუთრებით კი აღზრდის სისტემებს.

მაღე ფროიდისა და მისი მიმდევრების ფსიქოანალიტიკური მოსაზრება მკაცრად გააკრიტიკეს უპირველესად იმის გამო, რომ თუ აგრესიის ინსტიქტი ყოველ ადამიანს აქვს და თუ ის უნივერსალურია, ომებში მთელი მოსახლეობა უნდა იღებდეს მონაწილეობას, ასე კი არ ხდება, რომ აგრესიულ მოქმედებას ადამიანი ხშირად შეგნებულად და ცივი გონებით სჩადის და ა.შ. და საერთოდ, ჯგუფური კონფლიქტის პრობლემების გარკვევა არ შეიძლება ინდივიდუალური ფსიქოლოგიით.

ერთადერთი, ვინც ჯგუფის ქცევას ჯგუფური ფსიქოანალიზის მეთოდით მიუდგა, იყო ზ. ფროიდის მოწაფე კ. იუნგი, რომელმაც შექმნა ფსიქიკური ტიპის, არქეტიპის, რასული და კოლექტიური ქვეცნობიერის თეორია. მან წინ წამოსწია თითქოს-და სისხლმონყურებული კოლექტიური ქვეცნობიერების განთავისუფლება.

ზ. ფროიდის იდეა ინდივიდუალური ცნობიერების სტრუქტურის შესახებ კ. იუნგმა მექანიკურად გადაიტანა კოლექტიურ ცნობიერებაზე ისე, რომ მათ შორის თვისობრივი განსხვავება არ გაითვალისწინა. მაგრამ, მაინც, ჯგუფური ფსიქოლოგიის შესწავლამ ხელი შეუწყო ომის ზოგიერთი ასპექტის ახსნას [5].

უ. სამნერმა დიდი სამსახური გაუწია ომის ანთროპოლოგიის განვითარებას, ჯერ კიდევ 1906 წელს ჯგუფის შიგნით და უცხოში მიმართ ქცევის დასახასიათებლად მან იხმარა „ეთნოცენტრიზმის და ორმაგი მორალური სტანდარტის ცნებები“. მასვე ეკუთვნის აზრი იმის შესახებ, რომ მტრული გარემოცვა ან გარე აგრესია ხელს უწყობს საზოგადოების შიგნით დარაზმულობას, შეკავშირებას. მას შეცდომად ჩაუთვალეს ამ მოვლენისათვის უნივერსალური ხასიათის მინიჭება, მაგრამ თავად ომის მაინტიგერირებელი ფუნქციის იდეა გამართლებული აღმოჩნდა, თუმცა არა ყველა კონკრეტულ სიტუაციაში [6].

ინგლისელმა ანთროპოლოგმა მ. გლაკმენმა უ. სამნერის თეორიას დაუპირისპირა „ლოიალურობის კონფლიქტის კონცეფცია“, რომლის მიხედვითაც ჯგუფთაშორისი ურთიერთობების გამწვავების დროს ორივე ჯგუფთან დაკავშირებული (ნათესაური და საქორწინო კავშირი) ადამიანები ან ერთ-ერთს

ემბრობიან, ან ნეიტრალიტეტს იცავენ, ან მშვიდობისმყოფელთა მისიას კისრულობენ [7].

ეთნოცენტრიზმისა და ომის მაინტეგრირებელი ფუნქციის თეორია ეხმაურებოდა ფსიქოლოგების მიერ წინ წამოწეულ მრისხანების ჯგუფის გარეთ გატანის კონცეფციას, რომელიც საფუძვლად უდევს ფრუსტრაციის თეორიას. ორივე მიდგომა ერთსა და იმავე მოვლენას უსვამს ხაზს, კერძოდ იმას, რომ ჯგუფში მშვიდობის შესანარჩუნებლად ადამიანები ცდილობენ უკმაყოფილება, მრისხანება თავისი ჯგუფის გარეთ, მტრულად ან ფსევდომტრულად განწყობილ ჯგუფზე გადაიტანონ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ომისმოყვარეობის ხელშემწყობი ან შემაკავებელი ფსიქოლოგიური მექანიზმების შესწავლისას ყურადღება მიაქციეს ჯგუფურ ქცევას. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგებმა ბევრი რამ გააკეთეს აღნიშნული საკითხის შესწავლით, ფსიქოლოგიურ მიდგომას მაინც ჰქონდა ნაკლი: მათ ჯეროვნად ვერ შეაფასეს ან სრულიად უარყვეს ეთნიკური კონცეფცია. ამ უკანასკნელს მხოლოდ კულტუროლოგიის ფარგლებში შეისწავლიდნენ.

კ. ლორენცის აზრით, აგრესიის ფუნქცია არის ტერიტორიულობის პრინციპი, რაც ხელს უწყობს ცხოველებში პოპულაციის თანაბარ განსახლებას, გამრავლებისათვის პარტნიორების შერჩევას, ნაშიერის დაცვას, სოციალურ ცხოველებში კი რანგის მოპოვებას დომინირების სისტემაში [8]. მეცნიერებაში გავრცელებულია აზრი, რომ ომები არის ადამიანის ევოლუციის მამოძრავებელი ძალა, რომელიც ხელს უწყობს იმ უფრო მეტრძოლი და სიცოცხლისუნარიანი ჯგუფების გადარჩენას, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი შინაგანი სოლიდარობით [9].

როგორც აღნიშნავენ მეცნიერები, ადამიანის აგრესიულობის საფუძველი არის ადამიანის ბიოლოგიური არსი [10]. მაგრამ საკითხი, არის თუ არა აგრესიულობა აუცილებლად თანდაყოლილი ინსტიქტი, მაინც საკამათოა. კ. ლორენცი აგრესიას უკავშირებს ორგანიზმის შინაგან სტიმულს, რომელსაც არანებისმიერად, გარემო პირობებისაგან დამოუკიდებლად, წარმოქმნის თავად ორგანიზმის მოთხოვნილება. ეს მიდგომაც მრავალჯერ გააკრიტიკეს.

მეცნიერების ნაწილი კი თვლის, რომ როგორც ადამიანის, ასევე ცხოველების გარკვეული სახეობის პოტენციალის რეალიზაცია დამოკიდებულია გარემო პირობებზე, რასაც ხელს უწყობს სწავლება. საერთოდ, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა გარე სამყაროს, პირად გამოცდილებას და აღზრდის პრობლემებს.

ძალადობისა და აგრესიის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის ეთნოლოგიას, განსაკუთრებით ამერიკელ ანთროპოლოგს ლესლი უაიტს, რომელიც აგრესიის ინსტიქტის თეორიისა და ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური კონცეფციის წინააღმდეგი იყო. მისი აზრით, ომი წარმოებს საზოგადოებებს და არა ინდივიდებს შორის. ამიტომ ამ საკითხს მხოლოდ კულტუროლოგიის თვალსაზრისით განიხილავდა [11]. უ. ნიუკომბიც აღნიშნავდა, რომ ინდივიდუალური მოტივაცია ვერ ხსნიდა, თუ რატომ აწარმოებს ომს საზოგადოება

[12] და ახსნას ისიც კულტუროლოგიაში ეძებდა. მაგრამ ასეთ მიდგომასაც უარყოფითი მხარე ჰქონდა, რადგან შეფასებაც და მიღებული კონცეფციებიც შესაძლოა სხვადასხვაგვარი ყოფილიყო. ასე მაგალითად, ომის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო ბევრი ცხოვრებისეული ასპექტი, უპირველესად კი მატერიალური: დემოგრაფიული, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სოციალური სტრუქტურა და ა. შ. ამ გზას მკვლევარი მიჰყავდა ევოლუციურ და ფუნქციონალურ მიდგომასთან. ამასთანავე, კულტუროლოგიური მიდგომა სტიმულს აძლევდა ეთნიკური კონცეფციისა და აღზრდის სისტემის ანალიზს, რომლებიც ან ხელს უწყობდნენ, ან, პირიქით, ეწინააღმდეგებოდნენ ომისმოყვარეობის განვითარებას. მიმართულება გამარტივებული სახით წარმოადგინა თავის ნაშრომებში მ. მიდმა, რომელიც ომს თვლიდა „კულტურულ გამოგონებად“ და წერდა ამა თუ იმ საზოგადოებაში „ომის იდეის“ არსებობა ან არარსებობაზე [13].

ასეა თუ ისე, 1950-60-იან წლებში ომის ანთროპოლოგიის ყველაზე აქტუალური საკითხი იყო ეთნიკური კონცეფციები. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთ ხალხს აქვს სულიერი წარმოდგენების სპეციფიკური კომპლექსები, რომლებიც ხელს უწყობს ომისმოყვარეობის ზრდას. ყველაზე კარგად ეს ჩანს ისეთ საზოგადოებებში, სადაც მტრის „თავეზე ნადირობა“ იყო აუცილებელი პირობა სხვადასხვა რიტუალის შესასრულებლად. ასეთი იყო ბავშვისთვის სახელის დარქმევა, ქორწინება, გლოვის დამთავრება, ცერემონიალისთვის საჭირო სახლის მშენებლობა და საკუთარი სიცოცხლის გახანგრძლივებაც. არსებობს ისეთი საზოგადოებებიც, რომელთა წევრებსაც გარკვეული სახის წარმოდგენები ხელს უწყობს მამაცი მეომრების აღზრდაში, მაგ. ის, რომ ბავშვობაში „სული“ მათ განსაკუთრებულ ძალას ანიჭებს და მომავალში უნდა გაამართლონ თავისი დანიშნულება. არის იმის მაგალითებიც, რომ საზოგადოებაში ომების აკრძალვამ გამოიწვია სერიოზული სოციოკულტურული კრიზისი, შობადობის მაჩვენებლის დაცემა, სოციალური სისტემის ნგრევა და ა.შ.

ეთნოლოგებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ სხვადასხვა პრიმიტიული საზოგადოება ერთმანეთისაგან ომისმოყვარეობის სხვადასხვა ხარისხით განსხვავდება. ზოგი მათგანი საერთოდ ერიდება ნებისმიერ ძალადობას, რაც გამოიხატება მათ კულტურულ ღირებულებებსა და ორიენტაციაში. ამიტომ გაჩნდა ე.წ. „მშვიდობისმოყვარე“ ხალხის ცნება. გ. ელიოტ-სმიტმა 1929 წელს თავის ნაშრომში [14] გამოაქვეყნა ასეთი ხალხების, საზოგადოებების სია. ის ამ სიის შედგენისას არ ითვალისწინებს რაიმე განსაკუთრებულ კრიტერიუმებს და ეყრდნობა სხვების ობიექტურ, ემოციურ შეფასებას, უფრო ხშირად არაპროფესიონალების. ამიტომ ამ სიაში ამა თუ იმ ხალხის მოხვედრა მისი ოპონენტების სამართლიან საყვედურს იწვევდა. ზოგი ეთნოლოგი ფიქრობს, რომ მშვიდობის შენარჩუნებას დიდად უწყობდნენ ხელს კულტურული ორიენტაციები, რომლებიც მშვიდობას უმალეს ღირებულებად ამკვიდრებენ. რადგან კულტურული ორიენტაციები და ღირებულებები მემკვიდრეობითია, თავისთავად წამოიჭრება მათი თაობიდან თაობაში გადაცემის, ანუ აღზრდის როლის საკითხი.

ე. მონტეგიუმ [15] შეისწავლა დამწერლობის არქონე ბევრი საზოგადოება და აღმოჩნდა, რომ ამ „მშვიდობისმოყვარე“ საზოგადოებებში ბავშვების აღზრდას დიდი ყურადღება ექცევა. მათზე ზრუნავენ და შესამჩნევ თავისუფლებას აძლევენ, ითვალისწინებენ მათ მოთხოვნებს და შეძლებისდაგვარად ასრულებენ, უნერგავენ მეგობრობისა და გულგანების გრძნობას, ასწავლიან განაწილებას და ურთიერთდახმარებას. ასეთ პირობებში ბავშვები თავს არ გრძნობენ დაჩაგრულად. უფროსები ცდილობენ, მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაცია თამამად აქციონ. რა თქმა უნდა, ასეთ საზოგადოებაშიც ხდება დაპირისპირება, შეტაკება და აგრესია, მაგრამ მათ მიმართ დამოკიდებულება შესაბამისია – საზოგადოება ცდილობს, სწრაფად აღკვეთოს ნებისმიერი დაპირისპირება ისე, რომ დამნაშავე არ გამოავლინოს. საინტერესოა, რომ ზოგიერთ საზოგადოებაში არც კი არის მეტოქეობის, პირადი წარმატების ან განდიდების განწყობა, ზოგან კი გამიზმულად უნერგავენ ბავშვებს შიშს ასეთი არაკეთილგანწყობილი ქვეყის მიმართ. მაგრამ ეს ყველაფერი ხდება თავად საზოგადოების შიგნით, ხოლო სხვისი, უცხოის მიმართ დამოკიდებულება სულ სხვანაირია. და მაინც, ასეთი საზოგადოებები ძირულად განსხვავდება იმ საზოგადოებებისაგან, სადაც მონონებით სარგებლობს მეტოქეობა, ამბიციურობა და ომისმოყვარეობა.

კონფლიქტის თეორიის შეტანას დღის წესრიგში სტრუქტურულ ფუნქციონალიზმს უნდა ვუმაღლოდეთ. სტრუქტურული ფუნქციონალიზმი საზოგადოებას განიხილავს როგორც ობიექტურ რეალობას, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული ნაწილებისაგან, საზოგადოების განვითარებაში სხვადასხვა ფუნქციას რომ ასრულებენ. მათი განვითარება და ფუნქციონირება შეიძლება მხოლოდ „შიგნიდან“ აიხსნას ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით.

თავად სტრუქტურულ ფუნქციონალიზმს საფუძველი ჩაუყარა ფუნქციონალიზმმა. ტერმინი „ფუნქციონალიზმი“ სოციალური ფენომენების ასახსნელად საფრანგეთში პირველად იხმარა ო. კონტმა და ინგლისში გ. სპენსერმა. ფუნქციონალური მიდგომის განვითარებას დიდი ღვაწლი დასდო ფრანგმა სოციოლოგმა და ფილოსოფოსმა ე. დიურგჰეიმმა. იგი თვლიდა, რომ ფუნქციონალური ანალიზი სოციოლოგიური კვლევის აუცილებელი კომპონენტია, რომ ფუნქცია არის საზოგადოების, როგორც მთლიანის, ობიექტური კავშირი მოვლენასა და განსაზღვრულ მდგომარებას შორის. მან ერთმანეთისგან გამოიჯნა შედეგობრივი და ფუნქციონალური ახსნა. ფუნქციონალურ ანალიზს განიხილავდა როგორც სოციალური კვლევის აუცილებელ კომპონენტს, რომელსაც უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ რა როლს ასრულებს ესა თუ ის სოციალური მოვლენა „საერთო ჰარმონიის“ (სოციალური სოლიდარობის) ჩამოყალიბებაში.

ფრანგულმა ფუნქციონალურმა იდეებმა განვითარება ჰპოვა ინგლისელ სოციალურ ანთროპოლოგებს (ეთნოლოგებს) შორის (ა. რადკლიფ-ბრაუნი, ბ. მალინოვსკი, ე. ევანს-პრიტიჩარდი და სხვ.). ფუნქციონალიზმის ბ. მალინოვსკისეულმა განსაზღვრებამ დიდი როლი ითამაშა საზოგადოების

მთლიანობის ახსნაში, ანუ ესა თუ ის სოციალური მოვლენა (ინსტიტუტი, წეს-ჩვეულება და სხვ.) რა როლს თამაშობს კულტურის სისტემის მთლიანობაში და სხვადასხვა სოციალური მოვლენები რა საშუალებით არიან ურთიერთშეთანხმებული ანუ იმის გამო, რომ კულტურის ყოველი ფენომენი აკმაყოფილებს ამა თუ იმ მოთხოვნას (ბიოლოგიურს ან კულტურულს), მას უნდა ჰქონდეს თავისი ფუნქცია.

ა. რადკლიფფ-ბრაუნი კი უარყოფდა, რომ ყოველი სოციალური ფენომენი აუცილებლად ასრულებს რაიმე ფუნქციას. ის ცნებას „ფუნქციონალიზმი“ განიხილავდა, როგორც მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტს – „სამუშაო ჰიპოთეზას“, რომელიც აუცილებელი იყო კვლევის შედეგების ფორმულირებისათვის, ანუ მისი გაგებით, ნებისმიერმა სოციალურმა მოვლენამ სოციალური სისტემის მიმართ შეიძლება შეასრულოს ესა თუ ის ფუნქცია.

გარკვეული ნარმატების მიუხედავად, ფუნქციონალიზმი გააკრიტიკეს „წონასწორობის თეორიის“ მიმართ ორიენტაციის, სისტემათა სტაბილურობისადმი გამორჩეული ინტერესის და უნივერსალური ფუნქციონალურობის პრინციპის გამო. ასეთი მიდგომა კვლევის მიღმა ტოვებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ ასპექტებს, როგორცაა კონფლიქტი, ცვალებადობა და ა.შ. რობერტ კინგ მერტონმა, სტრუქტურულ-ფუნქციონალური მიმდინარეობის ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა სოციოლოგიაში, გააკრიტიკა ფუნქციონალიზმის შეხედულება იმის შესახებ, რომ სისტემის ყველა ნაწილის ურთიერთქმედება საკმაოდ ჰარმონიულია და ეს მოქმედებები არ ინვევენ წინააღმდეგობას ანუ კონფლიქტს.

რ. მერტონის აზრით, ამის წარმოდგენა მხოლოდ თეორიულად შეიძლება, რეალობა კი სულ სხვაგვარია. მას მიაჩნია, რომ ის, რაც ფუნქციონალურია სისტემის ერთი ნაწილისათვის, დისფუნქციონალურია მეორისათვის და პირიქით. გარდა ამისა, ფუნქციონალური ერთობის პრინციპი გულსხმობს საზოგადოების სრულყოფილ ინტეგრირებას, რაც ემყარება გარემო პირობებთან სრულყოფილი ადაპტაციის მოთხოვნებს და რაც, ბუნებრივია, რეალურად შეუძლებელია. ასეთი კრიტიკის საფუძველზე მას შემოაქვს ცნება „დისფუნქცია“, რომელიც ასახავს სისტემის ერთი ნაწილის მეორეზე ზემოქმედების ნეგატიურ შედეგებს და, ამავე დროს, უჩვენებს ამა თუ იმ სისტემის ინტეგრაციის ხარისხს [16].

რ. მერტონი არ უარყოფს ტ. პარსონსის ძირითად დებულებებს, რომ საზოგადოება არის ობიექტური რეალობის განსაკუთრებული სახე, რომ ინდივიდების მოქმედებები რაციონალური და შეგნებულად მოტივირებულია [17], მაგრამ დაასკვნის, რომ სოციალური სტრუქტურა დიფერენცირებულია და ამან შეიძლება გამოიწვიოს სოციალური კონფლიქტები. ამასთანავე, ისინი ხელს უწყობენ როგორც სტრუქტურის ელემენტების, ასევე თვით სტრუქტურის ცვალებადობას.

ჯ. რექსი ცდილობდა დაემტკიცებინა ტ. პარსონსის თეორიის ცალმხრივობა და შექმნა საკუთარი, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა, საპირისპირო მხარის მოდელი, სადაც მოქმედება ინსტრუმენტულია, წესრიგი ძალადო-

ბითი, ურთიერთობა – კონფლიქტური. სრული ინტეგრაციის არარსებობა ჯ. რექსისთვის არის არა „უნესრიგობის“, არამედ საზოგადოების ორ ან მეტ კონფლიქტური მისწრაფებების მქონე ჯგუფად დაყოფის მაჩვენებელი. მეცნიერის აზრით, ნებისმიერი სოციალური სისტემა შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ პირობებში, როდესაც შეზღუდულია რესურსები. ამიტომ სისტემას უნდა ჰქონდეს მათი განაწილების მექანიზმი. ამგვარად, ინტეგრაცია არის განმანაწილებელი პროცესების შედეგი.

ასეთმა თვალსაზრისმა ჯ. რექსი სრულიად ბუნებრივად მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სოციალური წესრიგი არის განაწილებაზე კონტროლის დამწესებელი გარკვეული ჯგუფის მიერ თავისი უფლებების დაცვის შედეგი. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი ცვლილება დეტერმინირებულია (განსაზღვრულია) ხელისუფლებასთან სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულებით.

ჯ. რექსი ცდილობდა შეექმნა ლოგიკურად გამართული თეორია, რომლის მიხედვითაც კონფლიქტი არის სოციალური სამყაროს არსი და საერთოდ უარყოფდა ნორმატიულ-ღირებულებითი ასპექტების მნიშვნელობას საზოგადოების ცხოვრებაში, ადამიანის საქმიანობა მისთვის მხოლოდ რაციონალურ-პრაგმატული აქტი იყო [18].

მიუხედავად იმისა, რომ ფუნქციონალიზმის მიმდევრებმა დიდი წვლილი შეიტანეს საზოგადოების შესწავლაში, ეს მიმართულება მაინც მოხვდა კრიტიკის ქარცეცხლში, განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ ფუნქციონალისტები საზოგადოებაში მხოლოდ ნონასწორობის, სტაბილურობის და უნივერსალური ფუნქციონალიზმის ასპექტებს უჭერდნენ მხარს. ასეთმა მიდგომამ მეცნიერული კვლევის მიღმა დატოვა ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორცაა კონფლიქტი, ცვალებადობა და სხვა, რომელთაც უკვე ამერიკელმა მეცნიერებმა მიაქციეს ყურადღება.

როგორც ვნახეთ, მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოქცეული კონფლიქტები უფრო მეტად იყო კლასობრივი და საზოგადოებრივი ხასიათის. კონფლიქტის თეორიის განვითარების მომდევნო ეტაპზე განსაკუთრებით მიაქციეს ყურადღება კონფლიქტს და მის როლს საზოგადოების განვითარების პროცესში და მის ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბებასაც კი ცდილობდნენ. დაიწერა ისეთი შრომები, როგორცაა „სოციალური კონფლიქტის ფუნქცია“ (ლ. კობერი), „კონფლიქტის ზოგადი თეორია“ (კ. ბოლდინგი), „კლასები და კლასობრივი კონფლიქტები ინდუსტრიულ საზოგადოებაში“ (რ. დარენდორფი), „კონფლიქტის სოციალური საფუძვლები“ (ლ. კობერი) და სხვ.

დასავლეთში ჩამოყალიბდა კონფლიქტის პარადიგმის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულება. ერთის თანახმად, რომელიც ეყრდნობა სტრუქტურულ ფუნქციონალიზმსა და ადამიანებს შორის ურთიერთობას, საზოგადოების სისტემაში კონფლიქტი ხდება, მაგრამ მას დროებითი ხასიათი აქვს და ამ სისტემაში მონაწილეობს არა როგორც ფუნქცია, არამედ როგორც დისფუნქცია, პათოლოგია. ცხადია, ასეთ კონფლიქტს ობიექტური ბუნება კი არა აქვს, არამედ სუბიექტური. მეორე თვალსაზრისით, საზოგადოებისათ-

ვის კონფლიქტი არის სავსებით კანონზომიერი, ბუნებრივი მოვლენა. ამიტომ საზოგადოების ნორმალური მდგომარეობა ამ მიდგომით განიხილება არა როგორც ჰარმონია ან ნონასნობობა, არამედ როგორც დისჰარმონია – კონფლიქტი.

კლასებს შორის დაპირისპირებამ გასული საუკუნის დასაწყისში, შეიძლება ითქვას, განაპირობა კონფლიქტის თეორიის ჩამოყალიბება. საერთოდ, როგორც ჩანს, მეცნიერება ფეხდაფეხ მიჰყვება და იკვლევს საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებს. ასე ხდება დღესაც, როდესაც სხვადასხვა სახის ეთნიკურმა თუ პოლიტიკურმა კონფლიქტმა შედარებით მასიური ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის დაშლისა და სოციალისტური ბანაკის ლიკვიდაციის შემდეგ.

ბევრი თანამედროვე მკვლევარი, მათ შორის ეთნოლოგიც, შეისწავლის საზოგადოების განვითარების ეტაპებს საზოგადოების სტაბილურობის უზრუნველყოფისა და კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით.

ლიტერატურა

1. Практика и теория индивидуальной психологии. М., 1995.
2. S. Freud, War: Studies from Psychologi, Sociologi and Antropologi, 1964.
3. C. Kluchholhin, Mirror for man, NY. 1999. S. Monsfield, The Gestalt of Wor; an Inquiry into Its Origins and Meanings as a Social Institution NY. 1982. P. Brown, I Staister. Introduction: Culture and Aggression // A Q. V. 59 #4, 1986.
4. J. Dollar M, M: Elber, L. Doob, O. H. Mourer, R. Seorg. Frustration and Aggression, New Haven. 1939.
5. К. Г. Юнг, Архетип и символ. М., 1991.
6. W.G Sumner. War: Studies from Psychologi, Sociologi and Antropologi, 1964.
7. M. Glackman. Castom and Conflict in Africa. Oxford, 1955.
8. K. Lorenz . On Aggression, NY. 1969.
9. R. Bigelow, The Dawn Warriors Man's Evolution Forward Peace, Boston, 1969.
10. L. Tiger, Introduction // International Social Science Journal, v.23. #1, 1971.
11. L.A. White, The Science of Culture. NY. 1949.
12. W.W. Newcomb, Toward an Understanding of War // Essays in the Science of Culture. NY. 1960.
13. M. Mead, Alternatives tu War// War: the Antropologi of Armed Konflikts and Aggression. Garden Citi, 1968]
14. G. Elliot-Smith, Human History. NY. 1929
15. M.F.A. Montagu , The Nature of Human Aggression, NY. 1976.
16. R. Merton, Social Theory and Social Structure, Glencoe III, The Free Press, 1957; მისივე: On“ Theoretical Sociology, #4. The Free Press, 1967.
17. T. Parsons, Structural-Functional analysis in Sociology. The Idea of Social Structure, # 4, 1972.
18. J. Rex, Key Problems in Sociological Theory, London: Routlege and Kegan Paul, 1961.

LIA MELIKISHVILI

ETHNO-SOCIOLOGICAL ROOTS OF CONFLICTOLOGY

Summary

The conflict – a diversified social phenomenon, is natural and concomitant to various special circumstances. Its validity covers the area beginning from close interpersonal relations up to such social unions, as a family, kin, kinship, society, village, city, state, culture and civilization; i.e. conflict is an integral part of our life. But the history of mankind counts such a number of wars, violence, religious or other kinds of conflicts, that finally scientists have paid proper attention to this problem. American specialists were the first to study conflict in this regard and described it as a “social disease”. This conclusion was based on the idea that any social group tends to harmony and stability; however, conflict destroys the social structure, and hence it has dysfunctional character.

Since the term “conflict” has a negative connotation, it is generally perceived as a destructive social phenomenon. But as is known, it is not only destructive, but in some cases, it is charged with a positive function.

For the introduction of conflict theory in the daily routine we should be grateful to structural functionalism (the study of the functions of social phenomena ...).

Functional ideas of French social anthropologists were developed by British social anthropologists (ethnologists) (B. Malinowski, R. Thurnwald, E. Evans-Pritchard and others). The definition given by B. Malinowski to functionalism, has played an important role in explaining the entirety of the society, i.e. –what is the role played by a particular social phenomenon (institute, custom, etc.) in the integrity of the culture and how different cultures and various social phenomena are interrelated.

Despite certain success, functionalism has been criticized for concentrating on the theory of equilibrium, for its excessive interest in the stability of the systems and the principle of universal functionality. Such an approach had ignored the aspects of public life, such as a conflict, transformation, etc. Structural functionalism (A. Radcliffe-Brown), (understanding of the relationship that existed between various social phenomena ...) has brought to the fore the issue of conflict in the theories of social development (Robert Merton).

For the increased focus on conflict situations, we should be grateful to the sociologists of the beginning of the XX century. Sociologists believe that the difference between the groups “we” - “they”, whether it’s within the same group or in relation to other groups, occurs only during the conflict. This is true not only of class conflict, but also economic, ethnic and political.

The term “conflict theory” appeared in 1956 as an alternative to the Parsons’s “theory of order”.

The difference between these two directions is easily visible when comparing the concepts of T.Parsons and R. Dahrendorf. The first focuses on cooperation and inte-

gration, and on the system equalization, the second - on the conflict and change. According to Parsons, every society is a solid, stable and well-integrated structure. Each element of the society fulfills its function and thereby contributes to the stability of the system. The functioning of the social structure is based on consensus of values recognized by the members of the group, which provides stability and integration of the group. According to R. Dahrendorf, each company undergoes a change in each of its points, in every society there is a conflict, social conflict is manifested everywhere, in every sphere; every social element contributes to disintegration and change, any society is built on the subordination of one member by another.

At a later stage of development of the conflict theory, special attention was paid to the conflict and its role in the development of society; there was an attempt to form it as a separate discipline. But as a separate discipline, it has evolved in recent years and in it along with different disciplines ethnology is also actively involved, because the majority of conflicts in the world is related to the territorial and ethnic problems.

ლია მელიქიშვილი

ЭТНОСОЦИОЛОГИЧЕСКИЕ ИСТОКИ КОНФЛИКТОЛОГИИ

Резюме

Конфликт является разносторонним социальным феноменом. Это естественное явление, сопутствующий феномен, характерный для различных специальных обстоятельств. Ареал его действия распространяется, – начиная с узких межличностных отношений, вплоть до таких социальных объединений, как семья, род, родство, социум, село, город, государство, культура и цивилизация, т.е. конфликт, составляет неотъемлемую часть нашего бытия. Но история человечества насчитывает такое количество войн, насилия, религиозных или других видов противостояния, что ученые, в конце концов обратили на эту проблему надлежащее внимание.

К исследованию конфликта в этом направлении впервые приступили американские специалисты, которые охарактеризовали конфликт как “социальное заболевание”. В основе этого вывода лежала мысль, что любая социальная группа стремится к гармонии и стабильности, конфликт же разрушает социальную структуру и значит, имеет дисфункциональный характер. Так как термин “конфликт” несет в себе отрицательную нагрузку, он, как правило, воспринимается как деструктивное социальное явление. Но, как известно, это не только деструктивное явление, а в ряде случаев на него возложена позитивная функция.

За внесение теории конфликта в распорядок дня мы должны быть признательны структурному функционализму (изучении функций социальных явлений...). Функциональные идеи французских социальных антропологов получили развитие среди английских социальных антропологов (этнологов)

(Б. Малиновский, Р. Турнвальд, Е. Эванс-Притчард и др.). Определение, данное Б. Малиновским функционализму, сыграло большую роль в объяснении цельности общества, т.е. – какую роль играет то или иное социальное явление (институт, обычай и т.д.) в целостности системы культуры и каким образом взаимосвязаны разные культуры и различные социальные явления. Несмотря на определенные успехи, функционализм был подвергнут критике за ориентацию на теорию равновесия, чрезмерный интерес к стабильности систем и принцип универсальной функциональности. Такой подход оставлял за пределами исследования такие аспекты общественной жизни как конфликт, трансформация и т.д.

Структурный функционализм (А. Радклиф-Браун), (пониманию тех взаимосвязей, которые существовали между различными общественными явлениями...) в теориях развития общества выдвинул на передний план проблему конфликта (Р. Мертон). За заострение внимания на конфликтных ситуациях мы должны быть благодарны социологам начала XX века. Социологи считают, что различие между группами “мы”- “они”, будь это внутри одной группы или по отношению к другим группам, возникает лишь во время конфликта. Это касается не только классового конфликта, но и сословного, этнического и политического.

Термин “теория конфликта” появился в 1956 году как альтернатива “теории порядка” Т. Парсонса. Различие между этими двумя направлениями хорошо просматривается при сравнении концепций Т. Парсонса и Р. Дарендорфа. Первый заостряет внимание на сотрудничестве и интеграцию, на уравнивание системы, второй на конфликт и изменения. По мнению Т. Парсонса, всякое общество – это прочная и стабильная, хорошо интегрированная структура. Каждый элемент общества выполняет свою функцию и этим способствует устойчивости системы. Функционирование социальной структуры основывается на консенсусе ценностей, признанных членами группы, что обеспечивает стабильность и интеграцию группы. Согласно концепции Р. Дарендорфа же, каждое общество испытывает изменение в каждой своей точке; в любом обществе имеет место конфликт; социальный конфликт проявляется везде, в каждой сфере; каждый элемент общества вносит свою лепту в дезинтеграцию и перемены; любое общество строится на подчинении одного члена другим.

На последующем этапе развития теории конфликта особое внимание было уделено конфликту и его роли в процессе развития общества, была попытка оформления его в отдельную дисциплину. Но в отдельную дисциплину она сформировалась в последнее время и в ней наряду разных дисциплин активно участвует и этнология, так как большинство конфликтов в мире связана с территориальными и этническими проблемами.

მარიამ დიდაშულიძე

თაბარის დროის კედლის მხატვრობის პროგრამების ერთი იკონოგრაფიული თავისებურება

ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მე-XIII ს-ის დამდეგის კედლის მხატვრობის რთული და მრავალნაწილიანი პროგრამა მრავალ საინტერესო და საკმაოდ იშვიათ თემას შეიცავს, (მაგ., წმ. ნიკოლოზის ცხოვრების გავრცობილი ციკლი; ძირი იესუსი, წმ. ნინოსა და წმ. ასურელ მამათა გამოსახულებები და სხვ.). მათ შორისაა ძველლათქმისეული სცენა „სამი ბაბილონელი ყრმა სახმელსა შინა“, რომელიც ამავე ხანის რამდენიმე მნიშვნელოვან მოხატულობაშიც არის ჩართული.

ყინცვისის ტაძრის პროგრამის ანალიზმა მისი მკაფიოდ გამოხატული ანტიმწვალებლური მიზანდასახულობა (განწყობა) გამოავლინა [2, 120-135; 18, 68-72], რაც ამ სცენისადმი გაზრდილი ინტერესის საფუძველი უნდა იყოს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მართლმადიდებლური მხატვრობა, რომელსაც ეკლესიის დიდი მამები უწოდებდნენ „ქადაგებას ფერებით და ხაზებით“, ყოველთვის ასახავდა თავისი დროის საეკლესიო ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს და საღვთისმეტყველო პრობლემებს [30; 23]. ამა თუ იმ გამოსახულების ჩართვა პროგრამაში ხშირად არა მხოლოდ რელიგიური, არამედ პოლიტიკური მოტივებითაც იყო განპირობებული [29; 43], თუმცა ამ ასპექტს ხშირად გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ხოლმე.

ქართული ეკლესია და ქართული ქრისტიანული ხელოვნება, მათ შორის კედლის მხატვრობაც, იზიარებს სამართლმადიდებლოში მიმდინარე პროცესებსა და პრობლემებს, მათ შორის იმ ანტიმწვალებლურ სულისკვეთებას, რომელიც მე-XII ს-ის მეორე ნახევარს ახასიათებდა, როდესაც რამდენიმე საეკლესიო კრება იქნა მონეული მწვალებლური სწავლებების დასაგმობად, განსაკუთრებით იმ მოძღვრებების, რომლებიც უარყოფდა განკაცებას (ანუ ქრისტეს ორ ბუნებას), ექვარისტიას და სამებას [15, 368-386; 25, 156-166; 26, 158-163; 42, 110, 198].

ზემოთქმული შეიძლება დაგვეხმაროს ამ პერიოდის კედლის მხატვრობათა იკონოგრაფიული პროგრამების თავისებურებათა გარკვევაში. მათ შორის თამარის ეპოქაში ბიბლიური სცენის „სამი ყრმა სახმელსა შინა“ ხშირი გამოსახვის მიზეზების დადგენაში.

ეს სცენა, ცხადია, შემთხვევით არ გამოუსახავთ ყინცვისის ტაძრის დასავლეთ კედლის ცენტრში, საგანგებოდ აქცენტირებული, რაც მისი შინა-



1. ყინცვისის ნმ. ნიკოლოზის ტაძარი, დასავლეთ კედლის მოხატულობის სქემა, XIII ს-ის დამდეგი.

ბაუტიკის მხატვრობა (28, 71); სინას ნმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული ხატი; სარკოფაგების რელიეფები ვატიკანიდან და არლიდან (28, 463, 466; 33, 671) მინის თასი სანკტ-პეტერბურგიდან და სხვ.

სამი ყრმის გალობა (დანიელი, III, 52-90) ჟამისწირვის აუცილებელი ნაწილი გახდა და ამიტომ ამ გამოსახულების ლიტურგიული მნიშვნელობა ძალიან დიდია. ეს არის ქრისტეს მსხვერპლისა და აღდგომის ბიბლიური წინასახე [28, 463-466]. ცნობილია, რომ ბიზანტიაში ამ სიუჟეტის ერთგვარ თეატრალურ პერსონიფიკირებულ წარმოდგენასაც კი მართავდნენ ლიტურგიის დროს (37, 351-355).

ამ გამოსახულებას ძალიან ბევრი მნიშვნელობა აქვს, რომელთა შორის ლიტურგიკულ-ევექარისტული ყველაზე ძლიერია. იგი ხშირად გამოისახება სამკვეთლოში, სადაც ევექარისტული მსხვერპლი მზადდება (მაგ. ნმ. ლუკას მონასტრის კათოლიკონში, საბერძნეთში) და რამდენიმე გზის მოიხსენება ზიარების ლოცვებში. „ვითარ-იგი სანატრელნი სამნი ყრმანი სახუმელსა შინა ესრეთ იტყოდეს, თუ: თავითა დამდაბლებულითა და სულითა გლახაკები-საითა შე-მცა-წირულ ვართ საკურტხნი მსხვერპლთანი ზუარაკთანი და ვითარცა ბევრულნი კრავთა მართებულთანი“ (თეოდორე კვირელის ფსალმუნთა განმარტება) [11, 414]

ეს სცენა კიევის სოფიოს ტაძრის მოხატულობაში გამოსახულია პატრო-

არსით, უფრო სწორედ კი, მნიშვნელობათა სიმრავლით არის განპირობებული. ძველალექსიურულ სცენაში „სამი ბაბილონელი ყრმა სახუმელსა შინა“ (დანიელის წიგნი, III, 12-100) სწორედ ანტიმწვალებლური პათოსი არის შთაქსოვილი (სურ. 1,2).

ეს ქრტიანული სახვითი ხელოვნების ერთი უძველესი გამოსახულებაა, ჯერ კიდევ კატაკომბებში იყო აქტიურად გამოყენებული, როგორც ხსნის პარადიგმა [28, 463-466; 33, 671] მისი კომპოზიციური ვარიანტები ადრექრისტიანულ ხანაშივე ჩამოყალიბდა – მოკლე ვერსია, როცა მხოლოდ სამი ებრაელი ჭაბუკის ფიგურაა გამოსახული ორანტის პოზებში, ცეცხლის ენების მინიშნებით მათ ფერხითთ, ან ანგელოზის ფიგურის დამატებით; მაგ., პრისცილას კატაკომბები (22, 105, ილლ. 102); მესკენდირის მხატვრობა კაპადოკიაში (38, 307, ილლ.91); კომპოზიციური მხატვრობა ვადი სარგადან (16,

70); ბაუტიკის მხატვრობა (28, 71); სინას ნმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული ხატი; სარკოფაგების რელიეფები ვატიკანიდან და არლიდან (28, 463, 466; 33, 671) მინის თასი სანკტ-პეტერბურგიდან და სხვ.

სამი ყრმის გალობა (დანიელი, III, 52-90) ჟამისწირვის აუცილებელი ნაწილი გახდა და ამიტომ ამ გამოსახულების ლიტურგიული მნიშვნელობა ძალიან დიდია. ეს არის ქრისტეს მსხვერპლისა და აღდგომის ბიბლიური წინასახე [28, 463-466]. ცნობილია, რომ ბიზანტიაში ამ სიუჟეტის ერთგვარ თეატრალურ პერსონიფიკირებულ წარმოდგენასაც კი მართავდნენ ლიტურგიის დროს (37, 351-355).

ამ გამოსახულებას ძალიან ბევრი მნიშვნელობა აქვს, რომელთა შორის ლიტურგიკულ-ევექარისტული ყველაზე ძლიერია. იგი ხშირად გამოისახება სამკვეთლოში, სადაც ევექარისტული მსხვერპლი მზადდება (მაგ. ნმ. ლუკას მონასტრის კათოლიკონში, საბერძნეთში) და რამდენიმე გზის მოიხსენება ზიარების ლოცვებში. „ვითარ-იგი სანატრელნი სამნი ყრმანი სახუმელსა შინა ესრეთ იტყოდეს, თუ: თავითა დამდაბლებულითა და სულითა გლახაკები-საითა შე-მცა-წირულ ვართ საკურტხნი მსხვერპლთანი ზუარაკთანი და ვითარცა ბევრულნი კრავთა მართებულთანი“ (თეოდორე კვირელის ფსალმუნთა განმარტება) [11, 414]

ეს სცენა კიევის სოფიოს ტაძრის მოხატულობაში გამოსახულია პატრო-

ნიკეს II სართულზე სხვა ევქარისტიული შინაარსის სცენებთან ერთად („საიდუმლო სერობა“, „ქორწილი კანაში“ და სხვ.). იგი ხშირად გამოისახება სამკვეთლოში, სადაც პროსკომიდია ტარდება, მაგ., ჰოზიოს ლუკას, ტირნოვოს, ნოვგოროდის სტრატეილატის ეკლესიებში. ოპრიდის წმ. სოფიოს ეკლესიაში ზიარების გვერდითაა გამოსახული საკურთხეველში [28, 463-466], მისტრას პერიბლეპტას ეკლესიის მოხატულობაში კი ეს სცენა საკურთხეველის ბემაშია გამოსახული, სამხრეთ მხარეს, „აბრაამის მსხვერპლშენიერვის“ პირდაპირ, ანუ აქაც ევქარისტიული მსხვერპლის განსახიერებად გაიაზრება [19,53].




2. ყინცივის წმ. ნიკოლოზის ტაძარი, „სამი ბაბილონელი ყრმა სახუმილსა შინა“. XIII ს-ის დამდეგი

ამ გამოსახულებაში ნათლად იკითხება სამების კონოტოციაიც. „სამთა ყრმათა საჭუმილსა შინა სამებისა ძლიერებითა ცეცხლისა ალი დასრიტეს და გალობითა იტყოდეს: კურთხულ ხარ შენ უფალო, ღმერთო მამათა ჩვენთაო“ (თეოდორე კვირელის ფსალმუნთა განმარტება) [11, 408]. გარდა ამისა, „სამ ბაბილონელ ყრმაში“ არის მინიშნება ქრისტეზე, როგორც ღმერთზე, რომელმაც მიიღო ტანჯვა ადამიანებისათვის და აღდგა [49, 78]. „ანანია, აზარია და მისაელ ამისვე საცხებლისა (ქრისტეს რჯული და მსხვერპლი) ნადიერებით სწადოდა ცხებად. ამის გამო ოთხად გამოჩნდეს სახუმილსა მას შინა. რამეთუ საცხებელი იგი იყო, რომელი ვითარცა ცუარი ქუეყანასა ზედა დამოიდიოდა“ (თეოდორე კვირელის ფსალმუნთა განმარტება) [11, 254]. საეკლესიო საგალობლებში მათი ყოფნა 70-ჯერ გახურებულ სახუმილში უთანაბრდება მაცხოვრის უხრწნელ ყოფნას საფლავეში. საგულისხმოა აგრეთვე, რომ დანიელის ნიგნი სწორედ ენების შაბათს იკითხება [52, 458].

ისიც ნიშანდობლივია, რომ „სამი ბაბილონელი ყრმა“ ხშირად არის ხოლმე ჩართული „ძირი იესეს“ გამოსახულებაში, ქრისტეს წინაპართა რიგებში. იბაკონი ქრისტეს შობისანი: „ბაბილონს შინა ღირსთა ყრმათა ეჩუენე, ვითარცა ანგელოზი, ხოლო ბეთლემს მოგუთა მათ შენ თავადი გამოეცხადე, უფალო, რომლისა, ვითარცა მოკუდავისა და უხრწნელისა მეუფისა, ღირსად ძულენი შეწირეს, ხოლო ყრმანი საჭუმილისაგან განარინენ და გალობით იტყოდეს: უფროსად ამალღებულო უფალო, დიდება შენდა“ [9, 335].

ეს განპირობებულია იმით, რომ იგი განიხილება მარიამის ბიბლიურ წინასახედ, უმანკო ჩასახვის ძველალთქმისეული პარადიგმად. იბაკონი ხარებისანი: „საჭუმილმან ბაბილოვნს სამებისა რიცხუთა მიჰრიდა და ქალწულისა შობასა, რომელი მოსეს მთასა ეჩუენა შეუწუველად მაყუალი, წინა სახე ექმნა და გაბრიელ წინა აუწყა, გიხაროდენ – მისა მიმართ იტყოდა. ამისთესცა ღირსთა თანა ყრმათა ვლადადებთ: უფროსად ამალღებულო უფალო, დიდება შენდა“ [9, 3334].



3. ანჩისხატის გულანი, „სამი ბაბილონელი ყრმა სახუმილსა შინა“. XVII ს.

ლების არქეტიპი [41, 434].

შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ეს სცენა სხვადასხვა პერიოდში გვხვდება, თუმცა არც თუ ხშირად. ქართული ხელნაწერების დასურათებაში ეს გამოსახულება ჩართულია 1030 წლის სვინაქსარში A-648 [45, ილ.35], ხოლო უფრო გვიან, მე-XVII ს-ში, ანჩისხატის ფამგულანში [47, ტაბ. XV]. (სურ. 3).

კედლის მხატვრობაში ეს სცენა წარმოდგენილია წალენჯიხის მე-XIV ს-ის მოხატულობაში [50,86-87; 7, 181] ჩრდ-დასავლეთ მკლავთაშორისში, დასავლეთ კედლის ქვედა რეგისტრში (სურ. 4); ასევე არის ხობში, ზარზმამში [51,232]. ნიკორწმინდის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ აბსიდის მე-XVIII ს-ის მოხატულობაში შესასვლელი კარის თავზე არის დიდი კომპოზიცია „სამი ბაბილონელი ყრმა“ ანგელოზით და ცეცხლისფარეშებით. ნიშანდობლივია, რომ ამ კომპოზიციის ქვეშ კარის ლუნეტში, წმ. ნიკოლოზი არის გამოსახული [14, 125]. (სურ. 5)

ამ თემის საკმაოდ თავისებური ინტერპრეტაცია მოცემულია გელათის



4. წალენჯიხის მაცხოვრის ტაძარი; ჩრდილოეთის მკლავთაშორისი. „სამი ბაბილონელი ყრმა სახუმილსა შინა“. XIV ს.

„სამი ბაბილონელი ყრმა“ ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული ნათლისღების საიდუმლოსთან, იმ ნამის პკურების გამო, რითაც დაშრიტა ანგელოზმა ცეცხლის მგზნებარება და იხსნა ბაბილონელი ჭაბუკნი. ამიტომ ეს სცენა გამოისახებოდა ემბაზეზზე – მაგ. ბიჭვინთის V ს-ის ბაზილიკის იატაკის მოზაიკაზე სიცოცხლის შადრევანზე არის სამი პატარა ფიგურა-ორნატა, რომელიც სწორედ ამ სცენის მოკლე ვერსია უნდა იყოს, როგორც ნათლის-

წმ. გიორგის მოხატულობაში, სადაც საკურთხეველის აფსიდში, მარიამის დიდების კომპოზიციის ქვეშ, გამოსახულია, დიდრონ გაზნექილ ყლორტებში (მინიშნება იესეს ძირზე?) ჩახატული სამი ყმანვილის ნახევარფიგურა, რომელთა სახელები წარწერებში არის მითითებული. 4,199; 12, 27-28] 27-28)

მსგავსი გამოსახულება, ოლონდ გუმბათის ყელის ქვედა ნაწილში, ტრაპუნონის წმ.

სოფიოს ტაძარშია [21, 14]. ამ თემის ამგვარი გადანყვეტა ერთგვარ მინიშნებას გვაძლევს მე-IX ს-ის არმაზის ეკლესიის კანკელის მოხატულობის ინტერპრეტაციისთვის, სადაც გამოსახული სამი ყმანვილის ნახევარფიგურა, შარავანდების გარეშეა [13, 81-92].



5. ნიკორწმინდა, „სამი ბაბილონელი ყრმა სახმილსა შინ“, XVII ს.

როგორც ჩანს, ეს თემა ქართულ სახვით ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებული არ ყოფილა. მაგრამ საგულისხმოა, რომ თამარის ეპოქაში ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელოვან ძეგლში ვხვდავთ: ბეთანია, ყინცვისი, ტიმოთესუბანი, ანანაურის ეგვტერი, ტიგრან ონენცის ეკლესია ანისში. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ იქნებოდა, და მე-XII ს-დან მისი უფრო ხშირი გამოსახვა ლიტურგიკული თემების მნიშვნელობის გაძლიერებასთანაც არის დაკავშირებული და ანტიმწვალებლურ განწყობასთანაც.

ბეთანიაში ეს სცენა გამოსახულია ჩრდილოეთ კედლის შუა, სარკმლების დონის რეგისტრში, ვნებათა ციკლის თავზე, და როგორც ჩანს, „ხარების“ ქვემოთ [8, 198]. (სურ. 6) ტიმოთესუბანში მისი მხოლოდ ფრაგმენტებია დარჩენილი სამხრეთ-დასვალეთ მკლავთა-შორისის აღმოსავლეთ კედელზე, სადაც ჩართულია ძველი ალთქმისეულ სცენებსა და პერსონაჟებში – მსხვერპლის და აღდგომის წინასწარუწყება [51,97].



6. ბეთანიის ღმრთისმშობლის ტაძარი, სამხრეთი კედელი, „სამი ბაბილონელი ყრმა სახუმლსა შინა“. XII ს-ის მიწურული.

ყინცვისში კი მას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება და მკავეთრად არის აქცენტირებული დასავლეთ კედელზე, ზუსტად შუაში, სართავი თალით საგანგებოდ გამოყოფილ არეზე, პატრონიკეს კარის თავზე. (სურ. 2) კომპოზიციის ქვედა ნაწილში გამოსახული ყვითელი ოქრის სახუმილი, მოგიზგიზე ალის წითელი სინგურნარევი ოქრის კლაკნილი ხაზების კონებით, რომელშიც დგანან წელამდე გამოსახული სამი პატარა ფიგურა – ხელ-აპყრობილნი ზევითკენ, მათ თავზე გამოსახული ანგელოზის მსხვილი ნახე-

ვარფოგორისაკენ, რომელიც გაშლილი ხელებით აკურთხებს მათ, ხოლო მისი „მფარველი“ ფრთები თალის ნახევარწერიული მოხაზულობის შესატყვისად არის გაშლილი.

ყრმებს ტრადიციული სამოსი აცვიათ. მათ სამოსში თეთრი ფერი არის გააქტიურებული – უმანკო მსხვერპლი. კომპოზიცია ორივე მხრიდან ფლანგირებულია ორი მსხვილი ნახევარფიგურით: წმ. წინასწანარმეტყველი სოფონია და წმ. წინასწანარმეტყველი დანიელი. ეს ფიგურები ანგელოზის ფიგურის მასშტაბისანი არიან და ერთგავარ კომპოზიციურ სამკუთხედს ქმნიან – სამ დიდ აქცენტს სახუმლიში გამოსახული სამი ყრმის გარშემო.

თუმცა ანგელოზის ცისფერ-მწვანე სამოსი ფერადონულად ისე მკვეთრად არ გამოიყოფა ლაჟვარდისვებ ფონიდან, როგორც ყრმების სამოსის სითეთრე, მისი ფიგურა უზარმაზარია ყრმებთან შედარებით და „მოიცავს“ მთელ კომპოზიციას. მთელი აქცენტი მასზე კეთდება, ვინაიდან ანგელოზი გაიგივებულია ქრისტესთან: ბიბლიის ტექსტის მიხედვით ნაბოქუდონოსორმა იგი „ძე უფლისად“ მიიჩნია (დანიელის წიგნი, III, 49).

ყინცვისში ეს კომპოზიცია ჩართულია წმ. ნიკოლოზის ცხოვრების ციკლში (ხსნის თემა და მეოხების თემა: სამი ყრმის ხსნა, სამი უდანაშაულოს გადარჩენა, სამი მხედართმთავრის გამართლება – უფალი გასაჭირში არ ტოვებს ერთგულებს) (სოფონია, 3, 17), მეორე მხრივ იგი მოთავსებულია იმ აზრობრივ სამკუთხედში, რომელიც იქმნება ტაძრის სივრცეში ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლების ცენტრში გამოსახული სცენების „მენელსაცხებლე დედები ქრისტეს საფლავთან“ და „თომას დარწმუნებასთან“ ერთად, რომლებიც ხსნისა და აღდგომის იდეების გამომსახველია. მეორე მხრივ, თავისი ექვარსტიული შინაარსით იგი აკავშირებს ეკლესიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს – ზიარება საკურთხეველში და ზიარების წინასახე დასავლეთ კედელზე.

სამი ყრმის გამოსახვა დასავლეთ კედელზე არის ერთგავარი „კომპენსაცია“ განხითვის დღისა, რომელიც ტრადიციულად გამოისახება ქართულ ტაძართა ამ ნაწილში. წინასწარმეტყველები დანიელი და სოფონია სწორედ მეორედ მოსვლას წინასწარმეტყველებენ [51,14].

როგორც აღინიშნა, მრავალ სხვა მნიშვნელობებთან ერთად, „სამი ბაბილონელი ყრმა“ ანტიმწვალებლური შინაარსისაა და თანაც, მარიაშის ბიბლიურ წინასახეებსაც განეკუთვნება, ისევე როგორც „ძირი იესესი“, რომელიც ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი მკლავთაშორისის სამხრეთ კედელზეა გამოსახული [1, 41-49].

ყინცვისის კედლის მხატვრობის პროგრამის განხილვისას მეცნიერთა უმეტესობა საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულ ბაგრატიონთა პორტრეტებზე (გიორგი III, თამარი, გიორგი ლაშა) და პატრონაჟის საკითხებზე; მთელს პროგრამას სწორედ ამ თვალსაზრისით კითხულობენ, ცალკეული სცენებისა და წმინდანების შერჩევის ჩათვლით [46, 35-37; 20, 93-184]. სამეფო პორტრეტებს მართლაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ მოხატულობაში, თუმცა მასში სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი

თემები კიდევ უფრო აქცენტირებული, რომლებიც განსაზღვრავს ყინცვისის მოხატულობის თეოლოგიური არსის ქვაკუთხედს, როგორცაა ევქარისტია, ქრისტეს განკაცება (ორი ბუნება), მღვდლობა, მწვალბლობებისგან განმ-მენდილი ეკლსიის ტრიუმფი და სხვ.

ჩემი აზრით, ყინცვისის მოხატულობის „ნაკითხვის“ გასაღებს წარმოად-გენს საკურთხეველში, მარიამის დიდების ქვეშ მოთავსებული წმ. ნიკოლოზი-სა და წმ. სილიბისტროს წყვილადი პორტრეტი. მთელი პროგრამაც ამ კონტქსტში, ანუ მწვალბლობებთან დაპირისპირების ფონზე უნდა იქნას ნაკითხული [2, 116-146].

მართლაც, ყინცვისის მოხატულობის მთელი პროგრამა მკვეთრად გამო-ხატული ანტიმწვალბლური, კერძოდ კი ანტი-მონოფიზიტური პათოსით არის განმსჭვალული. მასში აქცენტირებულია განკაცების (ქრისტეს ორი ბუნების), ხსნისა და ევქარისტიის იდეები, რაც გამოიხატა ისეთი სცენების ჩართვაში, როგორცაა მარიამის ცხოვრების სცენები, „უფლის სერობა“, „დატირება“, „მენელსაცხებლე დედანი უფლის საფლავთან“, „თომას დარწმუნება“ და სხვ. კიდევ უფრო საგულისხმოა საეკლესიო კრების გამოსახულების ნაშთე-ბი ჩრდილო-დასავლეთ მკალეთაშორისში, ისევე როგორც „ძირი იესესი“ და „სამი ბაბილონელი ყრმა სახმილსა შინა“.

საზოგადოდ ცნობილია, რომ საქართველოში მწვალბლობები არ იყო ისე გავრცელებული, როგორც ბიზანტიაში და ბალკანურ ქვეყნებში, თუმ-ცა მე-XII ს-ში მთელს სამართლმადიდებლოში შექმნილმა მდგომარეობამ საქართველოშიც ჰპოვა გამოძახილი. საგულისხმოა, რომ მონოფიზიტურ მწვალბლობასთან დაპირისპირება არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის, არამედ სახელმწიფოს ინტერესებსაც ასახავდა, რადგან ამ პერიოდში მონო-ფიზიტური მრწამსის მიმდევარი სომხეთი თითქმის მთლიანად საქართველოს შემადგენლობაშია, ხოლო სარწმუნოების საკითხები ამით მწვავდება. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროს მოეწყო პაექრობა – „გამოძიება რჯუ-ლისა“ მონოფიზიტებსა და მართლმადიდებელთა შორის, რომელშიც არსენ იყალთოელმა მიიღო მონაწილეობა 1123წ. ანისში [10, 356; 5, 88, 95].

რუსი-ურნბნისის კრების ძეგლისწერაში საგანგებოდ არის რამდენჯერმე დასახელებული მონოფიზიტები (სომხები) და მწვალბლები, „რომელნი ღვთის მანებელობითა მის წვალბებისაგან ხაჩეცართაისა, რომელ არიან სო-მეხნი, მართალსა და უზაკუელსა სარწმუნობასა მოუხდებოდინ და წმიდა-სა კათოლიკე ეკლესიასა შეერთებოდინ და ბილსნა მათ სწავლებასა ერთ-ბუნებთანა და ერთისა ნებისა და ერთისა მოქმედებისა ღმრთეობისაგან და კაცებისა შეზავებულისა და არა საღმრთოისა, არცა კაცობრივისა, არამედ შერეულისა რაისმე და უცხოისა ქრისტეს ჭეშმარიტისა ღმრთისა წუენისა ზედა სიჩქურით მეტყელთასა შეაჩუნებდენ“ [3. 553]. ხოლო ძეგლის წერა მწვალბელთა დაგმობით მთავრდება: „კულადცა ვიტყვთ: ყოველნიმცა მწვა-ლბელნი შეჩუნებულ არიან. ყოველნიმცა მართმადიდებელნი კურთხეულ არიან... ყოველთა მართმადიდებელთა საუკუნომცა არს ხსენებაჲ... ყოველ-ნი მწვალბელნი საუკუნოდმცა შეჩუნებულ არიან. ყოველთა მწვალბელთაჲ

საუკუნოომცა არს წყევად და დაუსრულებელი შერვენებაი" [3,559].

თამარ მეფის ისტორიკოსი, ბასილი ეზოს მოძღვარი გვამცნობს, რომ თამარმა 1186 წელს საეკლესიო კრება მოიწვია, რათა: „ინება რათა იქმნას შეყრა და გამორჩევა დიდთა მათ მსოფლიო კრებათა“... „რათა მართლმადიდებლობასა ზედა შემოთესილნი თესლნი ბოროტნი აღმოფხურნეს სამეფოსაგან თვისისა“ [10, 117-118].

აქვე გავიხსენოთ, რომ მე-XII ს-ში არსენ იყალთოელი თარგმნის „დოგმატიკონს“, რომელშიც მთელი რიგი პოლემიკური ნაშრომებისა სწორედ მწვალელების წინააღმდეგ არის მიმართული, [6, 278], ხოლო მე-XII ს-ის ბოლოს ნიკოლოზ გულაბერიძე თარგმნის მაქსიმე აღმსარებლის ნაშრომს, რომელიც მონოფიზიტთა და მონითელიტთა წინააღმდეგ არის მიმართული და მკვეთრად ანტიმწვალელებურია.

ქართული კედლის მხატვრობის პროგრამების ანტი-მწვალელებური მიზანდასახულობა უკვე მე-XII ს-ის გელათის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის ნართექსის მოხატულობაში გამოვლინდა, სადაც შეიძივე მსოფლიო საეკლესიო კრება არის გამოსახული, თანაც საგანგებოდ გამოკვეთილია ქალკედონის კრება [48, 163-204]. ასევე გამოკვეთილია ეს მიზანდასახულობა ბეთანიის ღმრთისმშობლის ტაძრის მე-XII ს-ის მინურულის კედლის მხატვრობაში [8, 198].

ყინცივის პროგრამის საერთო სულისკვეთებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი განმარტება ამ გამოსახულებისა, კერძოდ საერო ხელისუფლებასთან შედარებით უფლის თაყვანისცემის, საეკლესიო იერარქიის პრიორიტეტის ხაზგასმა 31,78-80]

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია კიდევ ერთი ადგილი ქართული საისტორიო წყაროდან, კერძოდ თამარის მიერ მოწვეული საეკლესიო კრების დროს, თამარი კრების ხელმძღვანელის ადგილს კი არ იკავებს, არამედ შორი-ახლოს ჯდება, მიკრძალებით „მიეგებოდა მათ თამარ დიდითა სიმდაბლითა, ვითარცა კაცი და არა მეფე, ვითარ ანგელოზთა და არა კაცთა...ხოლო თვით დაჯდა შორის მათსა მარტოდ და არა მეფობით...“ და აცხადებს: „რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთის მბრძოლობისა“ (10, 118). ამით კიდევ აღიარებს ხსენებულ უპირატესობას.

ამ თემასთან დაკავშირებულია კიდევ ერთი საკითხი, თუმცა საკმაოდ სადავო და საგანგებო კვლევის მომთხოვნი. ეს ეხება „ისტორიანნი და აზმანი შარავანდედთანი“-დან საყოველთაოდ ცნობილ პასაჟს, რომელიც ინტერპრეტირებულია, როგორც ე.წ. იზოთეიზმი და „მეოთხე ჰიპოსტატი“. ამ ინტერპრეტაციების განხილვა სცდება ნაშრომის ფარგლებს და თემატიკას, მაგრამ საკმაოდ საინტერესო და დამაფიქრებელია მისი ერთი ამონარიდი: „თუ მაშინ ნაბუქოდონოსორ სამთა ყრმათა ოთხებად იხილა ერთი სამებისთაგანი, აქა კულა სამებისა თანა იხილვების თამარ მისწორებული და აღმატებული“ [10, 25]. როგორც აღვნიშნეთ, ამ პასაჟის შინაარსისა და ქეშმარიტი მნიშვნელობის გარკვევა ისტორიკოსებსა და თეოლოგებს მივანდოთ, მაგრამ თავისთავად საინტერესოა სამი ყრმის თემისა და თამარის პიროვნების და-

კავშირება. შემთხვევითი ხომ არ არის, რომ სწორედ თამარის ეპოქაში სამ ყველაზე მნიშვნელოვან ფერწერულ ანსაბლში არის ჩართული ეს გამოსახულება!

სამი ბაბილონელი ყრმის თემის ადგილი შუა საუკუნეების ქართული მხატვრობის პროგრამებში და მისი „პოპულარობის“ მიზეზები მე-XII-XIII ს-თა მიჯნაზე უფრო საფუძვლიან კვლევას ითხოვს, განსაკუთრებით ლიტურჯიაში მისი ადგილის გათვალისწინებით, თუმცა ამ ეტაპზეც შეიძლება ითქვას, რომ ამის საფუძველი ლიტურჯიული თემების და ანტიმწვალებლური პათოსის გააქტიურება უნდა იყოს.

ლიტერატურა

1. მ. დიდებულიძე, ძირი იესესი ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძარში, ACADEMIA, ტ. 6-7, 2006. გვ. 41-49.
2. მ. დიდებულიძე, საღვთისმეტყველო პოლემიკის ასახვისათვის ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მოხატულობაში, "საქართველოს სიძველენი", №6, 2004; გვ. 116-146.
3. დიდი სჯულისკანონი, გამოცემა ე. გაბიძაშვილი, ე. გიუნაშვილი, მ. დოლაქიძე, გ. ნინუა. თბ., 1975.
4. გელათი, 900. ხუროთმოძღვრება, კედლის მხატვრობა, განძეულობა, თბ., 2007 (ქართულ და ინგლისურ ენებზე)
5. ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. III, თბ., 1998.
6. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 278.
7. ი. ლორთქიფანიძე, მ ჯანჯალია, წაღწევის მოხატულობანი. თბ., 2011 (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
8. ა. ოქროპირიძე, "XII ს-ის საღვთისმეტყველო პრობლემები ბეთანის მთავარი ტაძრის მოხატულობაში", II საერთაშორისო სიმპოზიუმი: ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი, თბ., 2005, 198.
9. უძველესი იადგარი, გამოც., ე. მეტრეველი, ლ ხევსურიანი, ც. ჭანკიევი. თბ., 1980.
10. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. II, თბ., 1959.
11. შატბერდის კრებული, გამომცემლები ბ. გიგინეიშვილი და ელ. გიუნაშვილი. თბ., 1979.
12. ნ. ჩიხლაძე მხატვრულ-სტილისტური ტენდენციები გვიანფეოდალური პერიოდის კედლის მხატვრობაში (გელათის წმ. გიორგის ეკლესიის XVI ს. მოხატულობის მაგალითზე), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1993.
13. თ. ხუნდაძე, ძველი აღთქმის სიუჟეტები რელიეფურ ფრაგმენტებზე ნირქოლიდან, ACADEMIA, 2001, ტ. II, გვ. 81-92.
14. ი. ხუსკივაძე, ნიკორწმინდის ტაძრის მოხატულობა", საქართველოს სიძველენი, 3, თბ., 2003, 109-126.
15. G. Babić, "Les discussions christologiques et le décor des églises byzantines au XIIe siècle", Früh-mittelalterliche Studien, Band 2, Berlin, 1968, 368-386.

16. O. Demus, *The Mosaics of Norman Sicily*, London, 1949.
17. M. Didebulidze, "St. Nicholas in the 13th c. mural painting of Kintsvisi church, Georgia", *ICONOGRAPHICA*, Firenze, VI, 2007, pp. 61-77.
18. S. Dufrenne, *Les programmes iconographique des églises byzantines de Mistra*, Paris, 1970.
19. A. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, Pennsylvania, 1998. 93-184.
20. A. Eastmond, *Art and Identity in the Thirteenth-century Byzantium; Hagia Sophia and the Empire of Trebizond*, University of Birmingham, 2004.
21. A. Grabar, *Le premier art Chrétién*, Paris, 1966.
22. Sh.E.J. Gerstel, *Beholding the sacred mysteries. Programs of the Byzantine Sanctuary*, Seattle and London, 1999.
23. P. Henry, *L'Arbre de Jesse dans les églises de Bucovine*, Institute Français Hautes Études Roumanie II Mélanges, Bukarest., 1928.
24. J.M. Hussey, *The Orthodox church in the Byzantine Empire*, (Oxford New-York, 1986).
25. A.P. Kazhdan, Wharton Epstein A., *Change in Byzantine culture in the Eleventh and Twelfth Centuries*, Los Angeles-Lonson, 1985.
26. *Larousse Encyclopedia of Byzantine and Medieval Art*, Ed. Rene Huyghe, Hamlyn Publishing Group LTD, London, 1981.
27. *Lexikon der christlichen Ikonographie*, Bd. 2, (Rom-Freiburg-Basel-Wien, 1968).
28. H. Maguire, "The Mosaics of Nea Moni: An Imperial Reading". *DOP*. 1992, #46, 205-214.
29. H. Maguire, *Art and Eloquence in Byzantium*, Princeton, 1981.
30. Th. F. Mathews, *The Clash of Gods. A Reinterpretation of Early Christian Art*, Princeton, New Jersey, 1993.
31. J. Meyendorf, *Imperial Unity and Christian Divisions. The Church in 450-68 A.D.*, Crestwood, New York, 1989.
32. *Reallexikon zur Byzantinischen Kunst*, Bd. II, Stuttgart, 1978.
33. L. Réau, *Iconographie de l'art chrétien*, II-2, Paris, 1957.
34. *Shatberdis krebuli* (collection of texts from shatberdi), ed. by B. Gigineishvili. And
35. E. Giunashvili, Tbilisi, 1979 (in Georgian).
36. G. Schiller, *Iconography of Christian Art*, vol. 2, London, 1972.
37. J.D. Ștefănescu, *L'illustration des liturgies dans l'art de Byzance et de l'Orient*. Bruxelles, 1936. Taylor M. D., *A Historiated Tree of Jesse*. *DOP* # 34-35, 1980-81.
38. N. Thierry, *Haut moyen-âge en Cappadoce*, Paris, 1994.
39. M. Velimirović, "Liturgical Drama in Byzantium and Russia", *DOP*, 16, 1962, 351-388.
40. T. Velmans, "Quelques Versions Rares du Theme de la Fontaine de Vie dans L'Art Paléochrétien." in "L'Art Médiéval de L'Orient Chrétien", Sofia, 2002.
41. T. Velmans, *Message et cohérence du programme iconographique des façades peintes en Moldavie*, ΑΙΕΟΣΤΡΩΤΟΝ, Studien zur Byzantinischen Kunts und Geschichte. Festschrift für Marcell Restle, Stuttgart, 2000.
42. Ch. Walter, *Art and Ritual of the Byzantine Church*, London, 1982.
43. A. Wharton, Epstein A. *The political content of the painting of Saint Sophia at Ohrid*. *Jahrbuch der österreichischen Byzantinistik*, B. 29, Wien, 1980.
44. A. Watson, *The early iconography of the Tree of Jesse*, Oxford University, London, 1934.

45. Г. Алибегашвили, Художественный принцип иллюстрирования грузинской рукописной книги, Тб., 1973.
46. Г. Алибегашвили, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1979.
47. Ф. Девдариани, Миниатюры Анчисхатского Гулани, Тб., 1990.
48. Т. Вирсаладзе, «Фрагменты фресковой росписи главного Гелатского храма», *Arg Georgia*, 5, თბ., 1959, 163-204.
49. В.Н. Лазарев, Древнерусские мозаики и фрески, М., 1973.
50. И. Лордкипанидзе, Роспись в Цаленджиха, Тб., 1992.
51. Е.Л. Привалова, Роспись Тимотесубани, Тб., 1980.
52. Святитель Димитрий Ростовский, Жития Святых; Декабрь. Рождества Богородицы Свято-Пафнутьев Боровский Монастырь, 1997.

MARIAM DIDEBULIDZE

ICONOGRAPHIC PECULIARITIES OF THE WALL PAINTING PROGRAMS IN THE REIGN OF QUEEN TAMAR

Summary

It is well known that the Christian art along with the main Christian dogmas reflected the topical theological thinking of its time.

The impact of liturgical practice and current theological disputes on the programs of mural paintings and iconography of the images is quite obvious. In the 12th century the various heretical movements (teachings) were widely spread throughout Byzantine World. Several Church Councils were arranged for condemnation of these teachings, especially those denouncing the Eucharist and the Incarnation.

This may explain some peculiarities of the Georgian wall painting programs of the period in question. Among others, the marked interest towards depiction of the Bible theme "Three Youths in Furnace", that is attested in the wall paintings of the several important royal churches (e.g. Kintsvisi, Betania, Timotesubani) should be pointed out. Along with many other meanings this image is closely related to the ideas of the Incarnation and the Eucharist and had strong anti-heretical connotation.

Probably, the increasing significance of this image in the late 12th – early 13th cc. is related to the confrontation with the monophysites as the Incarnation and the Eucharist were the main issues of this conflict.

МАРИАМ ДИДЕБУЛИДZE

**К ВОПРОСУ О НЕКОТОРЫХ ОСОБЕННОСТЯХ
ИКОНОГРАФИЧЕСКИХ ПРОГРАМ СТЕННЫХ РОСПИСЕЙ ЭПОХИ
ЦАРИЦЫ ТАМАР**

Резюме

Известно, что христианское искусство наряду с главными Христианскими догмами всегда отображало основные теологические проблемы своего времени.

Влияние литургической практики и теологических диспутов на иконографию и содержание росписей в 12 в. отразилось в усилении анти-еретических настроений в Православном мире.

Грузинское искусство также чутко реагировало на теологические диспуты своего времени.

Библейская сцена Три отрока в печи огненной наряду с многими значениями (Крещение, Спасение, Непорочное зачатие, Воплощение) имеет сильный антиеретический пафос.

Именно этот аспект должен служить объяснением для частого изображения данной сцены в нескольких передовых памятниках эпохи царицы Тамар (Кинцвиси, Бетания, Тимотесубани, Ананаури и др.).

ვაჟა ლორთქიფანიძე

**ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები კავკასიაში
(კონფლიქტების ანატომია)**

კავკასიაში შეიარაღებული კონფლიქტები ხშირად მოიხსენიება, როგორც ეთნიკური კონფლიქტები, რაც ზუსტად არ გამოხატავს ამ კონფლიქტების ბუნებას. კონფლიქტების მიმდინარეობის ხასიათმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ ისინი უკეთეს შემთხვევაში ეთნოპოლიტიკური, ხოლო უფრო ხშირად მხოლოდ პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის არიან. კონფლიქტების წარმოშობისა და დღემდე მოუგვარებლობის მნიშვნელოვანი ფაქტორი არის რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა ინტერესები. ამ ინტერესთა დასაფარად, რუსეთი ესწრაფვოდა და ახლაც ყოველმხრივ ესწრაფვის, კონფლიქტები მთლიანად ეთნიკურად მონათლოს, რასაც გარკვეულწილად მიაღწია კიდევ. ამდენად, კონფლიქტები კავკასიაში ეთნოპოლიტიკური ხასიათისაა.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში არაერთი დიდი თუ მცირე კონფლიქტი მოხდა ეროვნულ ნიადაგზე. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ტოტალიტარული რეჟიმის, გაბატონებული საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში ეროვნულ პრობლემებზე სანიშნაოდ დეგრადაციის ღიად გამოთქმა შეუძლებელი და მეტად საშიში იყო. კომუნისტურ პარტიას მარადიულად მიჩნეული შეხედულებათა სისტემა გააჩნდა, მათ შორის ეროვნული ურთიერთობების სფეროშიც. არადა, ეროვნული პრობლემები განიცდიდა განვითარებას, მნიშვნელობდა და საჭიროებდა შესაბამის გადანყვეტას. ამასთან, ავტონომიების შექმნის დროს ნაკლებად ითვალისწინებდნენ რეალურ ვითარებას, ყველაფერი ერთპიროვნულად კრემლში წყდებოდა. მაგრამ ეს არ იყო ეთნიკური კონფლიქტების წარმოშობის ერთადერთი ფაქტორი. უცებ აღმოჩნდა, რომ რუსეთს, რომელსაც განუსაზღვრელი ზეგავლენა ჰქონდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე, თავისი უპრეცედენტო გავლენიდან აღარაფერი დარჩა. როგორც ზბიგნევ ბუჟინსკი აღნიშნავდა, სულ რაღაც 14 დღის განმავლობაში რუსეთმა აღმოაჩინა, რომ ის აღარ არის უდიდესი ტრანსკონტინენტური იმპერია, ხოლო მისი საზღვრები სხვა რესპუბლიკებთან ისეთივე გახდა, როგორც მე-19 საუკუნეში და კიდევ უფრო ადრე იყო. ამან მნიშვნელოვნად შეცვალა რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენა, მან დაკარგა ტრანსკონტინენტური სოციალისტური ბლოკის ლიდერის როლი. ოფიციალურად შეუძლებელი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში აღრინდე-

ლი ზეგავლენის დაბრუნება. ორპოლუსიანი მსოფლიო, სადაც სუპერსახელმწიფოებს რუსეთი და აშშ წარმოადგენდნენ, ერთპოლუსიანი გახდა. რუსეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეში ზეგავლენის აღსადგენად ცალკეულ რესპუბლიკაში და განსაკუთრებით, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობის მქონე რეგიონებში მხარი დაუჭირა სეპარატისტულ ძალებს. ზოგჯერ კი, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში, თვითონ იზრუნა ამ ძალების შექმნაზე და შემდეგ ყოველმხრივ შეუწყო ხელი ეთნოკონფლიქტების ფართოდ გავლევებს, რომლებსაც ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მაგალითად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არა რუსეთის მხარდაჭერა, კონფლიქტი აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში არც წარმოიშობოდა, ან ყოველ შემთხვევაში, ისინი სისხლისღვრის გარეშე ჩაცხრებოდა. რუსეთს ახლაც შეუძლია ამ კონფლიქტების მყისიერი მოგვარება, თუკი იგი თავის სამშვიდობო მისიას პირნათლად შეასრულებს და სეპარატისტ ძალებს აგრძნობინებს, რომ არავითარ სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებას ისინი რუსეთის მხრიდან არ მიიღებენ. მაგრამ რუსეთი იმპერიული მიზნების განსახორციელებლად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ძველი პოზიციების შესანარჩუნებლად, სადაც კი შეუძლია ან ამის საჭიროებას დაინახავს, ხელოვნურად ახდენს ან ხელს უწყობს ეთნიკური კონფლიქტების გავლევებს, რაც შეიძლება განზრახ აჭიანურებს კონფლიქტებს, რათა საბოლოოდ, ამ რესპუბლიკებში თავისი ზეგავლენა კვლავ მოიპოვოს. ეს კონფლიქტები ძირითადად რუსეთის მეშვეობით არსებობს და ამას ცხადად მონშობს მთელი რიგი შემდეგი გარემოებები.

ეროვნებათაშორისი კონფლიქტები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას ემთხვევა, რაც სრულებითაც არ იყო შემთხვევითი. რუსეთი, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, გავლენის სფეროების დაკარგვას ვერ ეგუება. არც დროსა და სივრცეში ერთმანეთთან დაშორებული მოვლენების მჭიდრო კავშირი იყო შემთხვევითი. მიმდინარე მოვლენები ძირითადად მოსკოვიდან იმართებოდა დნეპრისპირეთში, აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“. წინასწარ მომზადდა საომარ სიტუაციათა მოდელები, ასე იყო აფხაზეთში, „სამხრეთ ოსეთში“ და სხვაგან.

არც ეთნოტერიტორიული კონფლიქტების სპეციფიკური თვისებაა შემთხვევითი. საქართველოში არსებულ კონფლიქტებს მკვეთრად გამოკვეთილი გეოგრაფიული გამოხატულება აქვთ – ეს კონფლიქტები გასდევს რუსეთ-საქართველოს საზღვარს. ამასთან, საქართველოში ცხოვრობენ ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობები, რომელთა რაოდენობა ბევრად აღემატება აფხაზებისა და ოსების რაოდენობას, მაგრამ საქართველოს მათთან შეუდარებლად უფრო ნაკლები პრობლემები აქვს. საქმე ისაა, რომ ისინი ცხოვრობენ რუსეთის საზღვრიდან მოშორებით და რუსეთისათვის ბევრად ადვილი და ხელსაყრელია ეთნოკონფლიქტები შეუქმნას უშუალოდ მათ მოსაზღვრედ მცხოვრებ აფხაზებსა (რომელთა რაოდენობა ამჟამად აფხაზეთში დაახლოებით 42 ათას კაცს უდრის) და ოსებს (46 ათასი კაცი). ასე, რომ

აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ რუსეთისათვის გადაიქცა საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტად. ასევე, რუსეთმა სხვა ყოფილ რესპუბლიკებზეც ზემოქმედების სხვადასხვა, ძირითადად მაინც, ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ბერკეტები გამოიყენა.

რუსეთი თვლის, რომ საქართველოზე ზეგავლენა ხელ-ფეხს უხსნის მთელ ამიერკავკასიაში თავისი ინტერესების რეალიზაციისათვის (ამას განსაზღვრავს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა). კავკასიის რეგიონში ზეგავლენის უზრუნველყოფა რუსეთის ძირითადი პოლიტიკური ამოცანაა, რომლის გადაწყვეტის გარეშე მას არ შეუძლია იყოს დიდი სახელმწიფო. ამიტომ ცდილობს იგი, არ დაუშვას სხვისი ზეგავლენა სამხრეთ კავკასიაზე. მაგრამ სულ სხვაგვარად ფიქრობენ აშშ და დასავლეთის სახელმწიფოები. როგორც აღნიშნავენ, რუსეთს არ შეუძლია ამჟამად და არც უახლოეს პერსპექტივაში კავკასიაში ითამაშოს გადამწყვეტი როლი, ამიტომ აუცილებელია „საერთო კავკასიურ პროცესში“ აქტიურად ჩაერთონ გავლენიანი მოთამაშეები, უპირველეს ყოვლისა, აშშ და ევროკავშირი.

კავკასიაში გავლენის სფეროების ხელახალი განაწილება სერიოზული კონფლიქტების წყარო შეიძლება გახდეს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ავტორიტეტული შეფასებებით XXI-ე საუკუნეში კავკასიის რეგიონი იქნება ნავთობისა და გაზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმწოდებელი მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ ენერგორესურსების ფაქტორი მომავალში კიდევ უფრო მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აშშ-ის და რუსეთის ურთიერთობას რეგიონში, რომელიც ზოგჯერ ღია დაპირისპირების სახეს იღებს და, სამწუხაროდ, რომლის დროსაც კავკასიის რეგიონის ინტერესები იჩრდილება.

ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საქართველო წარმოადგენს რეალური ინტერესების სფეროს, რადგან მის ტერიტორიაზე, როგორც ევრაზიის დერეფანზე, გადის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძები და ნავთობსადენები, რომელთა მეშვეობით, ცენტრალურ აზიასა და აზერბაიჯანში მოპოვებული ნავთობი და გაზი შავ ზღვაზე და შემდეგ დასავლეთის ბაზარზე მიედინება. უაღრესად მნიშვნელოვან ქვეყანას ამერიკისათვის კასპიისპირეთის რეგიონიდან აზერბაიჯანიც წარმოადგენს, რადგან ძირითადად სწორედ აქ მოიპოვება ნავთობი და გაზი.

საქართველოსა და აზერბაიჯანის პროდასავლურმა სტრატეგიამ შეზღუდა რუსეთის როლი რეგიონში. საქართველო და აზერბაიჯანი არამარტო დაშორდნენ რუსეთს, არამედ აშშ-სა და თურქეთთან ერთად ფაქტობრივად ბლოკავენ რუსეთისათვის ხელსაყრელ მარშრუტებს. 2002 წლის 18 სექტემბერს შედგა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სიმბოლური გახსნა. რუსეთი ამ მარშრუტს თავისი ნავთობსადენების სტრატეგიის სერიოზულ კონკურენტად მიიჩნევს. თამაშვარეშე რჩება სომხეთი, რომელმაც არაერთი შეთავაზების მიუხედავად უარი თქვა აზერბაიჯანელებთან ერთად მიეღო მონაწილეობა აღნიშნულ პროექტებში. ის ამ პროექტების განხორციელებაში საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის შესაძლო სტრატეგიულ ალიანსსაც

ხედავს, რაც, მისი აზრით, შეიძლება მომავალში სომხეთის ინტერესებს შეე-
ნინააღმდეგოს, ამიტომ, რუსეთმა და სომხეთმა თითქოს საპასუხოდ სამხედ-
რო პარტნიორობა განამტკიცეს.

აშშ ენერგეტიკის სამინისტროს შეფასებით კასპიის ზღვის რეგიონში
განლაგებულია მსოფლიოში გადაუშუშავებელი ნახშირწყალბადების უმსხ-
ვილესი მარაგი. მათ შორის, გამოძიებული მარაგი შეადგენს 17-დან 33-მდე
მილიარდ ბარელ ნავთობს და დაახლოებით 232 ტრილიონ კუბურ ფუტ ბუნე-
ბრივ გაზს. პოტენციურმა მარაგმა შეიძლება შეადგინოს დაახლოებით 200
მილიარდი ბარელი ნავთობი და 3500 ტრილიონამდე კუბური ფუტი ბუნე-
ბრივი გაზი.

ეს ფაქტორებიც განსაზღვრავს ძირითადად რეგიონის მნიშვნელო-
ბას, ამიტომ წარმოადგენს იგი არამარტო რუსეთის, არამედ ამჟამად უკვე
მსოფლიოში ერთადერთი სუპერსახელმწიფოს – აშშ-ის ინტერესების სფე-
როს. ასეთ სიმდიდრეს ადრე თითქმის მთლიანად რუსეთი განაგებდა, ახლა
იგი იძულებულია მსოფლიო და რეგიონულ სახელმწიფოებთანაც დააბალან-
სოს თავისი ინტერესები. ამისათვის მას, უპირველეს ყოვლისა, ესაჭიროება
სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი ზეგავლენის აღდგენა, რათა სამხრეთ
კავკასიის ქვეყნებმა აუცილებლად გაუწიონ ანგარიში მის ინტერესებს და
ამით გარკვეული პრიორიტეტი მოიპოვოს რეგიონში მსოფლიოს წამყვან სახ-
ელმწიფოთა ინტერესების დაბალანსებისას. ამაზეა დამოკიდებული რუსეთის
ენერგეტიკული უსაფრთხოებაც. ყოველივე ეს, მით უფრო მნიშვნელოვანია,
რომ აქამდე ჯერ კიდევ არ არიან შეთანხმებული კასპიისპირეთის სახელმწი-
ფოები – ირანი, რუსეთი, თურქმენეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი – კასპიის
სამართლებრივი სტატუსის საკითხში. ასევე არ არიან ისინი შეთანხმებული
ზღვის ბიორესურსების ექსპლუატაციის უფლებაზე.

კასპიის ზღვის შუა, და განსაკუთრებით სამხრეთ ნაწილისაგან განსხ-
ვავებით, ჩრდილოეთი ნაწილი უკვე მთლიანად გაყოფილია. კასპიისპირეთის
სამმა სახელმწიფომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კასპიის ფსკერის 19%
ეკუთვნის რუსეთს, 29% – ყაზახეთს და 19%-ის ფარგლებში – აზერბაიჯანს.
რაც შეეხება თურქმენეთსა და ირანს, მათ შეთავაზეს ვარიანტი – ისინი
დაეთანხმებიან კასპიის გაყოფის შემუშავებულ პირობებს, ან ეჭვის ქვეშ
დააყენებენ კასპიის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში არსებულ საბადოებს
და უცხოელ ინვესტორებს დააფრთხობენ.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის რეგიონში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პრო-
ექტის დაწყებისთანავე დესტრუქციული ძალები ცდილობდნენ გამოეყენები-
ნათ ნაციონალური სეპარატისტული ძალები, გაეღვივებინათ პოლიტიკური
და რელიგიური ექსტრემიზმი პროექტის ჩასაგვრდნად. ამ მოვლენათა ფონზე
აზერბაიჯანმა გამოაცხადა თავისი მზადყოფნა განალაგოს ნატოსა და
თურქეთის სამხედრო ბაზები აფშერონზე [1, გვ. 87, 90, 91]. აშშ უკვე დაი-
წყო მუშაობა ამ რეგიონის მომავლის ფორმირებისათვის. უპირველეს ყოვ-
ლისა, აშშ-მა საჭიროდ მიიჩნია ბრძოლა კასპიის ნავთობისა და მისი ტრანს-

პორტირებისათვის ევროპაში. ამასთან, შეთავაზებულმა კასპიის ნავთობის მილსადენმა, აშშ-ის აზრით, გვერდი უნდა აუაროს ირანის, სომხეთისა და რუსეთის ტერიტორიებს, ამავე დროს, მეტოქეობა უნდა გაუწიოს რუსეთს ტრანზიტული ტვირთების ალტერნატიული ტრანსციმბირული გზების შექმნაში ევროპიდან აზიაში და უკან. 1998 წელს ვაშინგტონმა მიიწვია აზერბაიჯანისა და თურქმენეთის პრეზიდენტები და ამერიკულმა მხარემ ხელი მოაწერა დიდი იმედის მქონე მთელ რიგ დოკუმენტებს. ეს დოკუმენტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არა მარტო ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას, არამედ, საერთოდ სატრანსპორტო დერეფანს, დიდი აბრეშუმის გზის აღდგენას და, მაშასადამე, შავ ზღვაზე გასასვლელს, ეს კი ზრდის საქართველოს ავტორიტეტს და აუცილებელს ხდის მის უშუალო მონაწილეობას ტრანსნაციონალური კომპანიების მუშაობაში, სხვადასხვა ხელსაყრელი პროგრამების შედგენაში. ეს მით უფრო არსებითია, რომ ნავთობისა და გაზის მარაგების ამონურვის შემდეგაც, აბრეშუმის გზის ფუნქციონირება არასოდეს შეწყდება, რადგან ტვირთების გადაზიდვის მოთხოვნილება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და უკან, მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა – დაწყებულია სარკინიგზო მაგისტრალის ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს თურქული მონაკვეთის მშენებლობა. ეს გზა, რუსეთის გვერდის ავლით, აღმოსავლეთს დასავლეთთან დააკავშირებს. მომავალში, შავი ზღვის საქართველოს მონაკვეთის მეშვეობით მნიშვნელოვნად გაიზრდება სარკინიგზო ტვირთბრუნვა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ამ შემთხვევაში, რუსეთი მიიჩნევს, რომ ის განზე რჩება და ეს მას მიაყენებს არა მარტო უდიდეს ეკონომიკურ ზარალს ახლო და შორეულ პერსპექტივაში, არამედ მნიშვნელოვნად შეასუსტებს მის პოლიტიკურ ზეგავლენას კავკასიასა და ცენტრალურ აზიაზე. ამიტომ, რუსეთი მიისწრაფვის კონტროლი დაანესოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენზე. ამასთან, რუსეთ-საქართველოს შორის უკიდურესი დაძაბვის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი შავ ზღვაზე რუსეთის გავლენის პრობლემაა. მართალია, რუსეთს აქვს ზღვაზე გასასვლელი სევასტოპოლის სახით, მაგრამ მხოლოდ გარკვეული ვადით. სევასტოპოლი უკრაინის ნავსადგურია და უკრაინა უკვე კარგა ხანია მოითხოვს ამ ვადის გადასინჯვას მისი შემცირების მიზნით, რუსული ნავსადგური ნოვოროსიისკი კი წელინადში ოთხი თვე გამოუსადეგარია და ამიტომ იზრდება რუსეთის ინტერესი აფხაზეთის მიმართ.

ამავე დროს, აშშ და დასავლეთის ქვეყნები, უკანასკნელ წლებში ზრდიან თავიანთ კაპიტალდაბანდებებს კავკასიასა და შუა აზიაში ეკონომიკის სხვა პერსპექტიული დარგების განვითარებისათვის. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია შუა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში ოქროს, ქრომის, ნიკელის და სხვა წიაღისეული საბადოების ათვისება, რომელთა მარაგი მსოფლიოში სულ უფრო იწურება. ეს კი ამ წიაღისეულ სიმდიდრეებს ფასდაუდებელს ხდის XXI-ე საუკუნეში.

ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა კავკასიის, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის განვითარება. კონფლიქტების სანაყის ეტაპზე ეკონომიკა მთლიანად მოიშალა. შეიარაღებულმა შეტაკებებმა ათეული ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეინირა, ასეული ათასობით ადამიანი ლტოლვილი და იძულებით ადგილნაცვალი პირი გახდა. გიგანტური მასშტაბები მიილო დეპორტაციებმა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომის დროს მთიანი ყარაბაღის გამო. საომარი შეტაკებების შედეგად, როდესაც გამოიყენეს თანამედროვე სამხედრო ტექნიკა, სომხეთიდან განდევნილ იქნა 160 ათასი აზერბაიჯანელი და აზერბაიჯანიდან 250 ათასი სომეხი. ლტოლვილთა რაოდენობამ ე.წ. „სამხრეთ ოსეთიდან“ 110 ათას კაცს მიალწია. ჯერ კიდევ 1992 წელს, სამხრეთ კავკასიაში ლტოლვილთა რიცხვი თავიანთ ქვეყნებში და სამხრეთ კავკასიის ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა შეფასებით, 500 ათასიდან 700 ათასამდე კაცს უდრიდა [2. გვ. 67]. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს კი, ლტოლვილთა რაოდენობამ 300 ათასამდე კაცი შეადგინა და განხორციელდა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის დაუნდობელი და სრული ეთნონწმენდა. ასეთი ეთნონწმენდის ფაქტი არაერთხელ აღიარეს და დაგმეს ეუთომ, ევროსაბჭომ, ევროპარლამენტმა, ევროკავშირმა და გაერომ. ამ საკითხზე მიღებულია მათი არაერთი რეზოლუცია და განცხადება.

ეთნოკონფლიქტებმა კავკასიაში მთლიანად შეცვალა მოსახლეობის ბუნებრივი დემოგრაფიული განვითარება. უპირველეს ყოვლისა, უაღრესად შემცირდა შობადობის როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მაჩვენებლები. აზერბაიჯანის რესპუბლიკაშიც კი, სადაც შენარჩუნებული იქნა შობადობის შედარებით მაღალი დონე, 1981-1990 წლებში, ანუ 10 წელიწადში, 1765904 ბავშვი დაიბადა, ხოლო 1996-2005 წლებში, ანუ ისევ 10 წელიწადში, 1227875 ბავშვი, ანუ 538029 ბავშვით ნაკლები. ზოგიერთ წლებში შობადობის დონე განახევრდა. მაგალითად, 1992 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი აზერბაიჯანში 26,6 პრომილეს უდრიდა, ხოლო 10 წლის შემდეგ, 2001 წელს – 13,8 პრომილეს. გაცილებით უარესი ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოსა და სომხეთში. ამასთან, გაიზარდა მოსახლეობის დაავადების მაჩვენებელი, საქართველში განსაკუთრებით ამაღლდა მოკვდაობის დონე. იმდენად დაირღვა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, რომ უახლოეს პერსპექტივაში ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, კიდევ შემცირდება შობადობა. კავკასიაში, ისე როგორც მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეში ეთნოკონფლიქტებმა, ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მკვლევლობათა და თვითმკვლევლობათა, ალკოჰოლიკთა და ნარკომანთა რაოდენობის ზრდას. მავნე ჩვევების გავრცელებისა და ორსული ქალების არარაციონალური, დაუბალანსებელი კვების შედეგად იმატა პათოლოგიური მშობიარობისა და დაბადებულთა შორის პათოლოგიურმა გამოვლინებებმა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოწნდნენ ლტოლვილები და იძულებით ადგილნაცვალი პირები, რომლებიც სამხრეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის 10%-ს შეადგენენ. მეტისმეტად საგანგაშოა

დევნილი მოსახლეობის ფსიქოსოციალური მდგომარეობა. როგორც მოზრდილ მოსახლეობაში, ისე ბავშვებში აღინიშნება პოსტტრავმული დარღვევები, სოციალპატიის ელემენტები, პანიკური შეტევები. დევნილების მიერ გადატანილ დიდ უბედურებასთან ერთად ასეთ მდგომარეობას მათი უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრებაც განაპირობებს. დევნილებისათვის ძირითადი პრობლემაა უმუშევრობა. სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით, თბილისში, სადაც საქართველში დევნილი მოსახლეობის 32% ცხოვრობს, უმუშევარია დევნილთა 60,7%, ხოლო თითქმის ნახევარს, მათივე შეფასებით, უაღრესად ცუდი საბინაო პირობები აქვს [3, გვ. 27, 28]. ცხადია, დევნილი მოსახლეობის უმძიმესმა მატერიალურმა მდგომარეობამ, ჯანმრთელობის სისტემატურმა გაუარესებამ, სახელმწიფოს მხრიდან მიზერულმა სოციალურმა დაცვამ, არსებითად განსაზღვრა მათი დემოგრაფიული ქცევა. შობადობა დევნილ მოსახლეობაში დაბალია, საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა მოსახლეობის ბუნებრივი დემოგრაფიული განვითარება, გააუარესა ყველა დემოგრაფიული მაჩვენებელი. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურმა თბილისმა და ბაქომ არაერთხელ აღნიშნეს კონფლიქტების გადაწყვეტაში რუსეთის გადამწყვეტი როლი, ხოლო რუსეთმა არაერთხელ აღნიშნა ამ პრობლემის საერთაშორისო სამართლის საფუძველზე მოგვარების აუცილებლობის შესახებ, სამხრეთ კავკასიაში არსებული არცერთი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის დასრულებას ბოლო არ უჩანს. 2008 წელს კი, რუსეთმა გადადგა უაღრესად არაგონივრული და უსამართლო ნაბიჯი. საერთაშორისო სამართლის, გაეროს, მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებული პრინციპებისა და თვით რუსეთის მოქმედი კანონების უბეჭი დარღვევით, რუსეთმა ოფიციალურად სცნო აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა. ამით, რუსეთმა ავტომატურად დაკარგა კონფლიქტის მოგვარების ხელშემწყობის სტატუსი და ის კონფლიქტის ერთერთ მხარედ იქცა. გარდა ამისა, ეს ძალიან ცუდი პრეცედენტი თვითონ რუსეთისათვის და სეპარატიზმის ოფიციალურად აღიარება მას ბუმერანგით უკან დაუბრუნდება. ამით მნიშვნელოვნად გართულდა აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოგვარებაც. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში იმპერიული ინტერესები სამართლიანობაზე გაცილებით მაღლა დგება და რეალიები, რომლებშიც ჩვენ გვიხდება ცხოვრება, გაუთვალისწინებელი რჩება. ამიტომ, ამ პრობლემის შესახებ არაერთ უმაღლეს დონეზე შეხვედრას, მიღებულ გადაწყვეტილებებსა და გაკეთებულ განცხადებებს შედეგი ფაქტობრივად არ მოაქვს. ეს კი მნიშვნელოვნად ამცირებს დევნილთა დემოგრაფიულ პოტენციალს და საერთოდ, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შედეგები საგრძნობლად აუარესებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დემოგრაფიულ ვითარებას.

ლიტერატურა

1. С. Ахмедов, Внешняя политика Азербайджанской республики в контексте развития транснациональных компаний. Баку, 2006.
2. А. Самедов, Механизмы влияния Российской Федерации на разрешение конфликтов на Кавказе. Баку. 2007.
3. მ. ხმალაძე, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა თბილისში. ჟურნალი „დემოგრაფია“, №1(6), 2004.

VAZHA LORDKIPANIDZE

ETHNO-POLITICAL CONFLICTS IN THE CAUCASUS (Anatomy of conflicts)

Summary

Scientific Article briefly describes anatomy of armed conflicts in Caucasus. Along with the description of ethnical character, it gives description of ethno-political character. Geopolitical motives of Russia and it's role in initiating and developing conflicts is analyzed. Scientific Article gives description of negative role of Russian support of separatist movement, for Russia in the first place. The negative influence on development of economy, politics, sociology and most importantly demography is analyzed.

ВАЖА ЛОДКИПАНИДЗЕ

ЭТНОПОЛИТИЧЕСКИЕ КОНФЛИКТЫ НА КAVKAZE (Анатомия конфликтов)

Резюме

В статье кратко излагается анатомия вооруженных конфликтов на Кавказе. Объясняется их этнополитический, а не только этнический характер. Проанализирована определяющая роль России в возникновении и развитии указанных конфликтов и ее геополитические мотивации. Отмечается резко отрицательное значение поддержки сепаратистских движений со стороны России, в первую очередь и для самой России. Проанализировано негативное влияние конфликтов на политическое, социально-экономическое и особенно демографическое развитие стран Кавказа.

როინ მატრაველი

იოჰან გიულდენშტადტი რაჭის შესახებ

ზედმეტია მსჯელობა იმ მნიშვნელობაზე, რაც უცხოელ მოგზაურთა და მეცნიერთა ცნობებს გააჩნია საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. ეს ცნობები ავსებს ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ არსებულ ნარატიულ, არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ, ეპიგრაფიკულ და სხვა მონაცემებს. უცხოელის თვალთ დანახული ქვეყნის სოციალური ვითარება, პოლიტიკური საკითხები, ეკონომიკა და გეოგრაფიული პირობები, ბუნებრივი სიმდიდრე (მთების, წყლების, ფლორისა და ფაუნის სახით) უსათუოდ გასათვალისწინებელია მკვლევარისათვის.

ვფიქრობთ, მეტად საინტერესოა ევროპელი მეცნიერებისა და მოგზაურების მიერ შესრულებული საქართველოს და, კერძოდ, მთიანი რაჭის აღწერილობები. ჟან შარდენი, პიეტრო დე ლა ვალე, იაკობ რეიგენსი, იოჰან გიულდენშტედტი, დიუბუა დე მონპერე – ეს იმ მოგზაურთა არასრული ჩამონათვალია, რომელთაც რაჭის შესახებ საინტერესო მასალა დატოვეს (1).

გასათვალისწინებელი ცნობები დაგვიტოვეს მოსკოვის სახელმწიფოს ელჩებმა იმერეთის სამეფოში, სახელმწიფო სტოლნიკმა ნიკიფორე მათეს ძე ტოლოჩანოვმა, დიაკმა ალექსი ივანეს ძე იველევა (მათთან ერთად იყო თარჯიმანი ი. ბოიარშნიკოვი), რომლებიც კავკასიონის ქედის გადავლით (რიონის სათავით) რაჭაში გადავიდნენ. აქ ნიკორწმინდაში მოინახულეს ქართლ-კახეთის დევნილი მეფე თეიმურაზ I. აქედან იმერეთში გადავიდნენ. ელჩები უკან იგივე გზით დაბრუნდნენ, რაჭაზე გავლით, რუსეთისაკენ გაემართნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი პირველი უცხოელები არიან, რომლებმაც რაჭის აღწერა დაგვიტოვეს. ფასდაუდებელია მათ მიერ გეოგრაფიული პუნქტების: ამბროლაურის, კვარაცხისა და თავრეშოს აღწერა, ცნობები კრიხის ეკლესიისა და ნიკორწმინდის მონასტრების შესახებ. ნ. ტოლოჩანოვმა და ა. იველევა გაიარეს: ამბროლაური, ზნაკვა, თევრეშო, კვარაცხე, მინდაციხე, სადმელი, საკაო, საკეცია, სორო, სხვავა, ლარი, ლები, შაორი, შეუბანი, ძეგლევი, ნესი, ჭიორა და ხოტევი. ამ ჩამონათვალში სოფლები, ეკლესია-მონასტრები და ციხესიმაგრეებია დასახელებული.

რუსეთის ამ ელჩობიდან (1651 წ.) საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, 1772 წელს რაჭაში იმოგზაურა გერმანელმა მეცნიერმა და მოგზაურმა იოჰან ან-

ტონ გოულდენშტედტმა¹. იგი რუსეთის წარმოადგენდა, იყო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, „თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების“ პრეზიდენტი. მას დავალებული ჰქონდა საქართველოს ისტორიის შესწავლა; იმოგზაურა ჩრდილოეთ კავკასიაში; მოიარა ქართლი, კახეთი, იმერეთი, რაჭა. შეხვდა ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს. იოჰან გოულდენშტედტის გარდაცვალების შემდეგ, მისი ჩანაწერები („მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიის მთიანეთში“) ორ ტომად გამოსცა აკადემიკოსმა პ. პალასმა. იოჰან ანტონ გოულდენშტედტი (1745-1781 წწ.) პროფესიით ნატურალისტი იყო, მედიცინის დოქტორი (მიენიჭა 22 წლისას). პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში 1771 წელს აირჩიეს. პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიაში მიწვევის შემდეგ, იგი მონაწილეობას იღებს ექსპედიციაში, რომელიც ითვალისწინებდა ევროპული რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ოლქების, ციმბირისა და კავკასიის შესწავლას.

ექსპედიცია, რომელშიც გერმანელი მეცნიერი მონაწილეობდა, რუსეთის იმპერიის ინტერესებში (სამეურნეო, დაპყრობითი) ტარდებოდა. იმპერია საკმაოდ ენერგიულ დახვეწვით სამუშაოებს აწარმოებდა. ამას ემსახურებოდნენ (ცხადია, დიპლომატიურ საქმიანობასთან ერთად) რუსეთის ელჩები: სიმონ ზვენიგოროდსკი (ელჩობდა კახეთში - 1589-90 წწ.), მიხეილ ტატიშჩევი (ქართლი, კახეთი - 1604-05 წწ.), თეოდორე ვოლკონსკი (კახეთი - 1637-40 წწ.), ალექსი იველევი, ნიკიფორე ტოლოჩანოვი (ამ ორი პირივნების შესახებ ზემოთ ითქვა) და სხვანი.

მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციაში იოჰან გოულდენშტედტის გარდა, ირიცხებოდნენ: ოთხი სტუდენტი, მხატვარი და მეფიტულე. 1771 წლის 25 ოქტომბერს გერმანელი მეცნიერი უკვე საქართველოშია, დუშეთში. 14 ნოემბერს ჩადის თბილისში. იგი ერეკლე II-სთან ერთად მოგზაურობს კახეთში. მეფის შეთავაზებას, დარჩენილიყო საქართველოში, (ქვეყანას საბადოთა დამუშავების სპეციალისტი სჭირდებოდა), უარით უპასუხა.

იოჰან გოულდენშტედტი გადადის დასავლეთ საქართველოში და საკმაოდ საფუძვლიანად სწავლობს რაჭას. სწორედ აქ, სოფელ ხაბრტალში იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა მიიღო გერმანელი მეცნიერი. 1772 წლის 12 ნოემბერს იოჰან გოულდენშტედტმა დატოვა საქართველო და რუსეთს გაემგზავრა.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს შესწავლის შედეგების გამომზადებას მეცნიერმა ორი ტომი მიუძღვნა. ესაა უნიკალური ნაშრომი კავკასიათმცოდნეობაში. გამომდინარე იოჰან გოულდენშტედტის ინტერესებიდან, ნაშრომში მიმოხილულია ძირითადად ბუნებისმეტყველების საკითხები (ბოტანიკა, ზოოლოგია), სოფლის მეურნეობის, სამთო საქმის, დამუშავებითი მრეწველობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის მდგომარეობა და პერსპექტივები; ხაზგასმულია რეგიონის ისტორიული და

¹ ქართულ წყაროთმცოდნეობას დიდი ამაგი დასდო პროფ. გ. გელაშვილმა, რომელმაც სათანადო კომენტარით გამოსცა „გოულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“ ორ ტომად II, თბ., 1962 წ.; II, 1962 წ.). ჩვენ სწორედ ამ გამოცემით ვსარგებლობთ.

ეთნოგრაფიული წარსული. ავტორი ცდილობს გაგვაცნოს კავკასიური ენების და დიალექტების (ქართული, მეგრული, სვანური, ჩერქეზული, ჩაჩნური და სხვ.) განმარტებები. პრაქტიკულად ეს ლათინურ-რუსულ-გერმანულ-ქართულ-მეგრულ-სვანური ლექსიკონია.²

იოჰან გოულდენშტედტმა დიდი ადგილი დაუთმო იმერეთის (დასავლეთ საქართველოს) სამეფოს აღწერას. მიიჩნევს, რომ ამ მხარესაც ისეთივე ბედი შეხვდა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს: უმძიმესი იყო ოსმალთა შემოსევები; ადგილი ჰქონდა მეზობლებთან დავას და შინაპოლიტიკურ (თავადებს შორის) კინკლაობას. არც ლეკებისა და მთიელების თავდასხმებისგან იყვნენ დაზღვეულნი (2, გვ. 203).

იოჰან გოულდენშტედტის მიხედვით, იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობა (წოდებები, სამხედრო წყობა, გადასახადები და მათი აკრეფის სახეები) ქართლის ანალოგიური იყო (2, გვ. 231)³. მეცნიერი ხაზს უსვამს მართლმსაჯულების სისუსტეს („ცუდი მართლმსაჯულება“). რაჭველები ენევიან სამინათმოქმედო მუშაობას. მევენახეობა და ხორბლის მოყვანა არ არის სათანადო დონეზე და ეს მოსახლეობაზეც აისახება – იგი ღარიბია (2, გვ.283)⁴.

მეცნიერმა მიმოიხილა დასავლეთ საქართველოს (იმერეთის) მოსახლეობა და დაადგინა, რომ აქ ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ. იყვნენ აგრეთვე სომხები და ებრაელები; ძალზე მცირე რაოდენობის – ოსები და თათრები. ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ძირითადი რელიგია მართლმადიდებლური ქრისტიანობაა, რომ იმერეთს ჰყავს საკუთარი კათოლიკოსი, თანაც მიუთითა, რომ ეს თანამდებობა ეკავა სოლომონის (იმერეთის მეფის) ძმას – იოსებს. მართლაც, 1769-1776 წწ-ში დასავლეთ საქართველოს (ახვანეთის) კათოლიკოს-პატრიარქი იყო იოსებ ბაგრატიონი.⁵ იგი იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის (1720-1740 წწ.) ძე და სოლომონ I-ის (1752-1784 წწ.) ძმა იყო (3, გვ. 165-168).

იოჰან გოულდენშტედტი განსაკუთრებულად აღწერს გეოგრაფიულ პირობებს, განსაზღვრავს მხარეთა მიჯნებს, მდებარეობას, მთა-გორებს, მდინარეებს, გზებს. ყურადღების გარეშე არ რჩება მინერალები, მთის ქანები, მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო. იგი გარკვეულ განზოგადებასაც აკეთებს (განსაკუთრებით რაჭაში ოთხკვირიანი მოგზაურობის შემდეგ). ასე მაგალითად: „სოფლები მთაში უფრო მჭიდროდაა დასახლებული, დაბლობში

2 გ.გელაშვილის დამახსოვრებაა, რომ მან შეადარა პ.პალასის გამოცემული ტექსტი ი.გოულდენშტედტისეულ დედანს და მის მიხედვით ჩაასწორა იგი.

3 „ოთხივე სამეფოთაგანს (მხედველობაშია საქართველოს ოთხი სამეფო – რ. მ.) წინანდელი საერთო და ცალკეული მმართველებისგან აქვს კანონები... ისინი ნაწილობრივ თავისებურნი, ნაწილობრივ ერთმანეთის სანინაღმდეგონი არიან; ხან მმართველია დესპოტი და მისი სურვილი კანონია, ხან თავადები არ ემორჩილებიან, არც ძველ კანონებს, არც უფრო ახალ დადგენილებებს...“ – ი.გოულდენშტედტი, გვ. 231.

4 საერთოდ მევენახეობის დაბალი დონე ძნელი წარმოსადგენია. მეცნიერი ალბათ კონკრეტულ დროში, კონკრეტულ გეოგრაფიულ პუნქტს გულისხმობს.

5 იოსები, კათოლიკოსობასთან ერთად, გელათის მიტროპოლიტიც იყო.

კი უფრო დაშორებულია ერთმანეთისგან და ხშირად ყანებით არის გამოყოფილი. უმეტესად ყოველ სოფელს... აქვს ერთი, აგრეთვე ხშირად რამდენიმე გალავნიანი კოშკი“ (2, გვ. 293). მეცნიერი საცხოვრებელი სახლების აღწერასაც გვაძლევს: „საცხოვრებელი სახლები არის დიდი; მთაში – დანულნი და შელესილი წნელის კედლებით, ხოლო ბარში – მაგარი ფიცრებით. სახლი შედგება ერთი ოთახისაგან. ცეცხლის კერა მოთავსებულია სწორი იატაკის შუა ადგილას. ოთახის ერთი ნაწილი, ხანდახან მხოლოდ ძელებითაა გამოყოფილი, თითქმის ყოველთვის საქონლისთვისაა განკუთვნილი“ (იქვე).

იოჰან გიულდენშტედტმა რაჭაში ოთხი კვირის განმავლობაში იმოგზაურა. თავის ანგარიშში, რომელიც მეცნიერმა პეტერბურგის აკადემიას წარუდგინა, რამდენიმეჯერ ეხება რაჭის საკითხს. უყურადღებოდ არ ტოვებს რაჭის საერისთავოს ისტორიას. იგი ხაზს უსვამს, რომ რაჭას ჰყავდა თავისი საკუთარი მმართველი რაჭის ერისთავის სახით. რაჭის ერისთავი, თავის მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ „იმერეთის თავადი იყო“, თავს დამოუკიდებლად თვლიდა და ხშირად მეფესაც ეწინააღმდეგებოდა. გერმანელი მეცნიერის ცნობით, რაჭის ერისთავი მიემხრო იმერეთის მეფის სოლომონის მოწინააღმდეგეებს, თუმცა 1769 წელს დამარცხდა. მეფემ დაანგრია რაჭის ბევრი ნაგებობა, მათ შორის ერისთავის ქვიტკირის სასახლე. ამ დროს მეფე ოსმალებისგან იყო შევიწროვებული და რაჭის ერისთავიც განუდგა მას. ერთგული თავადების დახმარებით მეფემ სძლია მოწინააღმდეგეებს და, იოჰან გიულდენშტედტის მიხედვით, შეიპყრო რაჭის ერისთავი და თვალები დასთხარა მას (იქვე, გვ. 131).

აქ გარკვეული კორექტივის შეტანაა საჭირო. რაჭის ერისთავი როსტომი მართლაც ამკარად ეწინააღმდეგებოდა იმერეთის მეფეს. სოლომონ I-მა ხერხს მიმართა. მან თავის ძმას, დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოს-პატრიარქს იოსებს დაავალა როსტომთან შუამავლობა მისი შემორიგების მიზნით. კათოლიკოსი საგანგებოდ ჩავიდა ერისთავის რეზიდენციაში – წესში (ბარაკონში) და როსტომს მეფესთან შერიგება ურჩია. ამასთან, სოლომონისგან დაპირებული უსაფრთხოება ბარძიშზე დაფიცებით აღუთქვა. რაჭის ერისთავი კათოლიკოსის ნებას დაჰყვა. სოლომონმა პირობა დაარღვია და მასთან მისული ერისთავი შეილებთან ერთად სასტიკად დასაჯა – თვალები დათხარა. მეფის ამგვარი უპირობა კათოლიკოსისთვის საბედისწერო გამოდგა. დამწუხრებულმა იოსებმა შეწყვიტა მღვდელმსახურება – აღარ უწირავს მას, თავს უღირსად თვლიდა და იყო დიდ სინანულში.⁶

იოჰან გიულდენშტედტი, როგორც ჩანს, მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, განსხვავებულად გადმოგვცემს ამ ეპიზოდს: „ლუხუნის შესართავთან დგას დიდი ეკლესია. მისგან ასიოდ ნაბიჯზე, დასავლეთით, ჩანს რაჭის ერისთავის ქვიტკირის სასახლე, რომელიც სოლომონ მეფემ სამი წლის წინ

⁶ დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იოსები გარდაიცვალა 1776 წლის 13 მაისს, 37 წლის ასაკში; დაკრძალულია გელათში.

ნანგრევებად აქცია“. მიზეზი ის იყო, რომ რაჭის ერისთავი განუდგა მეფეს. ამ უკანასკნელმა ერთგული თავადების, განსაკუთრებით წერეთლის, დახმარებით დაატყვევა რაჭის ერისთავი „ამოათხრევინა ორივე თვალი და რაჭა თავის სამფლობელოდ გამოაცხადა“ (2, გვ. 111).

იოჰან გიულდენშტედტი ვარაუდობს, რომ რაჭას (რაჭის ერისთავს) 5600 მეომრის გამოყვანა შეეძლო. მეცნიერი ჩამოთვლის დასავლეთ საქართველოს თავადებს, სადაც რაჭის თავადებსაც მოიხსენიებს. იგი 15 გვარს ასახელებს: რაჭის ერისთავი, ჯაფარიძე, ნულუკიძე, იაშვილი, ყიფიანი, წერეთელი, ლორთქიფანიძე, მიქელაძე, აბაშიძე, ჩხეიძე, ხეიძე, აგიაშვილი, გაბუაშვილი, ფინეზიშვილი, ჯიჯავაძე. აქედან პირველი ხუთი რაჭის თავადები არიან; ბოლო ხუთი გვარის შესახებ მეცნიერი პირდაპირ მიუთითებს, რომ „არ არიან მდიდრები“.

ნიშანდობლივია, რომ თავადი გიორგი ნულუკიძე იყო ალექსანდრე ბატონიშვილის აღმზრდელი. მას სოლომონმა ხოტევის ციხე უბოძა.

იოჰან გიულდენშტედტის დაკვირვებით, სამეფოში (იმერეთის სამეფოა მხედველობაში) დიდი ნონა აქვთ ნულუკიძეებს. პაატა ნულუკიძე (გიორგი ნულუკიძის ბიძაშვილი) ახლო ურთიერთობაში იყო რაჭის ერისთავთან. მეცნიერს რაჭაში დაუთვლია 112 სოფელი და ციხე (2, გვ. 131).

იოჰან გიულდენშტედტზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია სოფელ წედისს. იგი ამ სოფლიდან იწყებს რაჭაზე თხრობას (თუმცა სხვადასხვა კონტექსტში ადრეც აქვს მოხსენიებული ეს კუთხე). სოფელი მალაღვაკეზე მდებარეობს, სამ ვერსზე ჯეჯოს (მდ. ჯეჯორი – რ. მ.) დასავლეთით, ის ეკუთვნის თავად ჯაფარიძეს. მეცნიერი ყურადღებას აქცევს, რომ ამ სოფელთან ამტრევენ ნითელ რკინაქვას. სამმაგი გამოდნობის შემდეგ ლებულობენ რკინას, რომლისგანაც ხელსაქმისათვის აუცილებელ ნივთებს (ნალები, ნამგლები, ნაჯახები, სახნისი, ჯაჭვები და სხვ.) ამზადებენ. ეს ნივთები გარკვეული საბარტერო საშუალებაცაა (ცვლიან კახეთში პირუტყვზე, ხორბალზე და სხვ.). წედისიდან ექსპედიცია სოფ. პიპილეთში გადასულა, შემდეგ ონში გაჩერებულან. „ორ მდინარეს შორის (მხედველობაშია მდინარეები რიონი და ჯეჯორი) – ამბობს ი. გიულდენშტედტი – მდებარეობს ონი. მთა, რომელიც ამ ორ მდინარეს ჰყოფს, ჯეჯოს (ჯეჯორის – ი. მ.) მხარეზე არის ციცაბო და მაღალი და მასზე არის 2 ოთხკუთხა ციხე და 2 კოშკი; შემდეგ წავედით ონისკენ, საითაც რიონის ორივე მხარეს, მისგან ახლოს რამდენიმე სოფელი მდებარეობს“ (2, გვ. 105). ექსპედიციის ნევრებს ღამე ონში გაუთევიათ. ღამით ი. გიულდენშტედტი შეუძლოდ გამხდარა („მე ამ ღამეს კვლავ შემამცინა“), მაგრამ, როგორც ჩანს, მალე გამოკეთებულა, რადგან უძღურებაზე აღარაფერს ამბობს. იგი იძლევა ინფორმაციას მდ. რიონის შესახებ, კერძოდ აღნიშნავს, რომ რიონი სათავეს იღებს „თოვლიანი ალპების (ამ ტერმინს ზოგადად ქედის მნიშვნელობით ხმარობს) სამხრეთ მხარეზე“, თერგის შენაკად ურუხის სათავეს პირდაპირ. აქედან გზა გადის სოფელ ღებისაკ-

ენ (სოფ. ლები მეცნიერის დაკვირვებით, ონიდან 1 დღის სავალზეა). რიონი თავის ხეობაში მიედინება დაახლოებით 25 ვერსის მანძილზე აღმოსავლეთით, შემდეგ კი სამხრეთისაკენ უხვევს. ექსპედიციას მხედველობიდან არ გამოპარვია, რომ აღმოსავლეთით მდებარეობს სოფელი ჭიორა, ცოტა ქვემოთ გლოლა (2, გვ. 105).

ი. გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ ონის ზემოთ, რიონის მარჯვენა ნაპირზე 9 სოფელი მდებარეობს, მარცხენა ნაპირზე კი თავად ონი დგას და კიდევ 7 სოფელი. მეცნიერი საგანგებოდ ასახელებს სოფლებს: ხურუთი, ჭალა, ჭაუბანი (ალბათ შუუბანი - რ. მ.), ლაგვანთა, საკაო, ძეგლევი, ნაკიეთი, უნერა, ლები (რიონის დასავლეთ მხარეზე), ონი, ნუმედაური (ალბათ ნმინდაური - რ. მ.), ნოლა, ლარი, ჯიჩვი (ალბათ ჯინჭვისი - რ. მ.), გომი, მეტრევი, გლოლა, ჭიდრო (ვახუშტისთან ჭიდროთა),⁷ ჭიორა. მდ. ჯეჯორის დასავლეთით: პიპილეთი და წედისი; აღმოსავლეთით: კომანდელი, სხიერი, ქრისტესი, სომინო, ჟაშქვა, ცეხვორი (როგორც ჩანს - ცხმორი), ლუნდა, ირი, ქვედი, ონშემი (ონჭევი - რ. მ.); საკმაოდ დაშორებით ონისგან, მთაში მდებარეობს: ხირხონისი, ქორთა, მოკა, ბროალოსა (ალბათ - მრავალძალი - რ. მ.), შქმერი, ბაჯიხევი, ჩორდი, ფსორი.

მეცნიერს არ გამოჰპარვია მხედველობიდან, რომ ონში ცხოვრობენ იმერლები (ქართველები), სომხები და ებრაელები. „ყველანი ლაპარაკობენ ქართულად“ (8, გვ. 104). ნიშანდობლივია, რომ სომხები და ებრაელები ვაჭრობდნენ წედისიდან შემოტანილი რკინის ნივთებით, ქართლიდან მოტანილი აბრეშუმით, მარილითა და ფეტვით. ვაჭრობა ფართო ხასიათს ატარებდა. ამიტომ საგანგებოდ მოდიოდნენ აქ ოსები დიგორიდან და დვალეთიდან, ბალყარები, სვანები და სხვანი.

პეტერბურგის ექსპედიცია ონში 8 ივლისს (1772 წ.) იყო. გაკვირვებულები იყვნენ, რომ მიუხედავად ირგვლივ თოვლიანი მთების არსებობისა, აქ ცხელია. ხორბალი და ქერი აღებული იყო. ყურადღება გაუმახვილებიათ, რომ ვაზი კარგად ხარობს (რიონის დაბლობში ამისათვის ხელშემწყობი პირობებია). ხაზი უნდა გავუსვათ, რომ აქ ვაზი მართლაც კარგად ხარობს (ყურძნის უნიკალური ჯიშებია), ოღონდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ ქვემო და ზემო რაჭაში. მთა რაჭაში ვენახი არ ხარობს რელიეფის გამო. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქვემო და ზემო რაჭის საზღვარი ხიდიკარზე გადის. ეს მთებისგან შევიწროებული ადგილია მდ. რიონის ხეობაში. ხოლო ზემო რაჭასა და მთა რაჭას შორის საზღვარი ვენახის მოსავლიანობის შედეგადაა განსაზღვრული. უნერა ბოლო სოფელია, სადაც ყურძნის მოსავალს იღებენ და შესაბამისად იგია ზემო რაჭის ბოლო სოფელი, ხოლო აქედან მოკიდებული გლოლა (საგლოლო), ჭიორა, ლები - მთა რაჭის სოფლებია.

ი. გიულდენშტედტი პროფესიით ნატურალისტი იყო და შესაბამისად საინტერესოა მისი დაკვირვებები როგორც ლანდშაფტზე, ისე მცენარეულ

7 ჭიდრო, ავტორის ცნობით, ციხეა (მხოლოდ).

საფარზე. იგი აღნიშნავს, რომ პურს ონის მხარეში ხშირად შერეული აქვს ღვარძლი (*Zolium temulentum*), რომელიც დამატობელად მოქმედებს. პურში ხშირად გვხვდება *Secale creticum* (ჭვავი?), რაც პურს სიშავეს უკარგავს.

რაჭაში (ცხადია, ონის მხარეშიც) ბევრია იელი (*Azalea pontica*) თხილნარში. რაჭველებმა იციან, რომ მისგან ნაკვები ფუტკრის თაფლი მათობელაა (თავბრუსხვევას იწვევს). უფრო მეტიც, მისი ფოთოლი პირუტყვისთვის, მაგალითად თხებისთვის, სასიკვდილოა.

ონიდან ნასვლის შემდეგ, ექსპედიციას გაუვლია სოფლებში: ველთეთრი, ზუდალი და შარდომეთი. კირქვიან კლდეზე გზა მეტად ვიწრო ყოფილა. ცხენებს კუდში ჩაბლაუჭებულნი მიჰყვებოდნენ. ერთი ცხენი ჩავარდნილა კიდეც მდინარეში, რის ვაივაგლახით გადაურჩინათ იგი. ი. გიულდენშტედტმა დააფიქსირა, რომ სოფელ სორთან არის მინდა-ციხე და რიონს უერთდება პატარა მდინარე ლუხუნი. მცენარეულიდან ხშირად გვხვდება თუთუბო (*Rhus coriaria*), თრიმლი (*Rhus cotinus*), თეთრი ნიფელი, მუხა, კუნელი, შინდი, ასკილი, ცოცხი (*Cytifus*), იფანი, არყი, ქაცვი და სხვ. სოფელში იყო კაკლის ხეები, თუთის ხეები, ქლიავი, ვაშლი, მსხალი და ყურძენი.

ი. გიულდენშტედტი საგანგებოდ ეხება გუთანს და მიიჩნევს, რომ იგი ძალიან ჰგავს გერმანულ კავს (2, გვ. 111).

14 ივლისსი. გიულდენშტედტი მოინახულა სოლომონ მეფის ვაჟმა. მეცნიერი მას წარმოგვიდგენს „შავგვრემანს, მალალს, ტანადს“. აღნიშნავს, რომ იგი სოლომონმა მიაბარა თავად გიორგი ნულუკიძეს. აქვე იხსენიებს იგი სამეფო საბჭოს წევრმა თამაზ მესხმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ექსპედიციის მოგზაურობის უზრუნველყოფა. იგი, გიულდენშტედტის წარმოდგენით, მედროვე იყო („მოსასხამი ქარის მიმართულებით აქვს მოგდებული“).

15 ივლისს ექსპედიციის წევრებმა უფლისწულთან ივახშმეს: „საჭმელად იყო მოხარშული დედლები, საქონლის, ცხვრის და გოჭის ხორცი, რაც მოგვიტანეს ხის ჯამბში. ღვინო კი იყო ვერცხლის დიდ სანდეში და იდგა მაგიდის შუაში. ყველას წინ ედგა ვერცხლის ბრტყელი თასი, რომელსაც თითოეული სანდეში ჩაშვებული ვერცხლისავე დიდი კოვზით ავსებდა სურვილის მიხედვით ... დაილია საკმაოდ“ (2, გვ. 113).

ი. გიულდენშტედტმა მოინახულა სოფელი სორი. იგი დაკვირვებას აწარმოებდა მთის ქანებზე და მცენარეულიც შეუგროვებია. აქ ბევრი ყოფილა უცვეთელა (*Philadelphus coranaria*), კუნელი, შინდი, კვილო (*Cirinalis Gled*) და სხვ. სორში მეცნიერს შეატყობინეს, რომ მეფე სანერეთლოდან რაჭაში მოსულა. იგიც ხსარტალისაკენ წასულა. გზას განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია მისთვის: „აქ რიონს (გზა რიონის გაყოლებით მიდიოდა – რ. მ.) მაღალი, კირქვის კლდეებიანი ნაპირები ავიწროებენ ისე, რომ სიგანე ორმოცი ნაბიჯილა რჩება, ხიდის ჩრდილო-დასავლეთით არის ხის ოთხკუთხა ნაგებობა (სამხედრო), რომლის ერთი კარი გადიოდა რიონს ზემოთ წესისაკენ, მეორე რიონზე და უკან კვაცხუთის, სადმელის, ტოლისა და საყიფიანოსაკენ“ (იქვე).

ექსპედიციას გაუვლია ხიდიკარი, ხიმში და ამბროლაური. შემდეგ მდ. კრიხულას გაყოლებით ახალსოფელი, საიდანაც კარგად მოჩანს კვარის ციხე. ი. გიულდენშტედტი, როგორც ჩანს, იცნობს საქართველოს ისტორიას. სოფელ ხოტევეში გავლისას აღნიშნავს, რომ მეფემ ხოტევის ციხე გადასცა თავად გიორგი წულუკიძეს – ბატონიშვილის აღმზრდელს. გზა კირქვიანი ყოფილა (ეს დღესაც ასეა). ხოტევის გარშემო ბაღები და ვენახები იყო გაშენებული. ხოტევის ქვემოთ შუემჩნევიანთ დამდგარი ტბა, რომელშიც ჰყვავოდა ტალახა ლოტოსი (*Nymphaea lutea*). ეს ალბათ ის ტბაა, რომელიც სოფელ ჭელიაღელესა და ნიკორწმინდის შორის დღესაცაა და „შავლაის (შავლაძის) ტბას“ ეძახიან. სოფელ წკადისში გავლის დროს ჩრდილო-აღმოსავლეთით დაუნახავთ მწვერვალზე მდგომი ციხე კვირიკენმინდა.

ი. გიულდენშტედტს საჭიროდ მიაჩნია საგანგებოდ აღნიშნოს, რომ „...ხოტევის გარშემო სოფლებს შორის ჩანს, ... მონასტერი ნიკორწმინდა, რომელიც არის ნიკორწმინდელი ეპისკოპოსის საჯდომი“ (2, გვ. 115).

წკადისში მოვიდა სოლომონ პირველისგან გამოგზავნილი თავადი დავით კვინიხიძე,⁸ რათა უფლისწული ალექსანდრე და იოჰან გიულდენშტედტი წაეყვანა მეფესთან ს. სხარტალის რეზიდენციაში.

სოლომონ მეფე თავად ეწვია ი. გიულდენშტედტს. მას თან ახლდნენ ბატონიშვილი, თავადები და ნიკორწმინდის ეპისკოპოსი. მეცნიერი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ „ის (მეფე – რ. მ.) მე გერმანული გულწრფელობითა და ნამდვილი სიხარულით გადამეხვია. საუბარში, რომელიც თითქმის ერთ საათს გაგრძელდა, ის უდიდეს მზადყოფნას ამჟღავნებდა, ხელი შეეწყო თავის ქვეყანაში ჩემი სამომავლო გეგმების განხორციელებისათვის“ (იქვე).

მეცნიერის დაკვირვებით, სხარტალს მალალი მდებარეობა აქვს. ამას ადასტურებდა ცაცხვი, რომელიც ჩრდილო მთისწინეთში მასში ყვავის, აქ კი ივლისში იწყებდა ყვავილობას. აქაური მცენარეულიდან აღსანიშნავია: ფიჭვი, სოჭი, ურთხმელი, ბაძგი (ჭყორი), საკმელა, ცარცელი და თამელი, აღმოსავლური კრაზანა, ნალველა ჯვარულა და სხვა (ი. გიულდენშტედტი).

მეფემ სამი თავადი აახლა მეცნიერს დარჩენილი რაჭის დასათვალიერებლად ხელისშეწყობისათვის. ექსპედიციამ სხარტალიდან გაიარა სოფლები: ველევი, ბეთლემი, შხივანა. ღამე უდაბნოში გაუთევიათ. ეს განდეგილთა

⁸ თავადი დავით კვინიხიძე გახლდათ დიპლომატი. იგი მეთავაობდა იმერეთის სამეფოს ელჩობას რუსეთში 1763, 1774 და 1784 წლებში. მან რუსეთის მთავრობას აცნობა იმერეთის მზადყოფნა ოსმალეთის წინააღმდეგ ომისათვის და ითხოვა, სოლომონ I-ის სახელით, დაეხმარე ჯარი. ამ ელჩობის შედეგად, რუსეთის საექსპედიციო ჯარის რაოდენობა გაიზარდა. რუსეთ-ოსმალეთის 1768-74 წწ. ომში მოპოვებულ წარმატებათა განსამტკიცებლად დ. კვინიხიძე 1774 წ. მეორედ გაემგზავრა რუსეთს. ამჯერად ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია – რუსეთის მთავრობა ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავებას მოერიდა. თუმცა ამ ომის შედეგებმა და ყირიმის საკითხის გამწვავებამ, ხელსაყრელი პირობები შეუქმნა იმერეთის მეფეს ოსმალთა ბატონობისაგან თავის დასხსნელად. 1784 წელს დავით კვინიხიძე მაქსიმე აბაშიძესა და ზურაბ წერეთელთან ერთად კვლავ ეწვია რუსეთს. ამჯერად ელჩობის მიზანი იყო იმერეთის სამეფოს რუსეთის მფლობელობაში შესვლა (გეორგიევსკის ტრაქტატის ანალოგიურად).

საყუდელია, სადაც მაშინ ექესი ბერი ცხოვრობდა. იყო ქვითკირის პატარა ეკლესია. ყურადღება მიაქციეს, რომ კავკასიურ ტყემალსა და კუნელს ჰქონდა ნაყოფი. აქ იყო ბზა და ხეჭრელი. უდაბნოდან მდ. ბარულის სათავესთან მისულან (მდ. ბარულა სოფ. მუხლთან ერთვის მდ. რიონს), მარცხნივ დაუტოვებით ზემო ბარი და ქვემო ბარი და ბრავალძალში (მრავალძალში) მისულან. ი. გიულდენშტედტი სოფლის დასახლებას შეცდომით „ბრაუსალად“ იხსენიებს. მეცნიერი შემდეგ ასახელებს სოფლებს: ჭიბრეეს, ფარახეთსა და შარდომეთს.

ექსპედიცია ყურადღებას ამახვილებს მრავალძალის ეკლესიაზე (სოფელი მთისკალთა), რომელიც წმიდა გიორგის სახელობისაა. „კედლებზე ხატია წმინდა მხედარი მრავალწიერი ფერებით შეღებილი და სპილენძზე და ვერცხლზე ამოტვიფრული. ეკლესიას აქვს ძვირფასი ქვებით მოჭედილი ხმალი, რამდენიმე ისარი, შუბი, ვერცხლის შანდალი და ორი, ვერცხლით მოვარაყებული ყანწი ღვინის დასალევად“. შესასვლელის თავზე, ქვაზე ამოკვეთილ ჯვარზე არის წარწერა (დაქარაგმებული): „წმიდაო გიორგი მეოხ ეყავ სულსა მოვანესსა“.

მეორე დღეს (21 ივლისი) ექსპედიცია მდ. ხეორის სათავესთან შექერში მისულა. ადგილი სიმაღლის გამო ძირითადად ბუჩქნართაა დაფარული. აქედან ასულან ბაჯიხევში. მეცნიერი ამბობს, რომ მე მცენარეულზე დაკვირვებით მივხვდი, რომ ზღვის დონიდან ძალიან მალლა ვიყავითო. შექერი და ცირცველი ღვიასთან ერთად – აი მალალმითანი ზონის მცენარეული საფარი. ექსპედიციამ დააფიქსირა, რომ ბაჯიხევში ვაზი არ ხარობს.

რიონის შენაკად ჯეჯორის ზემოთ გარკვევით ჩანდა სოფელი ნედისი, მოშორებით სოფელი ქვედი; დაბლა სოფლები პიპილეთი და ონჭევი, შემდეგ ონის ციხე. ბაჯიხევიდან სოფელ ფსორში წასულან. აქედან მეორე მხარეს ფართო ხეობაში მოჩანდა სოფელი ჩორდი, მისგან მოშორებით, წესის მოპირდაპირე მხარეს, სოფელი ირი. გაუვლიათ სოფლები ჟაშქვა და სომინო; დაუთვალეირებით სოფელი ქრისტესი, შემდეგ სოფლები კომანდელი და სხიერი.

23 ივლისს ღამე ონში გაუთევიათ. ნიშანდობლივია, რომ აქ ი. გიულდენშტედტი შეხვდა კათოლიკე მამებს ანტონიუსსა და დიონისიუსს.⁹ სწორედ მათ მიერ აშენებულ ბინაში (აფთიაქში) უნახავს მეცნიერს მისთვის „შესაფერისი ღამის გასათევი“.

ონიდან ჩრდილოეთისკენ რიონის აყოლებით წასულან. გაუვლიათ სოფლები: ღარი და არტევანა. მდინარე ღარულას ზევით, რიონს, მეცნიერის დაკვირვებით, ერთვის მდინარე საკულა (მდ. საკაურა – რ. მ.), ზემოთ არის ლაგვანთა და უფრო მალლა – საკაო. გაუვლიათ სოფლები: ძეგლევი და ჭალა. გარკვეული დაკვირვება ჩაატარეს სოფელ უწერაში. „უწერის მიდამოებში

⁹ ი. გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ ოსეთში მოგზაურობისას მამა დიონისიუსი ოსებს მოუკლავთ.

არის აგრეთვე სხვადასხვა მინერალური წყაროები, ნაწილობრივ ტუტთან, ნაწილობრივ მარტიალური, მთლად ისეთი, როგორც თერგზეა სიონთან და კობთან. ტუტანი და მასთან მიმდინარე წყაროები უმთავრესად არის ეკლესიის ბოლოს. ორივე შეიცავს ბევრ ეთერს. საკვირველია, რომ ეს სამკურნალო წყაროები ერთმანეთისგან ასე ახლოს არიან; ქრონიკული დაავადებათათვის ორივეს არსებითი მნიშვნელობა აქვს და მარტიალურის ხმარება უნდა მისდევდეს ტუტისას“ (2, გვ. 125).

ი. გიულდენშტედტი საგანგებოდ მიუთითებს, რომ უნერის მოსახლეობა ტუტთან წყალს სასმელად იყენებს. ამ წყლით ამჟავებენ პურის ცომს, რომელიც აფუებს (მაღლა სწევს) მას და მარილის გარეშეც კარგი გემოსი გამოდის. ამ წყაროებთან იის სუნი იგრძნობა. მეცნიერს არ გამოჰპარვია, რომ „უნერასთან ხშირი იყო კაკლის ხეები და პატარა ლურჯი ქლიავი (ლოლნაშო - რ. მ.). ექსპედიციის იქ ყოფნის პერიოდში უნერლები პურს მკიდნენ. მათ დააფიქსირეს, რომ აქაც, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, უმთავრესად მოჰყავთ კულაგო (*Triticum aestivum*) და ზანდური (*Triticum monococcum*). ეს უკანასკნელი თეთრ პურს იძლევა. ბულულს სდგამენ სარგებზე, რათა ნიავე გარშემო უვლიდეს და ხელი შეუწყოს დროულად გაშრობას. აქ (უნერაში) საკმაოდ ბევრს თესენ სიმინდს, ლობიოს და მუხუდოს; ბევრია კატაბარდა და ჩვეულებრივი სურო.

სოფელ უნერის შემდეგ ჩრდილოეთით წასულან. გაუვლიათ ჭიდროთა, ბელადომი და გლოლა. შემდეგ მეცნიერი ასახელებს ჭიორას თავისი მინდვრებით (დღეს ჭიორის ქალებს ეძახიან - რ. მ.). აქედან ღებში ასულან, რიონის სათავესთან (ფასის მთა) ახლოს. ღებიდან გზა დიგორში და ბალყარეთისკენ მიდის.

ი. გიულდენშტედტმა ღების მონახულებით დაამთავრა მთებში მოგზაურობა და სამხრეთისკენ წამოვიდა. 28 ივლისს დაბრუნდა ონში. 29 ივლისს კვლავ სოფელ წესში შეჩერდა. 30 ივლისს გაიარეს მდინარე რიცეულა, სოფლები სადმელი და ზვანჭკარა. 31 ივლისს სოფელი ტოლა, მდინარე ასკი მოიტოვეს უკან და სოფელ წესში დაბრუნდნენ. შემდეგ მეფის საზაფხულო რეზიდენციაში - სხარტალში მივიდნენ. აქ მეფის მთელი ოჯახი იმყოფებოდა. ი. გიულდენშტედტი შეხვდა სოლომონ I-ს, რომელმაც, როგორც მეცნიერი გადმოგვცემს, მას აჩვენა ყვითელი თიხიანი ქარსნარევი მიწა და რამდენიმე რკინის კოლჩედანის (ნახევრადქვირფასი მინერალი) ნაჭერი. ორივე ბრჭყვიანობდა და იპყრობდა ყურადღებას. რკინიანი კოლჩედანი უხვად მოიპოვება სოფელ სხარტალის კირქვიან მთებში. 2 და 3 აგვისტო სტუმარს სამეფო რეზიდენციაში გაუტარებია. ამ დროს გამყოლები და ცხენები ისვენებდნენ, მეცნიერმა კი საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისათვის რაპორტი (პატაკი) მოამზადა და ცხინვალში რუსეთის საქმეთა რწმუნებულს ლვოვს (სადაც იგი ერეკლე II-თან ერთად უნდა ყოფილიყო) გაუგზავნა. სამეფო ბანაკში ამ

დროს ყოფილან მიტროპოლიტი მაქსიმე¹⁰ და იმერეთის სამეფოს სახლთუხუცესი დავით აბაშიძე. ამის ბიძაშვილს ქაიხოსროს დანიშნული ჰყავდა მეფის ასული დარეჯანი. ზემოთ ჩვენ მაქსიმე აბაშიძე (მიტროპოლიტი) ვახსენეთ, როგორც დიპლომატიურ მისიაში მონაწილე დავით კვინიხიძესა და ზურაბ წერეთელთან ერთად. იგი მანამდეც 1768 წელს ელჩად იყო რუსეთში.

4 აგვისტოს ი. გიულდენშტედტი გაემგზავრა სოფელ სხარტალიდან. გზა ოკრიბისკენ იყო (გამყოლებად ჰყავდა: დავით მესხი, თეიმურაზ ლორთქიფანიძე და ნიკოლოზ წერეთელი). გზად ნიკორწმინდა დაათვალიერეს. ხაზს უსვამს, რომ აქ არის ნიკორწმინდელი ეპისკოპოსის რეზიდენცია. ეკლესიაში მეცნიერმა ყურადღება მიაქცია წმინდანების გამოსახულებებს: „ბევრი იყო წმინდა გიორგი და სხვა წმინდანები ამოკვეთილი, ბერძნულად დანერილი სახელებით, მაგრამ სხვაგან არსად იყო წარწერები. ცოტა ხნის წინათ აქ იყვნენ თურქები, რომლებმაც ბევრი რამ დაანგრეს და ეკლესია გაძარცვეს“ (2, გვ. 131).

1772 წლის 5 აგვისტოს, რაჭაში ოთხკვირიანი მოგზაურობის შემდეგ, რომლის დროსაც ძალზედ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს რაჭის ბუნებრივი პირობების, ადამიანთა ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების, ფლორისა და ფაუნის შესახებ, ექსპედიცია ოკრიბისკენ გაემართა. გზად ყურადღება მიაქცევს ციციბო კლდეზე გამომდინარე მდინარე ბარეულასა და გაუარეს ზემოხსენებულ უდაბნოს (განდეგილთა სადგომს).

ი. გიულდენშტედტი საინტერესოდ აღწერს იმერეთში მოგზაურობასაც. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის რაჭაში მოგზაურობის შედეგები უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენ ძალზე საინტერესო სურათს ვიღებთ მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო კუთხის – რაჭის შესახებ. ი. გიულდენშტედტმა დიდი ადგილი დაუთმო კუთხის გეოგრაფიულ აღწერას – რაჭის სოფლების, მდინარეების, ტბების, ნიადაგების, ცხოველების, მცენარეების აღწერას; მიუთითა მინერალებისა და მადნების მდებარეობაზე და მათი მოპოვების აუცილებლობაზე. საოცარი გულმოდგინებით აღწერა გზა, რომლის გავლაც მას მოუხდა. იგი არ კმაყოფილდება ნაწიხით და იშველიებს ისტორიულ ქრონიკებს და გადმოცემებს, რომლებიც ამა თუ იმ სოფელში არსებობდა. საგანგებოდ ჩერდება ციხეებსა და მონასტრებზე, აღწერს მათ. ჩამოთვლის ცხოველებსა და მცენარეებს, რომლებიც მას ხვდება. ასახელებს ხის ჯიშებს, ახასიათებს მდინარეებს, ტბებსა და მდინარეებში გავრცელებულ

10 მიტროპოლიტი მაქსიმე გვარად აბაშიძე იყო, დავით აბაშიძის (სახლთუხუცესის) ძმა. 1759-1781 წლებში იყო ქუთაისის ეპისკოპოსი (ქუთათელი). რეზიდენცია ჰქონდა სოფ. მალლაკში (1770 წლამდე), სადაც ააგო მცირე ეკლესია და ლეთისმშობლის ხატი გადაასვენა. 1776 წელს აიყვანეს დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოს-პატრიარქის პატივში. კათოლიკოსმა მაქსიმემ პირობის წიგნი ჩამოართვა სოლომონ I-ს, რომ აღკვეთადა საკათალიკოსო მამულების გაცემას მეფის მოურავებსა და მოხელეებზე. ენერგიულად იბრძოდა ტყვეთ მოუპყრეთა წინააღმდეგ. 1776 წ. მან შეაჩვენა და ეკლესიიდან განკვეთა კაცია ჩიჩუა, რომელმაც ყმები გაყიდა. აქტიურად მონაწილეობდა იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. გარდაიცვალა 1795 წ.

თევზებს, აღწერს მშენებლობის ხელოვნებას, პურობას, პურის ცხობას, ღვინის დაყენებას, კარაქის დღევებას, ჩაცმულობას და სხვა. ი. გიულდენშტედტი ყურადღებას აქცევს ავადმყოფთა მკურნალობას. იგი გამოარჩევს და ვრცლად აღწერს ზოგიერთ გეოგრაფიულ პუნქტს (მაგ. ნიკორწმინდა, უწერა და სხვ.). იგი ცდილობს გარკვეული ცნობები აიღოს პოლიტიკური ცხოვრებიდან.

როგორც ვხედავთ, იოჰან გიულდენშტედტის მიერ რაჭაში მოგზაურობის აღწერა გვაძლევს მნიშვნელოვან ცნობებს, გეოგრაფიულ, ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, საბუნებისმეტყველო და გეოლოგიურ მასალას მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რაჭის ისტორიის შესასწავლად.

ლიტერატურა

1. М.А.Полиевктов, Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, I, 1935.
2. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ.გელაშვილის თარგმანი და სამეცნიერო კომენტარი, I, თბ., 1962.
3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რ.მეტრეველის რედაქციით, თბ., 2000.

ROYIN METREVELI

JOHANN GÜLDENSTÄDT ABOUT RACHA

Summary

The information of foreign travelers and scientists are of great importance for studying of Georgia history, since they contain the data of narrative, archaeological, ethnographical, epigraphic and other sources.

In this work is given Johann Güldenstädt's information received by him during expedition of 1772. He studied Georgian history, ethnography, agriculture, mining, crafts and trade, and in particular fauna and flora of Racha region. Güldenstädt gives some information of minerals and ores and points to necessity of their production; gives information of rivers, lakes and fishes, describes methods of construction, the art of the batch bread and winemaking etc. s detailed description to different geographical items.

Johann Güldenstädt's information is an interesting source for the history of Racha of the second half of the XVIII century.

РОИИ МЕТРЕВЕЛИ

ИОГАНН ГЮЛЬДЕНШТЕДТ О РАЧЕ

Резюме

Сведения иностранных путешественников и ученых имеют большое значение для изучения истории Грузии, т.к. дополняют данные нарративных, археологических, этнографических, эпиграфических и других источников.

В предлежащем очерке предлагаются сведения Иоганна Гюльденштеда, полученные им во время экспедиции 1772 года по изучению Грузии, в частности истории, этнографии, сельского хозяйства, горного дела, ремесленничества и торговли, и в особенности фауны и флоры региона Рача.

И. Гюльденштед дал сведения о местонахождении минералов и руды и указал на необходимость их добычи; дал характеристику рек, озер и имеющихся там рыбам, описал методы строительства, искусство выпечки хлеба и виноделия и др., дал более полное описание отдельным географическим пунктам.

Сведения И. Гюльденштеда дают интересный материал для изучения истории Рачи второй половины XVIII века.

ზურაბ აბაშიძე

ქართული ენციკლოპედია

2011 წელს ქართულ ენციკლოპედიას 45 წელი შეუსრულდა.

„ენციკლოპედია“, როგორც ცნობილია, ნიშნავს ცოდნის წრეს. უნივერსალური ენციკლოპედია ეპოქის ამსახველი სარკეცაა და წარსულის მატრიცა. იგი ერის ერთგვარი პასპორტია, მისი კულტურისა და განათლების დონის გამოხატულება.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, საენციკლოპედიო-ლექსიკოგრაფიულ საქმიანობას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ფილოსოფიურ-თეოლოგიურ და საისტორიო-ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს მუდამ თან ერთვოდა ენციკლოპედიური ხასიათის კომენტარი. სამეცნიერო ცნობების, ტერმინების განმარტებანი უხვად გვხვდება ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელისა და სხვა მოღვაწეთა ნაშრომებში.

ქართულ საენციკლოპედიო-ლექსიკოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა სულხან-საბა ორბელიანის „ქართულმა ლექსიკონმა“. განსაკუთრებული ადგილი უკავია აგრეთვე იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიურ ნაშრომს „კალმასობას“ (1813–28). 1898–99 წლებში ივანე როსტომაშვილის რედაქციით გამოვიდა მრავალტომეულად განზრახული „რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონის“ პირველი ოთხი წიგნი. XX საუკუნის დასაწყისში მეცნიერებისა და კულტურის განვითარების დონემ, ეროვნული ინტელიგენციის მოძქავრებამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა ქართული ენციკლოპედიის შექმნის აუცილებლობა. ქართველმა მეცნიერებმა ალექსანდრე ცაგარლის, ვასილ პეტრიაშვილისა და ალექსანდრე ხახანაშვილის მეთაურობით გადაწყვიტეს გამოეცათ „საქართველოს ენციკლოპედია“. შეიქმნა ცნობილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საგანგებო ამხანაგობა, შედგენილ იქნა გამოცემის ვრცელი პროგრამა, მაგრამ მაშინდელ პირობებში ამ პატრიოტულ საქმეს განხორციელება არ ეწერა.

XX საუკუნის 30-იან წლებში ჩვენი ქვეყნის საერთო კულტურული აღმავლობის ფონზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციის შექმნას. მთავარი რედაქტორი იყო მალაქია ტოროშელიძე, პასუხისმგებელი მდივანი სიმონ ყაუხჩიშვილი. ენციკლოპედიის შექმნაში მონაწილეობდნენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის კორიფეები. 1933 წელს მზად იყო გამოცემის სიტყვანი. უკვე ერთი წლის

შემდეგ რედაქციამ თითქმის დაასრულა I ტომზე მუშაობა, მაგრამ შემდგომ ეტაპზე თავი იჩინა პოლიგრაფიულმა და სხვა სახის სიძნელებმა. მასობრივი რეპრესიები რედაქციის თანამშრომლებსაც შეეხო. 40-იანი წლების დასაწყისში გამოცემაზე მუშაობა შეწყდა. შემორჩენილია რედაქციის არქივი (კერძოდ, ავტორთა სტატიები) და სამაკეტოდ დასტამბული ტექსტის ათიოდე თაბახი. გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა მიერ შექმნილ საენციკლოპედიო წერილებს დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება. ბევრი მათგანი უცვლელად აისახა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ფურცლებზე (ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ს. ჯანაშიას, გ. ქიქოძის და სხვ. წერილები).

ეროვნული ენციკლოპედიების მომზადება განსაკუთრებით საჭიროა დიდი გარდაქმნების პერიოდში. სწორედ ამიტომ ჰქონდა ისტორიული მნიშვნელობა პირველი ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის თორმეტტომეულის გამოცემას 1975–87 წლებში, რაც 1988 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. მის შექმნაზე მუშაობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები და სპეციალისტები. ენციკლოპედიის 80-ათასიანი ტირაჟი მალე გაიყიდა და რარიტეტად იქცა. იგი დღემდე რჩება ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ ქართულ ენაზე ცოდნის სხვადასხვა სფეროში.

ამასთან, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ბოლო ტომის გამოცემის შემდეგ 25 წელი გავიდა. მას შემდეგ ჩვენში და მთლიანად მსოფლიოში ისტორიული ცვლილებები მოხდა. ამიტომ ამ დიდი სამეცნიერო ნაშრომის განახლება მნიშვნელოვან ეროვნულ საქმედ და ამოცანად გვესახება.

ამჟამად რედაქციის საქმიანობა უმთავრესად მიმართულია ენციკლოპედია „საქართველოს“ მომზადებაზე. 2012 წელს დასრულდა მუშაობა „საქართველოს“ მეორე ტომზე და მისი გამოცემა უახლოესი მომავლის საქმეა.

ენციკლოპედია „საქართველოს“ II ტომში მკითხველს ვანვდით მრავალფეროვან ინფორმაციას საქართველოსა და ქართველებზე, ყველა მნიშვნელოვან მოვლენაზე, ფაქტსა თუ მოღვაწეზე, ასევე იმ უცხოელებსა და მსოფლიო-ისტორიულ მოვლენებზე, რომელთაც ღრმა კვალი დატოვეს ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. II ტომში წარმოდგენილია ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა ის ძირითადი სფერო, რომელთან დაკავშირებითაც საქართველო განიხილება მსოფლიოს საერთო ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში.

ენციკლოპედია „საქართველოს“ დასაყრდენია უახლესი ინფორმაცია და მონაცემები, პირველი ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის თორმეტტომეული და რედაქციის მიერ მომზადებული სხვა გამოცემები („თბილისი“, 2002; „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“, ტ. 5, 1990, ტ. 2, 2004; „ქართული ენა“, 2008; „თბილისი“). ქუჩები, გამზირები, მოედნები, 2008 და სხვ.). მასალების შერჩევისა და აგების ძირითად მეთოდოლოგიურ პროცესში ცვლილებებია შეტანილი (იგულისხმება ცალმხრივი იდეოლოგიზაციის, დოგმებისა და სტერეოტიპების დაძლევა). როგორც წესი, გადამუშავდა, განახლდა ძველი და დაინერა ახალი სტატიები.

აღსანიშნავია, რომ თავიდან გათვალისწინებული იყო ენციკლოპედია

„საქართველოს“ 5 ტომად გამოცემა, თუმცა ბოლო ათეული წლების მანძილზე უხვად დაგროვილი ახალი ინფორმაციის გამო და იმასთან დაკავშირებით, რომ მკითხველთა სურვილის გათვალისწინებით, II ტომში ოდნავ გაიზარდა შრიფტის ზომა, შესაძლებელია ენციკლოპედიის ტომების რაოდენობამ გეგმიურს გადააჭარბოს. ენციკლოპედია „საქართველოს“ II ტომი სხვადასხვა მიზეზის გამო 15 წლის დაგვიანებით გამოდის. ამიტომ რედაქციას გადაწყვეტილი აქვს აღნიშული ენციკლოპედიის (მრავალტომეული) გამოცემის დასრულების შემდეგ, ხელახლა გამოსცეს სპეციალური ტომი შესაძლო ხარვეზების შესავსებად, დროის შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით. ენციკლოპედიის რედაქციას გათვალისწინებული აქვს „საქართველოს“ ელექტრონული ვერსიის მომზადება, რაც კიდევ მნიშვნელოვნად გაზრდის ამ გამოცემის მომხმარებელთა რაოდენობას.

ბოლო 10 წლის მანძილზე ენციკლოპედიის რედაქციამ სამეცნიერო საზოგადოებასა და ფართო მკითხველს რამდენიმე საინტერესო გამოცემა შესთავაზა. კერძოდ, 2002 წელს გამოიცა ენციკლოპედია „თბილისი“, რომელშიც თავმოყრილი და სისტემაში მოყვანილია ძირითადი ცნობები ჩვენი დედაქალაქის შესახებ. წიგნმა ქართველი მკითხველის დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. 2008 წელს კი, თბილისის მერიის მხარდაჭერით, ქართული ენციკლოპედიის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ გამოსცა ენციკლოპედიური ლექსიკონი „თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები“. წიგნში დეტალურადაა ასახული თბილისის ქუჩების მდებარეობა, ისტორია და არქიტექტურული სახე, მოცემულია იმ პირთა ბიოგრაფიული ცნობები, ვის სახელებსაც ატარებს ესა თუ ის ქუჩა. წიგნს დართული აქვს სახელმწიფო ცვლილი ქუჩების სია, 117 სქემატური რუკა თავისი საძიებლებით, რომელშიც მითითებულია 2400-მდე ობიექტის კოორდინატები; წიგნს უფრო თვალსაჩინოს ხდის ასობით ფოტოილუსტრაცია.

ეს არის უნიკალური გამოცემა, სადაც ასახულია ის ცვლილებები, რაც განიცადა თბილისის ქუჩების სახელწოდებებმა XIX ს-იდან დღემდე. ამისათვის დამუშავდა 1846–1917 წლებში გამოცემული კავკასიის კალენდრები, თბილისის გეგმები და ტოპოგრაფიული რუკები, ქუჩების ცნობარები, თბილისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული საარქივო მასალა, საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული შესაბამისი ლიტერატურა და სხვ.

ქართული ენციკლოპედიის რედაქცია თანამშრომლობს 2007 წელს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით შექმნილ საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლოების შემსწავლელ კომისიასთან, რომელიც მონადეგებულია აღმოფხვრას თბილისის ქუჩების ტოპონიმიაში არსებული ხარვეზები.

ქართული ენციკლოპედიის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად, მოამზადა განმარტებით და ორთოგრაფიულ ლექსიკონთა სერია: კ. გიგინეიშვილის „ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1985), „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული“



(1986; მეორე გამოცემა 2 ნაკვეთად, 1990); „საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1987; მეორე გამოცემა – 2009); „საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1987); „საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1989); „უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1989) და სხვ. 2008 წელს გამოსცა პირველი ქართული სამეცნიერო-დარგობრივი ენციკლოპედია „ქართული ენა“, რომელიც მოიცავს ქართული ენის ისტორიისა და ფუნქციონირების (სალიტერატურო ენა, სახელმწიფო ენა) ყველა ასპექტს. იგი აშუქებს ქართული ენის ისტორიის, სტრუქტურის, დიალექტური შედგენილობის პრობლემებს, მოყოლებული ძველი დროიდან თანამედროვე ქართულის ჩათვლით. ქართული ენა განხილულია ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე, ასახავს ქართველ მეცნიერთა და უცხოელ ქართველოლოგთა მიღწევებს ამ დარგში. ენციკლოპედიაში ასახულია მასალა ქართველური და კავკასიური ენების, აგრეთვე იმ ენების შესახებაც, რომლებიც საქართველოში იყო ან არის გავრცელებული, ან რაიმე კონტაქტი ჰქონდა ქართულ ენასთან უშუალოდ ან მნიგნობრული გზით. ამ მასალას მნიშვნელობა აქვს ქართული ენის კონტაქტების შესასწავლად. ზოგიერთი ცნობა იბეჭდება პირველად. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ძველი ქართული გრამატიკული აზრის განვითარების და ლექსიკოლოგიური კვლევის შემსწავლელი მასალები, მათ შორის, ზოგი პირველად გახდა ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის. ენციკლოპედიაში მიმოხილულია მნიშვნელოვანი ქართული ეპიგრაფიული ძეგლები, რომლებიც შემონახულია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული ძეგლების ამსახველი მასალები. სტატიებს ახლავს უნიკალური ილუსტრაციები. ზოგიერთი ცნობა და ილუსტრაცია ასევე პირველად გახდა ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის. ენციკლოპედიაში ასახულია ქართული მნიგნობრობის ცენტრები უძველესი დროიდან მოყოლებული, თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი სამეცნიერო დაწესებულებების ჩათვლით.

ენციკლოპედიაში არის სტატიები იმ მოღვაწეთა შესახებ, რომლებმაც, დაწყებული ძველი დროიდან, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართულ მნიგნობრობასა და კულტურაში. დღევანდელ მეცნიერთაგან შერჩეული არიან მხოლოდ ამა თუ იმ პრემიის ლაურეატები და მეცნიერებათა აკადემიის წევრები.

ენციკლოპედია „ქართული ენა“ გამოჩეულია იმ მხრივ, რომ ამ გამოცემით სარგებლობენ როგორც სპეციალისტები, ისე ქართველოლოგის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრე.

ამ უნიკალური გამოცემის მომზადებას რამდენიმე წელი დასჭირდა. 2011 წელს ამ ნიგნის შემდგენელს იზაბელა ქობალავას და რედაქტორ გუჩა კვარაცხელიას მიენიჭათ აკად. აკაკი შანიძის სახ. პრემია.

პარალელურად მოხადდა „ქართული დამწერლობა“, პოპულარული გამოცემა ალბომის სახით მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. ნიგნის ტექსტის

ავტორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ელენე მაჭავარიანი.

ძველი ქართული დამწერლობის – ასომთავრულის და ნუსხურის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი კულტურული მემკვიდრეობის გამოსავლენად, განსაკუთრებით ძეგლების ზუსტი დათარიღების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, გამოცემის მიზანია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით თვალი გავადევნოთ ცალკეულ ასო-მოხაზულობათა გრაფიკულ განვითარებას. ვიზუალური მასალის საფუძველზე ნიგნში წარმოდგენილია ყოველი ასოს გრაფიკული შედარება თანამედროვე მხედრულ დამწერლობასთან, ხოლო ნუსხური დამწერლობა განიხილება როგორც შუალედური გარდამავალი ეტაპი ამ საერთო განვითარებაში.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა მნიშვნელოვან საქმეს – სამეცნიერო-საცნობარო, ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომეულის – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ გამოცემას. სამუშაოთა კოორდინაცია და კრებულის გამოცემა იმთავითვე დაეკალა ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციას, ხოლო მასალის მომზადება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში მყოფ შესაბამისი პროფილის ინსტიტუტებს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტს, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს და რესპუბლიკის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს.

ხანგრძლივი სამეცნიერო-კვლევითი და სარედაქციო მუშაობის შედეგად, 1990 წელს გამოიცა მრავალტომეულის პირველი ნიგნი, რომელშიც შესულია შიდა ქართლის (გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის და ხაშურის რაიონები) 1600-მდე ისტორიისა და კულტურის ძეგლი (აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო პრემიით, 1993).

2004 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ დასტამბა „აღწერილობის“ მეორე ნიგნი (ნაბეჭდი თაბახი 33, ტირაჟი 500. აღსანიშნავია, რომ კრებულის პირველი ტომის ტირაჟი გახლდათ 50 000), რომელიც მიეძღვნა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (ახმეტის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის რაიონები) ისტორიისა და კულტურის ძეგლებს.

ამრიგად, უკვე გამოცემულ ამ ორ ტომში თავმოყრილია მასალა ისტორიული შიდა ქართლის და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიისა და კულტურის 3000-მდე ძეგლის შესახებ. არქიტექტურის ძეგლების უმეტესობას ერთეის ნახაზები (გეგმა, ჭრილი, ფასადი და სხვ.) და დამახასიათებელი ფოტოები.

ამჟამად რედაქციაში მუშაობა მიმდინარეობს გამოცემის მესამე ტომზე, რომელიც ეძღვნება ისტორიული კახეთის (გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის და ყვარლის რაიონები) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ტექსტობრივი, ისე ვიზუალური მასალა ჩვენს მიერ უკვე დამუშავებულია და ახლო მომავალში მზად იქნება დასასტამბად, მაგრამ მასალა

ნაკლულია და საჭიროა მისი ახლად გამოჩენილი ძეგლების შევსება, რაც, მიუხედავად ჩვენი დიდი მონდომებისა და მრავალმხრივი მცდელობისა – უსახსრობის გამო – შეფერხებულია; საქმე ის არის, რომ „აღწერილობაში“ შეტანილ უნდა იქნას რეგიონის ტერიტორიაზე მდებარე მატერიალური კულტურის უკლებლივ ყველა ძეგლი, ე. ი. ყველა ის კულტურული ფასეულობა, რომლებიც წარმოადგენენ ინტერესს ისტორიული, არქეოლოგიური და არქიტექტურული თვალსაზრისით; ამის გამო აუცილებელია ზემოაღნიშნულ რაიონებში სამეცნიერო-საძიებო სამუშაოების ჩატარება, შესასწავლი და აღსაწერია რამდენიმე ათეული, სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობი არქიტექტურული ნაგებობა, საჭიროა მათი აზომვა, ფოტოგადაღება და სხვა. ყოველივე ეს დაკავშირებულია სისტემატურ საველე სამუშაოებთან და მოითხოვს მალალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა დასაქმებას, რისი დაფინანსების საშუალება ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციას არა აქვს.

2011 წელს ენციკლოპედიის რედაქციამ მკითხველს შესთავაზა გამოცემა უცხოეთში მოღვაწე იმ ქართველებისა და ქართული წარმოშობის პირთა შესახებ, რომლებმაც უძველესი დროიდან დღემდე მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ამა თუ იმ უცხოეთის ქვეყნის კულტურაში, მეცნიერებასა თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ზოგი მათგანი საქართველოში არ დაბადებულა, ზოგიერთს საქართველოში არც უცხოვრია, ან ბავშვობისას დაუტოვებია სამშობლო; ისინი იმ ქვეყნის კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილად იქცნენ, სადაც მოღვაწეობდნენ. შთამბეჭდავია ამ ქვეყნების ჩამონათვალი: ეგვიპტე, ბიზანტია, საბერძნეთი, პალესტინა, ირანი, ოსმალეთი, ევროპის ქვეყნები, რუსეთი, ამერიკა...

ჩვენს მიერ მოძიებული ზღვა მასალა სრულად ვერ აისახებოდა ამ წიგნში. ამიტომ ამჯერად შევარჩიეთ ასი გარდაცვლილი, გამოჩენილი მოღვაწე. გამოცემაში მოხვდნენ არა მხოლოდ ისინი, რომლებმაც თავისი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სხვა ქვეყნის ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში (უფრო მეტიც, ზოგი მათგანი წმინდანად და ეროვნულ გმირადაც კი შერაცხეს), არამედ ისინიც, რომლებიც უცხოეთში საქართველოსთვის დაშვრნენ და საქართველოს იქიდან გაუწიეს ფასდაუდებელი სამსახური. მაგ., ქეთევან დედოფალი და ექვთიმე თაყაიშვილი... ერთი – ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავგანწირვის, უმაგალითო ზნეობისა და ღირსების სიმბოლო არა მარტო ქართველთათვის, არამედ მთელი საქრისტიანოსათვის; მეორე – წლების განმავლობაში ეროვნული საგანძურის უანგარო მცველი უცხო მიწაზე. ორივე წმინდანად შერაცხა ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რადგან მათმა თავდადებამ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა შეიძინა.

უცხოეთში მოღვაწეობად არ ჩაითვალა საზღვარგარეთ სწავლისა და მცირე ხნით საქმიანობის პერიოდი. ვერ მოხვდა ამ გამოცემაში, მცირე გამოწკლისის გარდა, მეფის რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა უმრავლესობა, ასევე 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ემიგრაციაში წასული საქართველოს მთავრობა. მათ შესახებ განზრახული გვაქვს ცალკე წიგნის გამოცემა.

მასალის მოძიებისას გამოვიყენეთ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ენციკლოპედიები „საქართველო“ და „ქართული ენა“, ქართველ (გ. ბერაძე, ნ. ვაჩნაძე, თ. ნატროშვილი, მ. სვანიძე, ბ. სილაგაძე, კ. ფერაძე, მ. ქავთარია, გ. შარაძე, დ. ჯანელიძე, გ. ჯაფარიძე) და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები. უანგარო დახმარება გაგვინია საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმმა, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა, ვ. ჭაბუკიანის მემორიალურმა სახლ-მუზეუმმა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრმა და დოკუმენტური ფილმების სტუდიამ „მემატიანე“.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული გამოცემის მეორე ტომზე. იგი მიეძღვნება იმ არაქართული წარმომავლობის ცნობილ მოღვაწეებსა და უცხოელებს, რომლებმაც ისტორიის მანძილზე დიდი ამაგი დასდეს საქართველოს კულტურას, მეცნიერებას და ა. შ. ნიგნი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) მზად იქნება გამოსაცემად 2012 წლის ბოლოსათვის.

ZURAB ABASHIDZE

GEORGIAN ENCYCLOPEDIA

Summary

Given article surveys landmarks and directions of encyclopedic activity in Georgia. Well-known names of Sulkhan-Saba Orbeliani, Ioane Bagrationi (Batonishvili), Ivane Rostomashvili - stand out among the Encyclopaedists of the 18th -19th centuries. Traditions of Encyclopedic activity were further developed in the 20th century.

In 1930s, the first scholars who undertook the effort to prepare and publish modern Georgian encyclopedia, were eminent researchers I. Javakhishvili, K. Kekelidze, S. Janashia, P. Ingorokva, G. Kikodze and others. However, owing to the force of circumstances, the endeavour was not realized.

The main fundamental reference work is considered to be Georgian Soviet Encyclopedia (12 volumes), published in 1975 – 1987. The publication comprised contemporary achievements of Georgian scientific potential.

Despite the difficulties of 1990s that befell Georgia, the Main Scientific Editorial Board of Georgian Encyclopedia continued its activity; namely, in 1997 the 1st volume of encyclopedia - Georgia - was published.

During the last 10 years, the Editorial Board prepared and published a number of works, among them - Tbilisi; Tbilisi: Streets, Avenues, Squares; Georgian Language; Georgian Script; Description of Historic and Cultural Monuments of Georgia; Spelling Dictionary of Georgian Place Names; 100 Georgians Abroad.

The second volume of encyclopedia - Georgia - (5 volumes) is ready for publication.

ЗУРАБ АБАШИДZE

ГРУЗИНСКАЯ ЭНЦИКЛОПЕДИЯ

Резюме

В статье рассмотрены основные вехи и направления энциклопедической деятельности в Грузии. Среди энциклопедистов XVIII-XIX веков такие широко известные имена, как Сулхан-Саба Орбелиани, Иоанз Багратиони (Батонишвили), Иванз Ростомашвили и др. Дальнейшее развитие эти традиции получили в XX веке.

Первая попытка подготовки и издания современной грузинской энциклопедии была предпринята в 1930-е годы выдающимися учеными Ив. Джавахишвили, К. Кекелидзе, С. Джанашия, П. Ингорква, Г. Кикодзе и др. В силу ряда обстоятельств эта попытка не была реализована.

Главным капитальным трудом можно считать «Грузинскую советскую энциклопедию» (12 томов), изданную в 1975-1987 гг. Эта работа воплотила в себя современные достижения грузинского научного потенциала.

Несмотря на трудности 1990-х годов, Главная научная редакция Грузинской энциклопедии продолжила свою деятельность. В частности, в 1997 году был издан I том энциклопедии «Грузия».

За последние 10 лет Редакция подготовила и издала ряд трудов, среди них: «Тбилиси», «Тбилиси: улицы, проспекты, площади», «Грузинский язык», «Грузинская письменность», «Описание исторических и культурных памятников Грузии», «Орфографический словарь географических наименований Грузии», «100 грузин за рубежом».

Подготовлен к изданию II том энциклопедии «Грузия» (5 томов).

აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ნაშრომი

მეორე მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე (1944-1945 წწ.) საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დააყენა საკითხი თურქეთის შემადგენლობიდან საქართველოს ისტორიული ტერიტორიის (ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი) საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გადასვლის თაობაზე. ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ რომ კანონიერი იყო, ამის დასაბუთება საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ქართველ მეცნიერებს მოსთხოვა. 1944 წლის 28 მარტს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა მიიღო აკადემიკოს **სიმონ ჯანაშიას** ნარკვევი ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის შესახებ. ნარკვევში წარმოდგენილია ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ისტორია უძველესი დროიდან ოსმალეთის მიერ ამ რეგიონების მიტაცებამდე.

1945 წლის 15 დეკემბერს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა **სიმონ ჯანაშიასა** და **ნიკო ბერძენიშვილის** ნერილი „О наших законных претензиях к Турции“ (გაზ. „Заря Востока“, 1945, №247, 15 декабря, стр. 3). 1945 წლის 20 დეკემბერს სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ნერილი გადაბეჭდა გაზეთმა „პრავდამ“ და გაზეთმა „იზვესტიამ“, ხოლო 22 დეკემბერს – „პრავდა უკრაინ“-იმ. როგორც ჩანს, ქართველ მეცნიერთა ღვაწლი ამით არ დასრულებულა. 1945 წლის იანვარში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ნარკვევი **„სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობით“** (იხ.: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 20, საქმე 353, ფურცლები 1-14). ალექსანდრე ჯავახიშვილის ნაშრომი 1946 წლის 7 იანვრითაა დათარიღებული. ცხადია, ავტორს დავალება ნარკვევის დაწერის შესახებ რამდენიმე ხნით ადრე ექნებოდა მიღებული. როგორც ჩანს, ალექსანდრე ჯავახიშვილი სიმონ ჯანაშიასთან და ნიკო ბერძენიშვილთან ერთად მუშაობდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაკვეთაზე.

პროფესორი ვახტანგ გურული
 დოქტორანტი ლევან ჯიქია

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობით

ვახუშტი ბაგრატიონი 1745 წლის თავის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ სამხრეთ-დასავლეთ მხარეს ცალკე თავს მიუძღვნის სათაურით – „აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი“. ეს მხარე გამოსახული აქვს მას, აგრეთვე, როგორც 1735 წლის გეოგრაფიულ ატლასში ცალკე რუკის სახით, აგრეთვე უფრო ვრცლად ქართულ და რუსულ შემდეგ შედგენილ ატლასებშიც.

საქართველოს აღნიშნული მხარის გამოყოფის საფუძველს წარმოადგენს მისი გეოგრაფიული და ისტორიულ-პოლიტიკური გამოყოფილობა საქართველოს სხვა მხარეთა შორის. სამცხე-საათაბაგო შეიცავს მტკვრის ზემო აუზს და ჭოროხის შუა და ქვემო აუზებს და წარმოადგენს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ განაპირა მხარეს; იგი ესაზღვრება დასავლეთით თურქეთს, სამხრეთით – სომხეთს, ხოლო ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით საქართველოს მხარეებს: აფხაზეთ-იმერეთს და შიდა და ქვემო ქართლს.

მისი ისტორიულ-პოლიტიკური განსაზღვრა ვახუშტს განმარტებული აქვს ამ მხარის აღწერის შესავალ თავში – „ადგილებთა სახელის წარმოჩენისათვის“ – შემდეგნაირად:

„შემდგომად ქართლოსის სიკვდილისა ცოლმან მისმან, განყო რა ძენი თვისნი, და მისცა უზუცესსა ძესა თვისსა მცხეთოს ტფილისისა და არაგვის დასავლეთი, და ფანავრის ტბის დასავლეთის ქვეყანა, წილი ქართლოსისა, ზღვამდე სპერისა და ტაოსა და კლარჯეთს შორისის მთამდე, და დაიპყრა მცხეთის ქვეყანა ესენი; ამან მცხეთოს უწოდა ტფილისის და არაგვის დასავლეთს, ლიხის მთამდე და ტაშის-კარამდე, შიდა-ქართლი და ტაშის-კარსა და ფანავრის დასავლეთს ზღვამდე უწოდა ზემო ქართლი, და განყო იგივე ქართლოსის სახელი ესრეთ“.

ვახუშტი ამასთანავე, აშუქებს სამცხე-საათაბაგოს უფრო დაწვრილებითი დაყოფის ისტორიულ-პოლიტიკურ საფუძველს:

„ხოლო შემდგომად მცხეთას განუყო სამთა ძეთა თვისთა წილი თვისი და მისცა უფლოს, ძესა თვისსა, რა იგი აღვსწერეთ, და ძესა თვისსა ოძრახოს მისცა ტაშის-კარს ზეთი და მტკვრის დასავლეთი, ვიდრე ზღვამდე, საზღვრამდე ქართლოსისა, რომელ არიან ან სამცხე, გურია, ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკეტი, ოლთისი და ტაო; და ამათ ადგილებთა უმეტეს ეწოდა ზემო-ქართლი.“

ხოლო ფანავრის დასავლეთი და მტკვრის აღმოსავლეთი, ვიდრე თავამდე მტკვრისა, მისცა მცხეთოს ძესა თვისსა ჯავახოს, და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი. და არიან ამ ადგილებთა შინა ჯავახეთი, არტანი, ერუშეთი, კოლა და მტკვრის აღმოსავლეთი; ხოლო კლარჯეთი არა არს წილი ამათი, არამედ ფარნაოზ დაიპყრა შემდგომად აზონის სიკუდილისა.

და ესრეთ განიყო სახელი ზემო ქართლისა სამად. არამედ ან ოძრახოს წელს, გურიის მთამდე და არსიანის მთამდე, უწოდებენ სამცხეს, მცხეთოსისა

და ქალაქის მცხეთის გამო, პირველვე წოდებულს მცხეთის მორჩილებისათვის [კვალად იტყვიან: ოდეს აღაშენა სუმბატ ბივრიტიანმან ციხე დემოთს, სამთა ციხეთა-თვის ლომისისა, ოძრახეს მეპირისპირედ, ესე იგი არს სამცხეთ, ამით ეწოდა სამცხე]... ხოლო ბრწყინვალემ მეფემ გიორგიმ (1313-1346 წ.) მისცა რა ათაბეგობა და მის ქვეშე დაანენსა მის ქვეყნის ერისთავნი, მიერთი იწოდა საათაბაგო, და უმეტეს განდგომილებისა ყვარყვარე ათაბაგისაგან, და ისახელების დღემდე საათაბაგოდ“.

სამცხე-საათაბაგოს საერთო დახასიათებაში ვახუშტი ნათლად განსაზღვრავს მის მდებარეობას:

„ხოლო სიგრძე ქვეყნისა ამის არს ქართლის საზღვრიდამ ქართლის ყელამდე და ბაიბურდისა და ჭანეთის საზღვრამდე, და განი დევაბონისა, და ირაჯლუს, და ყალნუს მთებიდამ ლადოსა და გურიის მთამდე და ზღვამდე. და მზღვრის ქვეყანასა ამას: აღმოსავლით საზღვარი ქართლისა, რომელი აღვსნერეთ, და მთა ყარსისა, არტან-კოლასა და ყარს შორისი; სამხრით მთა ნინხსენებული, სომხით-ქართლის საზღვარი, რომელი აწ ისახელების ირიჯლუს და დევაბონის მთად; ჩდილოთ მზღვრის მთა ლადო ანუ ფერსათი, და მთა აჭარა-გურიის შორისი და ზღვა პონტოსი; დასავლით მთა აზრუმისა, ებინგისა და საქართველოს-ყელს შუა ნავლილი, ანუ რკინის-პალოსი, და მისრული ზღვამდე, რომელი აღვსნერეთ ტრაპიზონისა და ჭანეთის საზღვარი“.

ამ მხარის ბუნებრივი პირობების და მათი საწარმოო მნიშვნელობის მთლიანი და მრავალმხრივი, მაგრამ მოკლე, ცოცხალ და ზედმინუნებით დახასიათებას იძლევა ვახუშტი ნაშრომში სათაურით – „ქვეყნისათვის“. საერთო დახასიათება ეხება აგრეთვე ამ მხარის მოსახლეობასაც; თავში – „კაცისთვის“ – ვკითხულობთ:

„ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენატკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მხნენი, შემმართველნი, შვენეიერნი, ცოდნა-ხელოვნების მოყვარენი, არამედ აწ, მაჰმადიანობის გამო, არღარა. სარწმუნოებით იყუნენ წლისამდე ქრისტიცისა ჩქკვ (1626 წ.) ქართულისა ტიდ-მდე სრულიად ქრისტიანენი ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტიანენი, არამედ კლარჯეთს გლეხნიც უმეტესნი მოჰმადიანნი; გარნა ვინანიცა არიან ქრისტიანენი, იგინიცა უმწყსელნი არიან, ვინათგან არღარა რაისა მორჩილებენ ქართლის ქათალიკოზსა, და ბერძენთა არა სცალს მათთვის. ამისთვის უეფისკოპოზონი და უხუცონი არიან, თვინიერ რომელიმე ქართლს იკურთხიან. **ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული.** გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უმბობენ აწ თათრულსა და თვისთა სახლებთა, ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე. სამოსლით მოსილნი არიან წარჩინებულნი და მოჰმადიანნი, ვითარცა ოსმალნი, და ქრისტიანენი, ვითარცა ბერძენნი, ხოლო ჯავახეთისანი და ვიეთნიმე მესხნიცა, ვითარცა თრიალელნი. და გულისხმა ჰყავ ეგრეთვე ქალნიცა მათნი“.

სამცხე-საათაბაგოს ამ ზოგადი დახასიათების შემდეგ ვახუშტი აღწერს მის ცალკეულ გეოგრაფიულს და, ამასთანავე, ისტორიულ-ადმინისტრაციულ ნაწილებს შემდეგი თანამიმდევრობით: „სამცხისათვის, ჯავახეთისათვის, ერუშეთისათვის, არტანისათვის, კოლისათვის, ქოროხისათვის, აჭარისათვის, ფორჩხის ხეობისათვის, ანაკერტი, შავშეთისათვის, ართვანისათვის, ლიგანის ხეობისათვის, არტანუჯისათვის, კალმახის ციხისათვის, ფანასკეტისათვის, ოლთისისათვის, ტაოსათვის, ბასიანისათვის, ისპირისათვის, თორთომისათვის, საქართველოს ყელისათვის, ბაიბურდისათვის, ქანეთისათვის.“ მაშასადამე, ვახუშტი ჯერ იხილავს მტკვრის ზემო აუზის ნაწილებს, შემდეგ ქოროხის აუზისას, არეზის სათავისას და ბოლოს, შავი ზღვის სანაპიროსას.

ას წელზე მეტმა განვლო ვახუშტის დროისათვის, რაც საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ სხეულს მოსწყვიტეს და მის კულტურულ გულს მოგლიჯეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილთაგანი. მიუხედავად ამ პოლიტიკური და ისტორიული უკუღმართობისა, ქართველი ერის მოწინავე შვილების გონებაში და გულში არ იშლებოდა ნათელი და დაუეწიყარი წარმოდგენა და ცოდნა საქართველოსაგან დროებით მოწყვეტილი მხარეების შესახებ. ვახუშტი ისეთი დაწერილებით და გულმოდგინებით აღწერს ამ მხარეს, თითქოს იგი ისევ საქართველოს სამეფოს საზღვრებში ყოფილიყოს მოქცეული. ვახუშტის მიერ ამ მხარის ზედმიწევნით ცოდნის სანიმუშოდ მოვიყვანთ უფრო განაპირად მდებარე ადგილების აღწერას: კლარჯეთისას და ქანეთისას.

კლარჯეთის შესახებ ვახუშტი სწერს:

„არს საზღვარი ამისი: აღმოსავლით მთა, რომელი განვლის კლარჯეთსა და ტაოს შუა ზღვამდე: სამხრით მთა იგი, რომელს სდის მდინარენი და ერთვის ქოროხსა; დასავლით მთა აზრუმ-ბასიანს შორის განვლილი ზღვამდე, და ჩდილოთ შავი ზღვა. და არიან ამათ შინა თორთომი, ხახული, ისპირი, ფორჩხა, ბაიბურდი და ქანეთი“.

„ამ ქვეყანასა შინა უდიდესი მდინარე არს ქოროხი, რომელი გამოსდის ირიჯლუს მთასა და დის სამხრიდამ ჩდილოთ, მცირედ აღმოსავლეთით მიწეულად, ხვარამზეს ხიდამდე. მას ქვეით მოუხვევს და დის, უმეტეს ართვინიდამ, ჩდილოთ-დასავლეთს შუა, და მიერთვის ბათომს ქვეით შავ ზღვას. სიგრძით არს ზღვიდამ ირიჯლუს მთამდე, და დის ფრიად ჩქარად ქვიანსა, კლდიანსა და ხრამოვანსა შინა. და არს თევზიანი, გარნა მთის კერძოდ უმეტეს კალმახნი, სასმისად შემრგო, გემოიანი და სხვებ ურგები, ვინაიდგან არარაი კეთდების ანუ ირწყვის, თვინიერ ერგეს, გონიას და ბათომს“.

კლარჯეთის სხვა ნაწილთაგან უფრო მეტად ჩერდება ვახუშტი შავშეთის, არტანუჯის, ისპირის, თორთომის და ბაიბურდის აღწერაზე. შავშეთის შესახებ ვკითხულობთ: „და მზღვრის შავშეთს: აღმოსავლით მთა არსიანი, და გარდავლენან მას ზედა გზანი ერუშეთს, ფოცხოვის-ხეობას და ზარზმაცყელს; სამხრით მზღვრის კლდე, არტანუჯსა და შავშეთს შორისი, ვითარცა კედელი, რომელი ჩამოვალს არსიანის მთიდამ დასავლეთად, ვიდრე კნინლა ქოროხამდე, და განვლის მას კლდესა შინა. გზა, ვითარცა კარი, და თვინიერ

მისა არა არს გზა; დასავლით მთა შავშეთისა, შავშეთსა და ქოროხის შორისი; ჩდილოთ მთა, არსიანიდამ ჩამოსული დასავლით ქოროხამდე“.

„და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორა-მთიანი, ლელე-ლრატიონი, იწრო და მაგარი, ვენახ-ხილიანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. და ნაყოფიერებს ფრიად მიწა ამის, რაოდენიც იხმარების სივინროვედ“.

ამასთანავე, ვახუშტი აღწერს შავშეთის მდინარეებს, ხეობებს, მნიშვნელოვან დასახლებულ ადგილებს და „შინა შენებულელებს“, აღნიშნავს მნიშვნელოვან გზებს, შავშეთის ბეგის საცხოვრებელ ადგილს, სრულიად შავშეთის და არტანუჯის ეპისკოპოზის ყოფილ რეზიდენციას.

არტანუჯს საზღვრავს – „აღმოსავლით მთანი ყალნუ-ქვაყრილისა, და გარდავლენან გზანი მათა ზედა კოლა-არტანს; სამხრით ფანასკეტსა და არტანუჯს შორის ჩამოსული მთა ყალნუს მთიდამ დასავლეთად, ვიდრე ქოროხამდე; დასავლით მთა მცირე არტანუჯსა და ქოროხს შორისი, და თვით მდინარე ქოროხი; ჩდილოთ კლდე შავშეთსა და არტანუჯს შორისი“.

არტანუჯის ბუნების შესახებ ვახუშტი სწერს: „არამედ არს არტანუჯი ვენახიანი, ხილიანი; მარცვალნი ყოველნივე ნაყოფიერებს, ვითარცა სხვათა ამათ ადგილებთა; ტყიანი ფრიად და მცირე-ველოვანი. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. ჰავით მშვენი, კეთილი, ზამთარ თბილი და დიდთოვლიანი, ზაფხული არა ეგოდენ ცხელი“.

იხილავს რა მდინარე არტანუჯს, ვახუშტი ჩერდება ქალაქ არტანუჯზე: „ამ წყლის შესართავის ზეით, ნინათქმულს წყალზედ, არს არტანუჯი, ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილშენი. ეს აღაშენა გორგასალ, შემდგომად შემმუსრა ყრუმ, მერმე აღაშენა და განაახლა აშოტ კურატპალატმან, ალაგო ციხესა შინა ეკლესია პეტრე-პავლესი“...

ამ მხარის წარსული და აწმყო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ვახუშტი სწერს: „არამედ არტანუჯი, შავშეთი და ლიგანის-ხევი არს ოძრახოსავე ნილი, და საერისთო მისი, ხოლო შემდგომად იქმნა არტანუჯს ერისთავი სხვა, შავშეთით, და აწ უზისთ თვისთვისი ბეგი, ოსმალნი“.

ისპირის ხეობას საზღვრავს: „აღმოსავლეთით ისპირის მთებიდამ ჩამოსულნი მთანი, სამხრით-ჩრდილოეთიდამ ისპირისა, ტაოსა და ლიგანის-ხევის შორისნი; ხოლო სამხრით მზღვრის მთა ისპირისა, ისპირსა და თორთომის ხეობას შორისი, და გარდავლენან გზანი თორთომის ხეობასა შინა; ეგრეთვე დასავლით მზღვრის მთანი, ისპირის მთებიდამ ჩამოსულნი, ისპირისავე მდინარემდე, სამხრით ჩრდილოეთიდამ, ბაიბურდსა და სპერის შორისი, და არიან მთანი ესენი ტყიანნი, კლდიანნი, და მივლენან გზანი ბაიბურდს; ჩრდილოთ მზღვრის მთა ისპირისავე, რომელი მდებარებს აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, ფორჩხის ხეობასა და ისპირის შორისი, და გარდავლენან მას ზედა გზანი ფორჩხას, და არს მთაცა ესე თოვლიან-ტყიანი, ვითარცა პირისპირი ამისი ისპირის მთა.“

„ხოლო ისპირის ხეობის მდინარე გამოსდის ბაიბურდს ზეით, ტრაპიზონის მთას, სიგრძით არს ტრაპიზონის მთიდამ ქოროხამდე, მოდის დასავ-



ლეთიდან აღმოსავლეთად, ხევსა კლდიანსა და ქვიანსა შინა. ამ ისპირის მდინარეს მოერთვის სამხრიდან თორთომის ხეობის მდინარე. და ამ თორთომის მდინარის შესართავს ზეით, ისპირის მდინარის კიდეზედ, არს ქალაქი მცირე ისპირა... ამას ზეით მოერთვის კვალად ისპირის მდინარეს საქართველოს-ყელის მდინარე, ანუ გურჯი-ბოლაზისა..."

"გარნა არს ესე ისპირის ხეობა ქარაფოვან-კლდიანი, ლელე-ლრატოიანი, ინრო, ტყიანი, მცირე ველოვანი, მოსავალ-ნაყოფიერი, ვითარცა აღვსნერეთ ლიგანის-ხევი, ყოვლითა ნაყოფიერებითა და მარცვლითა. ჰავით ზაფხულს ფრიად ცხელი, არამედ აქუს მთანი და აგარაკნი ახლორეს. ზამთარი თბილი. კაცნი იუნყე მეზავსნი სამცხისანი, და ან მოჰმადიანნი სრულიად, ენითა ქართულითა და ზნითა ოსმალთათა."

თორთომის ხეობას საზღვრავს: „აღმოსავლით მთა თორთომისა, თორთომსა და ტაოს შორისი... ხოლო სამხრით მზღვრის მთა ირიჯლუ-დევაბოინისა, რომელი ეგრეთვე უტყეო არს; დასავლით მთა შიფაქლუსა, თორთომსა და ქართლის-ყელს შორისი... ჩდილოთ მზღვრის მთა ისპირისა, ამასა და ისპირის შორის, და გარდავლენან გზანი ისპირის ხეობისა შინა."

"თორთომის მდინარის კიდე, ხახულის ზეითამდე, ანუ ციხემდე, ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ხოლო მთის კერძონი ყოველგნით, ვითარცა ჯავახეთი აღვსნერეთ, გარნა არს მოსავლიანი, პირუტყვიანი, ფრინვლიან-ნადირიან-თევზიანი, შემკობილი მთით და ბარით. კაცნი ვითარცა მესხნი, და ან სრულიად მოჰმადიანნი, ენითა ქართულითავე, არამედ უმბობენ თურქულსა."

"თორთომის მდინარის ხევეზე, შიფაქლუს მთის კალთას, არს ეკლესიამონასტერი ხახულისა დიდი, გუნბათიანი, დიდ-შვენიერად გებული, შვენიერს, კარგს ადგილს. ეს ალაშენა დავით კურადპალატმან... აქვე არს ეკლესია ფრიად შვენიერი, დიდ-შენი, რომელი ალაშენა მეფემან დავით. არამედ ან უქმ ცალიერ არიან, და ხატი ამისი არს გელათს, რომელი შეამკო აღმაშენებელმან, მერმე თამარ მეფემან. ამ ხევეს ზეით, თორთომის მდინარეზედ, არს ციხე თორთომისა, მაგარი, კლდესა ზედა დიდ-შენებული... ამ თორთომის მდინარეს მოერთვიან ხევი თორთომისა და შიფაქლუს მთიდან, და არიან დაბნები მათ ზედა შენნი, დიდ-მცირენი".

სამცხე-საათაბაგოს აღწერა მთავრდება ჭანეთის დახასიათებით. მის მდებარეობას და გავრცელებას ვახუშტი განმარტავს შემდეგნაირად: „ხოლო ბაიბურდისა და ფორჩხის სამხრით. ჭანეთის მთას იქით, არს ჭანეთი, და ან უწოდებენ ლახსავე. არს ესე შავის ზღვის კიდის წადევნებით, **გონიიდან ტრაპიზონის საზღვრამდე**... ხოლო ამის (ე. ი. ქალაქ რიზას) დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა, კნილა ზღვამდე, ჭანეთის მთიდან. და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა. აქა არს რკინის-პალო, აქვე არს სატყეპელა. აქ ალაშენა მეფემან არჩილ მონამემან ციხე შემდგომად ყრუს შემოსვლისა... ხოლო მზღვრის ჭანეთს: აღმოსავლით გონიის საზღვარი; სამხრით მთა ჭანეთისა, ფორჩხა-ბაიბურდსა და ჭანეთს შორისი; დასავლით მცირე მთა იგი ქართლის საზღვარი და ჩდილოთ ზღვა შავი."

ჭანეთის მდინარეების და დასახლებული ადგილების შესახებ ვკითხულობთ შემდეგს: „გონიის დასავლეთ მოერთვის ზღვას მდინარე, ჭანეთში გამომდინარე ჭანეთის მთისა... ამ მდინარის იქით არს ხოფჭა, ქალაქი მცირე, ზღვის კიდესა ზედა. აქ მოერთვის მდინარე ხობჭისა, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე, კვალად მოერთვის ზღვას მდინარე, ხობჭის იქით გამომდინარე ჭანეთისავე მთას, რომელი არს ბაიბურდსა და ჭანეთს შორის, და მომდინარე ჩდილოთ კერძოდ. ამ მდინარის დასავლეთ არს ქალაქი მცირე რიზა, ზღვის კიდეზედ. მოერთვის მუნვე მდინარე მისივე ზღვასა, და გამოსდის მასვე მთასა და მოდის ჩდილოთ... ხოლო მთა ჭანეთისა ძეს დასავლიდამ აღმოსავლეთად, მცირედ ჩდილოთ მიწევით, და მივაღს ვიდრე ჭოროხამდე.“

ვახუშტი ახასიათებს აგრეთვე ჭანეთის ბუნებრივ პირობებს სანარმოვო მნიშვნელობის თვალსაზრისით: „მთა ჭანეთისა არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი, გარნა ჭანეთიცა ფრიად ტყიანი, გორა-მთა-ღეღეიანი, არამედ ხილიანი, ვენახიანი, მარცვლებით მოსავლიანი ბრინჯ-ბანბითურთ, და ნაყოფიერებს ფრიად. პირუტყვენი, ნადირნი ფრიად მრავალნი; ფრინველნი და თევზნი ურიცხვენი; მწერნი მრავალნი, ფუტკარი და თაფლი ბევრად. ჰავით ზღვის კიდური ცხელი, მთის კერძონი კეთილჰაოვანნი. ზამთარი თბილი, ზაფხული არა გაუძლისი“.

ვახუშტი ახასიათებს მოსახლეობასაც: „კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა, და სარწმუნოებით აწსრულიად მოჰმადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიპოებიან ქრისტიანენი, არამედ იციან კვალად ქართული ენა ვიეთთამე“.

ჭანეთის დასახლებული ადგილების და მის „შინა შენებულებათა“ შესახებ ვახუშტი სწერს: „არა არს ციხე, ანუ დაბანი, ანუ აგარანი, რომელსა შინა არა იდგეს საყდარი ანუ ეკლესია, თლილის ქვით ნაშენნი, ორი ანუ სამი, დიდნი და მცირენი, და ეგრეთვე ყოველთა საქართველოსა შინა, რომელნიცა აღვსწერენით. კვალად არიან გორა-მთათა ზედა შენნი ეკლესია-საყდარნი, სადაცა ძნიად ზედებიან კაცნი, თვინიერ დღესასწაულთა მათთა...“ ამ უკანასკნელის აღნიშვნით, ცხადია, ვახუშტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მის დროსაც შენარჩუნებული ყოფილა მრავლად ჭანეთის დამოუკიდებელი ცხოვრების მატერიალური ძეგლები, მიუხედავად მოსახლეობის მასიური და იძულებითი გამაჰმადიანებისა.

ბოლოს ვახუშტი დასძენს: „ესე არს აღწერა სამცხე-საათაბაგოსი ჩენილთა ადგილებთა, რომელნი იცნობიან რუკასა ზედა ამისსა“.

1735 წლის ატლასში ვახუშტი რვა რუკიდან სამცხე-საათაბაგოსს საკუთრივ უთმობს ორ რუკას:

„ვ: რუკა არს: ყოვლისა სამცხე საათაბაგოსი, ანუ მესხთა: აზრუმით ტრაპიზონ კარით. მცირე წილი აღმოსავლ ჩდილო. ქართლი. იმერეთი და გურია.“

„ზ: რუკა კვალად სამცხე საათაბაგოსი: ვითარცა ზემორ მოხაზულ არს ეგრეთვე ესეც. – უმჯობესი იგივე არს.“

შემდეგ წლებში უფრო ვრცელ ატლასებში, შემდგარს 19 რუკისგან და ორ გენეალოგიურ ტაბულისგან, შედგენილს ქართულ და რუსულ ენებზე, ვახუშტი ცალკე რუკაზე გამოსახავს ზემო-ქართლს და კლარჯეთს, ანუ სამცხე საათაბაგოს.

ამის გარდა საქართველოს ეს მხარე აღნიშნული აქვს ვახუშტს თავის ატლასების საქართველოს სამეფოს ყველა საერთო რუკებზეც.

საკუთრივ სამცხე-საათაბაგოს რუკებზე აღნიშნულია ყველა გეოგრაფიული სახელწოდებანი, რომელიც მოხსენებული აქვს ვახუშტს თავის აღწერაში. სხვადასხვა ზომის შრიფტით განსხვავებულია შესაბამისად გეოგრაფიულ ადგილთა სახელწოდებანი. ამ მხარის ცალკეული ადგილები მათი საზღვრების ფარგლებში შეფარდებულია განსხვავებული ფერებით. უდიდესი შრიფტით არის წარწერილი მთელი ამ მხარის სახელწოდება – „სამცხე საათაბაგო“. უფრო მცირე შრიფტით – ამ მხარის ცალკეული ადგილები: „ჭანეთი ლაზია, ბაიბურთის ალაგი, გურჯი ბოლაზი, ისპირის ხეობა, ბორჩხის ხეობა, ხახული, თორთომის ხეობა, ოლთისი, ნარიმანის ალაგი, ტაოს კარი, ლიგანის ხეობა, შავეთი, აჭარა, ზემო ქართლი სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, არტაანი, არტანუჯი, კოლა, ბასიანი, ყალზევანი, კარი ყარსის ადგილი.“

რუკაზე ცალკე ვინიეტში გამოხატულია სამცხე-საათაბაგოს ღერბი.

ასეთია მოკლედ საქართველოს სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი მხარის, – ზემო-ქართლის და კლარჯეთ-ჭანეთის, ანუ სამცხე-საათაბაგოს, გეოგრაფიული სახე, მრავალმხრივ და ზუსტად ასახული ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ამ ორასი წლის წინათ, 1735-1745 წლებში.

უნებლიეთ იბადება ამ მხარის დღევანდელი გეოგრაფიული სახის საკითხი. იგი საკმარისად ნათლად აშკარავდება უკანასკნელ ხანს გამოცემულ რუკებზე. ესენი უდავოდ და ყველასათვის დამაჯერებლად ამჟღავნებენ იმ ღრმა ცვლილებებს, რაც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთმა მხარემ განიცადა ვახუშტის შემდეგაც, და ეს რუკები, ამასთანავე ერთად, გეოგრაფიულ სახელწოდებათა თავისი ჩამომავლობით წარმოადგენენ ქართველი ერის მწარე ისტორიულ წარსულის უკვდავ ძეგლებს.

აკადემიკოსი ალ. ჯავახიშვილი (ხელრთვა)

7 იანვარი, 1946 წელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 14, აღწერა 20, საქმე 353, ფურცლები 1-14. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი (პირველი პირი). ალექსანდრე ჯავახიშვილის ხელით ნასწორები ტექსტი და მისივე ხელრთვა

VAKHTANG GURULI, LEVAN JIKIA

**WORKS OF ACADEMICIAN ALEKSANDER JAVAKHISHVILI – “SOUTH
WEST GEORGIA BY DISCRIPTIONS OF VAKHUSHTI BAGRATIONI”**

Summary

AT the end of the World War II (1944-1945) the political guidance of Soviet Union officially rose a question of transition Georgian historical territory (Kingdom of Tao-Klarjeti, Lazeti) from Turkey's to Soviet Union membership. Georgian scientist were charge to substantiate the justice of this demand. That is way was writen work „south-west Georgia by Vakhushti Bagration's description” of academician Aleksandre Javakhishvili.

ВАХТАНГ ГУРУЛИ, ЛЕВАН ДЖИКИЯ

**СТАТЬЯ АКАДЕМИКА АЛЕКСАНДРА ДЖАВАХИШВИЛИ – «ЮГО-
ЗАПАДНАЯ ГРУЗИЯ ПО ОПИСАНИЮ ВАХУШТИ БАГРАТИОНИ»**

Резюме

В конце Второй Мировой Войны (1944-1945) политическое руководство СССР официально поставило вопрос о переходе исторических грузинских территорий (Тао-Кларджети, Лазети) от Турции к Союзу ССР. Обоснование справедливости этого требования советской стороны было поручено грузинским учёным. С этой целью и была написана статья академика Александра Джавахишвили «Юго-Западная Грузия по описанию Вахушти Багратиони».

ირმა რუხაძე

**მისი ნიჭი, მოქალაქეობრივი გამბედაობა ყველაფერს ეყო,
ყველაფერს გასწვდა**
(აკად. მ. ლორთქიფანიძის 90 წლისთავი)

არავინ იცის, ვინ ან რა არის იმაში დამნაშავე – ოჯახი, ზოგადსაგან-მანათლებლო სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, ცნობიერებისა თუ აზროვნების სისტემა – რომ მოღვაწისადმი ჩვენი დამოკიდებულების უმაღლესი ნერტილი პატივისცემა მხოლოდ. მარიამ ლორთქიფანიძე ღვთისმშობლობა დღეს, 28 აგვისტოს არის დაბადებული. მისი დიდგვაროვანი ოჯახიდან მამის ბებია ბაგრატიონის ქალი იყო, რომელსაც მარიამი ერქვა და ალბათ ამ ორმა მიზეზმა განაპირობა მისი სახელის შერჩევა. ყოველ შემთხვევაში, ამით იგი ძალიან კმაყოფილი და მადლიერია.

საოცარია ადამიანისადმი ღვთის სიყვარული და მოწყალების უსაზღვრობა, მისი სიბრძნე! მარიამ ლორთქიფანიძის მრავალ ჯილდოსა და ნოდებას ახლახანს ქართული ეკლესიისგან უმაღლესი ჯილდო – წმიდა გიორგის ოქროს ჯვარი შეემატა.

მისი ნიჭი, მოქალაქეობრივი გამბედაობა ყველაფერს ეყო, ყველაფერს გასწვდა. მისი პრინციპულობით ისტორიულად მნიშვნელოვანი საქმეები კეთდებოდა.

– ქალბატონო მარია, გილოცავთ იუბილეს, ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ! ღვთის წყალობა იყოს თანამდევნი თქვენი შემდგომი წარმატებებისა.

თქვენს შემოქმედებას რომ ვეცნობი, ცხადი ხდება, რომ თქვენი მოქალაქეობრივი აქტიურობა არასდროს ყოფილა მინელებული და ყოველთვის, როცა ქვეყანას სჭირდებოდა, თქვენს ავტორიტეტს, კომპეტენტურ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამავე დროს ინტერვიუებიდან ვკითხულობთ – არასოდეს მიფიქრია, რაიმე ფასეულს თუ ვაკეთებდი, ეს უბრალოდ ჩემს მოვალეობაში



შედიოდა! – ახალგაზრდობიდან მოყოლებული, რა დააკისრეთ საკუთარ თავს მოვალეობად?

– უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩემმა მასწავლებელმა, აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ჩემს მოხსენებებს სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოზე, შემომთავაზა ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება და ამ დროიდან უკვე ჩამოიყალიბდა გარკვეული პრინციპები. ბატონ სიმონთან ჩემი, როგორც ასპირანტის ერთ-ერთი პირველი შეხვედრა დაახლოებით ასეთი შეგონებით დაიწყო: რადგან თქვენ ასპირანტურაში ჩააბარეთ და ვილაცის ადგილი დაიკავეთ, მაქსიმალურად უნდა იზრუნოთ საგნის უკეთ შესწავლაზე, საქართველო გაიზაროს საერთაშორისო ვითარებაში, მაგრამ, – ეს მაგრამ არასოდეს დამავიწყდება, – მთავარია იყოთ თქვენი ქვეყნის მოქალაქე, ყოველთვის იზრუნოთ თქვენი სამშობლოს ბედ-იღბალზე, უნდა გქონდეთ თქვენი პოზიცია ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხზე, რაც თქვენი ქვეყნის ისტორიაში ხდება.

ეს შეგონება მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე მახსოვს და ამან განსაზღვრა ის, რომ მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა სამშობლოს წინაშე მსახურება.

– არაერთი ბრძოლა გაგიმართავთ იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა პერიოდში საშუალო სკოლების სასწავლო პროგრამაში საქართველოს ისტორია ცალკე საგნად შესულიყო. ამის გამო, ყოფილი საბჭოთა კავშირის დედაქალაქში არაერთხელ მოგიწიათ ჩასვლა, წინააგმდეგობის გამკლავება, თუმცა იქიდან შედეგით დაბრუნებულხართ – საქართველოს ისტორია შეზღუდულად, მაგრამ მაინც ჩართეს აუცილებელ საგნად სასწავლო პროგრამაში. ამგვარი „არასაბჭოური“ პოზიციის ხმამაღლა დაფიქსირება არ იყო თქვენთვის რისკთან დაკავშირებული?

– როდესაც საბჭოთა კავშირში დადგა საკითხი – ჩვენ ერთი სახელმწიფო ვართ, სკოლებშიც და უნივერსიტეტებშიც უნდა წაკითხულიყო საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორია, ხოლო ცალკე საქართველოს ისტორია არ უნდა შესწავლილიყო, ამასთან დაკავშირებით თავიდანვე აზრთა სხვადასხვაობა იყო, ამიტომაც შედგა სახელმწიფო კომისია, რომელშიც მეც შემიყვანეს სვიმონ გამსახურდიასთან, ვალერიან ცაავასთან, კიდევ ორ ადამიანთან ერთად და გავემგზავრეთ მოსკოვში. თქვენ მართალს ბრძანებთ, ჩვენ მაინც გავიმარჯვეთ. იმიტომ კი არა, რომ დიდი სურვილი გექონდა, ჩვენთან ერთად თავდადებით იბრძოდნენ სომხები, ბალტიისპირელები და ისეთი ძლიერი იყო ეს შეტევა, რომ უამრავი წინააღმდეგობა გადაეღახეთ, ბევრი შეურაცხყოფა გადავიტანეთ, ბელორუსის განათლების მინისტრმა განაცხადა, ქართველებს და სომხებს გგონიათ, რომ დიდი ისტორია გაქვთ და ამით მოგაქვთ თავიო. მაგრამ იყო უფრო ძლიერი მხარდაჭერაც, მაგალითად, ლატვიის განათლების მინისტრმა თქვა: მე ვარ ჩინოვნიკი, მინისტრი, ჩემთვის მისაღები იქნება თქვენი დადგენილება, მაგრამ როდესაც ჩავალ ჩემს სამშობლოში, დარწ-

მუნებულები ვარ გაჩნდება იატაკქვეშა სკოლები, სადაც მშობლები ბავშვებს მიიყვანენ თავისი ქვეყნის ისტორიის შესასწავლად.

ამას მოჰყვა სამარისებული სიჩუმე, გამოცხადდა შესვენება და შესვენების შემდეგ თქვეს, რომ სხდომა დახურული იყო.

სხვათაშორის, ჩემს მიმართ არ გამოხატავდნენ კარგ განწყობას, მე-კითხებოდნენ – ვინ ხართ და რატომ ხართ აქ? აქ უნდა იყვნენ საშუალო სკოლის სახელმძღვანელოების ავტორები და მეთოდისტები! რატომ ჩამობრძანდით?

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ დგება კომისია, რომელსაც მაშინდელი განათლების მინისტრი, ქალბატონი თამარ ლაშქარაშვილი ხელმძღვანელობდა. მან ისევ შემიყვანა კომისიაში. მე მივედი მასთან და ვუთხარი, რომ წინა საშუალო შეხვედრების დროს ბევრი პირადი შეურაცხყოფა მივიღე, ამიტომ მე აღარ მივიღებდი მონაწილეობას, მინისტრმა კი მითხრა, რომ ეს იყო უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილება. გამიკეთეს მივლინება და ისევ ის დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვში. რომ ჩავედით, სასტუმროში მითხრეს – ვინაიდან თქვენ კომისიის წევრი არ ხართ, თქვენზე სასტუმროს ნომერი გამოყოფილი არ არის. ახლა მოგცემთ ნომერს, მაგრამ დილისთვის უნდა გაემგზავროთ შინ.

რა უნდა მექნა? მოვემზადე უკან გამოსამგზავრებლად, მაგრამ დილით მითხრეს – რაღაც გაუგებრობაა, თქვენ თურმე ხართ კომისიის წევრი და გაქვთ უფლება დაესწროთ ამ სხდომას! – მე გვიან გავიგე, რომ ვიქტორ გუჩუას დაურეკავს ჩვენი განათლების მინისტრისთვის და მან მიიღო საჭირო ზომები. ძალიან დიდი ბრძოლა გაიმართა, მაგრამ საბოლოოდ ჩვენი და სომხების სურვილები გაითვალისწინეს, ბალტიელები უკვე აღარ იყვნენ ჩვენს დელეგაციაში, სხდომებს რეგიონალური ხასიათი მიანიჭეს და ამიტომაც.

და სწორედ იმ პერიოდში დაინერა ძალიან მოკლედ, მაგრამ მაინც, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც სკოლებში ისწავლებოდა. რასაკვირველია, იმ ეტაპზე ეს ძალიან დიდი გამარჯვება იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ იდეას ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა საქართველოშიც და გადაწყვეტილებაც მიღებული იყო მოსკოვში, უმაღლესი სასწავლებლებისთვის ი. პანკრატოვის ოთხტომეულში საქართველოს ისტორიას სულ რაღაც 20-25 გვერდი ჰქონდა დათმობილი.

როდესაც ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდა, ჩამოვიდა ჩემთან ბაქოს უნივერსიტეტის საბჭოთა კავშირის ისტორიის კათედროს გამგე და მითხრა – ჩვენ გადავწყვიტეთ ცალკე გამოვყოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიის კათედრა და გთხოვთ, დაგვეხმაროთ და მოგვცეთ თქვენი პროგრამები. მე, რასაკვირველია, ყველანაირად დავეხმარე და იქაც, რამდენადაც ვიცი, შექმნეს აზერბაიჯანის ისტორიის კათედრა.

ცხადია, ეს ყველაფერი რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, ვისთან გვექონდა საქმე და ვცდილობდით ამ მოთხოვნებს სახელმწიფოსადმი მხარდამჭერის ხასიათი ჰქონოდა.

– თქვენ მაშინაც ქვეყნის ერთგული და გულშემატკივარი იყავით, როცა საქმე ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმებაზე მიდგა. ასეთი დიდი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება მარტივი საქმე არ იყო ალბათ? და თან მიდგომა – ვნახოთ, იქნებ გამოვიდეს – ისტორიული მნიშვნელობის საკითხზე არ ივარგებდა!

– ისტორიას მოგიყვებით! 70-იანი წლებია, უნივერსიტეტის რექტორი არის დავით ჩხიკვიშვილი. ჩემთან მოვიდა უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის გამგე მარიკა პირველი და მითხრა: – რადგან ახლა დგება მომავალი სასწავლო წლის ლექციების ნაკითხვის გეგმა, რექტორის ბრძანებით, კათედრამ ერთი ან ორი საგანი რუსულ ენაზე უნდა ჩასვას!

მე თავიდან ვერ მივხვდი რას ითხოვდა რექტორი, რუსულ ფილოლოგიურზე და ჟურნალისტიკაზე ისედაც ხომ იკითხებოდა საქართველოს ისტორია რუსულად! შემდეგ მარიკამ ამხსნა, რომ რექტორი სპეციალური საგნების, წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის, ისტორიული გეოგრაფიიდან ორის მაინც რუსულ ენაზე ნაკითხვას მოითხოვდა მთელს უნივერსიტეტში.

მე ძალიან შევიცხადა და მაშინვე გადაეწყვიტე რექტორთან დალაპარაკება. თქვენს მტერს, იქ რომ ამბავი მოხდა! მან მითხრა, რომ ეს იყო მოსკოვიდან მოსული დადგენილება და სამუშაო მაგიდის უჯრაში დადგენილების ტექსტის ძებნა დაიწყო. მე კი მას პირდაპირ ვუთხარი, რომ ასეთი ბრძანებები წერილობითი სახით არ მოდიოდა არამც თუ მოსკოვიდან, ჩვენი ცვ-დანაც კი! პირადად გეტყვიან, დაგაეალებენ და უნდა შეასრულო! შევეყვით კამათს, მე ვუთხარი, რომ ამას არავითარ შემთხვევაში არ გავაკეთებდი, მან კი პირდაპირ მითხრა – გაგაგდებენო! მეც გამაგდებენო! დაიწყო ყვირილი და მაგიდაზე მუშტების რტყმევა. მეც მივმართე აგრესიას, დათმობას არ ვაპირებდი. კარებში რომ გამოვდიოდი, მივაძახე: – შენ არავინ გაგაგდებს, იმიტომ, რომ გინდა ამის გაკეთება და მე ალბათ გამაგდებენ-თქო!

მისაღებში რომ გამოვედი, მაშინ მივხვდი, რატომ გადავიდა აგრესიულ ტონზე რექტორი; იქ იჯდა პიროვნება, რომელსაც უნდა მოესმინა ყველაფერი და სადაც საჭირო იყო, იქ მიეტანა. ამის შემდეგ უნივერსიტეტში საერთო მდგომარეობა დაიძაბა, რექტორი იბარებდა კათედრის გამგეებს, დიდი პროტესტი გამოთქვა ეკონომიკის ერთ-ერთი კათედრის გამგემ ვასილ ჩანტლაძემ, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანმა გიორგი ფუთურიძემ და შუა საუკუნეების კათედრის გამგემ დევი კაციტაძემ დიდი ბრძოლა გამართეს უნივერსიტეტში, სრულიად ახალგაზრდა მზია ლეკვიშვილმა, რომელიც დღესაც მუშაობს უნივერსიტეტში, მეორე კორპუსში მონაყო აქცია. მაშინ სიტყვა „აქციის“ ხმარების გვემინოდა. ატყდა დიდი უბედურება და დამთავრდა იმით, რომ ეს რეფორმა ვერ გაატარეს.

ეს იყო მოსინჯვა, გამოვიდოდა თუ არა რამე. გამოვიდა ისე, რომ კავშირის მასშტაბით ეროვნულ ენებზე საგნები იკითხებოდა ჩვენს უნივერ-



სიტეტში, ერევნის და ბალტიის რომელიღაცა უნივერსიტეტში, სხვაგან - ყველგან რუსულად.

სხვათაშორის, რამდენიმე წელიწადში ერთხელ კათედრის გამგეებს გვიწვევდნენ მოსკოვში, ამას ჩვენ „ტვინის გადაბრუნების“ პროცესს ვუწოდებდით. იქ, რა თქმა უნდა, საინტერესო დისკუსიები, სემინარები იმართებოდა და მე მახსოვს, კიევის უნივერსიტეტის კათედრის გამგემ არ დამიჯერა რომ ვუთხარი, ჩვენ ლექციებს ქართულად ვკითხულობთ-მეთქი, შეუძლებელიაო! მე ვუმტკიცებდი მას, თუ რატომ იყო აუცილებელი მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, რომ ამ სახელმწიფოში ყველა ერს განვითარების თანაბარი პირობები უნდა ჰქონოდა, რომ მათი კულტურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლიური ენის არსებობას, სწავლებას და ა.შ.

- უნივერსიტეტი როგორ შეხვდა თქვენს გამარჯვებას?

- მახსოვს, დავით ჩხიკვიშვილი იბარებდა დეკანებს და სთავაზობდა, საგანგებოდ შექმნილ კომისიაში მონაწილეობის მიღებას, რომელიც მოსკოვში გაემგზავრებოდა, ჩემი და გივი ჟორდანიას ადგილი სხვას რომ დაეკავებინა. თუმცა დანარჩენმა ჩვენმა თანამშრომლებმა დიდი პრინციპულობა გამოიჩინეს. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაშინაც და ახლაც იმ აზრზე ვარ, რომ განათლება, რომელ დონეზეც არ უნდა იყოს, სავალდებულოა ეროვნულ ენაზე უნდა მიიღოს ქართველმა. უცხო ენების ცოდნა რომ სავალდებულო და საჭიროა, ყოველთვის კარგად მესმოდა, მაგრამ ეს უნდა იყოს დამატებითი. რუსული მაშინაც და ახლაც აუცილებელი შესასწავლია, რუსეთი მტერია ჩვენი, ეს კარგად ვიცით, მტრის ენა კი ყველაზე კარგად უნდა გვესმოდეს.

როდესაც ჩემთან მოვიდნენ და პეტიცია მომიტანეს ხელმძისანერად, მე რა თქმა უნდა მოვანერე ხელი. მაშინ პეტიციას ხელს აწერდნენ ისეთი მეცნიერები, როგორიც იყვნენ არნოლდ ჩიქობავა, აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი წერეთელი, ელენე მეტრეველი, ქეთევან ლომთათიძე. შემდეგ მე დამიძახეს და მკითხეს, რატომ მოაწერეთ ხელი? მე ვუთხარი, რომ ეს სწორი ნაბიჯი იყო ჩემგან, ამას გარდა, განკარგულება რომ ყოფილიყო, ვინც მოაწერს ხელს - დახვრიტეთო, იმ პეტიციას ისეთი ხალხი აწერდა ხელს, ვთვლი, რომ მეც უთუოდ მათ შორის უნდა ვყოფილიყავი.

- სტუდენტებში როგორი განწყობა იყო, უნივერსიტეტი ხომ ყოველთვის ვნებათაღელვის ეპიცენტრი იყო?

- 14 აპრილს უნივერსიტეტი ყოველთვის ენის დღეს პირველი აღნიშნავდა. ხალხით სავსეა უნივერსიტეტის ეზო. რექტორი დავით ჩხიკვიშვილი და მე ვემზადებით სტუდენტებთან შესახვედრათ იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფო ენის გამოცხადებამ შესაძლოა რეპრესიები გამოიწვიოს სტუდენტებშიც კი. ამ ვითარებაში რჩევის მიცემა და თან მათი ბედის გადანყვეტა ძალიან სარისკო საქმე იყო. რექტორმა მომკიდა ხელზე ხელი, ორივე ვკანკალებდით, - შვილებო, ყოველთვის გახსოვდეთ ვისთან გაქვთ საქმე! - ეს იყო რექტორის გაფრთხილება, მე კი ვუთხარი მათ, რომ ჩემს საკუთარ ვაჟიშვილებს ჯიბეში

უდევთ თავიანთი პასპორტები, ძალიან კარგად იციან რატომაც, თვითონ გადაწყვეტენ, როგორ უნდა მოიქცნენ.

ახლა ვფიქრობ, რომ ეს იყო ყველაზე სწორი პოზიცია. მოგეხსენებათ, აქციაზე 14 აპრილს წინა კოლონაში მიდიოდა უნივერსიტეტი, შემდეგ – ყველა დანარჩენი და როგორ გადაწყდა ეს საკითხი, გვახსოვს ყველას! რა თქმა უნდა, შიში და პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაშიც უდიდესი იყო, მაგრამ სასურველი შედეგი სახეზე იყო.

– როგორც ცნობილია, „თვითმფრინავის ბიჭების“ შეწყალებასთან დაკავშირებითაც ერთ-ერთი პირველი ბრძანდებოდათ, ვინც მათი სიკვდილით დასჯა გააპროტესტა და შემდგომში საზოგადოების ასეთმა პროტესტმა თავისი შედეგი გამოიღო.

– მოგახსენებთ, რომ თვითონ ფაქტი, რა თქმა უნდა, დანაშაულებრივი იყო. წარმოიდგინეთ, 80-90-იან წლებში კომუნიზმი მძვინვარებდა, თავისუფალი სიტყვის თქმას ყველა ერიდებოდა და ამ დროს ვიგებთ, რომ ახალგაზრდების ერთი ნაწილი აიჭრა თვითმფრინავში, გაბედა და მოითხოვა თვითმფრინავის გეზიდან გადახვევა, მაგრამ მათ ეს ვერ განახორციელეს, ამ არეულობაში დაიღუპა ორი ახალგაზრდა. ჩვენმა ხელისუფლებამ მათ დანაშაულებრივ საქციელს სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსადაგა.

ამ ახალგაზრდების შეწყალებასთან დაკავშირებით დედების და ბებიების გარკვეულმა ჯგუფმა დაიწყო ხელმონერების შეგროვება. მომმართეს მეც. მე, რა თქმა უნდა, მაშინვე მოვანერე ხელი, იმიტომ კი არა, რომ დანაშაულს ვერ ვხედავდი, მე ვთვლიდი და ახლაც ასე მიმაჩნია, რომ ეს დანაშაული სასჯელის უმაღლეს ზომას არ იმსახურებდა და თან იმ ახალგაზრდებში იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც შემდგომში თავისი ნიჭი დაანახეს თავის სამშობლოს.

ხელმონერების შეგროვება ქართულმა ინტელიგენციამაც დაიწყო. ამ პროცესის საპასუხოდ განათლების სამინისტროდან მოთხოვნა მოვიდა – უკან უნდა წაგვეღო ჩვენი ხელმონერები. მე მივედი განათლების მინისტრთან, ბატონ დავით ჩხიკვიშვილთან, გამოვხატე ჩემი პოზიცია და თან წარმოვუდგინე სიტუაციის სრული ანალიზი, რომელიც ასეთი იყო: ხელისუფლებას უნდოდა, მთელ მსოფლიოს გაეგო, რომ საქართველოს ინტელიგენციამ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ნაბიჯი გადადგა, შემდეგ ისინი „კედელთან მიაყენეს“ და მათაც უკან დაიხიეს. ამას ცოცხალი თავით არავის ვათქმევინებ-მეთქი, – ვუთხარი მინისტრს. მან ჩაილაპარაკა: თქვენთან შეკამათებას აზრი არ აქვს, პოზიცია მაინც არ შეიცვლებაო, – თუმცა იყვნენ ადამიანები, რომელთაც შეიცვალეს პოზიცია და უკან წაიღეს თავიანთი ხელმონერა, მათ შორის იყვნენ ჩემი მეგობრებიც ინტელიგენციის წარმომადგენლები, მაგრამ მე ბედნიერი ვარ, რომ მათ საქციელს ამ ახალგაზრდების ბედზე არ უმოქმედია.

– ახლა უფრო სასიამოვნო თემას შევეხოთ – 2010 წლის 25 თებერვალს მისმა უწმიდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწ-

მიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საპატრიარქოში ოჯახთან ერთად მიგინვიათ. ნმიდა გიორგის ორდენი რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის?

– 25 თებერვალი ჩემი უახლოესი მეგობრის გოგი ფუთურიძის დაბადების დღეა. სკოლიდან მოყოლებული, ყოველ ამ დღეს მის ოჯახში ვიკრიბებით. როდესაც უნმიდესმა დამპატიჟა საპატრიარქოში, თან ოჯახთან ერთად, ვიფიქრე, გვარი უნდა დამილოცოს-მეთქი. როდესაც მივედით რეზიდენციაში, იქაურმა სამღვდელო პირმა მომიკიდა ხელი და პირდაპირ პატრიარქთან შემიყვანა, მერე ჩვენ ერთად გამოვედით, პატრიარქმა მთხოვა, რომ მისი სავარძლის გვერდით დამეკავებინა ადგილი. აი აქ ბრძანა მან: ჩვენ დღეს მოვიწვიეთ ქალბატონი მარია და ვაჯილდოვებთ ქართული ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი. მისასალმებელი სიტყვით მომმართა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ჩემს შემოქმედებას, ბოლოს პატრიარქმა ბრძანა, ნმიდა გიორგის ოქროს ორდენი შემოეტანათ. ამ დროს, რასაკვირველია ძალიან აველელი, მაგრამ როდესაც ბრძანა, რომ მე მას ვანიჭებ საქართველოს დედის ტიტულს, თავი ვეღარ შევიკავე, ცრემლები წამომივიდა.

ბევრი მნიშვნელოვანი ჯილდო თუ ნოდება მაქვს მიღებული, მაგრამ ეს ყველაზე მაღალი და საპატიოა ჩემთვის.

– მე ვთვლი, რომ ეს თქვენ ეს ნამდვილად დაიმსახურეთ.

არ შემიძლია არ შევეხოთ მეცნიერების პრობლემებს დღევანდელ საქართველოში. პრიორიტეტულია თუ არა ახლანდელი ხელისუფლებისათვის მეცნიერების ხელშეწყობა?

– საერთოდ ცნობილია, თუ ქვეყნის დაპყრობა გინდა, მოაზროვნე ძალს თავი უნდა წააცალო! დღეს მეცნიერება სათანადოდ არ ვითარდება, ქვეყანა ამ მხრივ არ პროგრესირებს. მე ვთვლი, რომ მეცნიერებას უნდა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა.

– სტუდენტობიდან მოყოლებული, როდის იყო ყველაზე მეტად განვითარებული მეცნიერება საქართველოში?

– როდის და საბჭოთა ხელისუფლების დროს. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის ხელისუფლება ყოველმხრივ ხელს უშლიდა მეცნიერებს. გაიხსენეთ, რა სირთულეები შეხვდა ივანე ჯავახიშვილს ქართული უნივერსიტეტის დაარსების დროს.

– რაში გამოიხატებოდა საბჭოთა პერიოდის დროს მეცნიერებისადმი ხელშეწყობა?

– საბჭოთა პერიოდის დროს აქ მოღვაწეობდნენ პიროვნებანი, რომელთაც კარგად ესმოდათ მეცნიერების მნიშვნელობა და ყველაფერს აკეთებდნენ მისი განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირის ქვეყნებში პირველად ეროვნული აკადემია საქართველოში დაარსდა, შემდეგ ყველგან გაიხსნა. მოგვიანებით, როცა სხვადასხვა პროცესების ანალიზი გავაკეთე, მივხვდი, რომ იმ დროს მეცნიერები მაქსიმალურად აკეთებდნენ ყველაფერს ეროვნული ინტერესები საერთო ინტერესებში რომ მოექციათ. ელემენტარული ამბავი: ეკლესიისადმი

დამოკიდებულება ხელისუფლებისა საბჭოთა კავშირის დროს ყველამ კარგად ვიცით. ჩვენ ვიყავით ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც არ ჰქონდა თავისი რელიგია. ფუნგლებში რომ ცხოვრობდნენ, ან ხეს მიაგებდნენ პატივს ან ქვას, ჩვენთან სარწმუნოება არ არსებობდა. მითუმეტეს, ვინ გაბედავდა თქმას, რომ უნდა დანერილიყო ეკლესიის ისტორია, მაგრამ სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა მოახერხეს ის, რომ საბჭოთა პერიოდის დროს საქართველოს ეკლესიის ისტორიის სამეცნიერო შესწავლა ხდებოდა. ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ნიკო ბერძენიშვილი ადგენდა ხუთნობიან სამუშაო გეგმას, ეს მტკიცდებოდა ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე, შემდეგ აკადემიის პრეზიდიუმზე, შემდეგ ცკ-ში, ყველაფერი ეს უნდა თარგმნილიყო რუსულად, გაგზავნილიყო მოსკოვში. როდესაც ბატონი ნიკო ყველას სამუშაო გეგმას მოგვეცემდა, ბოლოს მოგვემართავდა: ახლა ყველამ ერთად ვიფიქროთ, რა დავარქვათ სათაურად საქართველოს ეკლესიის ისტორიის ნამუშევარს, სათაურში რომ არ იკითხებოდეს რაზეა საუბარი. მაშინ ამ თემაზე მუშაობდა ბაბულია ლომინაძე, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი იყო. მისი ნაშრომების მცირე ნაწილი ახლაც გამოიცა წიგნად. იქ, სადაც მეურნეობის ისტორია, ან პატრონ-ყმობის ისტორია, ანდა მიწის მფლობელობის ისტორიაზე იყო საუბარი, ეკლესიის ისტორია ვრცლად იყო მოთხრობილი. ისინი ახერხებდნენ იმას, რომ ეროვნული მეცნიერების განვითარებისათვის ხელი შეეწყობო.

ახლა ამბობენ, რომ სასაცილოა საუბარი ქართულ სამეცნიერო სკოლებზე საერთაშორისო მასშტაბით. ისმის კითხვა: ნიკო მუსხელიშვილი არ იყო საერთაშორისო მასშტაბის მეცნიერი? მე კარგად მახსოვს, მოსკოვში ქართული კულტურის დღეებზე რომ მიგვიწვიეს, გიდი გვეუბნებოდა, თვითმფრინავი არ აფრინდება, თუ დელეგაციაში არ არის ნიკო მუსხელიშვილი, მისი დრეკადობის თეორია არის ერთი ნაწილი, რომელიც გამოყენებულია ამ თვითმფრინავის მშენებლობაში. რაც შეეხება მეცნიერების ისეთ დარგს, როგორც იყო ფილოსოფია, დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია ევროპულ ენებზე თარგმნილი იყო და ამით ხელმძღვანელობდნენ, თუმცა ჩვენთან დაუშვებელი იყო მისი გამოყენება.

ლოგიკა (აკრძალული დარგი უნოდა ხრუშჩოვმა), რომელიც კოტე ბაქრაძის ძირითად თემას წარმოადგენდა, პოლონურ ენაზე იყო ნათარგმნი და ევროპელი მეცნიერები ადასტურებდნენ კონფერენციებზე, რომ ეს იყო გენიალური ნამუშევარი, რომელმაც ამ დარგის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა. არსებობდა ფიზიოლოგიის მაღალი დონის სკოლა და სხვა.

მაშინ შეგნებული ჰქონდათ, რატომ იყო საჭირო მხარდაჭერა მეცნიერებისათვის. ადრე მე ამას ვერ ვაცნობიერებდი, ახლა უკვე ზოგ რამეს მიხვდები. საბჭოთა კავშირში, ყოველ 10 წელიწადში ტარდებოდა მოსახლეობის აღწერა. ყოველი აღწერის წინ მოსკოვიდან მოდიოდა მითითება, რომლის მიხედვითაც უნდა შეესებულებო ანკეტები. 1958-1959 წლებში ანკეტებში

უნდა მიგვეთითებინა ნაციონალიზმი (აფხაზი, მეგრელი, ოსი, სომეხი, რუსი და ა.შ.) და მშობლიური ენა (სვანური, აფხაზური, რუსული, მეგრული). ეს მითითება მოდიოდა ცკ-ში, როგორც ჩანს, ვილაცამ ინფორმაცია გამოიტანა იქიდან და მიაღწია გიორგი წერეთელამდე. მან ცალ-ცალკე ჩამოუარა აკადემიკოსებს და შეადგინეს ტექსტი, თუ რატომ არ შეიძლება არსებობდეს ნაციონალიზმი სვანი და მეგრელი, მშობლიური ენა კი მეგრული და სვანური. ერთის გარდა, ყველა აკადემიკოსმა მოანერა ხელი ამ დოკუმენტს, გაგზავნეს ცკ-ში და ასევე მოსკოვშიც, იმ ეჭვით, ვაი თუ ცკ-დან არ გაეგზავნათ ეს დოკუმენტი.

წარმოიდგინეთ, რომ მოთხოვნა მიიღეს. ეს გამოჩნდა იქიდან, რომ შემდგომი აღწერისას ნაციონალიზმი მეგრელი, სვანი და მშობლიური ენა მეგრული, სვანური აღარ ეწერა. მართალია, ამის გამო გიორგი წერეთლისათვის მადლობა არავის გადაუხდია, მან ეს მთელი შეგნებით გააკეთა და გაიმარჯვა. ნაწილი აკადემიკოსებისა, რომელნიც ხელს აწერდნენ ამ დოკუმენტს, საკავშირო მასშტაბისა იყვნენ და ამიტომაც გაუწიეს ანგარიში. მათ იცოდნენ, რომ მცირე ეკლესიასაც კი სვანეთში უზარმაზარი ქართული წარწერა ჰქონდა, წირვა-ლოცვა ქართულად სრულდებოდა, მთელი ეპიგრაფია ქართული გვაქვს. რაზე მიუთითებდა ეს ფაქტები? ცხადია, გიორგი წერეთელმა მოახერხა ამის დასაბუთება.

– ძალიან საინტერესო მოსაუბრე ბრძანდებით, საოცრად წარმატებული შემოქმედებითი გზა გაქვთ დაძლეული. საინტერესოა, როგორია მარიამ ლორთქიფანიძე ოჯახში?

– მყავს სამი შვილი. უფროსი ქალიშვილი ისტორიკოსია, ამჟერად პენსიონერია, მყავს სამი შვილი და უზარმაზარი ოჯახი, დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია. მომდევნო ვაჟიშვილი – დავითი ექიმი, ანდროლოგი, ჟორდანიას ინსტიტუტის თანამშრომელი, მასაც დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია. უმცროსი ვაჟი გიორგი ჩემი კოლეგაა, დოქტორია, პროფესორია, ძალიან საინტერესო ნაშრომები აქვს, მათთან ყველასთან შესანიშნავი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა უკვე დიდი ხანია.

ვესაუბრებით ჩვენი ჟურნალის სპონსორს, კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს, ისტორიის დოქტორს, ბატონ კახა შენგელიას:

1. ბატონო კახა, როდის დაარსდა თქვენი უნივერსიტეტი და ვინ არიან დამფუძნებლები?

კავკასიის უნივერსიტეტი დაარსდა 2005 წელს, თუმცა მანამდე 1998 წლიდან არსებობდა კავკასიის ბიზნესის სკოლა, რომელიც საქართველოში დაარსდა სამი უნივერსიტეტის: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ეკონომიკური ურთიერთობების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ბაზაზე ჯ. მაკ რობინსონის ბიზნესის სკოლასთან პარტნიორობით (ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ატლანტა, აშშ).

დროთა განმავლობაში გადაწყდა, რომ ბიზნესის სკოლას დამოუკიდებლად ეარსება, აქვე გაჩნდა ახალი ფაკულტეტების დაარსების სურვილი და ასე გაჩნდა კავკასიის უნივერსიტეტის დაარსების იდეაც.

2. თუ შეიძლება გავაკანით, რა ძირითად მიმართულებებს მოიცავს სასწავლო კურსი თქვენს უნივერსიტეტში?

კავკასიის უნივერსიტეტში დღეს 8 სკოლაა: კავკასიის ბიზნესის სკოლა; კავკასიის სამართლის სკოლა; კავკასიის მედიის სკოლა; კავკასიის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა; კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა; კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა; კავკასიის ტურიზმის სკოლა; კავკასიის ჯანდაცვის ადმინისტრირების სკოლა. თითოეული სკოლა ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე აცხადებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამას.

3. რას აძლევს სტუდენტს სწავლა თქვენს უნივერსიტეტში და როგორ პერსპექტივა აქვს დასაქმების მხრივ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს?

პირველ რიგში სტუდენტი იღებს მის სფეროში კარგ და საფუძვლიან ცოდნას, რისი წინაპირობაც არის კარგი საგანმანათლებლო პროგრამა, კარგი აკადემიური პერსონალი და დისციპლინა. რაც შეეხება დასაქმების პერსპექტივას, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი უნივერსიტეტის სახელი და რეპუტაცია წლების განმავლობაში იქმნებოდა და მტკიცდებოდა, დამსაქმებელი დაინტერესებულია რომ პროირიტეტი ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს მიანიჭოს, რადგან უკვე იცის, რომ კურსდამთავრებულის კვალიფიკაცია რეალობას შეესაბამება.

4. როგორ მიმდინარეობს უნივერსიტეტში მსოფლიო ისტორიის და, კერძოდ, კავკასიისა და საქართველოს ისტორიის სწავლება?

მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია, ისევე როგორც საქართველოს ისტორია, უნივერსიტეტში ზოგადსაუნივერსიტეტო საგნად ითვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ისწავლება ყველა სკოლაში საბაკალავრო პროგრამის პირველ ეტაპზე. საქართველოს ისტორია კი შესულია სავალდებულო საგანთა სიაში.

ალექსანდრა დაუშვილი

საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორების წინააღმდეგ

მოხდა ისე, რომ საბჭოთა სისტემის კრაზის შემდეგ, ჩვენს სამეზობლოში, ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი – ზოგი საკუთარი მთავრობების სპეცსამსახურების დავალებით, ზოგიერთი კიდევ – საკუთარი ინიციატივით უაპელაციოდ ეწევა საქართველოს ძველი, შუა, ახალი და უახლესი ისტორიის ფალსიფიკაციას, ქართველი ერის კულტურული მიღწევების იგნორირებას, გაუმართლებელი ტერიტორიული პრეტენზიების „დასაბუთებას“. ზოგიერთი მეცნიერის „ძიება“ ისტორიის ფოლიანტებში იქამდეც კი მიდის, რომ საერთოდ უარყოფენ ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობას, სადავოს ხდიან ქართველი ერის ერთიანობის საკითხს და ა.შ.

საქმეში ჩახედულისათვის ეს ტენდენცია მოულოდნელი არ არის – ძველ პერიოდებშიც გვხვდებოდა ზოგიერთი ეროვნების ისტორიკოსთა მიერ საქართველოს ისტორიის არაადექვატური აღქმა, ცალკეული ტენდენციური დამახინჯება თუ აშკარა ფალსიფიკაცია. ჯერ კიდევ დიდი ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ „ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ლობე მჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატყეილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვექლავს და მინასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქოს არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ...“¹

თითქმის ასი წლის წინ ნათქვამი ეს სიტყვები ისე თანადროულია, თითქოს ამ ასი წლის მანძილზე არაფერი შეცვლილიყოს. უცხო სახელმწიფოთა სპეცსამსახურებს ამოფარებული ისტორიკოსები დღესაც ამტკიცებენ, რომ საქართველო არ არსებობდა XVI საუკუნემდე, რომ საქართველო ხელოვნურად შეიქმნა 1936 წელს. მაგალითად, რუსი „მეცნიერი“ ა. შიროკორადი ასეთ „დელიკატურ“ კითხვას სვამს: «Откуда взялись грузины? Прежде чем ответить на этот вопрос, следует заметить, что в образованную в 1936 г. Грузинскую ССР вошли несколько народов и народностей. А само название «Грузия» появилось лишь в XVI веке. Однако для удобства читателей я буду условно называть территорию, на которой в 1936 г. искусственно создали Грузинскую ССР, Грузией»². როცა ისტორიკოსი, მეცნიერი ერთ აბზაცში ამდენ უხეშ „შეცდომას“ – დანაშაულს სჩადის, მაგრამ, ამასთან, გვევლინება ექსპერტად, რომლის წიგნები მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე ასიათასობით

ვრცელდება პოსტსაბჭოთა სივრცეში, მართლაც უნდა ვიფიქროთ, რომ ილია ქაეჭავაძის შემდეგ ჩვენს გარე სამყაროში ვითარება ბევრად არ შეცვლილა და ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი ერთგულად ასრულებს თავიანთი ქვეყნების სპეცსამსახურების დავალებას და სისტემატურად აყალბებს საქართველოს ისტორიას.

დღევანდელი ისტორიული ვითარების თავისებურება ის არის, რომ საქართველოს დამოუკიდებელი, დასავლური პოლიტიკური კურსის მონი-ნაალმდევე ძალების მობილიზაციით მოხერხდა ისტორიაში მომუშავე ყველა ჩვენი არაკეთილმოსურნე ელემენტის გაერთიანება: ერთიანი ანტიქართული დროშის ქვეშ დადგნენ სომეხი და რუსი ისტორიკოსების ნაწილი, აფხაზი და ოსი სეპარატისტი ისტორიკოსები და სხვები, რომლებიც აყალბებენ ქართველი ერის ისტორიას, ითვისებენ მის კულტურულ და პოლიტიკურ მიღწევებს, „ასაბუთებენ“ ტერიტორიულ პრეტენზიებს, საქართველოს ახლო მომავალში უწინასწარმეტყველებენ პოლიტიკურ დაქუცმაცებას და ა.შ.

ასეთი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, საჭიროებს სათანადო რეაგირებას, რაც უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს საზრუნავი უნდა იყოს. საქართველოს საპატრიარქოს, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაფუძნებულ ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრში მოხერხდა პირველი კრებულის მომზადება, რომელიც მიმართულია სომხურ ისტორიოგრაფიაში არსებული იმ არაჯანსაღი ტენდენციის წინააღმდეგ, რომლის მიზანია გააყალბოს და ტენდენციურად წარმოაჩინოს ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. 2009 წელს, „მაგთიკომის“ ხელმძღვანელების მატერიალური დახმარებით, კრებული „Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии“ გამოქვეყნდა და ძალიან მალე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაც იქცა.

ამით საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო კრებულების სერიას (რედაქტორი აკად. დ. მუსხელიშვილი), რომლის მიზანია გააერთიანოს ქართველი ისტორიკოსების, ენათმეცნიერების, ეთნოლოგების, ანთროპოლოგების, პოლიტოლოგების ძალისხმევა, რათა სათანადო პასუხი გაეცეს საქართველოს ისტორიის ყველა ფალსიფიკატორს, რომელთა მიზანია იდეოლოგიური საფუძველები მოუქმონ მათი მთავრობების ანტიქართულ პოლიტიკურ საქმიანობას, დაასაბუთონ უკანონო ტერიტორიული პრეტენზიები და ა.შ.

პირველ კრებულში, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, სომეხი ისტორიკოსების მიერ საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციის საკითხებს მიეძღვნა, სპეციალურად არის შეტანილი გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის სიმონ ჯანაშიას მიერ ჯერ კიდევ 1946 წელს დანერილი კრიტიკული წერილი, რომელშიც მოცემულია ნ. ტოკარსკის წიგნის „Архитектура древней Армении“-ს საფუძვლიანი კრიტიკა და ავტორი მხილებულია საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციაში. კრებულის შემდგენლებმა ამით არა მარტო პატივი მიაგეს სიმონ ჯანაშიას ღვაწლს, არამედ მიანიშნეს: წინააღმდეგ მავანთა მტკიცებისა, რომ სტალინის მმართველობის პერიოდში საქართველო

გარკვეულ „სასათბურე“ პირობებში იმყოფებოდა, წარმოდგენილი წერილი ადასტურებს, რომ მაშინაც იბეჭდებოდა ანტიქართული სულისკვეთებით „გამთბარი“ ნაშრომები, მაგრამ ქართველ ისტორიკოსებს მათზე პასუხის გაცემა არ ეკრძალებოდათ, რაც მთლიანად გამოირიცხა სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ხოლო ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის იდეოლოგიური სამსახურები ყველაფერს აკეთებდნენ აფხაზი და ოსი სეპარატისტული იდეოლოგიის გასაძლიერებლად, რის წინააღმდეგ ბრძოლა ქართველ ისტორიკოსებს უკვე სასტიკად ეკრძალებოდათ.

წარმოდგენილ კრებულში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პრობლემაა შესწავლილი, აღსანიშნავია ჯვრის მონასტრის წარწერების პ. მურადიანისეული „კონცეფციის“ წინააღმდეგ მიმართული ილია აბულაძისა და მარიამ ლორთქიფანიძის წერილები, რომელთა მიზანია აჩვენოს სომეხი ავტორის უსაფუძვლო მცდელობა შეცვალოს მცხეთის ჯვრის მონასტრის მშენებლობის თარიღი და მის აღმშენებლად გამოაცხადოს სომეხი ხუროთმოძღვარი. სამართლიანად მიუთითებს მ. ლორთქიფანიძე, რომ „выдвинутые П. Мурадяном соображения не поддерживаются данными источников“³.

კრებულში უდიდესი ადგილი აქვს დათმობილი სამხრეთ საქართველოს ისტორიული მხარის – ჯავახეთის ისტორიის პრობლემებს. ბოლო წლებში საქართველოს ამ კუთხის ისტორია, მატერიალური კულტურის ძეგლების წარმომავლობა, მკვიდრი მოსახლეობის იდენტიფიკაცია ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსის მიერ შეგნებულად მახინჯდება. ამ პრობლემის რიგი საკითხებისა შესწავლილია კრებულში წარმოდგენილი დ. მუსხელიშვილის, დ. ბერძენიშვილის, რ. მეტრეველისა და ნ. შოშიაშვილის სტატიებში. ამ უკანასკნელთა დასკვნით, სომეხი ავტორები: „начисто лишены и квалифицированности и добросовестности, ибо главной их целью является вовсе не освещение истории армянской колонизации, а пропаганда маниакальной идеей т.н. «Великой Армении», тем самым дезориентация несведущей в истории этих двух стран (Грузии и Армении) части общества“⁴; ხოლო დ. მუსხელიშვილი მდიდარი ფაქტოლოგიური მასალის, მათ შორის სომხური წერილობითი წყაროების მოშველიებით, ასაბუთებს ამ ისტორიული ქართული კუთხის სომხურობის აბსურდულობას და მიუთითებს: «Древнегрузинской провинцией является также и Джавахети, а коренное население области — «джавахурни», согласно сведениям древнеармянских источников, являлось одним из восточногрузинских племен»⁵.

უკვე დიდი ხანია სერიოზული კამათის თემაა სომხური ტერიტორიების სტატუსის საკითხი საქართველოს ფეოდალური მონარქიის არსებობის პერიოდში. ამ საკითხებს კრებულში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროფ. გ. მაისურაძე.

კრებულში წარმოდგენილი მეცნიერების: ნ. ლომოურის, ე. ცაგარეიშვილის, გ. ჭეიშვილის, ა. ონიანისა და ზ. სარჯველაძის სტატიები თვალნათლივ მიუთითებენ საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორთა საქმიანობის ანტიმეცნიერულ, ტენდენციურ ხასიათზე, მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბა-

ზაზე დაყრდნობით აბათილებენ სომეხი ისტორიკოსების ფსევდომეცნიერულ შეხედულებებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული კრებული ითარგმნა ინგლისურ ენაზე და 2011 წელს დაიბეჭდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩვენი ამერიკელი თანამემამულე ნადია გოცირიძის დახმარებით, რომელიც გამომცემლობა „ნოვა პუბლიშინის“ მფლობელი და ქართველი ისტორიკოსების დიდი მეგობარია.

ოსური სეპარატიზმის იდეოლოგიების წინააღმდეგ მიმართულია კრებულში – „Некоторые вопросы истории осетин Шида Картли“ – გაერთიანებული სტატიები, რომელთა მიზანია კვლევის კომპლექსური მეთოდების გამოყენებით გამოავლინოს ოსი ისტორიკებისა ცრუმეცნიერული შეხედულებების არსი შიდა ქართლის ისტორიული, ეთნიკური, დემოგრაფიული განვითარების თავისებურებების შესახებ. კრებულში მოტანილია ისტორიკოსების, ეთნოლოგების, ანთროპოლოგების, დემოგრაფების საფუძვლიანი სტატიები, რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ ამ ძირძველ ქართულ ტერიტორიაზე მუდამ ქართველი მოსახლეობა პრევალირებდა და ოსები გვიან საუკუნეებში ჩამოსახლდნენ ჩრდილო კავკასიიდან.

კრებული იხსნება მარიამ ლორთქიფანიძისა და დავით მუსხელიშვილის წერილით, რომელიც მათ გაუგზავნეს რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრს ვლადიმერ პუტინს და ამხილეს ის ისტორიის ფალსიფიკაციაში. წერილის ავტორები სამართლიანად აღნიშნავენ: «Что касается «Южной Осетии», то такого понятия тогда (т. е. до XIX-го века - авт.) в природе вообще не существовало»⁶ და კრებულში წარმოდგენილი წერილების მთავარი ამოცანა არის სწორედ ამ თეზისის უტყუარობის ლოგიკური დასაბუთება.

დემოგრაფი ანზორ თოთაძე ისტორიული წყაროების მოშველიებით ასაბუთებს, რომ „В прошлом проживающие в картлинском нагорье осетины не помыслили бы сказать, что живут в Осетии, поскольку хорошо сознавали, что на грузинской земле они поселились хизанами (т.е. были пришлыми)“⁷.

ავტორი, სტატისტიკური მასალის მოშველიებით, იმასაც დასაბუთებულად ამტკიცებს, რომ ცხოვრების დონით, კულტურული მომსახურებით, შედეგებით, შემოსავლებით, სოციალური შემწეობებითა და განვითარებული ყოფით ე.წ. „სამხრეთ ოსები“ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყვნენ მუდამ, რასაც ვერ ვიტყვით ოლქის ოსი მოსახლეობის შრომისნაყოფიერებაზე, საპექტარო მოსავლიანობაზე, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და სხვა მაჩვენებლებზე, რითაც ოლქი მუდამ აუტსაიდერთა რიგებში იდგა⁸.

თვალსაჩინო ქართველი ეთნოლოგის ვახტანგ ითონიშვილის სტატიებში დასაბუთებულია შიდა ქართლში ოსთა მიგრაციის ისტორიული თავისებურება, ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალების მოშველიებით ავტორი საფუძვლიანად ამტკიცებს ოსი ფსევდოისტორიკოსების პრეტენზიების უსაფუძვლობას და უკანონობას.



გ. ოთხმეზური თავის სტატიაში დეტალურად ეხება შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში შემორჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლების წარმომავლობას და მათი ანალიზის საფუძველზე ასკვნის: „Таким образом, как видно из приведенного выше материала, вся территория бывшей Юго-Осетинской АО покрыта грузинскими надписями. Этот регион исторической Шиди Картли всегда входил в состав Грузинского царства. Как свидетельствуют эпиграфические памятники, населяли его грузины, управители края или местные крупные феодалы также были грузинами, а государственным и церковным языком был грузинский“⁹.

მეტად საყურადღებოა ვალერიან ითონიშვილის გამოკვლევა, რომელიც ასევე ოსთა გაუმართლებელი პრეტენზიების მხილებას ისახავს მიზნად, დასაბუთებულად წარმოაჩენს თრუსოს ხეობაში ოსების განსახლების ისტორიულ ეტაპებს. ეთნოლოგ გ. ჩიქოვანის სტატია კი გვიჩვენებს ისტორიულ პერსპექტივაში როგორ ხდებოდა ოსთა განსახლება დასავლეთის მიმართულებით – კუდაროში, ზემო იმერეთსა და ზემო რაჭაში.

ქართველ ისტორიკოსთა დიდი უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ საქართველოში ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოსახლებული ოსები, ხიზნების სტატუსით, საკმაოდ ლოიალურნი, ბევრ შემთხვევაში – ერთგულნიც იყვნენ თავისი სუზერენების, ქართველი ფეოდალების მიმართ. ამაზე, მაგალითად, მიუთითებს ოსთა აქტიური მონაწილეობა ბაგრატიონი უფლისწულების ანტირუსულ აჯანყებებსა და შეთქმულებებში. სწორედ ამ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას მკვლევარი მ. ტყავაშვილი, რომელიც ასკვნის: „Как видно из рассмотренного материала, в начале XIX века «грузинские осетины» не раз проявляли государственную самосознательность, на деле доказывая преданность грузинскому государству и монархии. Все это позволяет нам утверждать, что причины возникновения сепаратистских настроений среди осетинского населения Грузии следует искать в последующие периоды“¹⁰.

დასკვნა სრულიად სამართლიანია და საქართველოში რუსეთის ბატონობის განმტკიცების კვალდაკვალ, რუსეთის იმპერიული მანქანის პროპაგანდისტული აპარატის ინტენსიური ჩარევის შედეგად, მოხდა ოსი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ანტიქართული სენით დაავადება, პრორუსული განწყობილების კულტივირება, სეპარატიზმის მავნე ბაცილის ჩანერგვა. გაჩნდა ცნება „სამხრეთ ოსეთი“, რაც არაფრით არ იყო გამართლებული. ამ პოლიტიკამ თავისი შედეგი, რა თქმა უნდა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში გამოიღო, როცა ბოლშევიკების მიერ ინსპირირებული პრორუსულად განწყობილი ოსური მოსახლეობის ერთი ნაწილი არაერთხელ აუჯანყდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. კრებულში წარმოდგენილი ო. ჯანელიძის სტატია თვალნათლივ აჩვენებს 1918-1921 წლებში ოსი სეპარატისტების მოქმედების ამკარად ანტისახელმწიფოებრივ ხასიათს.

დღეს რუსეთის ოფიციალური ისტორიოგრაფია ცდილობს გაემიჯნოს ბოლშევიზმს, უკანონო გადატრიალებად აცხადებს 1917 წლის ოქტომბრის „რევოლუციას“. თუ ეს ასეა საკუთრივ რუსეთში, მაშინ რუსეთის იმპერია-

ში შემავალ ქვეყნებშიც უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება ბოლშევიკური აჯანყებების მიმართ, რაც ეწყობოდა რუსეთის კომუნისტური სახელმწიფოს სპეცსამსახურების (თუნდაც ადგილობრივი კომუნისტების) ინიციატივით და მიმართული იყო დემოკრატიული რეჟიმების დასამხობად. ასეთ ვითარებაში ტერორისტებისა და სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის გამართლებული უნდა იყოს, მით უფრო, რომ საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლება ებრძოდა ბოლშევიკურ საფრთხეს, როგორც ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“, ისევე სამეგრელოში, იმერეთში, ღუშეთსა და სხვა რეგიონებში, რომელთა მოსახლეობა ბოლშევიკურ ზეგავლენას განიცდიდა.

აქედან გამომდინარე, სამართლიანია ო. ჯანელიძის დასკვნა: „Бесспорно и то, что подобные меры со стороны грузинских властей являются закономерной ответной реакцией на вражеские происки, направленные против молодого грузинского государства»¹¹.

მრავალმხრივად საყურადღებო კრებული დიდი ინტერესით მიიღო მკითხველმა საზოგადოებამ. ამავე სერიის გაგრძელებას წარმოადგენს კრებული «Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии». საქმე ისაა, რომ 2008 წლის აგვისტოს აგრესიის შემდეგ, როცა მოხდა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია, რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით რიგი რუსი ისტორიკოსი კიდევ უფრო აქტიურად შეუდგა საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპების გაყალბებას და რუსეთის სახელმწიფოს უკანონო ანტიქართული საქმიანობისათვის იდეოლოგიური საფუძველების მომზადებას. უზარმაზარი ფინანსური სახსრები ხმარდება ასეთი ოპუსების შექმნას და პუბლიკაციას. ხშირია ერთი და იგივე ნაშრომის ხელახალი ტირაჟირება. როგორც ირკვევა, საქართველოს წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის გასაძლიერებლად ყოველწლიურად რუსეთის სპეცსამსახურები 18 მილიონ დოლარს ხარჯავენ. და შედეგიც სახეზეა – უამრავი „გამოკვლევა“ და ინტერნეტპუბლიკაცია გაჩნდა საქართველოს ისტორიის შესახებ. ქართველმა ისტორიკოსებმა შეძლეს 2010 წელს რუსულენოვან ინტერნეტ და სხვა გამოცემებში გაფანტული ინფორმაციის თავმოყრა, საინფორმაციო კომპიუტერული ბანკის შექმნა, რაც გახდა კიდევ საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ უკომპრომისო საქმიანობის საფუძველი.

ბოლო წლებში ინტერნეტგამოცემებში საქართველოს შესახებ ვინმე ა. ეპიფანცევის მიერ ძალიან ბევრი ინფორმაცია ვრცელდებოდა, სადაც უსირცხვილოდ ყალბდება საქართველოს ისტორია, მისი წარსული, აწყობა, მომავალი. საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი სიძულვილი ამ ადამიანს აკარგვინებს ლოგიკური ანალიზის უნარს, ფაქტების ობიექტურ შეფასების აუცილებლობას და აშკარად რუსეთის სპეცსამსახურებისათვის საამებელ ნაშრომებს აწერინებს. მის და მისნაირ „მწერლების“ მიმართ სამართლიანად აღნიშნავს დ. მუსხელიშვილი: «Стоит ли разговаривать с таким хулиганствующим мракобесом? Вот уж действительно, откуда берутся такие



субъекты, какое им дело до Грузии и кому они нужны, вообще, на Кавказе. – вот это, на самом деле, большой вопрос!»¹²

ა. ეპიფანცევი არ მოერიდა ქართველი ერის სულიერი მამის, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის შეურაცხყოფასაც კი, რათა გაემართლებინა რუსეთის აგრესიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რაც მთელი მსოფლიოს კეთილი ნების სახელმწიფოებისა და ხალხების სამინელ აღშფოთებას იწვევს. მკვლევარი ზ. პაპასკირი ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, თავის სტატიამი ქვაქვაზე არ სტოვებს ა. ეპიფანცევის მტკიცებულებებიდან, რომელიც ცდილობს რაღაც ლოგიკური დასაბუთება მოუძებნოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისაგან აფხაზეთის ეპარქიის ჩამოცილებას, დააკნინოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამშვიდობო მოღვაწეობა და მისი ინტენსიური საქმიანობა საქართველოს გაერთიანება-გამთლიანებისათვის.

ქართველი ისტორიკოსების ა. ბენდიანიშვილის, მ. სამსონაძის, ა. დაუშვილის წარმოდგენილი სტატიები ასევე ა. ეპიფანცევის „ნაღვანის“ მეცნიერულ კრიტიკას წარმოადგენს. რუსი ავტორი, აშკარად, გარკვეულ ინფორმაციას ფლობს საქართველოს ისტორიის შესახებ, მაგრამ ანტიქართული აკვიატებული იდეით აღჭურვილი, ფორმალური ლოგიკით შეიარაღებული, ცდილობს მკითხველს შეუქმნას არასწორი წარმოდგენა საქართველოს შუა საუკუნეების თუ ახალი ისტორიის შესახებ, უარყოფითად აფასებს ერეკლე II-ის მოღვაწეობას, აყალიბებს მცდარ შეხედულებებს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის მიზანშეწონილობის შესახებ, გამოთქვამს „დასაბუთებულ“ მოსაზრებებს საქართველოს ახლო მომავალში აუცილებელი დაშლის შესახებ.

ზემოაღნიშნულ კრებულში ქართველი ისტორიკოსები საისტორიო წყაროების მოშველიებით ამხელენ ამგვარი „თხზულებების“ არამეცნიერულ ხასიათს, მტკიცედ უკავშირებენ მას რუსეთის სახელმწიფოს ანტიქართული მოღვაწეობის იდეოლოგიური უზრუნველყოფის საკითხებს და ასკვნიათ: „Извергнутый А. Елифанцевым каскад лживых обвинений не следует просто критиковать, мы твердо уверены, что в данном случае критика абсолютно бесполезна; думаем, «теории» подобного рода, как орудия разжигания междоусобных войн, особым образом должны быть изучены и рассмотрены соответствующими правозащитными организациями, разумеется, если когда-нибудь такие организации начнут действовать и в российской империи.“¹³

თავისი სიფლიდით, ანტიმეცნიერული ხასიათით გამოირჩევა ა. ეპიფანცევის „სუთნიგნი“ – სერია წერილებისა, სადაც ავტორი აგრძელებს თემას „საქართველოს – მცირე იმპერიის“ შესახებ და მას ახლო მომავალში დაშლას უწინასწარმეტყველებს. ამ წერილებში აშკარად ჩანს დიდმპყრობელი შოვინისტის ჭეშმარიტი სახე – „რუსეთის დიდი იმპერიის“ დაშლით გაღიზიანებული „დერჟიმორდა“, რომელიც საქართველოს იმას აბრალებს, რასაც მისი სამშობლო ქვეყანა საუკუნეების მანძილზე უაპელაციოდ ახორციელებდა სხვა, მართლაც იარაღის ძალით დამორჩილებული ერებისა და სახელმწიფოების მიმართ. ამიტომაც სწორია ქართველი ისტორიკოსის დასკვნა

ა. ებიფანცევის არგუმენტებზე: „Давайте внимнем в обвинения, предъявленные грузинской „мини – империи“.

„Империя – это государство, вектор развития которого направлен на то, чтобы распространить свое влияние как можно дальше на другие народы, территории и государства“.

Вот оно что? **Так, это же Россия!**

„Не важно по каким причинам – в борьбе ли за ресурсы – в попытке ли обезопасить границы, стремясь получить новые территории для расселения коренного этноса, отвечая на призывы других народов о помощи и т. д.“.

И опять, **это – Россия!**

„Выбирается организация, ставится на содержание государства и, начиная с этого момента, она по сути является не выразителем интересов этноса, а рупором власти“.

Ведь это тоже Великая Россия!

Да, Россия, которая всегда была „великой империей“. И для подтверждения этого никогда не требовались словари и справочники. Всему миру и так известны ее имперские амбиции и претензии.

Россия прославилась погромами евреев, истреблением чеченцев и других северокавказцев, ассимиляцией украинцев, белорусов, казахов, татар, башкир, и других этнических групп, физическим и моральным уничтожением северных народов (эвенки, нивхи и др.)¹⁴.

საქართველოს, როგორც „მცირე იმპერიის“ აკად. ა. სახაროვისეული უპასუხისმგებლო კვალიფიკაციის აბსურდულობას ეძღვნება დ. მუსხელიშვილის წერილი: „Грузия – «Малая империя?!“.

განსაკუთრებით მტკივნეულია, როცა ცდილობენ დააკნინოს ქართველი ერისა (არამართო ქართველი ერის) და საქართველოს მოსახლეობის წვლილი მე-II მსოფლიო ომში. საერთოდ, ტენდენცია – მთლიანად მიისაკუთრონ „დიდი სამამულო ომის“ გამარჯვების შედეგები და ეს ყველაფერი მხოლოდ რუსი ხალხის საბრძოლო შემართებას დაუკავშირონ, დამახასიათებელია თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიისათვის, მასმედიისათვის. სინამდვილეში ეს ასე არ არის და ამაზე მიუთითებს მ. ნათელაძე თავის სტატიაში, როცა ასკვნის: „Из Грузии в Великой Отечественной войне принимало участие 700 тысяч человек, т. е. число призванных в армию (включая военный контингент, находящийся в Советской армии до начала войны) составляло 19% населения республики, что по сути было беспрецедентным явлением. В результате этого в Грузии сложилась тяжелая демографическая ситуация“¹⁵.

თანამედროვე რუსი ისტორიკოსების ერთი ჯგუფი საერთოდ იგნორირებას უკეთებს იმ ღვაწლს, რაც ქართველებმა, სომხებმა, უზბეკებმა, ყაზახებმა და საბჭოთა კავშირის სხვა ერებმა შეიტანეს საერთო გამარჯვების საქმეში, ავიწყდება ამ რესპუბლიკებში ევაკუირებული სანარმოები და რუსი მოსახლეობა, საბჭოთა ადამიანების ქემშარიტად ძმური თანამშრომლობა ომის უმძიმეს წლებში და დღეს უაპელაციოდ უჭერენ მხარს ზოგიერთ ნა-

ციონალისტ პოლიტიკოსსა და მასმედიის წარმომადგენელს, რომლებიც ამ ქვეყნიდან ემიგრირებული მოსახლეობის მიმართ (მათ შორის ქართველების მიმართ) დრაკონულ კანონებს იღებენ და უკრძალავენ რუსეთის ფედერაციაში შესვლას, ცხოვრებას.

არ შეიძლება დადებითად არ ჩაითვალოს კრებულის შემდგენლების მცდელობა რუსი ისტორიკოსების კრიტიკის გვერდით წარმოაჩინონ მათი ქართველი კოლეგების ნაღვანი – რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემების თანამედროვე ინტერპრეტაცია. ამიტომაც კრებულში წარმოდგენილია წერილები მ. სამსონაძის, ო. ჯანელიძის და ხ. ქოქრაშვილის, რომლებიც ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების აქტუალურ პრობლემებს: რუსეთის იმპერიაში 1801 წელს შესვლის ძალმომრეობით ხასიათს, რუსეთის საიმპერიო მანქანის მხეცობას ქვეყნის ძალმომრეობითი ოკუპაციის პირობებში, წარმოუდგენელ ძალადობას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ და ა.შ.

ბოლო წლებში რუსი ისტორიკოსები ცდილობენ საეჭვო გახადონ ქართველი ერის ერთიანობის საკითხიც და ქართული, მეგრული და სვანური ენების რეალურად არსებობის გამო ენევიან ძირგამომთხრელ საქმიანობას. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის პირობებშიც კი, XIX საუკუნეში მეგრელებისა და სვანების ქართველობას ჩინებულად ჰქონდათ შეგნებული რუსეთის ჩინოვნიკებსაც კი, რაზეც აშკარად მიუთითებს თბილისში 1869 წელს დაბეჭდილი კრებული: „Сборник статистических сведений на Кавказе, т. 1“, რომელშიც ქართლ-კახელები, იმერლები, გურულები, მეგრელები, სვანები და ინგილოები ერთ მთლიან ერად – ქართველ ერად არიან მიჩნეულნი. მართლაც, საწყენია, რომ თანამედროვე რუსულმა ისტორიოგრაფიამ ის პოზიტიური ცოდნაც დაკარგა, რაც მათ წინაპრებს ჰქონდათ და არავისში ის ეჭვს არ იწვევდა.

საჭიროა ურთიერთობის აღდგენა პოსტსაბჭოთა ქვეყნის პროგრესულად მოაზროვნე ისტორიკოსებთან და პოლიტოლოგებთან, საჭიროა სახელმწიფოს მხრივ დახმარება, რომ საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა არ იყოს ეპიზოდური ხასიათის, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიასთან შეიქმნას მუდმივმოქმედი სამეცნიერო ჯგუფი, რომელიც შეინარჩუნებს ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის უკვე დაგროვილ ტრადიციას, განავრცობს და განავითარებს მას, შექმნის ანტიქართული პროპაგანდის წინააღმდეგ ფუნდამენტურ ბარიერს, რასაც ასე ადვილად ვერ გადმოლახავს ქართველი ერის ყველა მოძულე. ამ საქმის დახანება არ შეიძლება.

ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძე, ქვათა ლაღადი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. 5, გვ. 21.
2. Широкоград А. Б. Грузия. Закавказский туник? М., 2010. с. 3.
3. М.Лорджиანიძე, К вопросу о надписях Храма Джвари в Мцхета, «Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии», Тб., 2009, с.105.
4. Р. Метრელი, Н. Шошиашвили, Очередной наступление на историю Грузии или — по поводу исторической принадлежности Джавахетского Ахалкалаки, «Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии», Тб., 2009. с.140.
5. Д. Мухелишвили, Из политических взаимоотношений средневековой Армении и Грузии, «Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии», Тб., 2009. с.136.
6. М. Лорджиანიძე, Д. Мухелишвили, Открытое письмо Премьер-министру Российской Федерации В. Путину, «Некоторые вопросы истории осетин Шиды Каргли», Тб., 2010. с.6.
7. А. Тотадзе, Демографические изменения в Шиды Каргли, искаженная история и «угнетенные» осетины, «Некоторые вопросы истории осетин Шиды Каргли» - Тб., 2010. с.170.
8. Г. Отхмезури, Эпиграфика северной части Шиды Каргли, «Некоторые вопросы истории осетин Шиды Каргли», Тб., 2010. с.106.
9. М. Ткавашвили, Русско-осетинское противостояние в Грузии в начале XIX века, «Некоторые вопросы истории осетин Шиды Каргли», Тб., 2010. с.253.
10. О. Джanelidze, Осетинский вопрос в Демократической Республике Грузия (1918-1921), «Некоторые вопросы истории осетин Шиды Каргли», Тб., 2010. с.381.
11. Д. Мухелишвили, Вместо предисловия, «Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений современной историографии», Тб., 2011. с.4.
12. М. Самсонадзе, Политическая модель разжигания антигрузинской истории, «Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии», Тб., 2011. с.89.
13. А. Даушвили, Апокалиптический «пятинижемк» «тов.Елифанцева» и история единой Грузии, «Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии», Тб., 2011. с. 135-136.
14. М. Натмеладзе, К вопросу участия Грузин в битве за Кавказ в 1942-1943 годах в русской историографии, «Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии», Тб., 2011. с. 150.

ALEXANDER DAUSHVILI

AGAINST FALSIFICATION OF GEORGIAN HISTORY

Summary

Last period there are many cases of evident falsification of Georgian history from one group of historians and political scientists of our neighbor counties. It follows from state interests that some „scientists” develop groundless opinion around important issues of ancient, medieval, new and the newest history of Georgia. Georgian historians, sociologists, ethnologists and anthropologists united around Commission of History, Archeology and Ethnology at Georgian National Academy of Sciences in order to react to the efforts of some people who try to falsify the process of historic development of Georgia.

The logical results of the above-mentioned work are four scientific collections which were published in 2010-2011. They are: «Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии», «Некоторые вопросы истории осетин Шиди Карли», «Некоторые вопросы истории Грузии в российской историографии» and “Some Issues of Georgian History in Armenian Historiography” published in the U.S. by “Nova Science Publishers”.

In the collection there are articles of S. Janashia, M. Lortkipanidze, D. Muskhelishvili, R. Metreveli, N. Shoshiahsvili, G. Maisuradze, D. Berdzenishvili, V. Itonishvili and others. The articles prove logically nonscientific and tendentious character of activity of falsifiers of Georgian history.

In the article there is shown the necessity of formation of permanent scientific group at Georgian National Academy of Sciences in order to give systematical and reasoned arguments to the efforts of falsifiers of Georgian history.

АЛЕКСАНДР ДАУШВИЛИ

ПРОТИВ ФАЛЬСИФИКАЦИИ ИСТОРИИ ГРУЗИИ

Резюме

В последнее время в соседних с нами странах со стороны небольшой группы историков и политологов участились случаи открытого фальсифицирования истории Грузии. Исходя из собственных государственных интересов, некоторые «ученые» стали развивать совершенно необоснованные соображения относительно кардинальных вопросов древней, средневековой, новой и новейшей истории Грузии. В этой связи грузинские историки, социологи, этнологи, антропологи объединились вокруг Комиссии истории, археологии и этнологии при Национальной Академии наук Грузии, чтобы предотвратить подобного рода

попытки искажения и фальсифицирования процесса исторического развития Грузии.

Логическим результатом проведенных ими исследовательских работ явились четыре научных сборника, опубликованные за 2010-2011 гг., в том числе: «Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии», «Некоторые вопросы истории осетин Шиди Картли», «Некоторые вопросы истории Грузии в российской историографии» и опубликованный в США сборник под названием «Some Issues of Georgian History in Armenian Historiography» (издательство «Нова»).

Размещенные в сборниках статьи С. Джанашиа, М. Лордкипанидзе, Д. Мухелишвили, Р. Метревели, Н. Шошиашвили, Г. Майсурадзе, Д. Бердзенишвили, В. Итонишвили и др. логически подтверждают и обосновывают ненаучный и тенденциозный характер деятельности фальсификаторов истории Грузии.

В статье поставлен вопрос о необходимости создания при Национальной Академии наук Грузии постоянно действующей научной группы, которая обеспечит разработку систематических и аргументированных ответов против очередных попыток искажения истории Грузии со стороны т.н. ученых-фальсификаторов.

სამეცნიერო კონფერენციები

ქ. გორში, 2012 წლის 3-4 თებერვალს ჩატარდა სამთავისის საპატრიარქოსა და სამთავისისა და გორის ეპარქიის (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად) მეოთხე სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კირიონ II-ეს.

* * *

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გაფართოებულ სხდომებზე განხილული იქნა: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (2012 წლის 2 მარტი), გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრის (2012 წლის 27 მარტი), თსუ-ს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის (2012 წლის 10 აპრილი) საქმიანობა და პერსპექტივები; მოსმენილ იქნა აგრეთვე (2012 წლის 4 მაისი) პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიის დეპარტამენტის მეცნიერ-თანამშრომლის, პროფ. კატარზინა კოსც-რიზკოს მოხსენება «კავკასიელ ლტოლვილთა იდენტობა და ინტეგრაცია პოლონეთში (ლტოლვილთა ორი ბანაკის მაგალითზე)».

* * *

2012 წლის 25 აპრილს თბილისში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიის, ქართულ-ამერიკული ურთიერთობის ხელშემწყობი ფონდის, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 20 წლისთავისადმი; წაკითხული იქნა ექვსი მოხსენება.

* * *

2012 წლის 30 აპრილს თბილისში ჩატარდა ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის და ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია – «ეკლესია და ოჯახი» (ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია).

* * *

2012 წლის 8 მაისს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მოეწყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო შეხვედრა.

* * *

2012 წლის 31 მაისს საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის ეგიდით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მეცნიერ-ისტორიკოსთა ფართო წრის, საზოგადო მოღვაწეთა და მასმედიის წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა წარდგინება კოლექტიური მონოგრაფიისა „წარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე“ (3 ნიგნი ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე; მთავარი რედაქტორი პროფ. ჯ. გამახარია).

* * *

2012 წლის 14 ივნისს თბილისში შედგა „ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის“ სამეცნიერო სემინარი – „ეროვნული თვითმყოფადობა საკაცობრიო ღირებულებების კონტექსტში“, რომელიც მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლისთავს.

* * *

2012 წლის 26-30 ივლისს ქ. ახალციხეში ჩატარდა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო და საუნივერსიტეტო დაწესებულებების ერთობლივი ტრადიციული (XIV) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია ფოლკლორისტიკა“, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვახტანგ შამილაძის (1935-2010) ხსოვნას.

კონფერენციის ორგანიზატორებია: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისია“, „კავკასიის ფონდი“, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ო. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი, ჩერქეზული (ადილეური) კულტურის ცენტრი, დავით ბაახოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართულ-კავკასიური კულტურის, ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ასიროლოგთა, ბიბლიისტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოება.

მომზადდება და გამოქვეყნდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა (220-მდე) მოკლე შინაარსის კრებული – „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია ფოლკლორისტიკა“.

ახალი წიგნები

თ. აბულაშვილი, საქართველოს არქეოლოგიის ისტორია (1920-1960), რედაქტორი დ. ახვლედიანი, თბ., 2012, 166 გვ.

1924 წლის აჯანყების მონაწილეთა სასამართლო პროცესი, დოკუმენტები და მასალები (1925 წლის ივლისი-აგვისტო). გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ლ. ჯიქიამ. თბ., „უნივერსალი“, 2012, 364 გვ.

გ. ანჩაბაძე, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები, II, თბ., 2011, 240 გვ.

ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები, 1, რედაქტორები: თ. დუნდუა, თ. პაპასქირი, ა. ბოშიშვილი, ო. ჯიქური, თბ., „მერიდიანი“, 2012.

ვ. გურული, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფია (1801-1991), თბ., „უნივერსალი“, 2012, 104 გვ.

ე. ისმაილოვი, ვ. პაპავა, ცენტრალური ევრაზია, ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება, თბ., „ინტელექტი“, 2012, 188 გვ.

ზ. კაკაბაძე, ფილოსოფია და ცხოვრება, რედაქტორი მ. მახარაძე, ბათუმი, 2012, 104 გვ.

კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, აღმოსავლური კრებული, XXVII, მთავარი რედაქტორი გ. ლორთქიფანიძე, თბ., 2012, 120 გვ.

ე. ნადირაძე, ქართული და ძველალმოსავლური სამყარო გიორგი ჩიტაიას შემოქმედებაში, თბ., 2012, 40 გვ.

ოსმალური ფირმანები და ბერათები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის (XVI-XVIII სს.), თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებით და საძიებლებით, გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., „პოროსი“, 2012, 860 გვ.

თ. ჟორდანიას, თხზულებანი, შემდგენელ-რედაქტორი ქ. ნადირაძე, თბ., „მნიგნობარი“, 2012, 80 გვ.

ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი და ფერეიდანი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გეგმებში, დოკუმენტები და მასალები (1944-1951). გამოსაცემად მოამზადეს ვ. გურულმა და ლ. ჯიქიამ, თბილისი, 2012, 112 გვ.

ნ. ხაზარაძე, ნ. ბახსოლიანი, ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, რედაქტორი ი. ტატიშვილი, თბ., „მნიგნობარი“, 2012, 130 გვ.

მ. ხომერიკი, იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, თბილისი, „უნივერსალი“, 2012, 450 გვ.

ი. ჩიქავა, ჟორდანიას მთავრობის და ეროვნული ძალების მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, 1921-1933. რედაქტორები: გ. უვანია, ო. აბუთიძე, თბ., „გეოდი“, 2012, 318 გვ.

გ. ჯაფარიძე, ძიებანი საქართველოსა და ახლოაღმოსავლეთის ისტორიაში, 1, თბ., „მხედარი“, 2012, 384 გვ.

Abkhasia, მთავარი რედაქტორი ვ. გამახარია, თბ, 2011, 524 გვ.

აუბა კულაპა

საადამიკოსი ილია აბულაძე

როცა ბატონი ილია გარდაიცვალა, მე დაბადებულზე არ ვიყავი. თუმცა ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მას კარგად ვიცნობდი.

დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ილია აბულაძის არაერთი მონაფე თუ „მონაფეთა მონაფე“ მუშაობს. მას შემდეგ, რაც ხელნაწერთა ინსტიტუტში ვარ, მონაფეთა თაობისაგან გამუდმებით ვისმენ მოგონებებს ბატონ ილიაზე. ხშირად იგონებენ. იგონებენ როგორც მეცნიერს, მასწავლებელს, დამაარსებელს, პირველ დირექტორს, იგონებენ როგორც ქვეყნის გულშემმატკივარსა და საკუთარი საქმის ფანატიკოსს.

მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ყოველთვის ამ მოგონებებში ბატონი ილია თითქოს აღარაა არც დირექტორი და არც მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, არც პედაგოგი და არც სამეცნიერო ხელმძღვანელი, არც უნივერსიტეტის პროფესორი და აღარც ფაკულტეტის დეკანი. ის ერთი უბრალო ადამიანია, ხელნაწერების, საქმის, ძმისშვილებისა და საერთოდ, მოყვასის მოყვარული, თავმდაბალი და ბავშვურად მიამიტი ბერიკაცი (რა გასაკვირია, რომ 21-22 წლის ასპირანტებსა თუ თანამშრომლებს ბერიკაცად მოჩვენებოდათ სამოცს მიღწეული და შემდეგ სამოცს გადაცილებული ხელმძღვანელი. ახლა კი, ოთხმოც წელს მიღწეულთ თუ გადაცილებულთ, თავად ელიმებათ მაშინდელ აღქმაზე).

ამ მოგონებებში ილია აბულაძე აღარაა ისეთი მკაცრი, როგორც დირექტორობისას – საათით ხელში რომ დგას ინსტიტუტის შემოსასვლელთან და დაგვიანებულთ ნუთებს უთვლის პატარა კოლეგებს. აღარც მისი შენიშვნები და საყვედურები სწყინს ვინმეს. მხოლოდ დიდი სითბო და სიყვარული დარჩენილა იმ მტკიცე დირექტორისგან.

ისე ხშირად მომისმენია ეს მოგონებები, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ვიცნობდი... მომისმენია ბევრჯერ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ისტორიები, ხშირად ერთი და იგივე ამბები, მაგრამ ყოველ ახალ მოყოლილზე – თითქოს ახალიო, ისე. მომისმენია მისი გამონათქვამები, მისი ინტონაცია. მომისმენია „ხელნაწერის ბაცილა თუ შეგეყარა, ველარ განიკურნებო“ და ასეთი არაერთი.

ვიცნობდი, რადგან მის კაბინეტში ჯდომის პატივი მარგუნა ღმერთმა – იმ ოთახში, რომელიც, როგორც მისი მონაფეები ხუმრობით იხსენებენ, საგანგებოდ შეარჩია, რათა ინსტიტუტში შემომსვლელ-გამსვლელი თანამშრომლები ეკონტროლებინა. იმ კაბინეტში, რომელშიც თითქოს იგივე აუ-

რაა, იგივე საზრუნავია, იგივე მიზნები და ისევე ის ამოცანებია, რაც ნახევარი საუკუნის წინ იყო, იგივე საფიქრალი და იგივე პრობლემებია, რაც ბატონი ილია დროს... ალბათ ამის გამოცაა, რომ რაც წლები გადის, თითქოს უკეთ და უკეთ მესმის მისი...

ვიცნობდი, რადგამ იმ ადამიანებთან მუშაობის პატივი დამდო ბედმა, რომლებიც მას კარგად იცნობდნენ და რომლებმაც მისგან საქმის სიყვარული და ერთგულება, მეცნიერული კეთილსინდისიერება და სისტემატური მუშაობა ისწავლეს. ილია აბულაძის მოწაფეებთან ყოველდღიური ურთიერთობით ბატონ ილიას თითქოს სულ უფრო და უფრო ახლოს ვეცნობი.



ის ალბათ ჯერ სტუდენტობისას

გავიცანი – მისი შრომებით, მისი სახელით, სხვადასხვა წიგნებში რომ მხვდებოდა – ავტორად, რედაქტორად, ტექსტის გამომცემლად... მერე ამას, როგორც ვთქვი, მისი მოწაფეები და მოგონებები დაერთო. ვერ ვიხსენებ, როდის შევიტყვე პირველად, რომ იგი ხელნაწერთა ინსტიტუტის დამაარსებელიც ყოფილა – იდეის ავტორი, მრავალი დაბრკოლების გადამლახავი და პირველი ხელმძღვანელი. მერე და მერე ხელნაწერთა ინსტიტუტი, მისი სპეციფიკა და მისი საქმიანობაც უკეთ გავიცანი, სიძნელეები პირადადაც გამოვცადე და ნელ-ნელა მივხვდი, რა რთული იქნებოდა იმ დროში მსგავსი დაწესებულების დაარსება და ხელმძღვანელობა, შემდეგ კი დიდი ტრადიციებისთვის საფუძვლის ჩაყრა.

ილია აბულაძეს ნაკლებად იცნობენ როგორც დამაარსებელს. ასეთად მას მხოლოდ იმ სპეციალისტთა ვიწრო წრე აღიქვამს, რომელთათვისაც იგი უპირველესად დიდი მეცნიერი და უზადლო პროფესიონალი იყო. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მეცნიერმა ილია აბულაძემ ერთგვარად დაჩრდილა დამაარსებელი ილია აბულაძე. არადა მიმაჩნია, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტის დაფუძნება მისი ცხოვრებისა და დიდი ღვაწლის ერთგვარი გვირგვინია, ის ეტაპია, რომლისკენაც ისწრაფოდა მთელი შეგნებული ცხოვრება, რისკენაც მიდიოდა მისი თითოეული შრომა, მისი ყოველი ნაბიჯი.

ნაკლებად იცნობენ, არადა უნიკალური და უძველესი ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის დაცვის, მოვლის, თავმოყრის, კვლევისა და პოპულარიზაციისათვის ცალკე დაწესებულების დაარსება, ჯერ იდეის დაბადება, მერე ფიქრი და მუშაობა, ბოლოს კი – ხორცშესხმა, არამცთუ ქართული მეცნიერებისა და კულტურის, არამედ, ზოგადად, ბოლო პერიოდის საქართველოს ისტორიაში ერთი დიდი და გამორჩეული ფურცელია. მან მშვენიერად იცოდა და შეეცადა მთელ მსოფლიოს გაეგო, რომ თუკი რაიმე ზედმიწევნით

წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანასა და მის კულტურას, ჩვენს ისტორიასა და ხასიათს, ერთ-ერთი ასეთი სწორედ ჩვენი დამწერლობაა, სამხმიანობის მსგავსად სამსახოვანი რომ შეუქმნიათ ერთფეროვნების მოძულე ჩვენს წინაპრებს, ჩვენი ხელნაწერებია.

არადა, წარმომადგენია, რა რთული იქნებოდა... რთული იქნებოდა იმ დროში და იმ საზოგადოებაში, რეპრესირებული ოჯახის წარმომადგენლისა და მძიმე ოჯახური პირობების კაცისთვის, რთული იქნებოდა აქტიური მეცნიერისა და პედაგოგისთვის...

ვფიქრობ, თანამედროვე საქართველო და მით უფრო, ჩვენ, დღევანდელი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვცდილობთ, უკეთ წარმოვანიწოთ ილია აბულაძე როგორც დამაარსებელი დიდი საეანისა, შემქმნელი დიდი სამეცნიერო სკოლისა, ფუძემდებელი დიდი ტრადიციებისა. ეს მას მხოლოდ კი არ ეკუთვნის, ამას მხოლოდ კი არ იმსახურებს, ამას მხოლოდ სამართლიანობა თუ ტაქტი კი არ მოითხოვს, ამის მხოლოდ დრო კი არ დადგა, არამედ ეს გვესაჭიროება კიდევ – მის მშობლიურ დანეხებულებას და ზოგადად ქართველოლოგიურ მეცნიერებებს, გვჭირდება ქვეყანას და საზოგადოებასაც, გვჭირდება ისევე, როგორც უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი – უნივერსიტეტსა და სტუდენტობას, ქართველ საზოგადოებასა და ქართულ სახელმწიფოს.

ამ სათქმელს ალბათ დრო ნელ-ნელა უკეთ და უკეთ იტყვის. რაც დრო გავა, ალბათ მეტად გავიცნობთ ილია აბულაძეს ამ კუთხით, უკეთ გავიცებთ იმ სირთულეების შესახებ, რაც წინ დახვდა, რაც გადალახა თუ ვერ გადალახა, იმ ძალისხმევების შესახებ, რაც გასწია, იმ ენერჯის შესახებ, რაც გაიღო. ამ მხრივ უპირველესი მოვალეობა სწორედ ჩვენ გვაკისრია – მის მონაფეებსა თუ მონაფეთა მონაფეებს.

გასულ წელს ილია აბულაძის დაბადებიდან 110 წელი შესრულდა. იუბილე აღინიშნა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშიც და მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაშიც. საიუბილეო წელსაც და მანამდეც, დიდი მეცნიერისა და დამაარსებლის სახელის დაფასება სხვადასხვა მოკრძალებული ფორმებით ვცადეთ:

ხელახლა დამუშავდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ილია აბულაძის პირადი არქივი, მომზადდა აღწერილობა და გამოიცა ცალკე წიგნად ახალი სერიით – „პირადი არქივების აღწერილობა“ (წიგნი მეორე);

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოვამზადეთ და ცალკე წიგნად გამოვეცით ილია აბულაძის ბიბლიოგრაფია; დაიწყო მისი დღემდე გამოუქვეყნებელი, ძველქართულ-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონის გამოსაცემად მომზადება. სალექსიკონო მასალები ბატონ ილიას ბარათებად უკეთებია, ჩვეული ლამაზი კალიგრაფიით ჩაუნიკნიკებია, მაგრამ მისი გამოცემა ვეღარ მოუხსრია. ეს ლექსიკონი ილია აბულაძის ერთ-ერთი უკანასკნელი ნაშრომია, დიდი მეცნიერი სწორედ მისი რედაქტირების ეტაპზე იყო, როცა გარდაიცვალა. მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, აღნიშნული ნაშრომის მხოლოდ შეკვეცილი ვარიანტი – ქართული ნაწილი გამოიცა „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ სახით (რედაქტორები: ელენე მეტრეველი, ცილა ქურციკიძე; 1973). დღეისათვის რამდენიმეწლიანი შრომა დასრულებულია

და დიდი იმედი გვაქვს, რომ ილია აბულაძის ტიტანური შრომის შედეგს, სრული ვერსიით, მალე იხილავს ქართველოლოგიური და არმენოლოგიური მეცნიერებებით დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოება.

საგანგებოდ გარემონტდა და კეთილმოეწყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებული ილია აბულაძის მემორიალური კაბინეტი, სადაც მოთავსებულია მისი პირადი ბიბლიოთეკა, საწერი მაგიდა, საკაბინეტო ინვენტარი და პირადი ნივთები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო დარბაზს ეწოდა მისი სახელი (ეს ის დარბაზია, სადაც ხელნაწერების გარემოცვაში უკანასკნელი ნუთები გაატარა განსვენებულმა მეცნიერმა და საიდანაც გამოეთხოვა მშობლიურ ინსტიტუტს); ამავე დარბაზში, 2011 წელს, ილია აბულაძის დაბადებიდან 110 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მოეწყო მისი ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო მასალები მისი პირადი არქივიდან (ხელნაწერები, ფოტოები, წერილები, დოკუმენტები...); მისი გამოცემული შრომები, საინფორმაციო ბანერები.

2011 წელს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ჩატარდა ილია აბულაძისადმი მიძღვნილი I სამეცნიერო კონფერენცია. ამით საფუძველი ჩაეყარა ტრადიციულ სამეცნიერო სესიას, რომელიც გადაწყდა, რომ ყოველი წლის ნოემბერში, ილია აბულაძის დაბადების დღის (24 ნოემბერი) ახლო პერიოდში გაიმართოს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა მეცნიერის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, სადაც მოგონებებით წარდგინენ ცენტრის უფროსი თაობის მეცნიერები. ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა ეხილა საგანგებოდ მომზადებული მცირე დოკუმენტური ფილმი – „ილია აბულაძე 110“. ფილმი ეხება დიდი მეცნიერის მოღვაწეობის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს. მასში ჩართულია ამონა-რიდები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა ინტერვიუებიდან, რომლებშიც უფროსი თაობის წარმომადგენლები იგონებენ თავიანთ მასწავლებელს. თბილისის მერიის თანადგომით, ილია აბულაძის საცხოვრებელ სახლზე (ილია ჭავჭავაძის გამზირი, № 24) მოთავსდა მემორიალური დაფა;

მომავალში კიდევ ბევრი რამ გვაქვს განზრახული, რომელთა განხორციელებასაც, იმედი მაქვს, ეტაპობრივად შევძლებთ. ვფიქრობთ, დადგა დრო ხელახლა მომზადდეს და გამოიცეს ილია აბულაძის შრომები. თავის დროზე, 1975-1985 წლებში, მისი ნაშრომების 4-ტომეულის გამოცემით დიდი საქმე გაკეთდა. დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული გამოცემა სასურველია იმ მასალებითაც შეივსოს, რომლებიც სხვადასხვა მოსაზრებითა თუ მიზეზით ვერ შევიდა აღნიშნულ ტომებში. მაგალითისათვის, გამორჩეულია ილია აბულაძის ნაშრომი – „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში“ (ლითოგრაფიული გამოცემა; თბ. 1944), რომელიც თავის დროზე საკმაოდ დაბალი ტირაჟით – სულ 150 ცალად გამოიცა და დღეს ასევე ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა.

როცა ჩვენი უფროსი კოლეგები, ჩვენი ღვანლმოსილი თანამშრომლები, მეცნიერის ოჯახის მემკვიდრეები შინაურ საუბრებსა თუ ოფიციალურ ღონისძიებებზე ბატონ ილიას იგონებენ, ვხვდები, რომ დიდი მეცნიერის პორტრეტის უკეთ

საჩვენებლად აუცილებელია ასეთი მოგონებების დროულად ჩანერა და უკვე ჩანერილ თუ დანერილ მოგონებებთან ერთად ცალკე წიგნად გამოცემა. მისი სახელის ფართო საზოგადოებისათვის უკეთ გაცნობის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია თბილისში ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი ეწოდოს (ჩვენს ამ ინიციატივას უკვე დადებითად გამოეხმაურა თბილისის საკრებულო), შემდგომში კი, ამ ქუჩაზე ან ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ეზოში მისი ბიუსტიც დაიდგას. მიგვაჩნია, რომ დიდი მეცნიერისა და დიდი მოღვაწის სახელი მეტ დაფასებას მოითხოვს. სიცოცხლეში თითქოს არ აკლდა ავტორიტეტი და ყურადღება, თუმცა, როგორც ხშირად ხდება, ალბათ თავის დროზე ვერც მას ვუთხარიტ ფეროვანი მადლობა, ვერც იგი გავისტუმრეთ გულისტკენის გარეშე...

დღეს ილია აბულაძის ხელნაწერთა ინსტიტუტს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ჰქვია. ხშირად მიწევს ხაზგასმა და აქაც სიამოვნებით გავიმეორებ, რომ სახელის შეცვლა მხოლოდ და მხოლოდ დროის გამოძახილია, მიზნები და ამოცანები კი, ძირითადი პრიორიტეტები, უმთავრესი ფასეულობები და დამოკიდებულებები, ხელნაწერთა სიყვარული და ტრადიციებისადმი ერთგულება ჩვენში კვლავაც ისეთია, როგორც ბატონმა ილიამ უანდერძა მოწაფეებს.

ძველ მიზნებს, ძველ ამოცანებს, ძველ წარმატებებს, ძველ პრობლემებს დღეს ახლებიც დაემატა.

დღეს ძველი და ახალი მიზნებით ვცდილობთ წარსულისკენაც ვიხედოთ და მომავლისკენაც, სწორედ ისე, როგორც ბატონმა ილიამ თავისი ცხოვრებით გვასწავლა, გვასწავლა მათაც, ვინც მის სიცოცხლეში ვერ დაბადებულეობიც არ ვიყავით, ვინც არ ვიცნობდით, მაგრამ შეგრძნება დაგვიტოვა, რომ ჩვენი მასწავლებელი და ჩვენი დირექტორიც იყო...

BUBA KUDAVA

ACADEMICIAN ILIA ABULADZE

Summary

I assume that Dr. Ilia Abuladze (1901-1968) is less familiar to a society as the founder of the Institute of Manuscripts. He is well-known as such only to a small group of specialists who appreciate him as a great scholar and excellent professional. But I still do believe that foundation of the Institute of Manuscripts was a natural outcome of his thriving and activities, a focal period tying up all the loose ends which credited Ilia Abuladze in the Georgian history of the 20th century with a very special place.

Hundred and ten years have passed since Dr. Abuladze was born. The 110th anniversary was celebrated both at the National Centre of Manuscripts and National Academy of Science of Georgia. During that year we tried to appreciate his contribution at the Centre in different ways:

The private archive of Ilia Abuladze was studied again, its description prepared and published; a bibliography of his works was published as well; staff members of the

Centre started the preparation for publishing of his Ancient Georgian-Ancient Armenian documented dictionary; memorial room of Ilia Abuladze was repaired and renovated; the exhibition hall was called after his name and hosted the exhibition depicting great scholar's life and activities; the 1st scientific conference dedicated to Ilia Abuladze's memory took place; the documentary "Ilia Abuladze 110" was demonstrated during the anniversary evening.

We have the future plans connected with commemoration of Dr. Abuladze's contribution and development of scholarly studies in general, hoping to carry them out step by step:

It is absolutely necessary to publish again complete works of Ilia Abuladze including those materials that were excluded originally due to the different reasons; it is desirable to collect memoirs and recollections about the great scholar as a content for a separate book; his contribution deserves a street to be called after his name.

Today the Institute of Manuscripts is renamed the National Centre of Manuscripts. I often stress it and want to repeat once more that changing the name is just an adjustment to the rhythms of time while main goals and tasks, priorities, values and attitudes stay the same. We try to carry on the love for manuscripts and loyalty to traditions as Batoni Ilia would have liked us to do.

БУБА КУДАВА

АКАДЕМИК ИЛЬЯ АБУЛАДЗЕ

Резюме

В прошлом году исполнилось 110 лет со дня рождения члена-корреспондента Академии наук Грузии, профессора, Ильи Абуладзе (1901-1968). Юбилей выдающегося ученого, основателя института рукописей отметили как в национальном центре рукописей, так и в АН Грузии. В течении юбилейного года, сотрудники центра рукописей постарались по мере своих скромных возможностей отметить вклад его основателя разными мероприятиями. Заново был обработан личный архив Ильи Абуладзе – было подготовлено и напечатано его описание; вышла в свет библиография трудов ученого; началась подготовка к изданию составленного им древнегрузинско-древнеармянского документированного словаря; отремонтирован и оборудован мемориальный кабинет основателя института; выставочный зал центра был назван его именем и в нем провели выставку отражающую его жизнь и деятельность; была проведена I научная конференция посвященная Илье Абуладзе; провели юбилейный вечер на котором был показан короткометражный документальный фильм «Илья Абуладзе 110»; у входа его дома поместили мемориальную доску.

Остается еще много планов на будущее, связанных с его именем и в то же время, с развитием науки вообще, которые мы надеемся постепенно осуществить.

პროფესორი თამაზ ბერაძე



ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. ტრაგიკული შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა თვალსაჩინო მკვლევარი და პედაგოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ ბერაძე. იგი დაიბადა 1937 წელს თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაასრულა 1960 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში და აქედან მოკიდებული ხუთი ათეული წლის განმავლობაში წარმატებით მოღვაწეობდა აღნიშნულ ინსტიტუტში, სადაც განვლო სამეცნიერო კარიერის ყველა საფეხური ასპირანტურიდან სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემდე, იქვე დაიცვა საკანდიდატო (1967 წ.) და სადოქტორი (1982 წ.) დისერტაციები. სამეცნიერო შემოქმედებას კარგად უხამებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. წლების მანძილზე ხალისით ასწავლიდა მშობლიური ქვეყნის ისტორიას სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს. სიცოცხლის ბოლო წლებში მისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა მთლიანად დაუკავშირდა საქართველოს უნივერსიტეტს, სადაც ის სამეცნიერო-კვლევით ნაწილს ჩვეული ენერგიით ხელმძღვანელობდა.

საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის ნიჭიერი და ღრმადგანსწავლული მკვლევარი, თამაზ ბერაძე, ფართო მეცნიერული ინტერესით გამოირჩეოდა. იგი წლების მანძილზე ნაყოფიერად იკვლევდა დასავლეთ საქართველოს (სამეგრელო, აფხაზეთი, რაჭა, იმერეთი) ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს, რასაც პირველხარისხოვანი მონოგრაფიები და სტატიების მთელი სერია მიუძღვნა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თ. ბერაძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში გზა გაუკვალა სრულიად ახალ მიმართულებას – ზღვაოსნობის ისტორიას. უაღრესად ფასეულია მისი მონოგრაფიები, სადაც მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზის საფუძველზე მეცნიერული სიღრმით არის გამოკვლეული ზღვაოსნობის ისტორია ძველი შუა საუკუნეების საქართვე-

ლოში. ამ თემატიკას მან ბოლომდე უერთგულა – უკანასკნელ წლებში გაცეცებით იკვლევდა საზღვაო საქმის განვითარებას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.), რისი დასრულებაც, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო. ფრიად საყურადღებოა თ. ბერაძის წვლილი შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორიისა და ისტორიული გენეალოგიის საკითხების შესწავლაში. აღსანიშნავია მისი ნაყოფიერი თანამშრომლობა „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასთან“ – დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესახებ. მასში დაბეჭდილი ყველა სტატიის ავტორი თ. ბერაძეა.

სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში კოლეგებთან ერთად დაასრულა აფხაზეთის ისტორიული ატლასის, აგრეთვე, ისტორიული ქრონოლოგიის სახელმძღვანელოს შედგენა, რომლებიც მალე იხილავენ დღის სინათლეს.

თ. ბერაძე – ჭეშმარიტი პროფესიონალი და კომპეტენტური სპეციალისტი სანიმუშო მეცნიერ-ხელმძღვანელი და კონსულტანტი იყო, მისი ხელდასხმით, უანგარო და უშურველი თანადგომით წარმატებით იქნა დაცული არაერთი სადისერტაციო ნაშრომი, მან არაერთი დამწყები მკვლევრის პირველ ნაბიჯებს დაატყო თავისი კეთილისმყოფელი ხელი. იგი იყო სხვადასხვა სამეცნიერო პერიოდული გამოცემის რედაქოლეგიის წევრი და მრავალი წიგნის რედაქტორი.

ბოლო წლებში თ. ბერაძე აქტიურად მოღვაწეობდა შავი და კასპიის ზღვების თანამშრომლობისა და პარტნიორობის საერთაშორისო ფონდის საქმიანობაში, როგორც მისი ვიცე-პრეზიდენტი.

თ. ბერაძის უალრესად საინტერესო სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ჰარმონიულად ერწყმოდა მისი პიროვნული ხიბლი, რასაც ბუნებრივად ქმნიდა მისთვის დამახასიათებელი კოლეგიალობა, კეთილშობილება, მიმტევებლობა, მეგობრობის ნიჭი...

თვალსაჩინოა თ. ბერაძის მიერ მეცნიერებაში დატოვებული კვალი, დაუვინყარია მისი ნათელი ხსოვნა კოლეგებისა და აღზრდილების ფართო წრეში.

ი 27/56



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის სტამბა

თბილისი, 2012
რუსთაველის გამზ. 52

